# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 7 ნოემბერი 2008 №23(75)

1516
2008



ფარაჯანირება

ქართული დუელიანა

როკენროლი თბილისში

ლია სტურუას ლექსები

მწერლები და ხელისუფალნი

ფრიდრიჰ დიურენმატის დეტექტივი

ეროვნული ბიბლიოთეკა



15 ნოემბერი
გაბრიელ ეპისკოპოსის დღე

# საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი გთავაზობთ























მისამართი: რუსთაველის გამზირი 22
**www.folk.ge** **e-mail: info@folk.ge**

ტელეფონი: (+995 32) 43 70 70
ფაქსი (+995 32) 93 63 42

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| ჩვენი ყოფა. წუთისოფელი | 2 | ლიანა ელიავა „ფარაჯანირება“ |
| პროზა | 7 | მანანა ავალიშვილი თამარ მეფის თვალები |
| | 9 | გურამ ქართველიშვილი ბაგრატიონის ქალი |
| პოეზია | 12 | ლია სტურუა წიგნებში ჩაკარგული და სხვა ლექსები |
| ესეისტიკა | 14 | ვერჯილ ნემოიანუ თორნტონ უაილდერი<br>(როგორც ამერიკული დილემების კვინტესენცია) |
| უცხოეთის ცხოვრებიდან | 18 | მზია ბაქრაძე მეცამეტე ფრანგი |
| | 22 | სოფიო ბენდიაშვილი „მე მხოლოდ მემატიანე ვარ“ |
| წუთები და წლები | 24 | როსტომ ჩხეიძე ქართული დუელიანა |
| რეპორტაჟი | 35 | ეკა ბუჯიაშვილი მწერლები და ხელისუფალნი<br>(მერი ტიტვინიძის საჯარო ლექცია) |
| ჩანახატი | 37 | მამუკა დოლიძე როკენროლი თბილისში |
| კრიტიკა | 38 | ნინო ვახანია რადგან სიყვარულს არა აქვს ბოლო<br>(ცირა ბარბაქაძის ახალი პოეტური კრებული) |
| | 39 | ნანა კუცია „გამოსცა ნაყოფად ნიგოზი...“<br>(მაკა გოგუაძის „პეკანები“) |
| ახალგაზრდებო, ან კი თქვენ | 42 | დიანა ანფიმიადი რეპეტიცია და სხვა ლექსები |
| პირველი შთაბეჭდილება | 45 | გივი ალხაზიშვილი ძიება გრამატოლოგიური თამაშის ფონზე |
| ახალგაზრდებო, ან კი თქვენ | 46 | იოსებ ჭუმბურიძე ნიჟიდან ცამდე |
| ახალი წიგნები | 47 | ივანე ამირხანაშვილი სიმართლის ვალი |
| დეტექტივი | 48 | ფრიდრიხ დიურენმატი მართლმსაჯულება |
| ლიტერატურული ცხოვრება | 62 | თეკლე ჯანელიძე ლაურეატები მცხეთა-მთიანეთიდან |
| მოზაიკა | 63 | გამოუცნობი გამოცანა |



დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 93) 65-93-68
გავრცელება – (995 99) 41-95-21
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ხანძთა, მაია ჯალიაშვილის ფოტოეტიუდი
ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი +995 32 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE +995 32 53 03 62


„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 21 ნოემბერს

ლიანა ელიავა

# „ფარაჯანირება“

სიტყვა „ფარაჯანირებას“ ვერ იპოვით ვერცერთ ლექსიკონსა თუ სიტყვის კონაში, რადგან იგი ახალი შექმნილია. იგი ეკუთვნის ფოტოხელოვან იური მეჩითოვს, რომელმაც ეს სიტყვა პირველად გააჟღერა ცნობილი კინორეჟისორის — სერგო ფარაჯანოვის დაბადების დღისადმი მიძღვნილ გადაცემაში ქართული ტელევიზიით. ფარაჯანოვის გავლენას უკვე ისე გაედგა ფესვები ხელოვნებასა და ცხოვრებაში, რომ ნათლიამაც არ დააყოვნა და სახელიც მოუგონა.

"ფარაჯანირება" ზუსტად მიესადაგება ქართულ კინოში, ტელევიზიაში, სახვით ხელოვნებაში, საერთოდ ქალაქურ ყოფაში მიმდინარე პროცესებს და გულისხმობს ფარაჯანოვის იდეების, მოტივების, შემოქმედებითი მანერის, ცხოვრების წესის მიბაძვა-გადმოღებას. სანამ ამ თემას შევეხებოდე, მინდა ყველა ჩემი მომავალი ოპონენტის გასაგონად განვაცხადო, არც მსოფლმხედველობითა და არც ბიოგრაფიით არ გახლავართ კარჩაკეტილი, აგრესიული ქართველი შოვინისტი. აქეთ არ შემეცილონ და იქით არაფერი მაქვს გასაყოფი მოძმე სომხებთან. დიდად ვაფასებ მათ სულიერ კულტურას. ქართველებს მისაბაძ მაგალითად ვუსახავ სომეხთა დაუღალავ ძალისხმევას, თავიანთი კულტურის მსოფლიოში გასატანად რომ იჩენენ. ასევე, მომწონს თუ არ მომწონს, ჩემი მიზანი არ არის ფარაჯანოვის ხელოვნების შეფასება. არც მის პიროვნებას შევეხებოდი, რადგან მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს, ფარაჯანოვის ფენომენი რომ არ განზოგადებულიყო მრავლისმომცველ "ფარაჯანირებამდე", რომელიც თამაშ-თამაშ ამღვრევს ქართულ სულიერებას.

მოდით, ერთად გავერკვეთ, რა ფარული შრეები იგულისხმება ამ ცნებაში და როგორი შორსმიმავალი მიზნებია მასში ჩადებული.

პირველად ამ საკითხზე ხმის ამოღება მხოლოდ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს შევძელი გაზეთ "ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე. სტატია ეძღვნებოდა საფრანგეთში ქართული კინოს რეტროსპექტივასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მაშინ "ფარაჯანირების" ეს ჯერ კიდევ უსახელო პროცესი მხოლოდ ისახებოდა: ფარაჯანოვის ფილმით გაიხსნა ქართული კინოს რეტროსპექტივა, ფარაჯანოვის მიერ იყო შესრულებული ამ რეტროსპექტივის აფიშა, რეტროსპექტივის შემდეგ ფარაჯანოვი და კინომცოდნე გიორგი გვახარია კიდევ დარჩნენ ერთი კვირით საფრანგეთში ქართულ კინოზე ლექციების წასაკითხად. რეტროსპექტივისადმი მიძღვნილ ბუკლეტში ავტორები სცოდავდნენ გაუგონარი სუბიექტურობით არამარტო ქართულ კინოსთან, არამედ საერთოდ ქართულ კულტურასთან მიმართებით. დამცრობილ იქნა ჩვენი კულტურის თვითმყოფადობა. რაღაც მოგონილი მიზეზებით ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და კრიტიკოსის აკაკი ბაქრაძის სტატია ქართულ სულიერებაზე საერთოდ ვერ ჩაეწერა ამ "ფარაჯანიადაში".



— რატომ გახდა ქართული კინოს მედროშე, სახე, სიმბოლო ფარაჯანოვი? — ამაოდ მივმართავდი ამ კითხვით მაშინ გაზეთიდან რეტროსპექტივაზე პასუხისმგებელ, ქართული კინოკავშირის ერთ-ერთ მარადიულ მესვეურს. შემდგომ ეს კითხვა გავუმეორე გამოჩენილ ქართველ კინორეჟისორს — თენგიზ აბულაძესაც, რომელიც ამ რეტროსპექტივის დროს ფარაჯანოვის ჩრდილში მოექცა. იქვე ჩემი ვარაუდი გამოვთქვი:

— ალბათ მთელ მსოფლიოში მრავალრიცხოვანი სომხური დიასპორის გავლენით-მეთქი.

— სომხურთან ერთად, მეორე, უფრო ძლიერი ძალაც მოქმედებსო, — მოიადებით ამიხსნა ბატონმა თენგიზმა. მივხვდი, რა ძალასაც გულისხმობდა, მაგრამ იმდენად ტაბუდადებული იყო ეს თემა მაშინ საზოგადოებაში, რომ ღიად, მითუმეტეს, ვინმეს მისამართით, ამის შესახებ არ საუბრობდნენ. ტაბუ ადევს მას კინომცოდნე კორა წერეთლის წინასიტყვაობით, კომენტარებითა და რედაქციით რუსულ ენაზე გამოცემულ ფარაჯანოვის წიგნშიც "აღსარება" (სანკტ-პეტერბურგი, გამომცემლობა "აზბუკა", 2001 წელი). ფარაჯანოვის ბუნდოვანი მინიშნება თავის რაღაც "პათოლოგიაზე", "ცოდვაზე" ბევრს არაფერს ეუბნება საქმეში ჩაუხედავ მკითხველს. ალბათ მეც მოვერიდებოდი მის გახმოვანებას, ჩემი ყურით რომ არ მომესმინა თვით ფარაჯანოვისაგან მოსკოვის კინოსახლის სცენიდან, კინოსტუდიაში "ქართული ფილმში" გადაღებული მისი ფილმის "აშულ ქერიბის" პრემიერისას:

— მე გახლავართ პირველი საბჭოთა მამათმავალი რეჟისორი, რომელიც ამის შესახებ ხმამაღლა აცხადებსო.

იყო მის გამოსვლაში სხვა სკანდალური გამოხდომებიც, რომლებსაც შეგნებულად წავუყრუე, რადგან მე ჩემმა საწუხარმა ამაღებინა კალამი ხელში და არა სეირობის სურვილმა. ბოლოს ფარაჯანოვმა მაყურებელს წარუდგინა თანმხლები ქურთი ყმაწვილი, მთავარი როლის შემსრულებელი ამ ფილმში. სწორედ ეს ყმაწვილი გამახსენდა, როცა ფარაჯანოვის ზემოთ ნახსენებ წიგნში წავაწყდი წერილს, სადაც პატიმარი სერგო უშლიდა ყოფილ მეუღლე სვეტლანას მათი შვილის – სურენის — მოყვანას ციხეში მამის სანახავად. "რაც უფრო შორს იქნება ჩემგან, მით უკეთესი, ბრძნული, პედაგოგიურია" (გვ. 470). ციხიდან გამოგზავნილ, სხვა მრავალ ღირებულ ნაწარმოებთა შორის, იყო მისი საიდუმლო ყოველდღიურობის ამსახველი, დაუფარავად ცინიკური ნახატებიც, რომლებზეც ასევე აფრთხილებდა მეუღლეს, შვილს არ აჩვენოო. მაშინ რა დააშავა იმ ქურთის ბიჭმა, რომელსაც რეჟისორად, ცხოვრების მასწავლებლად, მახლობელ ადამიანად გამოუჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარაჯანოვი?! არ გამოვედევნები კიდევ რამდენი გაცნობიერებული, რადგან საამისოდ თავისი ნაშიერი არ ემეტებოდა, ცოდვა მიწუმათდა ამ კაცის გარშემო.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქრისტიანული თვალსაზრისითაც არ იყო გამართლებული, უმთავრესად განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის გამო (სხვა ბრალდებებით სასჯელს აფორმებდნენ) ორჯერ ნასამართლევი და ციხიდან ახალგამოსული ადამიანის დამკვიდრება ქართულ კინოსამყაროში. თუნდაც ის მითოლოგიზირებული რეჟისორი — ფარაჯანოვი ყოფილიყო. აგერ, ახლახან ჩვენზე გაცილებით უფრო დემოკრატიულმა ამერიკელებმა ლეგენდარულ მაიკლ ჯეკსონს ყმაწვილებთან უფრო უწყინარი თამაშებისთვის სამშობლო დაატოვებინეს. შემაძრწუნებელია ქართველების "ფარაჯანირება", პირველ ყოვლისა, სწორედ ამ ნიშნით. ქვეყანაში, სადაც — დემოგრაფიული მონაცემებით — ერთ კაცზე თორმეტი ქალი მოდის, ის ერთიც თუ არ აღმოჩნდა მონოდების სიმაღლეზე, რამდენად არგია ეს გადაშენების პირას მყოფ (სიკვდილიანობა ჭარბობს შობადობას) მცირერიცხოვან ერს?! გასამართლებელ საბუთად არ გამოდგება უკვდავთა სახელები ლიტერატურიდან, მუსიკიდან, სახვითი ხელოვნებიდან, კინოდან. სხვა ფუფუნებაა დიდი ერის შვილობა და სხვა ტვირთი — მცირე ერისა! ფარაჯანოვმა პირადი მაგალითით დაგვანახა, როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ სიტუაციაში. ისევე, როგორც იგი იფარავდა საკუთარ შვილს, უნდა ავარიდოთ ჩვენს მომავალ თაობას თავის მსგავსთაგან გაკერპებულ ხელოვანთა პათოლოგიური ზეგავლენა.

რაც უნდა ზღაპრები შეთხზან ფარაჯანოვის დამცველებმა, დრომაც დაადასტურა, რომ სწორედ ეს სოდომური ცოდვა იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც მოიკვეთა საქვეყნოდ აღიარებული უკრაინული ფილმის — "დავიწყებულ წინაპართა აჩრდილების" — შემქმნელი ფარაჯანოვი მრავალმილიონიანმა უკრაინამ, ხელწერილიც კი დაადებინეს, რომ არასდროს დაბრუნდებოდა იქ. კარგა ხანი გასაქანს არ აძლევდნენ, ასევე არანაკლებ ცნობილი სომხური ფილმის — „ბროწეულის ფერი" ("საიათ-ნოვა") — გადამღებს მოძმე სომხებიც. გაუგებარია, ასეთ ვითარებაში რაღა მაინცდამაინც ქართველებმა გაიგიჟეს თავი, გამოიჩინეს ყოველმხრივ წინდაუხედავი ტოლერანტობა, აამოქმედეს ძმაკაცურ-კლანური მექანიზმი, ჩართეს საქმეში ამ მექანიზმის წარმმართველი ძალა — ხელმწიფისტოლა ქართველი, რის შედეგადაც ყველასგან მოძულებული ფარაჯანოვი, ქართული ელიტის საყვარელი "სერჟიკა", კინოსტუდია "ქართულ ფილმს" მოევლინა დამდგმელ რეჟისორად. თავს ზემოთ ძალა არ იყო, ხელისუფალთა და ქართული კინოს გავლენიან რეჟისორთა პროტეჟეს, თან უკვე მთელ მსოფლიოში სკანდალურად სახელმოხვეჭილს, წინ ვინ აღუდგებოდა! დანიელ ჭონქაძე და მიხაილ ლერმონტოვი, რომელთა ნაწარმოებები ერთმანეთის მიყოლებაზე "გააფარაჯანირა" მუშაობას მონწყურებულმა რეჟისორმა, ცოცხლები აღარ იყვნენ.

მაშინ ყველა რესპუბლიკას განსაზღვრული ჰქონდა წელიწადში ფილმების რაოდენობა. საქართველოს გეგმა, მგონი, რვა ერთეულით (ფილმით) შემოიფარგლებოდა. ორ წელიწადში ორი ერთეული დაიკარგა ქართველებისთვის. "სურამის ციხეში" ფარაჯანოვთან ვითომ თანადამდგმელად შეამხანაგებული დევი აბაშიძე მხოლოდ ფორმალურად, ქაღალდზე არსებობდა. ამას დაუმატეთ კიდევ ორი ერთეული საკავშირო კინოკომიტეტის მაშინდელი დიდმოხელის, სახელად არმენის (იმდენად მეტყველი სახელია, რომ გვარს აღარა აქვს მნიშვნელობა) მიერ ჩვენი სტუდიისთვის "შემოტენილი" ორსერიანი რუსული სცენარისთვის, რომელიც ურიგოდ მიერთვა, ამ საქმეში თანამონაწილე, ერთ არაპროფესიონალ ქართველ კინორეჟისორს და მიხვდებით, რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა თავისი რიგის მომლოდინე, "უჩინო" პროფესიონალთა მთელი დასი. ზნეობრივისა და მატერიალურის გარდა, ზიანი მიადგა ქართულ სულიერებასაც. "არმენოლოგიური" ხრიკებით გაკეთებული რუსულ-ქართული სუროგატი დაავიწყა საზოგადოებას ფარაჯანოვის არაორდინარულმა ქმნილებებმა. ფარაჯანოვმა ამავე დროს, კორა წერეთლის სცენარით, დოკუმენტურ სტუდიაშიც მოახერხა ფიროსმანზე ფილმის გადაღება. ამ ვითომ ქართული ფილმების არაქართულ ცნობიერებაზე იმდენი დაიწერა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში ყოფნის დროს, რომ მასზე ლაპარაკს აღარ გავაგრძელებ. როგორც ილია ჭავჭავაძემ იხსნა თავის დროზე ბედოვლათი ქართველი თავად-აზნაურობა არაქართული კაპიტალის შემოტევისაგან, ისე გამსახურდიას მოსვლამ ხელისუფლებაში შეაჩერა ქართული სულიერების ამღვრევა-განადგურების პროცესი. თვალსაჩინოებისთვის გამოვარჩევდი პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლის "შუშანიკის წამება" გადარჩენას გარდუვალი "ფარაჯანირებისაგან". ამ გარემოებით აღშფოთებული, თვითონაც არაქართული ცნობიერების, კორა წერეთელი ქართველი ხალხის ეროვნულ გმირს — ზვიად გამსახურდიას, მისი პარტიის "მრგვალი მაგიდა


სამშაბათს, 11 ნოემბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის"
დარბაზში გაიმართება
წარდგინება

**ირმა რატიანის**

მიერ თარგმნილი
კრებულისა

**„ასი უძველესი
იაპონური ლექსი"**

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავისუფალი საქართველო" ნაციონალ-სოციალისტებთან გაიგივებით, ირიბად ფაშისტობას სწამებს.

მიუხედავად იმისა, იცვალნენ დრონი, ამ ქალბატონის გავლენა ქართულ კინოაზროვნებაზე დღესაც ძლიერია. უშუალოდ თუ შენიღბულად კინოპროცესებს საქართველოში წარმართავს ისევ იგივე ხალხი, კალმით თავმოქონილი რომ დატოვა კორა წერეთელმა, ვიდრე მოსკოვში გადაბარგდებოდა ახალშეუღლებულ სომეხ მეუღლესთან საცხოვრებლად.

თავის დროზე პროფესორ გიორგი დოლიძეს მრავალი ბრძოლა გარდახდა, სანამ უსამართლოდ მივიწყებულ კინორეჟისორ ვასილ ამაშუკელს, ავტორს პირველი ქართული დოკუმენტური ფილმისა "აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში", ღირსეულად, როგორც სახალხო არტისტს, დაამკვიდრებდა ქართული კინოს სათავეში, სადაც მანამდე ერთპიროვნულად ლიდერობდა ალექსანდრე დიღმელოვი. საქმე ისაა, რომ მაშინ კინოოფიციოზის ერთ-ერთი ნამყვანი იდეოლოგი გახლდათ კორა წერეთელი. მის რუსულად დაწერილ სტატიებს ეყრდნობოდა ქართული კინოს ისტორია სხვადასხვა ენციკლოპედიებსა და კინოლექსიკონებში. მათში კი ვასილ ამაშუკელი ან გამქრალი იყო საერთოდ, ან არსებობდა, როგორც ერთი უსახური ნარკვევის ავტორი.

ამ მოკლე ექსკურსის შემდეგ შემოგთავაზებთ მცირე ამონარიდს კორა წერეთლის კომენტარიდან, ფარაჯანოვის ჩაშლილ გეგმებთან დაკავშირებით: "საქართველოში, სადაც ხელისუფლებაში მოდიან ზ. გამსახურდია და ნაციონალ-სოციალისტური პარტია, ფარაჯანოვი და მისი შემოქმედება ხელსაყრელი მასალა აღმოჩნდა... ურაპატრიოტული თვითდამკვიდრებისათვის. გაზეთი "ლიტერატურული საქართველო" თანმიმდევრულად სდებს ბრალს ფარაჯანოვს ეროვნული ტრადიციების ბოროტ დამახინჯებაში (ფილმი "ლეგენდა სურამის ციხეზე"), ფიროსმანის შემოქმედების დაუშვებელ მანიპულაციებში ("არაბესკები ფიროსმანის თემაზე"). ამ ფონზე ვრცელდება ხმები ფარაჯანოვის ახალ "დივერსიაზე" ეროვნული სიწმინდეების სფეროში — საქმე ეხება მის სცენარს ცურტაველის ქრონიკის ("შუშანიკის წამება") მოტივებზე" (ს. ფარაჯანოვი, "აღსარება", გვ. 306, კ. წერეთელი, სცენარ "შუშანიკის წამების" წინასიტყვაობა).

კორა წერეთელი ასე გაათამამა ერთმა გარემოებამ. მე რომ წელან ხელმწიფისტოლა კაცი ვახსენე, მისი პირით ეროვნული ხელისუფლების იდეოლოგია "პროვინციულ ფაშიზმად" გამოცხადდა. მაშინ რას იფიქრებდა ამ ტერმინის ავტორი, რომ სულ მოკლე დროში ბნელი ძალებით დამხობილ, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს — ზვიად გამსახურდიას — ქართველი ხალხი დიდი პატივით აასვენებდა მთაწმინდაზე?!

საქართველოში ფარაჯანოვის დამკვიდრება თვით ფარაჯანოვის თვალსაზრისითაც არ იყო სწორი ნაბიჯი. ახლავე აგიხსნით, რატომ. უკრაინაში ხანგრძლივი პატიმრობისას ფარაჯანოვი მიხვდა, რომ ეროვნებით სომეხს არა უკრაინაში, არამედ სომხეთში უნდა დაეწყო მოღვაწეობა. გენიალური ფილმის შექმნისათვის სამშობლოში შეიძლება მიუტევებელიც მიეტევებინათ. "რატომ უნდა მეკეთებინა მე უკრაინული კინოო", — წერდა სინანულით ციხიდან (გვ. 477). ციხეშივე გადაწყვიტა სომხეთში დაფუძნებულიყო, ფსიქოლოგიურად ემზადებოდა კიდეც ამისთვის. "ვმეგობრობ ადამიანებთან, რომლებმაც სომხური იციან" (გვ. 539). სამშობლოში გამგზავრებას ურჩევს სწავლის გასაგრძელებლად თბილისში სკოლადამთავრებულ დისშვილს — გარიკას, რომელიც თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში აპირებდა ჩაბარებას. მოვიტან ნაწყვეტს წერილიდან: "გარიკ-ჯან, პირადად მე ვთვლი... უნდა ნახვიდე ერევანში — იქ სომხებია და შენ თბილისში არაფერი გესაქმება. უნდა იცხოვრო შენს სამშობლოში" (გვ. 516).

ყმაწვილმა კაცმა ყურად არ იღო ბიძის რჩევა და მოინდომა მაინცდამაინც თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში, სამსახიობოზე მოწყობა. ძმისშვილის საპასუხო წერილმა, შინაარსზე მეტად, დაშვებული შეცდომების რაოდენობით გადარია ფარაჯანოვი: "მეოცე საუკუნეში რომელი მსახიობი წერს ამდენი შეცდომით?! საკმარისია დაწერო განცხადება ინსტიტუტისთვის, რომ მაშინვე გაგაგდონ" (გვ. 493). უფრო მკვახე და მოურიდებელია მეორე წერილი, რომლის ციტირებისაგან თავს შევიკავებ.

დროს ოდნავ გავუსწრებ და გეტყვით, რომ ეს ყმაწვილი მაინც მოხვდა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში. უკრაინის ციხიდან ძლივს თავდაღწეულმა ფარაჯანოვმა კი მის გამო ისევ ციხეში, ოღონდ ამჯერად ორთაჭალის ციხეში, ამოჰყო თავი. სასამართლოს დასკვნით, გარიკას მიერ წერით გამოცდაზე დაშვებული შეცდომების რაოდენობამ ისეთ ასტრონომიულ ციფრს (142, თუ არ ვცდები) მიაღწია, რომ მხოლოდ გაღებულმა ქრთამმა – ბრილიანტის ბეჭედმა — იხსნა ყმაწვილი აშკარა ჩაჭრისაგან. სამაგიეროდ, საქმის ჩამწყობი — ბიძა — ჩააგდო ისევ სამართალდამცველთა კლანჭებში. ფარაჯანოვის მუდმივი ქომაგი ქართველი რეჟისორები შეცდომების არსებობას, რომელსაც თვით ფარაჯანოვის წერილიც ადასტურებს წინასწარმეტყველურად, სუკის მონაჭორად მიიჩნევენ და, იმავე ხელმწიფისტოლა კაცის მეშვეობით, ფარაჯანოვს პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან ათავისუფლებენ.

ერთ-ერთი ქომაგთაგანი მოგვიანებით თავის ინტერვიუში გაოცებული კითხულობდა, ფარაჯანოვს ქრთამის მიცემა რაში სჭირდებოდა, ჩემი ძმა აქ არ იყოო?! კანონის დარღვევა სასამართლოს გასარკვევია, მე ამ საქმეში მაშფოთებს უღირსთა მხარდაჭერის უზნეობა, რომელიც ნორმად ქცეულა ქართულ კინოსაზოგადოებაში.

ის ფაქტი, რომ გენეტიკურ სომეხს სამშობლოდ სომხეთი მიაჩნდა, უყვარდა და ამაყობდა მისით, მხოლოდ ფარაჯანოვის სასარგებლოდ მეტყველებს. ცნობილი რუსი მწერალ-ემიგრანტის, ვლადიმერ ნაბოკოვის აზრით, ადამიანი რაც უფრო ნიჭიერია, მით მძაფრად გრძნობს უსამშობლობას. ამის დასტურია ფარაჯანოვის მრავალრიცხოვანი წერილები თუ ზეპირი გამოსვლები. "მე ვიყავი ბედნიერი ის ერთი-ორი წელი, როცა ვცხოვრობდი და ვქმნიდი სამშობლოში" (წერილი "საიათ-ნოვაზე" მისი სომეხი ასისტენტის, რუბიკასადმი, გვ. 433). "სომხეთი უდიდესი ქვეყანაა თავისი განსაცვიფრებელი კულტურით. იგი ჩემი სამშობლოა... მინდოდა მეგრძნო სომხურობის ანტიკური ფესვები" (საჯარო გამოსვლა მინსკის სამეცნიერო და შემოქმედებითი ახალგაზრდობის წინაშე, გვ. 608).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსგავსი გამოთქმები უხვადაა გაბნეული წიგნში. ავტობიოგრაფიულ სცენარში "აღსარება", სადაც მოქმედების ადგილი ძველი თბილისია, უცებ შემოიჭრება სომხური სოფელი "ბუნი", თავისი არქიტექტურული შედევრით — მეცხრე საუკუნის სომხური მონასტრითურთ. განა საქართველოში, იმავე თბილისში არ მოიძებნებოდა უფრო ძველი შედევრებიც კი?! მაგრამ გასაგებ მიზეზთა გამო, როცა ავტორს მაღალ სულიერებაზე უნდა მინიშნება, სომხური ძეგლი აგონდება და არა — ქართული. მე ეს ამბავი სრულებით არ მიკვირს. მხოლოდ ის გამიკვირდა ცოტათი, რომ ვერ აღმოვაჩინე საქართველოს მიმართ რამე თბილი დამოკიდებულების გამომხატველი სიტყვები ფარაჯანოვის 650-გვერდიან წიგნში. მითუმეტეს, რომ ავტორი თბილისში იყო დაბადებული, გაზრდილი და რამდენიმე ფილმიც ჰქონდა ქართულ კინოსტუდიებში გადაღებული. ის კი არადა, რომ მეგონა, თავისი მუზის — ცხონებული სოფიკო ჭიაურელის გავლენით, ქართველი მსახიობი ქალებისადმი მაინც იყო კეთილგანწყობილი, თვალებს არ დავუჯერე, როცა ასეთი გამოთქმა წავიკითხე: "ნუთუ არ იყიდება ქართველი მსახიობების (კეკელკების) ღია ბარათები?!" (წერილი გარიკასადმი, გვ. 576). სხვათაშორის, არც მის კეთილისმყოფელ ქართველ კოლეგებზე იყო მაინცდამაინც დიდი წარმოდგენისა. უბრალოდ იყენებდა მათ, გადაუგდებდა რაღაც სატყუარას და ისინი ვერც კი გრძნობდნენ, ისე ეგებოდნენ მის ანკესზე. ოღონდ თავისიანი არ ელიარებინათ და მზად იყვნენ სხვისთვის ექმიათ გუნდრუკი. მე გემოვნებაზე არ ვდავობ. ეს მათი ნებაა, ვის მიიჩნევენ გენიოსად, ან ვის დაამდაბლებენ, მაგრამ ქართული კინოხელოვნება ხომ არ არის მათი პირადი საუფლო, რომელსაც, როგორც მოეგუნებებათ, ისე მოექცევიან, ვისაც უნდათ, იმას დაამკვიდრებენ, სხვის ხარჯზე. ოღონდ თვითონ გაისწორონ ხასიათი და ყველას დაუმტკიცონ, მე ვარ და ჩემი ნაბადიო! საბოლოოდ ფარაჯანოვისადმი თავგამოდებამ მოსალოდნელი შედეგიც გამოიღო. სიკვდილის შემდეგ მას იმდენი სომეხი პატრონი გამოუჩნდა, რომ თითქოსდა, ქართველები თავის გენიოსში ვეცილებით სომხებს, როგორც ისინი გვედავებიან გამუდმებით ხან ვის, ხან რას. მართალი უთქვამთ, ცუდი მაგალითი გადამდებიაო.

თემას არ გადავუხვევ ისე, ცოტათი რომ გაგახალისოთ, მოგიყვებით ერთ კურიოზულ შემთხვევას, რომლის მოწმე მე თვითონ გახლდით. საბჭოთა პერიოდში მოვხვდი ერთ მნიშვნელოვან ლიტერატურულ ღონისძიებაზე სომხეთში, ექსკურსიაზე წაგვიყვანეს რომელიღაც პატარა ქალაქში და იქაურმა დამხვდურმა სტუმრად ჩამოსულ მწერლებთან თავი მოიწონა: თუმცა მაიაკოვსკი საქართველოში დაიბადა, მაგრამ ჩვენთან ჩაისახაო. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ გამოაცოცხლა ამ აღმოჩენამ საზოგადოება! მაიაკოვსკისთან მიმართებით არავის აგონდება მისი ჩასახვის ადგილი, ახსენებენ საქართველოს, სადაც იგი დაიბადა, გაიზარდა და რომელსაც მან უკვდავი სტრიქონები უძღვნა. ფარაჯანოვის შემთხვევაში, თვით ქართველების გარდა, იშვიათად ვინმემ ახსენოს საქართველოს სახელი, განსაკუთრებით საზღვარგარეთ. ფარაჯანოვის ქართველ გულშემატკივრებს შორსმჭვრეტელობა რომ ჰყოფნოდათ, პირიქით, ხელს შეუწყობდნენ "გზააბნეულ შვილს", დაბრუნებოდა დედა-სამშობლოს. ხომ გახდა ეს შესაძლებელი ბოლოსდაბოლოს, უფრო უხერხულ სიტუაციაში, როცა სომხეთის სტუდიიდან თბილისში მივლინებით უწევდა ქართული სიუჟეტის გადაღება?! ხომ ასცდებოდა თვით ფარაჯანოვს ზედმეტი სტრესი? იქ ვერ აუმხედრდებოდნენ არაეროვნული ცნობიერებისათვის. სომხურ კინოსაც შეემატებოდა ახალი შედევრები და არც ქართველები დარჩებოდნენ, კორა წერეთლის თქმისა არ იყოს, მისი "დივერსიით" დაზარალებულები.

## ნიკა აგიაშვილის კოლექციიდან

ცოლ-ქმარი პოეტები კალე ბობოხიძე და ვერა შუბლაძე: უნდა დაეწერათ პოემა „კალევალასავით": „კალევერა", მაგრამ, რატომღაც ვერ გაბედეს...

სერგო ფარაჯანოვმა სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, ბუნებრივია, სომხეთში ინება გარდაცვალება და იქვე დაიკრძალა. მისივე ანდერძით, სომხეთს გადაეცა წლების მანძილზე საქართველოში მოხვეჭილი მთელი ავლადიდება, რომელიც მის მუზეუმს ამშვენებს ერევანში. გასაგებია, რომ მან არჩევანი თავისი ნამდვილი სამშობლოს სასარგებლოდ გააკეთა.

გაუგებარია მხოლოდ ის, რად არ ეშვება საქართველოს შემოქმედებითი ელიტა ფარაჯანოვს გარდაცვალების შემდეგ მაინც. პირიქით, უფრო მომრავლდნენ მისი კინემატოგრაფიული მანერის მიმბაძველები, ცხოვრების წესის მიმდევრები, თაყვანისმცემლები, შეგირდები. ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილ ოჯახში თავი მოსწონთ ფარაჯანოვის დიდი თუ მცირე სახსოვრით: ავტორისეული კოლაჟით, ნახატებიანი (თუნდაც უხამსი) წერილით, ვარდპეპლებიანი აფიშით, სამკაულებით. კომისიონერი მამის შვილმა, თვითონაც სახვით (გამოყენებით) ხელოვნებაში თვალ-ხელგანაფულმა ფარაჯანოვმა, კარგად იცოდა ნივთების ყადრი, არც ალებ-მიცემობაში ეშლებოდა რამე. დროდადრო ტელევიზია ამზეურებს ამ რელიკვიას.

მაშინ, როცა სერგო (სერჟიკა) ფარაჯანოვის სახელი ყველას პირზე აკერია, იშვიათად ვინმემ ახსენოს თვითნაბადი ქართველი მწერალი, კინორეჟისორი გოდერძი ჩოხელი, შემოქმედებითი სიმწიფისა და ოსტატობის ასაკში, უსახსრობის გამო, თავის საყვარელ საქმეს ჩამოცილებული, მრავალწლიანი უმუშევრობით დათრგუნული. მისმა გარდაცვალებამაც ისე უკვალოდ ჩაიარა, ბევრს არც კი გაუგია. მეც გვიან გავიგე, თუმცა რეალურ სამშობლოს მოწყვეტილი, მუდმივად მიჯაჭვული ვარ ვირტუალურ ეკრანს. იმ ხანებში, მახსოვს, თბილისიდან ელექტრონული ფოსტით დამიკავშირდა ერთი ნაცნობი ჟურნალისტი და მკითხა, რომელი ფილმების ჩვენება აჯობებდა საზღვარგარეთ. გოდერძი ჩოხელის ფილმები ვურჩიე დაუფიქრებლად, და არამც და არამც ისინი, ზეპირად რომ ასწავლეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ჟიურის მაყურებელს მათმა გავლენიანმა ავტორებმა. ალბათ არ იცოდა, არაფერი უთქვამს გოდერძის გარდაცვალებაზე. მაშინ ეს წერილი შავად უკვე დაწერილი მქონდა და გოდერძიზე, როგორც ცოცხალზე ვწერდი, ვიცოდი, რა მძიმე მდგომარეობაც ჰქონდა და მინდოდა სიტყვით მაინც შევწეოდი. "ჩიფსების თაობას" ალბათ არც უნახავს მისი ფილმები: "ადგილის დედა", "აღდგომა", "ადამიანთა სევდა", "სამოთხის გვრიტები"... უცხო სერიალებითა და სანახაობებით დაბინძურებულ ქართულ ტელესივრცეს საოცრად აკლია გოდერძი ჩოხელის კეთილშობილი სევდა, მისი მთის ოზონიანი ჰაერი და გაუკვალავი თოვლის სისპეტაკე. ეკრანის ფავორიტობა ყოველთვის არ ნიშნავს ფილმის მხატვრულ ღირსებას. უამრავი შედევრია უცნობი, რადგან მათ ფეხზე მდგარი პატრონები არა ჰყავთ. ცოცხალი არსებებივით მენატრებიან ისინი და მინდა მათთან შეხვედრა!

გოდერძი ჩოხელის ღვთიური ნიჭით ცხებული სული მისივე ზღაპრის გმირს — "ცასწავალას" მაგონებს, პატარა ჩიტს, რომელსაც "ზეცაში აჭრილს, უკანასკნელი ამოსუნთქვისთვისღა ეყო ღონე და გული გაუსკდა". ასეთი სათუთი სულის ადამიანი ხომ ვერ მოირგებდა ქურდულ ნიღაბს, ვერც ყაჩაღის ტყავში გაეხვეოდა, ან მიჰყიდდა სულს ეშმაკს. აბა, სხვანაირად, ჯუნგლების კანონებით მცხოვრებ, თანამედროვე ქართულ კინოსამყაროში როგორ უნდა ეშოვა მილიონები ფილმის გადასაღებად?! მას ხომ შედევრების გადაღება მხოლოდ თავის სამშობლოში და მხოლოდ ქართულად ეხერხებოდა?! თუ შესაბამისი სახელმწიფო უწყება, ან გაგებული ფულიანი ქველმოქმედი არ იზრუნებდა მასზე, იმთავითვე განწირული იყო დასაღუპად. საუბედუროდ, ასეც მოხდა, უღვთოდ გაიწირა. ფარაჯანოვსა და მის ხსოვნას გადაყოლილ ქართველ კინომოღვაწეებს, რომლებიც სხვადასხვა წყაროებიდან მილიონებს განკარგავენ უნიჭო ჩანაფიქრებისა, უზნეო ზეიმებისა და უაზრო ვოიაჟებისათვის, რაღა გოდერძი ჩოხელის გადასარჩენად გაუჭირდათ რამდენიმე ათასი?! მათ სინდისს უპატიებელ ცოდვად აწევს გოდერძი ჩოხელის ადრე შეწყვეტილი შემოქმედება, მისი ჩაკლული სული. ცოცხალი ვერ შეიშნეს, მიცვალებულს, მის დანატოვარს მაინც მიხედონ ოჯახაშენებულებმა! იმედია, გამგები გამიგებს, "რა ნესტარითაც ვარ ნაჩხვლეტი".

ფიქრთა დინებამ უფრო შორს რომ არ წაგვიყვანოს, მივუბრუნდეთ მთავარ თემას. ფარაჯანოვზე უფრო სუფთად მოქართულე იური მეჩითოვი იმავე გადაცემაში იხსენებს, უცხოელები როცა ეროვნებას ეკითხებოდნენ, იგი პასუხობდა, თბილისელიო. ფარაჯანოვი რომ თავს ქართველად არ თვლიდა, არავისთვის საიდუმლო არ არის. ესე იგი, თბილისი მიაჩნდა სომხურ ქალაქად, სხვანაირად როგორ უნდა ავხსნათ სომხის ეროვნება — თბილისელი?! ამიტომაც დასცინიან "ეროვნებით თბილისელები" აფხაზეთიდან დევნილი მეგრელების კილოს. აბა, ჰკითხეთ დევნილებს, ვინ უფრო მეტი სისასტიკე გამოიჩინა მათ მიმართ? ბაგრამიანის სახელობის სომეხთა ბატალიონს დაგისახელებენ პირველ რიგში. მართალია, თითო-ოროლა სომეხი ქართველების მხარეზეც იბრძოდა, მაგრამ მათ არავითარი გავლენა არ მოუხდენიათ საქმის ვითარებაზე. ბაგრამიანელებმა კი სათავისო ამინდი შექმნეს. ჯიუტად, თანმიმდევრულად ამ ამინდის შენარჩუნებაზე ზრუნავს რუსეთის ნასომხარი საგარეო საქმეთა მინისტრიც. მიზანი მიღწეულია. ამჟამად ძირძველი მოსახლეობისგან გაწმენდილ აფხაზეთში მოსახლეობის უმრავლესობა სომეხია. საქართველოში გამეფებული ქაოსი და განუკითხაობა, რაც ეროვნული ხელისუფლების დამხობასა და ძმათამკვლელ ომს მოჰყვა, ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა "ფარაჯანირების", როგორც გლობალიზაციის ერთ-ერთი ადგილობრივი ნაირსახეობის, გაჯეჯილებისთვის.

ფარაჯანოვის ფილმები განთავსებულია კომპიუტერულ სივრცეში (ამ უსასრულობაში სანთლით საძებარია ჭეშმარიტად ღირებული ქართული კინონაწარმოებები). ქართული კინოფესტივალები იხსნება, ან იხურება მისი ფილმებით. პრესტიჟულ არხზე მომგებიან დროს მას ეძღვნება გადაცემა. მეტსაც გეტყვით, უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებშიც კი მოიკიდა ფეხი. მოსკოვიდან საგანგებოდ მოწვეული კორა წერეთელი სადღესასწაულო ჩვენებებზე ძველებურად ყელყელაობს ფარაჯანოვის თემით, დაწესებულია ფარაჯანოვის პრიზი. ეს იმ დროს, როცა მასში იშვიათად გაკრთება მეტ-ნაკლებად ნიჭიერი ახალი ქართული ფილმი, რადგან უსახსრობის გამო განუხორციელებელი იდეების სასაფლაოდ ქცეულა მოწოდებით შემოქმედთა საეკრანო ასპარეზი (გოდერძი ჩოხელის მაგალითიც კმარა), შიმშილით სული სძვრებათ კინოს ღვაწლმოსილ მუშაკებს! მაშ, რას ემსახურება, ვის სჭირდება ასეთი ზეიმი?!

თბილისის ძველ უბანში, სადაც ადრე ცოცხალი ფარაჯანოვი დაიარებოდა, კი არ დგას, ჰაერში ჰკიდია მისი ძეგლი. კაბინეტის კედელს, ფესტივალის ბუკლეტს, წიგნის თაროს თუ საიუბილეო ალბომს ამშვენებს ისევ და ისევ ჰაერში გამოკიდებული ფარაჯანოვის ფოტო. ამ დროს ყველას ახსოვს და მის წიგნშიც იპოვით სურათს, სადაც აშკარად ჩანს, როგორ ოფლის ღვრამდე ამძიმებდა ამ ადამიანს სხეული. მე ისიც კარგად მახსოვს, როგორ შემოეძარცვა შესანიშნავ ქართველ კინორეჟისორს — თენგიზ აბულაძეს — ხორცი და დარჩა მართლაც გასაფრენად გამზადებული, ცარიელი სულის ამარა. ძეგლი კი არავის აუგია!

ჩვენს საყვარელ სამშობლოში ზოგჯერ იმასაც ვერ გაიგებ ვინ ვის, საიდან, რატომ უდგამს, ან არ უდგამს ძეგლს. მოგეხსენებათ, იუნესკოს მიხედვით, ძეგლი უნდა დაედგას განსვენებულს 50 წლის შემდეგ. ესე იგი, დრომ უნდა დაადასტუროს ძეგლის აუცილებლობა.

ჩემი წერილის მიზანი არ ყოფილა, კიდევ ერთხელ მომეცხო ჩირქი ფარაჯანოვისათვის, ამ უაღრესად წინააღმდეგობრივი, ტრაგიკული ბედის არაქართველი ხელოვანისათვის. მე მხოლოდ იმ საკითხებს შევეხე, რომლებიც ყველასათვის ცნობილია და რომლებსაც არც თვითონ მალავდა. ეტყობა, მისთვისაც უცხო იყო სირაქლემას პოზა. უფრო მეტიც, მე წერილს მიღმა დავტოვე, ხალხში ჭორად მოარული, უფრო დიდი ბრალდებები, რომელთა ჩხრეკაძიება ჩემი საქმე არ არის. მე მხოლოდ ქართველური ჯიშის გადაშენებასა და "ქართული სულის აკაფვას"(გოდერძი ჩოხელი) შევეწინააღმდეგე. სხვათაშორის, ვენახის აკაფვაც ამ რიგის მოვლენაა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ავალიშვილი

# თამარ მეფის თვალები

რუსეთის თვალმიუწვდომელმა სივრცემ უბიძგა საშოვარზე წასულიყო. დაეგდო ცოლ-შვილი და აშოლტილ არყის მწკრივებში ევლო, გადაჭედილ ქალაქებში ეხეტიალა. შინ აუწყობელი გიტარა და მოლოდინით თვალგანყალებული ცოლი ნელ-ნელა დავიწყნოდა, ცხოვრების ეკალბარდებში გახლართულიყო და მწვავე შეხლა-შემოხლის დროს რამდენიმე ველური მზერის, აალებული სახის კაცს მოეკლა. ანივლებულ, აწეწილი ცხოვრებით ნაიარევ ქალს დაესაფლავებინა სადღაც უცხო, მიკარგულ ადგილას და რუსულად წაეწერა ქართული სახელი და გვარი.

სხვა ქვეყნის ქალი მწარედ დასტიროდა – უცნაური სახელის კაცს – ელგუჯას. სიკვდილმა სახელიც მოაშინაურა და ახლა ქალს იმის წარმოდგენაც უჭირდა, რომ ამ სახელს არასდროს დაიძახებდა.

საქართველოში კი თავისიანი ქალისთვის არაფერი იყო უჩვეულო. არც სახელი, არც ზნე და არც იდეურად შეფერილი ღალატი.

– ჩიორა, – ხელაწეული ესალმებოდა შვილს, –ნახე, რა უნდა გისახსოვრო.

ელენეს ასე ხელაწეული დაამახსოვრდა ქმარი და გულმშვიდად იყო, რომ კარს არავინ შემოუმტვრევდა. ცოლს ხანდახან პატარა ოთახიდან გიტარის ჟღერა ესმოდა. ფეხაკრეფით შეაღებდა კარს, საკრავის წინ გაჩერდებოდა. გიტარა ჩუმდებოდა, მხოლოდ ამოიკვნესებდა, თითქოს პატიებას სთხოვდა.

მასწავლებლის მიზერული ხელფასი ძლივს ჰყოფნიდა შუქის, გაზის, წყლის, ნაგვის გადასახადს. თანხა რჩებოდა მხოლოდ პურისა და მწვანილისათვის. ადრეულ წლებში ძილში წამოიყვირებდა ხოლმე. „ელგუჯა მოხვედი?" სიბნელიდან საგნებს ძლივს გამოარჩევდა და მკაცრი სიცარიელე დაუდგებოდა თვალწინ. მერე მარტოობას დაუახლოვდა, დაიძმობილა. შვილს ჭადრაკის, რებუსებისა და წიგნების კითხვით იყოლიებდა. ეზოში სათამაშოდ არ უშვებდა, მიზეზს მიზეზზე კინძავდა, ჯახირობდა, რომ პასუხი ბუნებრივი გამოსულიყო. ეზოში თამაშით დაღლილ ბავშვს მადა ემატებოდა, კარადაში კი სახვალიოდ გადანახული ლუკმა გოგონას გადასაცემ ჯილდოსავით ელოდებოდა.

დროდადრო წარსულზე ფიქრი ერთიანად მოიცავდა და ახლა მოწიფულობის ასაკს გაცილებული ფიქრობდა: რა მისცა უნივერსიტეტმა ისეთი, რომ საშიმშილოდ ღირდა, როგორც ეტიკეტი – უმაღლესი ხარისხის ფქვილი, ასევე გახლდათ უმაღლესი ხარისხის ჩაწყობა ცოდნის ტაძარში. ალბათ ვალის აღსრულებაც ამას ერქვა.

ხანგამოშვებით მის მოწყენილ ბინას თბილი ხალისიანი დღეებიც ერგებოდა ხოლმე. ესტუმრებოდა თანშეზრდილი ამხანაგი – ადამიანობით განათებული, მანუგეშებელი სიტყვით გამშვენიერებული. ის საგანგებო დღე



ელენეს მეგობრისათვის მუყაითობით გამოირჩეოდა. იმ დღეს ძალიან უხაროდა სანოვაგის ყიდვა. ახლაც ერთი დაჭრილი პური აიღო, რამდენიმე ფუნთუშაც მოაყოლა. ყველაზე კარგი რძე შეარჩია, კარაქიც ძვირადღირებული იყიდა, სალეჭი რეზინიც გაახსენდა. რამდენჯერმე ჩახედა პარკს, რამე ხომ არ დავამატოო. მიდიოდა დაწყნარებული, საამო ფიქრებს ადევნებული. წიგნის მაღაზიასთან შეყოვნდა. გასაფერადებელმა ალბომმა თვალი მოსტაცა. მოზომილი ნაბიჯით შევიდა შიგ. თაროები გულისყურით შეათვალიერა. მზერა საბავშვო ლიტერატურაზე შეაჩერა. ერთ-ერთი წიგნის ყდაზე სასაცილო ხალისიანი ბიჭი, გოგო, ბებია იჭყიტებოდა. მხიარული წარწერა იუწყებოდა: ძმები გრიმები. ერთბაშად წაიშალა მაღაზიის კონტურები, თაროები, ჩალაგებული წიგნები და დიდი ოთახი დაინახა – სურათებით, ნოხებით, ნაქარგობით განყობილი. პატარა გრეხილფეხებიან მაგიდაზე სრიალაფურცლებიანი წიგნი იდო – ძმები გრიმების მოთხრობილი. იდგა აქაურობას გარიდებული, დროს მოშორებული და ნამით სახეზე ყმაწვილური იერი დაეფინა. ჯიბეში ხურდა ფული მოსინჯა. მიხვდა, არ ეყოფოდა, მაგრამ ისე დიდი, საზღვარს გაცილებული იყო სურვილი, მეგობრის გოგონა გაეხარებინა და დრო სულ მცირე ხნით შემოებრუნებინა, რომ ვეღარ გაძლო და წიგნი ჩამოიღო. ერთხანს ხელში ეჭირა, მერე ადგილზე დადო. სხვა წიგნებს გადახედა, სათითაოდ შეათვალიერა. ისევ დაყოვნდა. მერე კვლავ გრიმები ჩამოიღო, პლაშჩის ღილი შეიხსნა და მარჯვედ შეაცურა მარცხენა ხელით. იღლიისაკენ შიშნეულად წაიღო, მკლავით გაამაგრა და კარისკენ დაიძრა. ახლა სასწავლო ნივთებთან შეჩერდა, ვითომ რამე სჭირდებოდა. მოძრაობდა რაღაცას მიყურადებული. თავისი გულის ბაგაბუგი ედგა ყურებში. მკლავი გაუშეშდა. ნელი, მძიმე ნაბიჯით გასცდა კარს. ცივი ოფლი დაედინა სხეულზე. ქუჩას შეყოვნებული სვლით მიუყვებოდა. სულ ეგონა, აი, ახლა დაუძახებენ, დასჯის მაუწყებელი სიტყვით შეაჩერებდნენ. მეტი დამაჯერებლობისთვის გაჩერდა და ვიტრინაში გამომზეურებულ შიშველ მანეკენებს შეხედა. ძალზე ბუნებრივად, უშუალოდ მოეჩვენა მათი სიშიშვლე. უნებლიეთ ტანზე დაიხედა. ახლაღა ეცა თვალში გახუნებული პლაშჩი, რაღაცნაირი გულისწყვეტით შეხედა ლამაზად ნაქანდაკარ სხეულს. ძლივს მიათრევდა ფეხებს, მუხლები უკანკალებდა. აზრიალებული ქუჩა თავბრუს ახვევდა. ეკლესია დაინახა და გონს მოეგო. მორიდებით, სირცხვილის გრძნობით სავსემ შეაბიჯა. ახლაღა გამოიღო პლაშჩიდან წიგნი, თვალებით მიესიყვარულა და მარჯვენა ხელით რომ სანოვაგე ეჭირა, იქ ჩადო. მზისფერი შუქი ევლებოდა წმინდანთა სახეებს და მათი სუნთქვა ესმოდა. თამარის ხატ-

თან დაანთო სანთელი. საქართველოსავით ლამაზი თვალებით შემოჰყურებდა თამარ მეფე და როგორც წმინდანებს სჩვევიათ, მკრთალი ნაღველი ჩასდგომოდა ფართო მზერაში. მისმა მშვიდმა, გაშლილმა მზერამ ოდნავ გაამხნევა. იდგა სიმშვიდეს მინებებული. უცბად ვიღაცამ უხეშად გასწია და აბრიალებულ სანთლებს რამდენჯერმე სული შეუბერა. დროული სტიქაროსანი გაავებული სახით აქრობდა მოელვარე სანთლებს. იდგა რეტდასხმული და ხანდაზმულ სტიქაროსანს შეჰყურებდა. ბარბაცით გამოვიდა ტაძრიდან. ახლა აღარ რცხვენოდა, მოპარული ნიგნი რომ მოჰქონდა. ახლა ნაბიჯი გამართა და რაღაცით დაიმედებული ქუჩას გაუყვა.

გაბედულად დარეკა ზარი. ღია კარიდან სიყმაწვილიდან მოყოლებული სახე შემოჰყურებდა. ღიმილი შეაგება და საზეიმო იერით შევიდა ბინაში. მეგობრის ათიოდე წლის გოგონა ალტაცებით შეეგება, ნელზე მოეხვია.



მხატვარი თამარ მინაშვილი

– აცალე, აცალე, დედა! – ხმაში სიხარული ხმიანობდა.

პრიალაყდიანი ზღაპრების ნიგნი გაუწოდა. სანოვაგე მაგიდაზე დააწყო. „ვაიმე, რა ვნახე, რა კარგია!“ წამოიყვირა გოგონამ და წიგნიანი ხელი შემოხვია, – ეზოში გავალ, კარგი, ნიგნსაც წავიღებ და ჟუაჩკასაც, – თქვა და ხელი დაავლო პანია შეკვრას.

– ჯერ რძე დალიე, აგერ ფუნთუშებიც, – დედის ხმა აცოცხლებდა ოთახს.

– რო ამოვალ, მერე რა, დედა! – ბავშვი გაიქცა.

ერთბაშად მხიარულება კუთხეში მიიყუჟა და ქალებმა ნაღვლიანად შეხედეს ერთმანეთს, მერე მასპინძელმა შეგუბებული ხმით მადლობა უთხრა და უცაბედი სევდის გასაფანტავად თქვა: „ახლა ჩაი დავლიოთ, ახლავე დავაყენებ“. ჩაის სურნელი დატრიალდა, სიდუხჭირე მცირე ხნით გაალხო.

მაგიდას შემოუსხდნენ. მუცელგაბერილ ლარნაკში ყოჩივარდები თავს ინონებდნენ.

– რა კარგია გაზაფხული! – შვებით ამოისუნთქა მეგიმ.

– ამ დილით სკვერში დავსეირნობდი, მოხუცი ქალისგან ვიყიდე ეს ყვავილები, ვიფიქრე, გაზაფხულს შევიტანმეთქი სახლში, მოვდიოდი გახარებული, გაზაფხულით დაიმედებული, ძველისძველი ნაცნობი შემხვდა, დამინახა, თუ იცი, რა მითხრა? სადა გქონდა შენ ყვავილების ფულიო.

მეგი შეიშმუშნა და განგებ არხეინად თქვა: „ვიცი, ვინც იყო ეგ ძველისძველი. მაგას განთიადიდან განთიადამდე ყველაფერი დაბალანსებული აქვს: პრესტიჟულთან ზომიერი პატივისცემა, ცენზიანთან – მეცნიერულ-პოპულარული საუბარი, კაგებეს ამხანაგთან პროფესიული ლექსიკა – ახლობლური ფონით. უბრალო ადამიანთან კი – შხამი. ეგ მაგის უბედურებაა, შენ რა, შენი რა მიდის, მოდი, ახლა ვიმღეროთ! გიტარა მომაწოდე“.

– აუწყობელია, ელგუჯას მერე ხელი არ დამიკარებია.

– ეგ არაფერი, ახლა ავაწყობთ, დროის მიხედვითაა აუწყობელი არა?

მეგიმ სიმებს ჩამოჰკრა, აახმიანა. ზარის მკვეთრმა ხმამ გადასერა ოთახი. კარებში ქალი იდგა. შინდისფერი თმის ხვეულები შუბლზე ეყარა. გამომწვევად ეჭირა თავი. გვერდით ამხანაგი ედგა: იმავე შეფერილობის, მანძილდაცული იერით, შემპარავი უკრძალველობით. შინდისფერთმიანმა მაღალი ხმით თქვა: „ლარი გადაიხადეთ დეზინფექციისთვის“. სახეზე ნაცადმა გაბედულებამ გადაუარა და შეყოვნდა.

– ორასლარიანის დაშლა თუ შეგიძლიათ.

– არა, მაგდენი სად მექნება.

– მაშ, არც მე მაქვს წვრილი ფული, – თქვა და კარები ცხვირწინ მიუჯახუნა. ისევ გიტარას მიუბრუნდა.

– ორასლარიანის კუპიურა არსებობს? – კრთომით იკითხა ელენემ.

– ეჰ, რა აღარ არსებობს.

მეგი საიმედოდ მოკალათდა დივანზე. გიტარისაკენ დახრილმა სიმებს თითები ჩამოკრა. ზარის ხმა გაისმა – მომთხოვნი, შეუწყვეტელი. ქალი და კაცი ერთნაირად ილიმებოდა. თავაზიანობაც აწონილ-გამოზომილი ჰქონდათ.

– ჩვენ საარჩევნო ხმებს ვადგენთ, ვის აძლევთ ხმას?

– ჯერარარსებულ პარტიას, მაგალითად, იდლეგრძელე საქართველოვ! – კარი ახლა უფრო ძლიერად მიაჯახუნა.

ელენე დაბნეული, შეშფოთებული შეჰყურებდა ამხანაგს.

– ნუ იბნევი, ნუ გერიდება, თორემ იმ ძველისძველივით გეტყვიან: შენ სად გქონდა ყვავილების ფული? – გიტარა ააჟღერა და გატაცებით წამოიწყო:

„სულის ყვავილო, გულისა ვარდო“

ელენე უგულისყუროდ უსმენდა. სახე დაენისლა და ხმადაბლა თქვა: „ელგუჯა წავიდა“. მეგიმ დაკვრა შეწყვიტა. ყურადღებით შეხედა და დანეული ხმით მიუგო: „როცა მიდიან, ნულარ მოაბრუნებ“. მერე სიმებს თითები ჩამოჰკრა და ლამაზი ხმით გააგრძელა:

„შენგან მომეცა თვალთა ჩენანიი,<br>
გავამუსიკე შენთვის ენანი“.

გურამ ქართველიშვილი

# ბაგრატიონის ქალი

ომის წინა ხაზებზე სირბილი ნაღმზე აფეთქებით დაუმთავრდა დათოს. მუხლს ქვემოთ მარჯვენა ფეხი რომ აღარ ჰქონდა არამიანცის საავადმყოფოში გააცნობიერა გონზე მოსულმა. აფხაზეთის სასაკლაოდან ჩამოსვენებული გვამებით სავსე იყო მორგი და პალატებშიც ნაფოტებივით ეყარნენ დაჭრილები.პირველი დღეების ჯოჯოხეთურ ტკივილებს მხოლოდ თავისი თავი ატანინებდა. ათიოდ დღის თავზე კი, როგორც იქნა მორფმა აჯობა ტკივილს. მერე „კალიასკას" და საწოლს მიჯაჭვულს მთელი ნელი სტანჯავდა დაკარგული ფეხის ქავილის შეგრძნება. როცა იკეთებდა, მხოლოდ მაშინ ახსენდებოდა ომამდელ სამყაროში ჩარჩენილი წიგნები და ნაწერები. წამალთან დამეგობრებამ მის სახლში იარაღასხმული ნარკომანები მოამრავლა. დიდი მოთმინებით იტანდნენ შვილის დახეიბრებით განადგურებული მშობლები შემთხვევით სტუმრებს და თბილისის ჩაბნელებულ ზამთარს. დათო თავმოყვარე იყო და ალბათ, ამან შეაძლებინა, რომ ჯერ ექვსთვიანი არყის „ზაპოით" გადააგდო წამალი, მერე კი გამოჭმულ სულს, როგორღაც თვითონვე უმკურნალა და ერთ დღესაც ამერიკული პროტეზით გამოეცხადა დედ-მამას.

ბინძურ ბაზრად ქცეულ თბილისში ტყვია ალმართს ხნავდა. რაზბორკებში და სასროლ საქმეებში ერთმა ნელინადმაც გაიარა. დათოს კაცის სახელი ომამდეც არ აკლდა, მაგრამ ქვასავით ხასიათმა ამ ორომტრიალში ადგილი დაუმკვიდრა. აქეთ მოძებნეს მსუყე ოფისის მქონე ბრეჟნევისდროინდელმა ბიძებმა და მისი ცხოვრებაც ასე თუ ისე დადგა. ფულით ტკბობამ დიდხანს ვერ გასტანა. საქართველო ძაძებით იყო შემოსილი. აფხაზეთის გარდა მსოფლიოს ყველა მხრიდან მოასვენებდნენ საშოვარსა თუ „კაი ბიჭობას" შეწირულ ქართველებს. ობოლი და სარჩენი დათოსაც მოუმრავლდა.

იმ დღეებში აღდგომა ახლოვდებოდა. თბილისის ბაზრებში ვერ გაივლიდა კაცი. პროტეზიანი ფეხით როგორც იქნა „დეზერტირიდან" გამოაღწია დათომ. თავს ასე არ შეიწუხებდა , მაგრამ სააღდგომო სუფრის თადარიგი უყვარდა. დედა შინ არ დახვდა. მოხუც მამას თავისი ომისდროინდელი სურათები ამოელაგებინა ალბომიდან, მაგიდაზე გაეფინა და თვითონ დივანზე ჩასძინებოდა. დათომ შალი გადააფარა. მერე ფოტოებს მოავლო თვალი. არწივივით იხედებოდა ომის სურათებიდან მძინარე მოხუცი. აი, მისი ნასტინკაც. დათოს გაახსენდა ამ ქალის ხსენებაზე როგორ უბრწყინავდა ხოლმე თვალები მამას, ან დედა რა რუდუნებით ეპყრობოდა ჯოჯოხეთგამოვლილი ქმრის ომისდროინდელ სიყვარულს. სურათების თვალიერებაში ბაბუასეულ ერთ ფოტოს წააწყდა, რომელიც არასოდეს ენახა. ბაბუა დავითი ლაზარეთში საწოლზე წამომჯდარიყო, გაბინტული თავიდან ღიმილიანი სახე მოუჩანდა და



ასევე შეხვეულ მკერდს გიორგის ორდენი უმშვენებდა. „აბა ეს იყო, ნაჩეხი თუ იყო". თავის ოთახში წაიღო დათომ ფოტო, რომელსაც უკნიდან ეწერა: „პორტარტური". მერე ბაბუასეულ ფოტოღიმილში ტკივილი დაინახა თვითონ ნატანჯმა. „ესენი არ იჩხირავდნენ, ნეტა? აბა რა აძლებინებდათ?" დათოს გაეცინა, მეგობრის ახალგარდაცვლილი მამა გაახსენდა, სიმსივნით განაწამებ ორგანიზმში ექიმს მორფს რომ არ აშვებინებდა — მაგას რავა გევიკეთებო. „მაგ თაობებს სული ჰქონდათ ქვასავით — ჩვენ სული გვტკივა. რეებს ფიქრობ ამ აღდგომის კვირაში!" თავს გაუწყრა დათო და პროტეზის მოხსნას შეუდგა. „უნდა გამოვცვალო ეს ჯაბახანა. არადა როგორი მსუბუქი მეჩვენებოდა თავიდან! ეჰ, მაშინ ოღონდ გამევლო და პირატივით ხის ჯირკს მივიმაგრებდი. დათო „კალიასკაში" გადაჯდა და სტადიონივით სოლოლაკურ ოთახში გააგორა.ნაბაზრალს სიმშვიდე ესიამოვნა. მერე საწერ მაგიდასთან შეჩერდა და დედის შემოტანილი ჟურნალებიდან კონვერტი აიღო. ზურას წერილი აღმოჩნდა. „რა წერა აუტყდა ამ არხეოლოგს?" — გაეღიმა დათოს. „არხეოლოგი" წერილობით იტყობინებოდა, რომ სადღაც კახეთში, მისი დაღუპული კოლეგის ჯერ კიდევ კომუნისტების დროს გათხრილი უნიკალური სამარხიდან ექსპონატები იკარგებოდა. და, რომ ეს ექსპონატები ორ—სამტონიან ქვებს წარმოადგენდა. შემდეგ იმასაც შეახსენებდა ზურა „არხეოლოგი" მეგობარს, რომ მათი უსაფრთხო ადგილას გადასატანი თანხის გაღება დათოს, როგორც ქართველი ბიზნესმენის, მამულიშვილური ვალი იყო. „ამას უყურე შენ, სწორ მიწაზე ძლივს რომ დაბობღავს! თხუნელა! მე აქ პროტეზი ვერ გამომიცვლია და ... კი, მაგრამ სამასიათასი წლის ლოდის მომპარავი ვინ არის, ნეტა ამ ორომტრიალში? „არხეოლოგი" კი არა მანიაკია." ისევ ეღიმებოდა დათოს. ზურა რისი ფულის მთხოვნელი იყო, კარგად იცოდა და ამიტომ არც ძალიან გაჰკვირვებია ბავშვობის მეგობრის წერილობითი ფორმა. ;„ალბათ რაღაცაა, ძალიან ფასეულია. მაგას დაეჯერება, ხო იცი! ჭკვიანი „გრუზინია".

ოთახში დედა შემოვიდა და ჩაი შემოიტანა.

– თავი მაინც გაგეშრო, დათო. რა წვიმაა, გადაუღებელი. გაცივდები.

ქალმა კარადიდან პირსახოცი გამოიღო და დათოს თავს ფრთხილად შემოახვია. მერე წინ ჩამოუჯდა და ჩაი დაუსხა.

– ნელი დეიდა გარდაიცვალა. მეზობლებს უნახავთ საცოდავი დილით და... აბა შენს გარდა ვინ არის რამის გამკეთებელი, შვილო.

დათოს ნაკვთი არ შეცვლია სახეზე. საქმე ის იყო,რომ ერთი წლის წინ მისი ბავშვობის მეგობარი რეზო სადღაც, რუსეთის ქალაქში უგზო-უკვლოდ გააქრეს. ნელი დეიდა

გამოუგლოვებელი შვილის დარდმა ისე დააჭკნო, რომ დათოს მისი სიკვდილი არ გაჰკვირვებია. ცალფეხა დაფაცურდა, პროტეზზე შედგა, საუკეთესოდ ჩაიცვა და ქამარში მოკრძალებული „ვალტერი" ჩააცურა. გაცილებით უფრო ბრაზიანი „სტეჩკინი" სეიფში გამოკეტა. „ეს გამომიჩნდება, სირცხვილია პანაშვიდზე რკინებით დგომა." ჭირივით ეზარებოდა დათოს უკვე ყველანაირი სასროლი, მაგრამ მტრებიც რომ ჰყავდა?! გარეთ ადრეგაზაფხულის სუსხიანი წვიმა აქცევდა ქვეყანას. ზურას სამსახურში გაუარა. „არხეოლოგი" მაინც შეეცადა გადასაზიდი ლოდების თემას არ შეხებოდა მათი საუბარი, მაგრამ დათომ შეახსენა:

– რა წერილებს მწერ, ბიჭო! ენა არა გაქვს? რა ქვები აგიტყდა?

– რიტუალური ქვებია. მაგათით ყორღანის საძირკველია გაკეთებული სამიათასი წლის წინანდელი უნიკალური ორნამენტებით. მარტო ჩემი არ არის, ძმაო, ეგ ქვები. სახელმწიფოს ჯერ არ უჩანს ჩვენში პირი და რა ვქნათ? მარტო ჩემია?

– სხვა ხო ყველაფერი წესრიგში გვაქვს ქართველებს! აი, რიტუალური ქვებილა გვაკლია თავში სახლელად აქეთ-იქიდან. აბა, გიჟი არა ხარ?



მხატვარი მალხაზ იაშვილი

– გიჟის ხმა მესმის. გაგირჭვია იარაღი და დადიხარ. ვის შეწირე ფეხი?! სამშობლოს, არა? სარდალიც ისეთი გყავდა, რას ამბობ?!

– ასეა ძმაო. — ირონია გაურია დათომ. — აქ, სასულიერო აკადემიაში სტალინები იზრდებიან და ქუთაისის საბებიო კურსები პირდაპირ ნაპოლეონებს ბადებს. სოხუმი მართლა კი არ დაგვიკარგავს, ბერიკაცის სტრატეგიული მანევრია თურმე.

– მერე? აღარ უნდა ვისწავლოთ ჭკუა?

– ეჰ, „არხეოლოგ". შენ კიდევ ადამიანი გგონია თავი? შე ნაცარქექია. სამტონიან ლოდებს რომ ეჭიდავები, ვეღარ გაიგე, „პადოპიტნი კროლიკები" რო ვართ?!

ამ ტკბილმა საუბარმა ნელი დეიდას ეზოში სამგლოვიარო ელფერი მიიღო. „არხეოლოგს" უდენო ლიფტისკენ არც გაუხედავს, ისე აუყვა კიბეს ბუზღუნით.

– ძალიან შეგვეხო ეს დრო, ძმაო. მერამდენე საფლავს ვთხრით?

– დაკარგულ რეზოს თუ არ ჩავთვლით, ოცდამესამეა სულ. ისე, თუ გინდა რეზოს საფლავიც გავაკეთოთ ნელი დეიდას გვერდით, ისე, სიმბოლურად. -მესაფლავის გულმოდგინებით თქვა დათომ.

– მერე, ცოცხალი რომ აღმოჩნდეს ის თავქარიანი?

– პირიქით, გაუსწორდება. არ გახსოვს, რა მარიაჟი იყო? საწყალი რევაზა. ეგ გამოჩნდებოდეს და...

ასე საუბარში სამმა დღემ გაიარა. მეგობრებს მოუგვარებელი არაფერი დარჩენიათ. სამუდამო ადგილიც მშვენიერ გორაზე შეურჩიეს, რომელზეც ორი ტყუპისცალივით მსგავსი ფიჭვი იდგა.

დაკრძალვის დილა დარიანი გათენდა. დაჩეხილი სიზმრებიდან გამოღვიძებულ დათოს მზე, მამის ღიმილი და იასამნები დახვდა ოთახში

– წერას სულ მიანებე თავი. რა შენი საქმე იყო ომი და იარაღი?!

– ჩემი ომი გიკვირს, არა?...

– ამ ოჯახში ომი არასდროს უკვირდათ, მაგრამ ჩიტებივით რომ ხოცავთ ქართველები ერთმანეთს, ეგ?...

დათომ იასამნების ყნოსვაში გაატარა მოხუცის ბუზღუნი. რა ეპასუხა? ის, რომ, რაც ქვეყანაში ხდებოდა, მამების თაობის გამოჩორკნილი იყო? „ვერ გაიყვეს ხელისუფლება და შვილებს ერთმანეთი გვახოცინეს. გადაყარე ეგ რკინები და შენს საქმეს დაუბრუნდი. სიბერეს ნუ გამიმწარებ. მაგათი დანახვა აღარ მინდა. სასთუმალთან დადებულ იარაღზე ანიშნა მამამ, ოთახიდან გავიდა და ტელეფონიც აწკრიალდა.

– უკვე თორმეტია — თითქოს ყურმილში გამოძვრა „არხეოლოგი". — მერე? როგორ ვქნათ? ერთმა სასაფლაოს მივხედოთ, ერთმა გამოსვენებას.

– მე სასაფლაოზე წავალ. პანაშვიდის და ტირილის გაძლება შენზე იყოს.

– კაი, ბატონო. -აკადემიური სიმშვიდით დაეთანხმა „არხეოლოგი".

გარეთ ცა ისევ აჭრილი დახვდა. შაბათის თბილისში ტრანსპორტი კანტიკუნტად მოძრაობდა. სამ წელიწადში უზარმაზარ სასაფლაოდქცეულ საბურთალოს მთაგრეხილთან სწრაფად მივიდა. დათომ მანქანა ქვევით დატოვა და დახოცილი მეგობრების საფლავებს ერთხელ კიდევ ჩამოუარა. ახლა გააცნობიერა, რომ ყველა მათგანს თავისი ხასიათის შესაფერისი სამარის ქვა ედო. „ნეტარ არიან მართალნი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.", ერთ-ერთ მათგანზე წარწერილმა ამ სიტყვებმა სიმშვიდე მოიტანა. არადა ეს სიტყვები ყველა მათგანს მოუხდებოდა. ტყუპისცალივით ფიჭვებთან მისულს ერთი სამარის ნაცვლად, ორი დახვდა გათხრილი. „გაიგე ახლა რომელია ნელი დეიდასი! ეს ფიჭვებიც რა საოცრად გვანან ერთმანეთს. ნეტავ, გუშინ ამოვსულიყავი და გამერკვია. სხვისაში არ ჩავასვენო ეს ქალი!" მესაფლავეები არსად ჩანდნენ. „ადრეა ჯერ, მოვლენ." — გაიფიქრა დათომ და ისევ წარწერებს მიაშუ-

რა. გაიაფებული სიკვდილის თვალიერებაში ერთმა საათმა გაიარა და ბაგებელი მესაფლავეც გამოჩნდა.

– დრასტი ნაჩალნიკ. — შორიდანვე მიაგება მთვრალი სალამი მუშამ.

– გაუმარჯოს, მაგრამ ასე ტყუპებივით ორი სამარე რომ გაგიჭრიათ, როგორ გავიგო, რომელია ჩვენი?

მესაფლავე მიწაზე ჩამოჯდა ,ლიპი დაასვენა და უკვე ნაწყალი თვალები დათოს მიაშტერა.

– რა გითხრა ნაჩალნიკჯან, ეგ „მაგილამ" იცის, მაგრამ გუშინ ისე დათვრა ეგ კაზიოლი რო... ჩვენც ავდგეთ და ავირჩიოთ. სულ ერთი არაა?! — დაილრიჯა მუშა. — დავიხოცეთ ნუხელ მუშაობით. „ოჩენ კამენისტი გრუნტ."

– იცი, რა გითხრა? მე ჩავასვენებ და ატვეჩაი შენ იქნები.

– რალა ატვეჩაი უნდა, ნაჩალნიკჯან. ორივეს ერთნაირი სამადგილიანი გამოუვა. „კაკაია რაზნიცა". — კოტიტა ნაბიჯებით გადაზომა მესაფლავემ იქაურობა.

ბევრმა სიარულმა და ჭირვეულმა ამინდმა მოჭრილი ფეხი შეახსენა დათოს. ის იყო ფიჭვის ძირში ჩამოჯდა და კატაფალკიც მოვიდა. პროცესიას ზურა „არხეოლოგი" ხელმძღვანელობდა თავისი უშრეტი ენერგიით. ხალხი ბევრი არ იყო. არც კოკისპირულად უტირია ვინმეს. ნახევარ საათში მეგობრებმა სტუმრები საქელეხო სუფრაზე გაისტუმრეს და მეგობრის დედა სიჩუმეში დამარხეს.

– მართლა რა ქვიანია, ეს ოხერი. — ნიადაგი დაიწუნა „არხეოლოგმა" და ნიჩაბი მესაფლავეს მიუგდო. მუშამ საქმე დაამთავრა და კალათში უხვად ჩაწყობილი საჭმელის ამოლაგებას შეუდგა. დათომ შესანდობარს პირი არ დააკარა, ძნელად წამოდგა და ღვინო საფლავს მოასხა. მესაფლავე ისევ დაფაცურდა, ზურას დაელრიჯა — ჩემი ნაპარნიკი „მაგილა" პახმელიით მიკვდება და ეგებ მივუსწრო. „არხეოლოგმა" ღვინის ყუთიდან ერთი ბოთლი ამოაცურა და დანარჩენი მუშას გადაულოცა. ჩასკდომის პერსპექტივით ალტაცებულმა კოტიტა მესაფლავემ სანოვაგე აიკიდა და გაქრა. მდუმარე შესანდობარებმა დიდხანს არ გასტანა. ის იყო არხეოლოგმა ბოლო წვეთი მოასხა მიწას, რომ ფიჭვებს სამი ქუდჩამოფხატული სვანი მოადგა. დენთის ნაყნოსებს ჰგავდნენ და დათოს თავიდანვე არ ესიამოვნა მათი დანახვა. ერთ მათგანს მოკლე კალაშნიკოვი მოუჩანდა აშკარად მოსკოვში შეძენილი ქურთუკიდან. ახალმოსულებმა სათვალიანი ზურა „არხეოლოგი" მედიდურად შეათვალიერეს და სალამიც გაიმეტეს.

– გაგიმარჯოთ. — მიაგება დათომ.

ქუდიანებში ჭალარამ ჩანთა მოიხსნა და ღვინო ამოიღო. სვანებმა მდუმარედ მოსვეს ნელი დეიდას შესანდობარი. დათომ ისევ აითრია პროტეზი და სვანებისთვის არც შეუხედავს, ჩუმად მიუგდო:

– ლხინში შეგვახვედროს...

– იცოცხლე, იცოცხლე, მაგრამ აქ რალაც არ არის სწორად. — ორჯერ მაინც შემოუარა ჭალარამ ფიჭვებს.

– მე მეუბნები? — ათ ნაბიჯში გაიყინა დათო.

– ამ საფლავის პატრონები ხო თქვენა ხართ?!

– მერე?

– რა მერე? ჩვენსაში ჩაგისვენებიათ.- ჩაჭრა საუბარი ავტომატიანმა სვანმა.

დათოს ნალმზე აფეთქებასავით არ ეამა ეს ამბავი, მაგრამ ნერვები აკრიფა.

– რა გითხრათ, ძმაო. მესაფლავემ სულ ერთიაო და იმას ჰკითხეთ.

– მერე? მესაფლავეს რო ეკითხები...

– აბა, სასაფლაოს ამბავი, ვის უნდა ვკითხო?!

ავტომატიანი სიტყვაში გაიჭედა. აქამდე მდუმარედ მდგომმა მესამემ ცეცხლზე ნავთი დაასხა — თქვენი მკვდარი უნდა ამოვთხაროთ და გვერდით გადმოვასვენოთო.

არხეოლოგმა ძარღვებით იგრძნო ბავშვობის მეგობარში აფეთქებული აგრესია და ქრისტიან-ქართველობა შეახსენა სვანებს. მაგრამ ვინლა დაგიდევდა იქ ამას. კოკისპირული სეტყვასავით წამოვიდა ორივე მხრიდან ქუჩური. ჭალარამ ასპარეზი ახალგაზრდებს დაუთმო. ავტომატიანმა რუსეთის ქალაქებში დამუშავებული ჟარგონი მოიშველია, მაგრამ პროტეზიანის რკინის ლოგიკას ვერაფერი მოუხერხა. დათო ცდილობდა, ლაპარაკი სათავისოდ წაეყვანა და თან მართალიც ყოფილიყო. იმ დღეს დათო მართლა ბრწყინავდა. ნელი დეიდას საფლავიდან ამოთხრის იდეის ავტორმა ქუდიანმა ისევ მდუმარება არჩია. ჭალარა პოზიციის გამაგრებას ისევ ზემოთხსენებული ქრისტიანობით შეეცადა.

– ქართველები თუ ვართ, ჯერ წესი ვქნათ. ეგ სამარე ჩვენ გვარზე იყო ნაკურთხი. შიგ მამიდაჩემი უნდა ჩამესვენებინა...

– ჩვენიც ვაკურთხებინეთ, ბატონო. უბრალოდ ყველაფერი იმ მესაფლავე „მაგილას" ბრალია. იმან აგვირია.

– თუ გინდა, ამოდი სვანეთში მთელ ქონებას გაჩუქებ, მაგრამ მამიდა თავის გვარზე ნაკურთხ მიწაში მინდა მყავდეს. — ისევ პიტალო სიჯიუტე აამუშავა ჭალარამ.

– უგვარო ქალი არც ჩვენი ძმაკაცის დედა იყო. — ისევ სისხლის სურნელი გაურია ნათქვამში დათომ.

– რა გვარის იყო ცხონებული?

– ბაგრატიონი, ბატონო! — ინტელიგენტური პატიოსნებით იცრუა „არხეოლოგმა".

დათოს არ ახსოვდა, რომელიმე შარი ასე მოეგვარებინოს ერთ სიტყვას. ზურას პასუხმა ხმალივით გაჭრა. აჯაგრული სვანები დაშოშმინდნენ და ნაკიდებულებთან ორიოდ ბოთლი ცრემლით აპკურეს „ბაგრატიონის ქალზე" ნაკურთხ სამარეს. მეგობრებმა გულაჩუყებული სვანები ამბორით დატოვეს და გზას გაუდგნენ.

– აზრზე ხარ, რა გადახდილი აქვთ?!

– ვის?

– ვის და ბაგრატიონებს. აბა, ეგენი რისი დამთმობები იყვნენ. ის კი არა ერთი-ორჯერ სტეჩკინი ვინატრე. იმ ავტომატიანს ეტყობა, რომ მკვლელია.

შაბათის ქუჩები ისე გაიარეს, ორივე თავისას ფიქრობდა. დათომ ზურა სახლთან მიიყვანა. „არხეოლოგი" დიდგორმოგებულივით იხედებოდა სათვალიდან.

– არ დამეკარგო. ერთ თვეში კახეთში წავალ სამარხზე. გამოიარე, გეყოფა ნანნალი.

დათომ ჯიბიდან ფულის დასტა მოკეცა და ზურას ხელში ჩაუკუჭა.

– ჰა და ათრიე ის შენი სამიათასი წლის ლოდები. ისევ წინაპრის წესი თუ დაგვალაგებს, თორე არ არის ჩვენი საშველი.

პროტეზიანმა მანქანაააჩქარა. თბილისში გაზაფხული ისევ ურევდა ამინდს.

*თბილისი — თეირანი — თბილისი*
*14 აპრილი, 2008 წ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლია სტურუა... ლია სტურუა... ლია სტურუა... ეს არ არის მარტო სახელი და გვარი. ეს არის სტრიქონი, თეთრი, დატეხილი, ურითმო, მეტაფიზიკური და ჰაეროვანი ლექსის სტრიქონი, თავისუფალი ლექსის მულერი ფრაგმენტი. თანამედროვე ქართულ პოეზიაში კარგად არის ცნობილი ლია სტურუას პოეტური სტილი - ფაქიზი მზერა, დახვეწილი ფრაზა და უაღრესად რადიკალური პოეტური სახე, რომელიც ყოფიერების შეგრძნების სრულიად თავისებურ უნარს წარმოაჩენს. ეს არის ფუნქციური სტილი, - მაღალი პოეზიის ენა, რომლის გაგება ყველას არ ევალება, ისევე, როგორც პოეტს არ ევალება იყოს სრულიად გასაგები.

ლია სტურუას ლექსებში ვხედავთ ისეთ რამეს, რასაც ვერ მოვიხელთებთ, და მოვიხელთებთ ისეთ რამეს, რასაც ვერ ვხედავთ. გვაპატიეთ ამ პოეტიკური ქიაზმისათვის, მაგრამ სხვანაირად ალბათ გაგვიჭირდებოდა გამოგვეხატა ლია სტურუას შემოქმედების თვალშისაცემი თავისებურება, მისი მხატვრული აზროვნების სპეციფიკა, რომელსაც პირობითად შეგრძნებათა პოეზიას ვუწოდებდით.

იცით, კიდევ რა არის უცნაური? ამ ერთი შეხედვით კამერულ ლექსებში რა ცხადად და თვალნათლივ მოჩანს ჩვენი დამსხვრეული, ტკივილიანი და დისჰარმონიული ცხოვრება.

## ლია სტურუა

* * *

*და ხალხი ამბობს ეს კაცია ლექსის მწერალი*
*პაოლო იაშვილი*

ჩემი თავი მენატრება მაშინდელი,
როცა შემეძლო
გადასხვაფერებული ქალაქიდან
ყველაზე ნაცნობი ადგილი წამომეყვანა,
მოჭრილი ჭადრის მაგივრად
პაოლო იაშვილი ჩამერგო,
უნიჭო ქუჩების სიტყვით ამლები
და არა ხორცის კილოგრამებით
განვდილ ხელში ხურდა —
ვერცხლის პური მათხოვრებისთვის
ამასაც ქუჩა აცხობდა,
მე მდინარე მომყავდა
(ოფელია უკულმა, დავიწყებული კლასიკა)
აღარ მახსოვს
მასთან სალაპარაკო ენა. . .
საბოლოო წერტილი შუბლზე,
ტვინის წითელი ტოტები. . .
რა მარჯნებს ინახავდა თავი!
რა ზღვასავით არ თავდებოდა!
შემოფარგლეს, მაინც:
ერთი მაჩაბლის ქუჩა სისხლით,
ორი წიგნით კარადაში,
მწერლებიანი ჰაერით თავის გარშემო,
შარავანდედისთვის გამოუსადეგარით. . .

### ბათუმი

აფრენა-ვარდნა,
მინის ლურჯი ნივილი ყურში,
თევზის ხორცი, ისეთი ჩვილი,
თეფშზე რომ ტალღა დაგიდონ
და დურსუნ ინაიშვილის ალადასტური. . .
ქათქათა სუფრა, მაზუთიანი ზღვა
აქაურებს მობეზრებული აქვთ,
მაინც ხატიან შიგ, გემებიან-ნავებიანად,
ყველა სახლი დროებითია
ნანაი ნანა — ცეკვის ხაზგასმულად
ქალური პლასტიკა
დედაა ზღვა?
ამათთვის კი, ჩემთვის?
ნევროზის რადიკალური წამალი
კარგად გამწურეს, სარეცხივით,
რომელი სისხლიდან ამოვიღო სიხარული?
თავზესაყრელი ჰორიზონტები,
ამდენივე მარტოობა,
ჩამოწერილი მეზღვაურივით
უიმედობის ტალღებს ვაგორებ
დამხრჩვალ სახლში
აგვისტოა, ბათუმი მენატრება:

### რიმეიქი

გინდა მაღლა ასვლა?
კიბეები სისხლით მოდიან
და არა ხალიჩით
ფეხი რომ დაგიცდეს?
მაინც, თეთრზე
წითელი ძაფით ხარ შეკერილი,
ქსოვილად ვერ ივარგე,
ბავშვად, მითუმეტეს,
თირკმლები დაგიჭკნა,
სანამ დიალიზს გამოიგონებდნენ. . .
როგორია ეს ყველაფერი,
გადავარდისფერებული ევროპისთვის?
მას ხაოს ეკალიც არ ეთქმის,
ზედ გული არ ეხევა,
სამაგიეროდ, რიმეიქი!
არავითარი ალიკაპი ენაზე!
კლასიკა კაპიკებად
იაფი ცა ფართო ფენებისთვის —
იფიქრონ სულზე
და, ცოტა, ლიტერატურაზე!
კიბეები სისხლით მოდიან
და არა ხალიჩით,
ფეხი რომ დაგიცდეს,
ხრამში გადაგიძახებს შვედეთის აკადემია.
არადა, ვერავინ გასწავლის,
ტკივილი როგორ უნდა თქვა,
კაცმა, გამობმულმა ცხოვრებაზე,
როგორც ცხენის კუდზე,
შენი წინაპრების მოგონილი არაა:
ლურჯა ცხენი მირბის,
ადამიანი იხლიჩება წითლად. . .

* * *

სიყვარულს რომ უხსნიდი კაცს,
ფანჯრებიდან მოყურადეებს აჩვენებდი,
თითქოს, შთაგონება მოგანვა
და ლექსს უკითხავ,
ისიც კბილით სინჯავდა სიტყვას,
ოქროს შემადგენლობას უმოწმებდა
გალურჯებული ქათმის ანტურაჟი
უცხო თვალისთვის არ იყო განკუთვნილი,
როცა საფუძვლიანად დასხდებოდნენ
ჩაიზე, ყავაზე, არ უნდა მოესმო
ჭორის მისამღერი:
— ვინ ვისთან დადის?
მაშინ არ ვამბობდით:
— ვინ ვისთან წევს?
მერე ვისნავლეთ
და იმ საწოლიდანაც
მეცხრე ცა ჩანდა

## ჩემს აპოლიტიკურ მეგობარს

სანამ გარეთ ვდგავარ, არც ეზოში,
არც სადარბაზოში, ნეიტრალურ ტერიტორიაზე,
ჩემზე უფლება არა აქვს სახლს,
მას სითბოს, ბალიშებს, მაცივრის შიგთავსს,
ცოტა თავისუფლებაც ხომ მინდა,
თუნდაც, ამ ქუჩის,
რომელიც ვალდებული არ არის,
ტელევიზორს უყუროს,
მივიდეს არჩევნებზე,
კონკურსში მიიღოს მონაწილეობა,
რომ მათხოვრული ხელფასი შეინარჩუნოს
ხომ შეიძლებოდა,
თბილი კალთა მქონოდა დედაჩემივით,
შიგ ძაფის გორგლები,
გამომეწია ერთი მათგანი
და ჩემთვის ყველაზე საძულველი საქმე —
ქსოვა დამეწყო,
ხალიჩის ენაზე მელაპარაკა,
როცა სიტყვები გულუბრყვილო იყო,
როცა ნარინჯისფერი თმა მქონდა
და ხურმის ხესავით ვჩანდი ქუჩაში.

## წიგნებში ჩაკარგული

ამდენი თვალებში ყურება?
ჩამოდე მზერა სადმე, თაროზე,
დაისვენე.
სიტყვით გამოხატული შიში,
უკვე საფრთხეა,
მუხლებით, რახანია, გრძნობ,
დანახვა არ გინდა,
თვალსაჩინოება —
მზეს რომ ჩაებლაუჭო!
ადრე კი შეგეძლო, სრიალა ხელებით,
ახლა, რომელიმე
კორძით გამოედები, დაიწვები,
ზეთის ფერებით დახატულ ცეცხლს
საბუთივით წარადგენ ცაში,
ღმერთმა თუ შენს ანატომიას
გაართვა თავი,
შთაგონების ერთი გაფრენაც
და რუსთაველზე მოჭრილ ხეებთან გაგიშვებს,
მათთან არ გიჭირდა ურთიერთობა
და რბილყდიან წიგნებთან —
იაფფასიან კუბოებთან პოეტების:
უცნაურების, თვითმკვლელების, მოკლულების,
ყელში — ზღარბებით, ვენაში — ნემსებით,
თავში — ქარით!
ჩამოდე მზერა რომელიმე თაროზე!
წიგნები გაიწევიან, ადგილს დაგითმობენ,
წინ ზეთის სალებავებით დახატული
ცეცხლი აიფარე, ან მზე,
ან მანდარინების ბაღი,
რაღაც ნარინჯისფერი,
თვალებში ჩამხედველების არმია უკუაქციე!

## რეინკარნაცია

ვულკანის ყელში ვიცხოვრებდი,
რომ გამიშვან!
დაიჭირონ მერე ხელში
თავისი მეცნიერება და ამტკიცონ,
რომ შეუძლებელია
გამათბობელის გახურებული სპირალებიდან
წითელი ხეების ამოყვანა —
აფრიკა სისხლში,
ყოველგვარი ოჯახიდან გაქცევის
და ბავშვებისთვის კარაქიანი პურის
წართმევის გარეშე
(მერე პურის ყანაზე
ათასი კგ ძროხა რომ ნაუსვა,
აღარ უნდათ)
და რას უზამ ამ ცეცხლოვან გეოგრაფიას?
ერთი წუთით, წარმოიდგენ,
რომ გოგენია შენი გვარი,
დამპალ ფეხს მინაში ჩაასობ,
ტანზე ბრინჯაოს ფხვნილს დაგაყრიან
და ძეგლად გაგყიდიან,
მერე რა, რომ, ჯერ კიდევ, სუნთქავ,
მოქმედი ვულკანი უფრო ძვირი ღირს,
ვიდრე დანარჩენი ცივი სამყარო. . .
ვინ დამიცავს მისგან?
ეკვატორი, მხოლოდ, ხაზია,
ისიც, წარმოსახვითი.
აქეთ — ზომიერი ევროპა,
იქით — ოქროსკბილებიანი აღმოსავლეთი,
შუაში — მე, გოგენით სისხლში
და არა მუზეუმში
დეენემის ანალიზი
ნათესაობას არ უჩვენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ უარყოფითი რეზუსი მტკივა
საბუთებიან უჯრაში. . .
მუზეუმებს ანყობთ
ეს მტკივნეული ქალალდი,
გიდებს დაალექინებენ,
გააკრავენ კედელზე,
ხალხის გულჩვილობას იყიდიან. . .

* * *

ერთხელაც გავიხედავ ფანჯარაში
და ზღვა მოვა,
ქვისშუბლებიან სანაპიროს მოიყვანს,
ქვიშა სხვაგან არის,
უფრო კომფორტულ ქვეყნებში
მცენარეებს ისეთი
მჭიდრო სუნი აქვთ,
ხელში რომ დაიჭირო,
სიმძიმეს იგრძნობ,
რატომღაც, სასიამოვნოს,
ქვებს შორის ქვიშის შელავათივით. . .
და, საერთოდ,
რომელ ლოგიკას ემორჩილები?
შენი მკვდრები
თავებს ზღვასთან ტოვებენ,
სიცოცხლეში — კატეგორიულობა,
მერე — უსაზღვრობა.
ხავსი ამოუვათ, ნაოჭებს
გაამკვეთრებს
ფანჯრები სულ ღია გქონდეს,
თუ „პოეტის" დიაგნოზით ცხოვრობ!
როცა ზღვა მოვა შენთან,
საკუთარი შუბლით შეხვდი,
ქვა და მინა იქით იყოს,
წიგნებს, მზის ლაქებს იატაკზე,
ჯვარს, კანში ჩამჯდარს, ტკიპასავით,
ყველაფერს ჩამოგრეცხავს,
რბილად წაგიყვანს. . .

## „BEATLES“

რას მღერიან?
ასეთ დაუვინწყარს რას აკეთებენ?
ამ თვალებგაშტერებულ სიცხეში
ფლაკონებით ნისლი შემოაქვთ —
შუშის პატარა ლივერპულები?
მერე, ეროვნული თავისებურება?
სისხლიან-ფილტვებიან-ეკლებიანი,
კეხიანი, თვალშისაცემი,
კულისებში გამოყვანილი
კაეფის მთაგრეხილი, მთელი კავკასიონი?
რასაც მიესალმებიან სახლში დაბეჭდილი
კანონიერი შვილები,
მაგრამ შენი მშვენიერი ცოდვა,
ქუჩაში გაგდებული, რომელსაც
კიდევ შეუძლია კვიცების გაჩენა,
პირში ვერცხლის მიკროფონებით,
ქალისტანიანი გიტარებით,
ოპერის დარბაზივით
რეზონანსიანი მსოფლიოთი?
რა დაბრკოლებაა კავკასიონის ქედი,
ან შენი სისულელე,
სქოლიოში — ერაზმ როტერდამელის,
იქვე, ხოჭოების ჩატანაც შეიძლება,
გიშრის ქვებივით ჩალაგდებიან,
სიტყვებზე აქცენტებივით,
ლამის, ტექსტისხელა სქოლიოში. . .



ვერჯილ ნემოიანუ

# თორნტონ უაილდერი

## როგორც ამერიკული დილემების კვინტესენცია

1. ვიცი, რომ განათლებულ და კარგად ინფორმირებულ საზოგადოებას ვესაუბრები, რომელსაც უკვე ბევრი სმენია ამერიკულ ლიტერატურაზე. ამიტომ იმის გამეორების ნაცვლად, რაც ისედაც იცით, გადავწყვიტე ზოგი რამ უჩვეულო და მოულოდნელი მეთქვა: თქვენს წინაშე წარმედგინა მწერალი, რომელიც ჩემი აზრით, ტიპურია ამერიკული ფსიქოლოგიის, პრობლემატიკისა და ცხოვრების წესისთვის — წარსულშიც და დღესაც. ჩემი აზრით (შესაძლოა, ჩემსავით ცოტა ფიქრობდეს), ამ თვალსაზრისით საინტერესოა თორნტონ ნაივენ უაილდერი (1897-1975). მას კარგად იცნობდა საზოგადოება, თუმც მეტის თქმაც შეიძლება.

2. აქედან გამომდინარე, ნება მომეცით, ორიოდ სიტყვით შევეხო მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგ მნიშვნელოვან ასპექტს და შემდეგ გითხრათ, რატომ შევარჩიე მაინცდამაინც უაილდერი.

უაილდერის მამა გახლდათ პროტესტანტი მღვდელი, წარმოშობით — მიდუესტიდან, რომელმაც ცხოვრების ნახევარი აზიაში გაატარა: მსახურობდა ელჩად, მასწავლებლად, მისიონერიც იყო. უფრო საინტერესოა ის, რომ ბევრი შვილი ჰყავდა, რომელთა უმრავლესობას კარგად იცნობდნენ ინტელექტუალურ და სალიტერატურო წრეებში. მაგალითად, ამოს უაილდერს, თორნტონის უფროს ძმას, რომელიც ახალგაზრდობაში პირველი ჩემპიონი გახლდათ ჩოგბურთში, შემდეგ კი იელის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა: სწორედ მან

ლექცია, წაკითხული 2008 წლის 17 აპრილს, თბილისში, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში.

დაიწყო პირველმა რელიგიისა და ლიტერატურის ურთიერთქმედების კვლევა. ამოსი 90-ს გადაცილებული გარდაიცვალა. თორნტონისა და ამოსის ორი და გამორჩეული შემოქმედნი იყვნენ: ერთი პროზაიკოსი გახლდათ, მეორე — პოეტი. მათ მესამე დაც ჰყავდათ — ზოოლოგი. თორნტონ უაილდერი სწავლობდა კალიფორნიის საუკეთესო უნივერსიტეტებში — ობერლინში (მიდუესტი), იელსა და პრინსტონში. მაგისტრის ხარისხიც ამ უკანასკნელში მიიღო. თუმც წერა მანამდე დაიწყო. უმუშავია კოლეჯის ინსტრუქტორად, უფრო ხშირად კი — ლიტერატორად და თარჯიმნად.

3. თორნტონ უაილდერის შემოქმედება შეიძლება ორად გავყოთ: პროზად და დრამატურგიად. ზოგჯერ ესეებსაც წერდა. უაილდერი ცნობილი გახდა, მისი ნაწარმოებები მრავალ ენაზე ითარგმნა, მრავალი ჯილდო დაიმსახურა, რომელთა შორისაა არაერთხელ მინიჭებული პულიცერის პრემია; იყო ნაციონალური ლიტერატურული პრემიისა და თავისუფლების მედლის მფლობელი (რომელსაც პრეზიდენტი გასცემს და აშშ-ს უმაღლესი ჯილდოა). მიღებული აქვს უცხოური ჯილდოებიც. უაილდერს ეკუთვნის მომცრო პიესები — რადიოსცენარები და სამი უმნიშვნელოვანესი პიესა: "ჩვენი ქალაქი", "ჩვენი კბილების კანი" და „მაჭანკალი" (ეს უკანასკნელი ფილმადაც გადაიღეს). პიესები გამოჩნდა 1938, 1942 და 1954 წლებში. მოგვიანებით მათზე უფრო მეტს გეტყვით. უაილდერის პირველი შვიდი რომანი — ზოგი დიდი, ზოგიც მცირე — 1926-1973 წლებში დაიბეჭდა. მათზეც ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ.

4. უაილდერი გამორჩენილი მწერალი იყო, მეგობრული პიროვნება გახლდათ და კარგი ურთიერთობა ჰქონდა თავისი დროის დიდ შემოქმედებთან. მამაცობა სხვისგან არ ესწავლებოდა და ორივე მსოფლიო ომში მონაწილეობდა. უაილდერი უაღრესად განათლებული ბელეტრისტი იყო, 6 ენა იცოდა. მაგალითად, მის ნაწერებს ეტყობა იაპონურისა და სხვა ენებისა და კულტურათა ცოდნა. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა შემოქმედს თავს ესხმოდნენ ე.წ. "პროლეტარი მწერლები" და მარქსისტი კრიტიკოსები, რომლებიც მრავლად იყვნენ და დიდი გავლენითაც სარგებლობდნენ 1920-30-იანი წლების ამერიკაში. ისინი ბრალს სდებდნენ უაილდერს, პრაქტიკული და სოციალური საკითხები არ აინტერესებს და მხოლოდ ესთეტიკურ-ფილოსოფიურ პრობლემებს უტრიალებსო. თუმც თორნტონი ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა და მისებურად წერას განაგრძობდა.



*თორნტონ უაილდერი*

5. რას ნიშნავს "მისებურად?" როგორ შეიძლება მისი სამწერლო მანერის განსაზღვრა? უწინარესად განვიხილოთ ჩვენ მიერ რამდენიმე კატეგორიად დაყოფილი ნაწარმოებები. უაილდერის შემოქმედების ერთი ნაწილი სივრცისა და დროის თვალსაზრისით შიდაამერიკულია, მეორე კი სხვა სივრცესა და დროშია განფენილი. ესენია: ამერიკის საზოგადოებრივი გარემოს ამსახველი პიესა "ჩვენი ქალაქი", რომელიც უაილდერის ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია იმ თვალსაზრისით, რომ დღემდე იდგმება, სკოლაში ასწავლიან და ა.შ. ნოველები: ჩვენი თანამედროვეობის ამსახველი "დანიშნულების ადგილი — ზეცა" (1935), "დღე მერვე" (1967), რომელშიც მოქმედება დაახლოებით 1900-1930 წლების აშშ-ში ვითარდება; ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის ამსახველი "თეოფილ ნორთი" (1973); კომედია "მაჭანკალი" (1938, 1954), 1900 წლის ახლო პერიოდს რომ მოიცავს; ამავე დროს, უაილდერი თავის პერსონაჟებს უფრო დაშორებულ დროსა და სივრცეშიც "ათავსებს". მაგალითად, "მეფე ლუი წმინდას ხიდში" (1927) მოქმედება XVII საუკუნის პერუში ვითარდება. ორი ნოველა "ანდროსელი ქალი" (1930) და "მარტის იდები" (1940) ანტიკურ საბერძნეთსა და რომში მომხდარ ამბებს ეხება; დაბოლოს, ნაწარმოები, რომელიც სივრცის თვალსაზრისით შეიძლება კოსმიურადაც მივიჩნიოთ — "ჩვენი კბილების კანი" (1942), და , რამდენიმე სხვაც. ეს უაილდერის ნაშრომთა კლასიფიცირების ერთი გზაა.

6. უფრო საინტერესოდ გვეჩვენება უაილდერის ნაწარმოებთა შინაარსის, მიზნის, იქ დასმულ ფილოსოფიურ პრობლემათა განხილვა. დავიწყოთ ყველაზე ყურადსაღებით: ცხოვრების საზრისით.

უაილდერი ცდილობს ორი ურთიერთდაპირისპირებული პოზიციის შეთავსებას. პირველი სკეპტიციზმია, ჭეშმარიტების მიკვლევის შეუძლებლობა; მეორე — პესიმიზმის უარყოფა, მარცხის უკუგდება თვით ტრაგიკული შედეგისას. მაგალითად, "მეფე ლუი წმინდას ხიდში" ასეთი რამ ხდება: ხიდი ინგრევა, რომელსაც ხუთი პიროვნების სიცოცხლე ემსხვერპლება. ეს — ფინალში, წინა თავებში კი მწერალი აღწერს ან მიგვითითებს პერსონაჟთა ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს, რას სჩადიოდნენ, რა ვითარებაში ცვიოდნენ, რა გადაწყვეტილებებს იღებდნენ და ა.შ. პერსონაჟთა დაღუპვის შემდეგ ავტორი მედიტირებს იმაზე, თუ რატომ გაქრნენ ეს ადამიანები სამყაროდან და ერთგვარ ცხრილსაც ქმნის: როგორები იყვნენ ისინი (კარგები თუ ცუდები)?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა შეიცვალა მათი სიკვდილით და ა.შ. ამ ანალიზის მიზანია ახსნას, რასთან გვაქვს საქმე — უფლის განგებასთან, უბრალო შემთხვევითობასთან, წინასწარზრახვასთან თუ...

რაღაც ამგვარს აღმოვაჩენთ "ჩვენს ქალაქშიც" და "დღე მერვეშიც". პირველი მათგანი პიესაა, როგორც ზემოთ გითხარით, და აღწერს ერთი პატარა უმნიშვნელო ამერიკული ქალაქის ყოველდღიურობას. თუმცა უკანასკნელ აქტს ფანტასტიკის სფეროში გადავყავართ: წლები გასულა. პერსონაჟები გარდაცვლილან. ახლა საკუთარი საფლავებიდან ელაპარაკებიან ერთურთს და ცხოვრების საზრისზე მსჯელობენ.

ნოველაში "დღე მერვე" წამოჭრილია მომავლის სხვადასხვაგვარობისა და ბედისწერასთან წინააღმდეგობის საკითხი. დიდი და აუხსნელი ტრაგედია ტრიალდება: ინჟინერი, სათნო და თავმდაბალი კაცი, საკუთარ მეგობარს კლავს. სიკვდილს მიუსჯიან, მაგრამ ვიდრე განაჩენს აღასრულებდნენ, გაქცევას მოახერხებს — უცნობი ადამიანები დაეხმარებიან. სამხრეთში გარბის. ბოლოს სამხრეთ ამერიკაში, ჩილეში სახლდება და ახალ ცხოვრებას იწყებს. ოთხი შვილი ჰყავს. ნოველაში ნაჩვენებია მათ მიერ განვლილი უჩვეულო გზა.

ჩემს მიერ აღნიშნული ყველა ნაწარმოების ძირითადი აზრი ისაა, რომ არ ვიცით ან არ გვესმის, რა ხდება ჩვენს თავს. თუმცა, იმავე დროს, უაილდერი ყურადღებას ამახვილებს ძალის მოკრებაზე, განახლებაზე, განუწყვეტელ აქტიურობასა და ქმედებაზე, ხელჩაუქნევლობასა და მომავლის რწმენაზე, მთელი ძალღონის უშურველად დახარჯვაზე... შედეგი შესაძლოა უცნობი დარჩეს, მაგრამ ცდა არ უნდა დააკლო.

დავამატებ, რომ მსგავსი თემატიკა შეინიშნება უაილდერის სხვა თხზულებებშიც, ან შესაძლოა — ყველა მათგანში. ამ თვალსაზრისით უდიდეს მიღწევად მიმაჩნია "ჩვენი კბილების კანი", რომელიც, როგორც აღვნიშნე, კოსმიურ თემაზეა. ჩვენს თანამედროვე და საკმაოდ ბანალურ ოჯახს თავს ბიბლიური უბედურებანი ატყდება: აბელი და კაენი, ნოეს წარღვნა და ა.შ. ოჯახის წევრები ცდილობენ, რადაც უნდა დაუჯდეთ, ენერგიულად შეეწინააღმდეგონ საფრთხეს და გადარჩნენ, "გაგრძელდნენ", როგორც ნაწარმოების უკანასკნელ სტროფშია ნათქვამი.

7. ყველა ამ და სხვა მაგალითით ნაჩვენებია ამერიკული ფსიქოლოგიის ფართო პერსპექტივით გაგების ცდა. ეს ფსიქოლოგია, თორნტონ უაილდერის თანახმად, ერთი მხრივ, გულისხმობს ეჭვსა და მერყეობაზე დამყარებულ რისკს; მეორე მხრივ კი — ენერგიულ წინააღმდეგობასა და ხელჩაუქნევლობას. უაილდერი ცდილობს დაგვანახოს, როგორ შეიძლება ამ ურთიერთდაპირისპირებულ პოზიციათა შეთანხმება, როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს, რა დიალექტიკაა მათ შორის; მწერალი სცდება ამერიკელობის მტკიცე ფარგლებს და მიგვითითებს ადამიანის მდგომარეობისა და არსებობის ყველაზე მნიშვნელოვან საყრდენებზე. საკუთარ ძალებში შეეჭვება, როგორც განვსაზღვრეთ, რისკის გაწევაა, როცა არ არსებობს გამარჯვების გარანტია, არის მხოლოდ შეუვალი გადაწყვეტილება: არ შეეგუო, რომ უიმედობამ შეაღწიოს ადამიანის სულში. უაილდერის ნაწარმოებებზე დაყრდნობით ამერიკამ შესაძლოა თავისი წვლილი შესთავაზოს სამყაროს: მარადი სიახლე, უწყვეტი გამომგონებლობა, სრულყოფისთვის ბრძოლის სიამოვნება, მიუხედავად შეცდომებისა, საფრთხისა და დამარცხებისა.

8. ჩვენ შევეჩვიეთ თორნტონ უაილდერის ნაწარმოებებში ფილოსოფიურ პრობლემათა წამოჭრას. თუმც კიდევაა პრობლემათა წრე, რომელიც გარკვეულ წუთამდე ასევე ფილოსოფიურია, მაგრამ განსხვავებული თვალსაზრისით, ძირითადად — კულტურული და ისტორიულია. თორნტონ უაილდერი მთლიანად მოცული იყო ამ საკითხით: ამერიკული კულტურა ანტიკურთან — რომაულ, ბერძნულ, ეგვიპტურ, ზოგადად შუააღმოსავლურ კულტურებთან — შედარებით ახალი და ახალგაზრდაა. რა ორიენტაციით უნდა განვითარდეს იგი? სად უნდა დაიდოს ბინა? სიახლე უნდა იახლოს თუ ძველს დაეფუძნოს, ძველი განაგრძოს? ეს ის თემებია, რომლებიც კვლავ და კვლავ ჩნდება უაილდერის თხზულებებში. ჩემი აზრით, სწორედ ამიტომ გადააქვს მოქმედება წარსულსა და მსოფლიოს შორეულ რეგიონებში — ხმელთაშუა ზღვაზე, სამხრეთ ამერიკაში და სხვ. უაილდერი დიდად დაინტერესებულია ამ საკითხითაც: რა როლს თამაშობს ქრისტიანობა ამერიკული საზოგადოების წიაღში? სასიკეთოსა თუ საზიანოს? დიდმნიშვნელოვანსა თუ მეორეხარისხოვანს? როგორ უკავშირდება ის ევროპულ ტრადიციას? როგორ უკავშირდება ანტიკურობას, ასე ვთქვათ — ბერძნულრომაულ მითოლოგიას? ეს თემა ჩნდება მწერლის ბევრ ნაწარმოებში.

9. მაგალითად, "მარტის იდებში" (1948), რომელიც ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ტექსტადაა მიჩნეული. წიგნში გამოყენებულია უჩვეულო სტილი და ჟანრი, რომელსაც წარსულში ხშირად შეხვდებოდით, დღესდღეობით კი იშვიათობაა: ეს ეპისტოლური რომანია, რომელიც ერთი პერსონაჟის მეორისადმი გაგზავნილ წერილებზეა აგებული. მთავარი გმირი რომაელი კონსული და მმართველი იულიუს კეისარია — კეთილმოსურნე დიქტატორი, რომელიც მართლაც ფლობდა აბსოლუტურ ძალაუფლებას, მაგრამ ისტორიკოსთა უმრავლესობის თანახმად, ცდილობდა საჭირო რეფორმათა ხორცშესხმას, ხალხისა და ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესებას; მას სიკვდილით არ დაუსჯია თავისი მტრები... საბოლოოდ კეისარი მოკლეს, რადგან პოლიტიკურ ლიდერთა უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ იგი მეფობას ან იმპერატორობას ელტვოდა, რაც არ იყო მართალი არც ისტორიული რეალობის, არც მხატვრული გამონაგონის თვალსაზრისით. უაილდერის კეისარი დადებითი ფიგურაა, როგორც ანტიკური დროის პოლიტიკურ და ესთეტიკურ ფასეულობათა განსახიერება, მაგრამ, ამავე დროს, იგი პრაგმატული, ემპირიული ლიდერიცაა, რომელიც სამართალს ამკვიდრებს, ხალხის გადარჩენასა და საზოგადოების განვითარებაზე ზრუნავს. უაილდერი ცდილობს იმის ჩვენებას, რომ ამ ორი ელემენტის —

ანტიკურ ფასეულობათა და პრაქტიციზმის — შეთავსება შესაძლებელია.

10. ნოველის "დანიშნულების ადგილი — ზეცა" (1935) მთავარი პერსონაჟი ქრისტიანი პროტესტანტი მისიონერია, რომელიც ბიბლიურ წიგნებს ყიდის და რელიგიურ ჭეშმარიტებაში ცდილობს ხალხის დარწმუნებას. ეს ძალზე საინტერესოა, მით უფრო, რომ გმირი უაღრესად არაერთმნიშვნელოვანი პიროვნებაა. იგი გულწრფელი, კეთილგანწყობილი, გულკეთილი კაცია, გარშემომყოფთ თბილად ექცევა, მაგრამ იმავე დროს გონიერება აკლია, მარტივია, არ სწამს საკუთარი ძალმოსილების. ჯორჯ მერვინ ბრუშის მთავარი ნაკლი ისაა, რომ განძარცულია კულტურულ ფასეულობათა მყარი სტრუქტურისაგან, წმინდა, მაგრამ მშრალი ამერიკელია, რომელსაც ფართო ჰორიზონტთან არ მიესვლება. ამ ნოველაში უაილდერი იწონებს რელიგიას, მაგრამ ეჭვი შეაქვს მის ეფექტურობაში.

11. თხზულება, რომელშიც უაილდერი ცდილობს გამოსახოს რომისა და იერუსალიმის, ამერიკის ქრისტიანული ძირებისა (რომელიც შემდეგ წარმოჩნდა, როგორც რელიგიური თავისუფლების სფერო, უფლის მიერ კაცობრიობისთვის მიცემული "მეორე შანსი") და ევროპულ კლასიკურ და ესთეტიკურ ტრადიციათა დიალექტიკა, შესაძლოა "დღე მერვე" იყოს.

ერთი მხრივ, აქ უამრავი პერსონაჟია, რომლებიც ასევე "წმინდა ამერიკელები" არიან, სხვაგვარად — მკვიდრ მოსახლეთა შთამომავლები და პირველმოსახლენი (კერძოდ, ინჟინერი ჯონ ეშლი), მეორე მხრივ კი — ახალგაზრდა თაობა, რომელიც განსხვავებულ, სხვადასხვა წარმომავლობის ადამიანთა (რუსი, ესპანელი, ფრანგი და სხვები, აფრო-ამერიკელთა ჩათვლით) ქსელს ერთვის და იქცევა უფრო კომპლექსურ ერთობად, იძენს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, საბოლოოდ საზოგადოების ცნობილ და დამსახურებულ წევრად გარდაისახება.

უაილდერი ცდილობს ორივე შესაძლებლობის წარმოჩენას და კულტურის ორი მხარის შერწყმის აუცილებლობას, და შერწყმის გზებზეც მიგვითითებს. ეს გზები შესაძლოა ტრაგედიასა და ტანჯვასაც გულისხმობდეს, მაგრამ თორნტონ უაილდერი ამასაც დასაშვებად მიიჩნევს, თუ დიდი მიზანი არსებობს.

ნოველის უაღრესად აღსანიშნავი საფინალო ეპიზოდი წარმოდგენილია ე.წ. "თანხმობის ეკლესიის" აღწერისას. ეს ეკლესია შექმნა უბრალო ხალხმა, რომელიც განმარტოებულად ცხოვრობს და ქალაქის საქმეებში არ ერევა. ამ ადამიანებს რომაული და ბერძნული სახელები ჰქვიათ. მათი რელიგიური მსახურება მარტივია, იერარქიისა და პომპეზური რიტუალების გარეშე. ამ ხალხის უმრავლესობა წარმოშობით "ამერინდიელია" ("მკვიდრი ამერიკელი", როგორც დღეს მოიხსენიებენ), სხვაგვარად — ისინი ახლოს არიან მიწასთან და ამერიკულ ძირებთან. სიმბოლურად ხალხის ეს ჯგუფი წარმოადგენს ქრისტიანობის გაგების უაილდერისეულ მოდელს: მტკიცედ მორწმუნე, კანონმორჩილ ადამიანთა და მიწის ერთობას.

12. რომანი "თეოფილ ნორთი" (1973) ავტორის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე გამოვიდა და შეიძლება უაილდერის ანდერძადაც კი მივიჩნიოთ. ეს გახლავთ "ილდუნგსრომან", ნოველა ყმაწვილი კაცის მოწიფვაზე, ზრდასა და ევოლუციაზე. მთავარ მოქმედ პირს, რომლის სახელიც ჰქვია რომანს, მრავალი მისწრაფება აქვს, ბევრი რამ სურს, ბევრს ფიქრობს თავის კარიერაზე. აღწევს კიდეც მიზანს, მაგრამ არა ერთდროულად, არამედ თანდათან. ხელთ გვრჩება აღსრულებულ იდეალთა ფენა. არადა, მხოლოდ მისი ერთიანობა წარმოქმნის სრულყოფილ, დასრულებულ არსებას.

აქ უაილდერი ეწინააღმდეგება ზესპეციალიზაციასა და თანამედროვე ადამიანის ვიწრო ორიენტაციას. ამერიკულ საზოგადოებასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხი საჭიროებს კომპლექსურობას, გამოცდილების მრავალფეროვნებას, მრავალგვარ რეაქციას სხვადასხვა სახის გამოწვევებზე. კულტურისა და რელიგიის შემოქმედებითი თანამშრომლობა შესაძლებელია. სწორედ ამას მივყავართ სრულ, ყოვლისმომცველ ჰუმანიზმამდე. გარკვეული აზრით (თუმც, ეს, ალბათ, არ ყოფილა უაილდერის შეგნებული, წინასწარგანზრახული ნაბიჯი), ის თავისი ძმის — ამოსის საკვლევ სფეროში შეიჭრა: რელიგიისა და ლიტერატურის ურთიერთქმედება.

13. როგორც სათაურშივე აღვნიშნე, თორნტონ უაილდერი, ჩემი აზრით, სხვებზე უკეთ შეესაბამება ამერიკული კულტურის დილემას და ფაქტობრივად ამჟღავნებს ამერიკის მისწრაფებას.

მართალია, ის ამერიკის წარსულზე წერს, მაგრამ მის თხზულებათა უმრავლესობა თანამედროვე ამერიკისთვისაც რელევანტურია. მაგალითად, დღესაც არსებობს დაძაბულობა ამერიკული ცივილიზაციის რელიგიურსა და პრაქტიკულ, უტილიტარულ მხარეებს შორის. პოლიტიკურ კონფლიქტებს კი არ ვგულისხმობ, არამედ — ფსიქოლოგიურს, რომელიც ამერიკელთა უმრავლესობის სულსა და გონებაში არსებობს.

დღევანდელობის მსგავსად, არსებობს შეუსაბამობა ამერიკის იდეალებს შორის: ერთი მათგანი იზოლირებულია, ინდივიდუალისტური, კონტრასტს ქმნის დანარჩენ სამყაროსთან; მეორე კი საუკუნეთა განმავლობაში შექმნილთაგან საუკეთესოს ითვისებს, მდიდარი მეხსიერება აქვს, წარსულიდანაც ისევე სწავლობს, როგორც — მთელი სამყაროს აწმყოსაგან.

ამ უთანხმოების გაცნობიერება ნაკლი არ არის, პირიქით, კარგი რამაა, ამ შეკითხვებზე პასუხთა მოძიება ყველას ეხმარება — ამერიკელსაც და არაამერიკელსაც. ეს კაცობრიობის ფუნდამენტური კითხვებია, მაშინაც კი, როცა სამყარო უფრო გლობალური ხდება.

ნება მომეცით, მოგაგონოთ, რაც ზემოთ გითხარით. სახელდობრ ის, რომ ბრწყინვალე პიესაში "ჩვენი კბილების კანი" უაილდერი თავს არ არიდებს უბედურებასა და ტრაგედიას. მათ ის დასაშვებად მიიჩნევს, მაგრამ გვამხნევებს, რათა ღირსეულად შევეწინააღმდეგოთ, გამჭრიახობა დავუპირისპიროთ იმ უბედურებას, რომელიც კაცობრიობის ევოლუციის ნაწილია.

ინგლისურიდან თარგმნა
გია ჯოხაძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
26020

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზია ბაქრაძე

# მეცამეტე ფრანგი

გამორჩენილ ფრანგ მწერალს, ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიოს ამასწინათ, 2008 წლის ოქტომბერში მსოფლიო ლიტერატურულ პრემიებს შორის ყველაზე პრესტიჟული და საამაყო ჯილდო — ნობელის პრემია მიენიჭა.

ფრანგებს ძალიან ეამაყებათ, რომ ლიტერატურის სფეროში ნობელის პრემიის ყველაზე მეტი ლაურეატი ჰყავთ. შვედეთის აკადემიისათვის ფრანგული ლიტერატურის წარმომადგენლები ყოველთვის გამორჩეულად ნიჭიერნი ჩანდნენ. ამ პრემიის დაარსების დღიდან, 1901 წლიდან, საშუალოდ 5-10 წელიწადში ერთხელ ფრანგ მწერალს ენიჭებოდა ნობელის პრემია. ასე იყო 1985 წლამდე, როცა ფრანგებს ნობელის 11 ლაურეატი ჰყავდათ. გაგახსენებთ მათ გვარებს: სიული პრიუდომი (1901), ფრედერიკ მისტრალი (1904), რომენ როლანი (1915), ანატოლ ფრანსი (1921), ანრი ბერგსონი (1927), როჟე მარტენ დიუ გარი (1937), ანდრე ჟიდი (1947), ფრანსუა მორიაკი (1952), ალბერ კამიუ (1957), სენ-ჟონ პერსი (1960), ჟან პოლ სარტრი (1964) — სარტრმა უარი თქვა პრემიის მიღებაზე.

1964 წლიდან კი შვედეთის აკადემიამ თითქოს მიივიწყა საფრანგეთი და მისი ლიტერატურა. რა მოხდა? კითხულობდნენ შეშფოთებული ფრანგები. იქნებ სარტრის უარმა განარისხა ნობელის კომიტეტი ან იქნებ ფრანგულ ლიტერატურაში აღარ მოიძებნებოდა ღირსეული კანდიდატი?..

მაგრამ 21 წლის შემდეგ, 1985 წლის 17 ოქტომბერს 6 სავარაუდო ფრანგ და სხვა ქვეყნების კანდიდატებს შორის ნობელის პრემია მიენიჭა ფრანგული „ახალი რომანის“ (ანტი-რომანის) წარმომადგენელს კლოდ სიმონს. ის იყო ნობელის მე-12 ფრანგი ლაურეატი. 1986 წლის დამდეგს, ჩემთვის უაღრესად საპატივსაცემო და საყვარელმა ადამიანმა — მწერალმა, მთარგმნელმა და კრიტიკოსმა, ბატონმა ვახტანგ ჭელიძემ მთხოვა, დამეწერა წერილი ნობელის პრემიის და მისი ლაურეატის შესახებ. მაშინდელი წერილის სათაური იყო „მეთორმეტე ფრანგი“.

ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიოს პორტრეტის მონახაზი ისევე დავასათაურე, ოღონდ, ცხადია, თორმეტი ცამეტით შევცვალე.

*„მართალია, ლე კლეზიო ძალიან ცნობილია, მაგრამ დღემდე იგი მაინც რჩება ამოუცნობ და იდუმალ მწერლად. . . მომთაბარე უფრო, ვიდრე მოგზაური. . . იგი იმ იშვიათ მთხრობელთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც ახერხებს მითებს უბრალოდ, მატერიალურად და ფიზიკურად შეეხოს და გააცოცხლოს ისინი. . .“*

ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო დაიბადა ნიცაში 1940 წლის 13 აპრილს. დედა ფრანგი ჰყავდა, ხოლო მამა ბრეტონული წარმოშობის ინგლისის ქვეშევრდომი იყო. მამის წინაპარი XVIII საუკუნეში საფრანგეთიდან ინდოეთისაკენ გაემგზავრა, მაგრამ გზაში მორისის კუნძულზე გაჩერდა და საბოლოოდ იქ დასახლდა. ეს კუნძული იმ ხანობას საფრანგეთის კოლონია იყო, ნაპოლეონის ომების დროს კი იგი ინგლისის კუთვნილება გახდა და ფრანგულ-ინგლისური გავლენის ქვეშ აღმოჩნდა.

სულ პატარაობას ლე კლეზიოს სურდა ვატმანი გამხდარიყო და ნახატი სურათების მწერალი. როცა წამოიზარდა, კითხვას დაეწაფა და მეზღვაურობის სურვილი გაუჩნდა. მას ყველაფერი მოსწონს, რაც მოგზაურობას, ზღვას, თავგადასავალს ეხება: ჟიულ ვერნი, ჯეკ ლონდონი, კიპლინგი. . . ამავე დროს, იგი შეპყრობილია თავისი პაპით, რომელიც სადღაც მიუწვდომელ და ეგზოტიკურ კუნძულზე ცხოვრობდა და იმ ძველ, ლამაზ სახლზე ოცნებობს, მათ ოჯახს რომ ეკუთვნოდა. პაპა ამ კუნძულზე დიდხანს მუშაობდა მოსამართლედ, მაგრამ შემდეგ სამუშაოს თავი დაანება და სათავგადასავლო რომანების მსგავსად განძის ძიება დაიწყო, რომლის შესახებ რაღაც საბუთი ჩაუვარდა ხელში; ეს განძი, გადმოცემების თანახმად, იქვე ახლოს, როდრიგეს კუნძულზე იყო ჩაფლული. ბიჭის ცნობისმოყვარეობას ისიც აძლიერებდა, რომ მას ნებას არ აძლევდნენ გაჰკარებოდა იმ სკივრს, რომელშიც პაპის საბუთები და ქაღალდები იდო. წიგნების გარდა, შორი ქვეყნების ნახვის, მოგზაურობისა და თავგადასავლების სურვილი პაპის გარშემო შექმნილმა ლეგენდებმაც გაუღვივა. 15 წლისამ მოთხრობა დაწერა, რომელიც 15 წლის შემდეგ გამოაქვეყნა სათაურით „ოქროს მაძიებელი“. ამ ნაწარმოების შთაგონების წყარო, ცხადია, პაპის თავგადასავალი იყო.

1943-47 წლებში, ომის დროს და შემდეგ დედასთან ერთად ცხოვრობს საფრანგეთის სამხრეთის ერთ პატარა სოფელში.

1948 წელს მიემგზავრება ნიგერიაში მამასთან, რომელიც იქ ექიმად მუშაობდა. რვა წლის ბიჭი გემზე, თავის კაიუტაშია ჩაკეტილი და თავის პირველი წიგნის წერას იწყებს, სახელწოდებით „გრძელი მოგზაურობა“, რომელსაც ხატოვანი სურათით ამთავრებს: ვეშაპი აყირავებს სატვირთო გემს, მას რომ ეჯახება. თვენახევარი გემზე ყოფნისას მეორე წიგნსაც „შავი ორადი“ წერს და დედას აკითხებს.

ერთი წლის შემდეგ იგი საფრანგეთში ბრუნდება და საშუალო სკოლას ნიცაში ამთავრებს.

სკოლაში ყოფნისას ძალიან ბევრს კითხულობს. უდიდეს გავლენას ახდენს მასზე რემბო და იგი ლექსების წერასაც იწყებს. ძალიან მოსწონს კონრადის ნაწარმოებები. ჟიულ ვერნის მიბაძვით, სათავგადასავლო რომანს წერს, რომლის მოქმედება ინდოეთში ხდება. ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე წიგნმა აცტეკებზე და იგი დაინტერესდა როგორც მექსიკით, ასევე აცტეკების ცივილიზაციით, რაც შემდგომ მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში გადამწყვეტ როლს ითამაშებს. . . „წიგნების კითხვამ განმაწყო სამოგზაუროდ, რომ იდუმალებით სავსე „სხვაგან“ მომეძია. . .“ სკოლაშივე წერს ესეის „პრეისტორიული სამყაროს ისტორიულ სამყაროში გადასვლა“.

ორი ბაკალავრის მიღების შემდეგ იგი უმაღლეს სასწავლებელში შედის ლიტერატურის განხრით. უმაღლესის დიპლომს იღებს ნაშრომში „სიმარტოვის განცდა ანრი მიშოს შემოქმედებაში“. ეს პოეტი ძალიან მოსწონს და თვლის, რომ „მსოფლიოში არც ერთ პოეტს არ შეუძლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვას ამდენი რამ ასე ცოტა სიტყვებით" („აისბერგებისაკენ"). ამ ესეიში გამოკვეთილია მომავალი მწერლის ორი საყვარელი ქმედება: წერა და მოგზაურობა. ამავე ნაშრომში იგი ასე განსაზღვრავს სიტყვას: „სიტყვის ძალა ქმედებაა; ის არ არის ილუსტრაცია, არც რაიმე საბაბი, ის წუთიერი ქმნადობაა, როგორც ჟესტი ან ცეკვის მომენტი. იგი სწრაფად ჩაგავლებს ხელს იმით, რასაც ამბობს ან რასაც აჩვენებს".

ამ პერიოდში ლე კლეზიო საბოლოოდ გადაწყვეტს, რომ უნდა წეროს. მით უმეტეს როცა ხვდება, რომ მხატვარი ვერ გახდება. „ხატვა ძალიან მიყვარდა და დიდი სურვილი მქონდა მხატვარი ვყოფილიყავ, მაგრამ მხატვრობა მუსიკასავითაა. მასში მთავარია ნიჭი. . . რომანის დაწერამდე მაინც, უამრავ მონახაზს ვაკეთებ, თითქოს ვხატავო, გინდაც მერე არაფერში რომ არ დამჭირდეს". უნივერსიტეტში სადოქტორო თემად ლოტრეამონი აირჩია, რომელმაც აგრეთვე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე.



*ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო — ნობელის პრემიის 2008 წლის ლაურეატი*

1963 წელს გამოდის მისი პირველი რომანი „ოქმი". 23 წლის დამწყები მწერალი რენოდოს პრემიას იღებს და სახელსაც იხვეჭს. მაგრამ შემდგომში გამოცემულმა რამდენიმე რომანმა შეუმჩნევლად ჩაიარა.

ლე კლეზიო ეცნობა სელინჯერს, რომლის შემოქმედებამ ძალიან დააინტერესა. უბრალოდ მოთხრობილმა, მარტივმა ამბებმა, გულუბრყვილო და შეზღუდულმა პერსონაჟებმა ისეააფორიაქა და დააფიქრა, რომ მისივე ალიარებით, ზუსტად იმას ჩაავლო ხელი, რისი დაწერაც სურდა. სელინჯერის გავლენით წერს და 1965 წელს აქვეყნებს ნოველების კრებულს „სიცხე".

1966-68 წლებში გამოდის მისი რამდენიმე ნაწარმოები: „წარღვნა" (მასში ჩართულია რამდენიმე ფურცელი ნაწარმოებიდან „შავი ორადი", რვა წლისამ რომ დაწერა), „მატერიალური ექსტაზი", „გაქცევების წიგნი". ამ რომანებში, ისევე როგორც პირველში იგრძნობა ავტორის შეშფოთება თანამედროვე სამყაროს აგრესიულობის გამო. „წერით გამოხატავ და ადასტურებ, რომ ამჟამად ცხოვრობ საზოგადოებაში, რომელშიც მუდმივად ომი მიმდინარეობს: მასების ომი ინდივიდის წინააღმდეგ, საგნებისა ცოცხალი არსების წინააღმდეგ და ომი ადამიანებს შორის". ლამაზი სამყაროც ძალმომრეობასთან არის ნაზიარები და ლე კლეზიო სიტყვებით ეძებს გამოსავალს, მაგრამ ვერ პოულობს: ყოველი წიგნი „გაქცევების წიგნიაო", ამბობს იგი.

1966-67 წლებში ლე კლეზიო სამხედრო ვალდებულებას იხდის ჯერ ბანგკოკში, მერე მექსიკაში. ასწავლის პოლიტიკურ მეცნიერებას და თვითონაც ეცნობა ინდურ, ჩინურ, იაპონურ ფილოსოფიასა და აზროვნებას. ეცნობა მექსიკურ ქრონიკებს, გამქრალ ცივილიზაციებს და ესპანურ ენასაც სწავლობს.

ერთი წელი ჩრდილო-ამერიკის უნივერსიტეტში ლიტერატურას ასწავლის და აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას თავის ნაწარმოებებზე.

1970-74 წლებში იგი კარგად ეცნობა ცენტრალურ ამერიკას, მექსიკას, პანამის რამდენიმე ტომს, ემბერებს, უახლოვდება უონანასებს და თვეების განმავლობაში მათთან ერთად ცხოვრობს ჯუნგლებსა და გადაკარგულ სოფლებში, მათი ცხოვრების ადათ-წესებით და ყაიდით, რომელიც, მისი აზრით, მთლიანად ინტეგრირებულია მათ პირობებთან და სრულ თანხმობაშია ამ ტომების ყოფის ბუნებრივ რიტმთან. მათ ენასაც სწავლობს (მთლიანობაში მწერალმა თორმეტიოდე წელი გაატარა ცენტრალურ ამერიკაში).

ცენტრალური ამერიკის რაიონებში გატარებულმა წლებმა ლე კლეზიო მთლიანად შეცვალა, ან, უფრო ზუსტად, მან საბოლოოდ იპოვა თავისი თავი. ამ ტომებთან ცხოვრების პერიოდს მწერალი თავისი ცხოვრების ფუნდამენტურ გამოცდილებას უწოდებს. „ეს იყო საოცარი, უზარმაზარი შოკი. იმ წუთიდან, რაც ამ სამყაროს შევეხე, მე აღარ ვიყავი წმინდად ინტელექტუალური პიროვნება". უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრად ადრე, ვიდრე ამ ტომებს შეხვდებოდა, ლე კლეზიო სწორედ იმისაკენ ისწრაფვოდა, რომ რაღაც შეცვლილიყო მასში და მის ცხოვრებაში: მას არ სურდა ყოფილიყო მხოლოდ გონით მომქმედი ადამიანი; გრძნობდა, რომ რაღაც აკლდა. აკლდა ის, რაც მისცემდა ნამდვილ საზრდოს მის მომავალ წიგნებს. „ერთი შეხედვით, ეს სურვილი შეიძლება ხელოვნურად ჟღერს, მაგრამ ეს ჩემი შინაგანი მოთხოვნილება იყო".

ამ ტომებთან პირველივე შეხვედრამ ლე კლეზიო გააოგნა და აღაფრთოვანა. საოცარი სიახლოვე და სითბო იგრძნო ინდიელების მიმართ და, მისივე სიტყვებით, ეს იმიტომ მოხდა, რომ სწორედ მათთან აღმოაჩინა არსებობის ის მოდელი, რომელსაც იგი ამაოდ ეძებდა დასავლეთის ცივილიზაციებში.

კრებულში „ამღერებული დღესასწაული" მწერალი პანამის დარიენში თავის ცხოვრებაზე გვიყვება და ამ ტომების სულიერ სიმდიდრეზე საუბრობს; ხაზს უსვამს ინდიელების დიდ კულტურას. „მათი ხმა ძალიან მნიშვნელოვანია კაცობრიობის ხალხთა შორის. ამ ხალხების მრავალმა თაობამ ტანჯვის, წინააღმდეგობების, უამრავი გარეშე ზეწოლის გადალახვის შედეგად გამოიმუშავა ქცევის სა-

კუთარი ხაზი, ფილოსოფია, პასუხი ბევრ იმ კითხვაზე, რომელსაც დღეს ვსვამთ. ჩვენ ბევრი გვაქვს სასწავლი და გადმოსაღები მათგან. ჩვენ კი მათ არ ვუსმენთ. აი, რა მიზიდავს მათში. მე მსურს სულ მათ ვუსმინო". ლე კლეზიოს მიაჩნია, რომ მათი ცხოვრების ყაიდა უკვე ხელოვნებაა, რითაც ეთანხმება ანტონენ არტოს გამოთქმულ აზრს ინდიელების შესახებ გამოქვეყნებულ წერილში: „. . . ამ პრიმიტიული და მძლავრი ინსტინქტის მქონე ხალხის რიტუალს და მაგიას აბსოლუტური უპირატესობა გააჩნია ხელოვნებასა და მეცნიერებასთან მიმართებაში".

ევროპელებსა და იმ ხალხებს შორის, რომლებიც ცენტრალური ამერიკის ტყეებსა, მთებსა თუ უდაბნოში ცხოვრობენ, ყველაფერი განსხვავებულია: დროის აღქმა და მისი განცდა (ერთგვარი გულუბრყვილო ნდობაც დროსთან მიმართებაში), სულის ცნება და თავისებური გაგება, არსებობის მიზანი, ცხოვრების ყაიდა და სხვა. ინდიელებთან ცხოვრების შემდეგ ლე კლეზიოს ბევრ საკითხზე აზრი ძირფესვიანად შეეცვალა, ხოლო სიცოცხლის ისეთი ტრაგიკული და მტკივნეული მომენტების აღქმა, როგორიცაა სიკვდილი, ავადმყოფობა, ბუნების ულმობელი გამოვლინებები, მან სხვანაირად, უფრო მშვიდად და ბრძნულად დაიწყო.

ლე კლეზიოს იმდენად მოეწონა და შეუყვარდა ეს ხალხი, რომ გულწრფელად განაცხადა „მე ინდიელი მინდა ვიყოო".

* * *

ლე კლეზიოს მთელი შემოქმედება უმღერის ადამიანს, ბუნებას, სილამაზეს ადამიანისა და კოსმოსის შერწყმას (გავიხსენოთ ა. კამიუს „ქორწილები", ა. ჟიდის „მიწის საზრდო"). მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სილამაზეს ყველა ვერ ხედავს. უმრავლესობის მზერა დაბინდულია; ბუნება და მისი მშვენიერება მისგან შორსაა. ისინი მხოლოდ რეალობის ზედაპირს ხედავენ. სილამაზეს მხოლოდ ის ხედავს, ვისაც ჭვრეტის უნარი აქვს.

სამყარო მშვენიერია, მაგრამ საშიში. იგი ემუქრება ადამიანს, ხშირად მტრულადაც ეკიდება. ადამიანმაც გააჩშირა მასთან კონფლიქტები, რადგან მის საქმეში დაიწყო ჩარევა. ლე კლეზიოს დიდი სურვილია ადამიანი დაუახლოვდეს ბუნებას. თუკი ადამიანი იგრძნობს ბუნების სიდიადეს, თავისად გაიხდის და შეიყვარებს, იქნებ მოხერხდეს და გადაილახოს ის საზღვარი, რომელიც მას სამყაროსაგან ჰყოფს და მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, სადაც „მე" და სამყარო იდუმალი ძაფებით ერთიანდებიან. ეს იქნება მისტიკური ბუნების წუთიერი ექსტაზი, სადაც ადამიანი აბსოლუტურ სუბსტანციას შეერწყმება.

ის შინაგანი ცვლილება, რაც ლე კლეზიომ განიცადა, მისი წერის მანერასაც შეეტყო. მწერალი ცდილობს სიტყვებსა და რეალობას შორის ზღვარი წაშალოს და სამყაროს „აქ ყოფნა" წარმოაჩინოს (რასაც ახერხებს კიდეც ზოგიერთ ბოლო ნაწარმოებში).

სილამაზე რომ დაინახო და შეიგრძნო, ხელი უნდა ჩაავლო იმ უნივერსალურ რიტმს, რომელიც ყველგან და ყველაფერშია. თითოეულ არსებას და საგანს აქვს საკუთარი რიტმი და თანაც თავის თავში სიმღერასაც ატარებს. სილამაზეს რომ ჩასწვდე, შენი საკუთარი რიტმი ბუნების რიტმს უნდა დაემთხვეს.

ნაწარმოებში „მოგზაურობა სხვა მხარეს" ყმაწვილი ქალი სრულიად შლის საზღვარს ადამიანსა და საგანს შორის და მისი უახლოესი მეგობრები ბუნების ელემენტებია: მზე, ვარსკვლავები, ქვები, ქვიშა. . .

რომანში „უცნობი მიწაზე" ღრუბლების კიდეზე პატარა უფლისწულივით ზის უცნობი ბიჭი და უკიდეგანო სივრცეს გაჰყურებს. ეს ნაწარმოები არ გვიყვება ამ პატარა ბიჭის თავგადასავლებს, არამედ მკითხველი ტკბება მის მიერ დანახული სამყაროს ულამაზესი სურათებით.

ზღაპრების კრებული „მონდო და სხვა ისტორიები" გამოიცა 1978 წელს. ამ კრებულში ნათლად ჩანს ავტორის მიერ სამყაროს ახლებური ხედვა, რაც უკვე ოდნავ იგრძნობოდა კრებულში „მატერიალური ექსტაზი", მეტადრე კი ესეიში „უცნობი მიწაზე".

ზღაპრებში სამყაროს მრავალფეროვნება და სინათლე მისივე რიტმის მუსიკალურობას ერწყმის და ბუნების უმშვენიერესი სურათები გადაიშლება მკითხველის თვალწინ. ყოველი ზღაპარი ბავშვს ეხება, რადგან ბავშვის სული და უშუალობა უნდა გქონდეს, რომ შეიგრძნო ცხოვრების სისავსე, ბუნება, კოსმოსის სიდიადე. ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ბავშვები: მონდო, ლულაბი, ჟონი, გასპარი, ჟიუბა, დანიელი სხვადასხვა მიზნებითა და მიზეზებით გარბიან სახლიდან თუ სკოლიდან და ბუნების წიაღში პოულობენ ბედნიერებას და დამოუკიდებლობას; ზოგს ზღვა იზიდავს, ზოგს მთა, ზოგიც კლდეზეა და გარემოს სილამაზით ტკბება. საოცარია პასაჟი, ჟონი მთას რომ აღმოაჩენს: როცა მთის იქით ღრუბლები გაიშლება და მზე დააცხუნებს მის სახეს და მკერდს. ამ სილამაზისაგან მას თავბრუ დაეხვევა, თითქოს დათვრაო. . . ან ის პასაჟი, როცა დანიელი პირველად დაინახავს ზღვას და მასთან საუბარს იწყებს. ეს სრულიად თავისუფალი ბავშვები ერთდროულად რეალურ და ონირიულ არსებობაში იმყოფებიან. ბავშვების უშუალობა, უბრალოება, ზღაპრების უჩვეულო პოეტიკა, ბუნების ულამაზესი პეიზაჟები უზარმაზარ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს.

„მხოლოდ იმაზე უნდა წერო, რაც გიყვარს. უნდა ერთად შეკრიბო სილამაზის ნაწილაკები, დააწყო და მერე ააშენო ეს სილამაზე. . . ჩემი სურვილია სიტყვებით შეიქმნას მუსიკა, რაც ჩემს მეტყველებას გაალამაზებს და საშუალებას მისცემს შეუერთდეს სხვა მეტყველებას, ქარის, მწერების, ჩიტების მეტყველებას; წყლისას, რომელიც მოედინება, ცეცხლისას, რომელიც ტკაცანებს, კლდეების და ზღვის კენჭების მეტყველებას". ამ განწყობით არის დაწერილი რომანი „უდაბნო", რომელიც 1980 წელს გამოიცა. უდაბნო ლე კლეზიოს სიჭაბუკიდან იზიდავდა; ლეგენდების, ეთნოგრაფების, მიშელ ლეირისის შესანიშნავი ნაშრომების წყალობით და გამონათქვამებით. მაგრამ რეალურად და ფიზიკურად მხოლოდ მაშინ აღიქვა და შეუყვარდა იგი, როცა საკუთარი თვალით დაინახა უშველებელი, თვალუწვდენელი გამომშრალი სივრცე აფრიკაში, მაროკოს სამხრეთში წითელ მდინარესთან, საიდანაც არის წარმოშობით მისი ცოლის უძველესი მოდგმა. არაადამიანური და ძალმომრეობით აღსავსე ცივილიზაციის საპირისპიროდ, უდაბნო არის მშვიდი, ჩუმი, იდუმალი, მიმზიდველი და დიადი; იგი საწყისების მითიური ქვეყნისაკენ შესაძლო დაბრუნების ხატია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანი „უდაბნო“ არის წიგნი „სიყვარულისა და სიბრძნისა, სიცოცხლეს რომ ეგზალტაციას მატებს, წიგნი უბრალო ხალხისა, ინდიელებისა, რომლებსაც ბუნების მხოლოდ ერთი ნაწილაკი ჰყოფს იმ სამყაროსაგან, რომელმაც ისინი შექმნა, წიგნი შეგრძნებებისა, რაც ინტელექტის საპირისპიროა, სიტყვების ძალმოსილებისა და წონისა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს მეტაფორასთან“. ამგვარად ახასიათებს ამ რომანს ერთი კრიტიკოსი.

ამ რომანის გამოცემის შემდეგ, საფრანგეთიდან გადაკარგული და ცოტა მივიწყებული ლე კლეზიო ისევ აალაპარაკებს ლიტერატურულ წრეებს, კრიტიკოსებს, მკითხველებს და საბოლოოდ იმკვიდრებს ღირსეულ ადგილს თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაში. იმავე წელს იგი იღებს პოლ მორანის დიდ ლიტერატურულ პრემიას, რომელსაც პირველად ანიჭებს საფრანგეთის აკადემია.

1981 წელს ლე კლეზიო გაემგზავრა კუნძულ როდრიგესზე. პაპის სკივრიდან ამოღებული გეგმებით, რუკებით, საბუთებითა და ქაღალდებით, რომლებიც აჭრელებული იყო წვრილი ნაწერით, ის გაჰყვა პაპის ნაკვალევს. „ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ვიღაცა სხვა იყო ჩემში“, — წერს იგი და ისიც მოეჩვენა, რომ პაპის ნაწერი ძალიან ჰგავდა მის ხელს. „იქნებ იმიტომ ჩამოვედი აქ, რომ, ისევე როგორც პაპაჩემმა, ჩემი თავისათვის დამესვა კითხვა, კითხვა, რომელიც ყველა თავგადასავლის, ყველა მოგზაურობის თავი და თავია: „ვინ ვარ?“ ან „რა ვარ?“

1985 წელს გამოსცა რომანი „ოქროს მაძიებელი“, რომელშიც გამოიყენა ის თემა და რამდენიმე ნაწყვეტი იმ წიგნიდან, 15 წლისამ რომ დაწერა, ხოლო 1986 წელს წიგნი-დღიური „მოგზაურობა კუნძულ როდრიგესზე“. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა მწერალს სურვილი გაუჩნდა ავტობიოგრაფიული ნაწარმოები დაეწერა. ორივე რომანი მოგზაურობიდან ხუთი-ექვსი წლის შემდეგ გამოიცა, რადგან მწერალი თვლის, რომ „რომანები დროის ნაყოფია და ზოგიერთი მათგანი ნელ-ნელა მწიფდება“.

ლე კლეზიოს არ აწუხებს ნაწარმოების ჟანრის საკითხი; არც რომანისა და ნოველის განსაზღვრებას ანიჭებს დიდ მნიშვნელობას. წიგნის დაწერისას მისთვის მთავარია რიტმი, რომელიც წერასთან ერთად იქმნება და რომლის კონტროლი შეუძლებელია. რომანი „ოქროს თევზი“ თხუთმეტგვერდიანი ზღაპარი უნდა ყოფილიყო; მაგრამ იგი რომანად იქცა. „მე არაფერ შუაში ვიყავი. ის ჩემდა უნებურად ვითარდებოდა, იზრდებოდა. ზოგი თავი, რომელთა დაწერასაც არ ვაპირებდი, ამოტივტივდა. . . წარმოსახვას ცოტა განგრენული მხარე გააჩნია. . . როცა ვწერ, ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ წარმოდგენების ალყაში ვარ მოქცეული“.

„. . . ძალიან ძნელია ილაპარაკო იმაზე, რას წერ, რადგან ჯერ ერთი არ გესმის, რატომ წერ; რომ გესმოდეს, შეიძლება აღარც დაწერო. . . წერა მოთხოვნილებაა. . . თქვენს შიგნითაა და უნდა გამოვიდეს, გამოვიდეს ამა თუ იმ ფორმით. . .“

რომანში ლე კლეზიოს არც ფსიქოლოგია აინტერესებს, არც ზნე-ჩვეულებების შესწავლა თუ აღწერა, და არც ოჯახის ქრონიკის გადმოცემა. ფსიქოლოგიურ რომანს რასაც უწოდებენ, მისთვის სხვა არაფერია, თუ არა მოსაწყენი ხელოვნურობა. არც აწყობილი თხრობის სტრუქტურის მომხრეა. რომანი, რომელსაც ობიექტურობის პრეტენზია აქვს, ხელოვნური და ყალბია. ბოლო პერიოდში ის ისეთ რომანებს წერს, რომელშიც საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენს პერსონაჟთან თუ საგანთან. „მე ვიყავი ის, რასაც ვწერდი. მამაკაცები თუ ქალები — მე ვარ; ცხოველები — მე ვარ; საგნებიც მე ვარ; . . . ამას წინათ თოლიაზე რომ ვწერდი, თავადაც თოლია ვიყავი“. შეიძლება მხოლოდ ისე მოხდეს, რომ პერსონაჟები შეიცვალონ. ისინი ბევრს მოძრაობენ და ამ მოძრაობაში თავადაც იცვლებიან და რეალობის ტრანსფორმაციასაც ახდენენ („მატერიალური ექსტაზი“).

წერამ საოცრებას, ჯადოქრობის სასწაულებს მიაღწია იმით, რომ მთელ სამყაროს ფურცელზე ათავსებს. მწერალს შეუძლია ყველაფერი მოიმსახუროს: ხმაური, სურნელი, რეალური ფაქტი, მოგონება, ოცნება. . . წერა მაგიურ ოპერაციას მიაგავს: „ჩემთვის ჯადოქარი და მწერალი დაახლოებით ერთ სამუშაოს ასრულებენ. ჯადოქარის სამუშაოა ავადმყოფის მორჩენა, მომავლის წინასწარმეტყველება და საჭიროების შემთხვევაში დემონების მოხმობა. ჰოდა, მწერალი და ყოველი ხელოვანი ასევე იქცევა. მასაც ხელთ უპყრია რიტუალური ნახატი, რიტუალური სიტყვები, რომელთაც მკითხველს სთავაზობს. გადაცემა ხდება ან არა“.

აღსანიშნავია, რომ ლე კლეზიო თავის ნაწარმოებებში არაჩვეულებრივს არაფერს ჰყვება. იგი მოუთხრობს მკითხველს ადამიანის რეალურ, ყოველდღიურ ცხოვრებას, მისი გეგმებით, ოცნებებით, წუხილითა თუ სიხარულით, სიყვარულით თუ სასოწარკვეთით. მისი რომანების არსი ოცნება კი არ არის, არამედ ყოველდღიურობაა. მაგრამ ის სიტყვის ოსტატია და დიდი მხატვარიც და თავისი პოეტიკის მეშვეობით („ყველა სიტყვას თავისი მითოლოგია აქვს“), ამბავიც და პერსონაჟიც უნივერსალურ ცნებებამდე და ღირებულებებამდე აჰყავს (გავიხსენოთ მ. იურსენარის ნაწარმოებები).

მწერლის ბოლო პერიოდის ნაწარმოებებში ისევე, როგორც პირველ ხანებში უდიდესი ადგილი უჭირავს სამყაროს, ბუნებას, სილამაზეს, რადგან ლე კლეზიოს არ შეუძლია დაწეროს რომანი ისე, რომ არ იფიქროს ჰაერზე, ქარზე, მზეზე, ცეცხლზე, ქარიშხალზე, მიწაზე და სხვა; ისინი მისთვის ცოცხალი არსებებივით მნიშვნელოვანნი არიან, როგორც ადამიანები და ადამიანთა საზოგადოებები.

მაგრამ ბოლო რომანებში იგი უფრო ხშირად და უფრო ხატოვნად გვიყვება „უკანასკნელი თავისუფალი ადამიანების“ შესახებ. მისი ყოველი პერსონაჟი ხომ სულ ძიებაშია: მოხეტიალე თუ მომთაბარე, მუდმივად მოძრაობაში მყოფი პერსონაჟები, მოზრდილები თუ ბავშვები, რეალობას გაურბიან და ბუნებას აფარებენ თავს, ზოგი ზღვის სილამაზეს და უკიდეგანობას დაუტყვევებია, ზოგს მისტიკური და იდუმალი მთისაკენ მიუწევს გული; ეს ძიება, ხეტიალი თუ მოძრაობა მათი თავისუფლების მაჩვენებელია, რომელსაც ვერ ელევიან, რადგან თავისუფლების შეგრძნება ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი.

ერთ-ერთ ინტერვიუში ლე კლეზიო იხსენებს თავის შეხვედრას დიდ ბორხესთან. „ბედი მეწია შევხვედროდი ბორხესს. დიდხანს ვილაპარაკეთ იმ ურთიერთობის შესახებ, რაც ლიტერატურასა და ცხოვრებას შორის არსე-

ბობს. საუბრისას მან ერთი მოთხრობა გაიხსენა, რომელმაც იგი აღაფრთოვანა და ძალიან იმოქმედა მასზე, მაგრამ შეშფოთდა, რომ ავტორის გვარს ვერ იხსენებდა. მინიშნებებით მივხვდი, რომ ავტორი რაიდერ აგარი (Rider Agar) იყო. ეს მოთხრობა მეფე ზულუს ამბავს ყვება და მასში არის მართლაც შთამბეჭდავი ეპიზოდი შავკანიან ჭაბუკზე, რომელსაც პროტესტანტი პასტორი ზრდიდა. ჭაბუკი თავის ბავშვობის სამყაროს, ევროპას ტოვებს და ტყეს მიაშურებს. რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთ დღეს, როცა პასტორი რომელიღაც დღესასწაულს აღნიშნავს, ტყიდან გამოდის ველური, რომელსაც სახეზე საომარი ნიშნები აქვს დახატული, თავზე ფრინველის ბუმბულები უკეთია და ხელში შუბი უჭირავს. დაშინებული ხალხი საშინელების მოლოდინშია. ველური უახლოვდება პასტორს, ძირს აგდებს ჟილეტს და ამბობს: „თქვენგან რომ წავედი, ეს წავიღე. ეს ცივილიზაციის ერთადერთი ნიშან-კვალია. მე შენ მას გიბრუნებ“, — და იგი ტყეში გაბრუნდება.

უდავოდ ამ ჭაბუკის სახემ შთააგონა ლე კლეზიო თავის მცირე რომანში „ანგოლი მალა“ შეექმნა „უკანასკნელი თავისუფალი ჭაბუკის“, ინდიელი ბრავიტოს დაუვიწყარი ხატი მისი ყოველდღიურობით, სისუფთავით, სინაღდით, ვაჟკაცობით, ტანჯვით, სილამაზით და დიდი სიყვარულით.

ლე კლეზიოს შემოქმედებას, რომანს ეხება საქმე, ნოველასა თუ მოთხრობას, ერთი მტკიცე და დაჟინებული აზრი სდევს: სამყარო ერთიანი არ არის; მისი სტრუქტურა ხარვეზებითაა სავსე; ადამიანებსა და საგნებს შორის კავშირი მორღვეულია. მწერალი კი ოცნებობს ერთიანობასა და სამყაროსთან შერწყმაზე. ერთ-ერთ ბოლო ესეიში იგი აყალიბებს თავის დიდ სურვილს, რომელიც მთელი მისი ცხოვრებისა და შემოქმედების წუხილია, სურვილს რომ იყოს „ჰარმონია ადამიანსა და სამყაროს შორის, კავშირი ინდივიდსა და კოლექტივს შორის“; ალბათ უნდა დავუმატოთ ის განწყობაც, რაც ყველა მის ნაწარმოებში მუსიკასავით ჟღერს: თანხმობა რეალობასა და ზერეალობას შორის. . .

ლე კლეზიოს მიაჩნია, რომ ეს ხარვეზი და გათიშულობა მწერლობამ უნდა ამოავსოს.

* * *

*ლე კლეზიოს შემოქმედებიდან ქართულად მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოების თარგმანი არსებობს:*

*1. „ანგოლი მალა“ — (რომანი), ჟურნალი „აფრა“ №8, 2000 წ. კავკასიური სახლი; თარგმნა მზია ბაქრაძემ.*

*2. „Villa Aurore“ — მოთხრობა, ჟურნალი „ომეგა“ №6, 2001 წ. თარგმნა სოფიო ბენდიაშვილმა.*

*3. „უდაბნო“ — (რომანი), გამომცემლობა „დიოგენე“, 2007 წ. თარგმნა სოფიო ბენდიაშვილმა.*

*4. „განძი“ — რომანი კრებულიდან „დამწვარი გული“, თარგმნილია ნესტან იორდანიშვილის მიერ, მაგრამ გამოცემული არ არის.*

---

**სოფიო ბენდიაშვილი**

# „მე მხოლოდ მემატიანე ვარ“

ჟან მარი გუსტავ ლე კლეზიოს შევხვდი პარიზში, 2003 წლის ოქტომბერში. „გალიმარის“ გამომცემლობაში შევიტყვე, რომ ლე კლეზიო ნიუ-მეხიკოში ცხოვრობდა. ცოტა ხნის წინათ ლიტერატურული გადაცემების ცნობილმა ტელეწამყვანმა ბერნარ პივომ ისე გაიკვირვა მისი სტუმრობა ტელევიზიაში, რომ მასთან შეხვედრის დიდი იმედი არც მქონია. რამდენიმე დღით ბიძაშვილებთან ჩავედი ბელგიაში. პარასკევ დღეს ტელევიზორი ჩავრთე, გადაცემის კუდს მივუსწარი. ტიტრებში მწერლის გვარი ამოვიკითხე. შემთხვევამ ინება და მომდევნო პარასკევსაც იგივე გადაცემა გაიმეორეს, რაც ძალიან იშვიათად ხდება. ლე კლეზიო საუბრობდა — ახალგაზრდა ფრანკოფონ მწერალთა კონკურსზე ჟიურის წევრად ყოფილა მიწვეული. ერთ-ერთი დებიუტანტიც გამოვიდა, თამამად, რიხით. მაშინვე „გალიმარის“ გამომცემლობაში დავრეკე. ტელეფონის ნომერი მთხოვეს, დამპირდნენ, გადავცემთო. ერთ დილას, ისევ პარასკევ დღეს, ღვთისმშობლის ტაძარში წავედი მაცხოვრის ეკლის გვირგვინის სანახავად. შინდაბრუნებულს ლე კლეზიომ დამირეკა. დავთქვით და მეორე დღესვე შევხვდით ერთმანეთს. არ დამიმალავს ჩემი განცვიფრება, პივოს გადაცემის შესახებაც ვუამბე, ღიმილით მიპასუხა, რომ მთარგმნელებსა და მისი შემოქმედებით დაინტერესებულებს სიამოვნებით ხვდება ხოლმე.

მთელი საღამო დამითმო. ვისაუბრეთ ლიტერატურაზე, საქართველოზე. გამოთქვა საქართველოში ჩამოსვლის სურვილიც. გამომშვიდობებისას მისამართი ვთხოვე. ფურცელზე დამიწერა, როგორც ჩანს სავიზიტო ბარათი არ ჰქონდა.

ლე კლეზიოს უბრალოება არ გამკვირვებია, ეს ხომ მისი შემოქმედებიდანაც ჩანს.* თავადაც ამბობს, ჩემი წიგნები ის არის, რაც ყველაზე მეტად მგავსო. როგორც მარსელ პრუსტი ირწმუნება, მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედება ავლენს შემოქმედის სიღრმისეულ „მეს“, განსხვავებულს იმ „მესაგან“, მწერალი საზოგადოებაში რომ ამჟღავნებს, ამით პრუსტი უპირისპირდება სენტ-ბევის მეთოდს, რომელიც შემოქმედებას უპირველეს ყოვლისა შემოქმედის ცხოვრების ანარეკლად მიიჩნევს და მისი გაცნობით ცდილობს ჩაწვდეს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებას.

ლე კლეზიო მოკრძალებულია, როცა თავის შემოქმედებაზე ლაპარაკობს: „სიტყვები, რომელსაც ვწერ, მე არ მეკუთვნის. უფლება არ მაქვს, ჩემად მივიჩნიო, მე მხოლოდ მემატიანე ვარ. ვიწერ, სხვების აზრებს ვიწერ. ყოველი ლიტერატურა წინარე ლიტერატურის მიბაძვაა“.

*** მეორე ნობელიანტი ალბერ კამიუ მახსენდება, რომელმაც როცა ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილება შეიტყო, წამოიძახა, კი მაგრამ მას ხომ მარლო იმსახურებდაო!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმდაბალია გარემოსთან, სამყაროსთან მიმართებით. ბევრს მოგზაურობს, ადგილსამყოფელსაც ხშირად იცვლის (საფრანგეთი, ამერიკა, კორეა), მაგრამ მოგზაურის როლით არ კმაყოფილდება, კრძალვით ცდილობს ამ ერების სულს, კულტურას ეზიაროს. როგორც „კულტურულმა ადამიანმა იცის, რომ მხოლოდ ერთი ცივილიზაცია კი არ არის და მის მიღმა ბარბაროსობა და ველურობა, არამედ მრავალი ცივილიზაცია, რომელიც პატივისცემას იმსახურებს" (მიშელ ტურნიე).




მისთვის „ეგზოტიზმი მანკია, რადგან ივიწყებს ყოველგვარი ძიების ჭეშმარიტ მიზანს — პატიოსნებას. იგი თეთრკანიანის გამონაგონია და უკავშირდება კულტურის მერკანტილურ გაგებას. დაუფლების ამგვარი წადილი ნაყოფს არ გამოიღებს... ის, ვინც ცდილობს ერის სულს ეზიაროს ნამცეცების გამოგლეჯით, შთაბეჭდილებებისა და ცოდნის შეგროვებით, ვერ შეიცნობს სამყაროს; საკუთარ თავსაც ვერ შეიცნობს, რეალობა სხვა გზით შეიმეცნება, ის თავმდაბლობას ითხოვს.

ეს ქვეყანა სხვაგვარად უნდა შეიყვარო, იმის გამო კი არა, რომ განსხვავებულია ან დაშორებული (დაშორებული ვისგან?), არამედ იმიტომ, რომ ადვილად არ გნებდება, გეწინააღმდეგება, რადგან შინაგანი ჭეშმარიტება აქვს, რომელსაც ვერასოდეს ჩაწვდები".

ასეთია ლე კლეზიო, ამჟამად ნობელიანტი, ჩვენი შეხვედრისას კი ცოცხალთა შორის ყველაზე დიდ ფრანგულენოვან მწერლად აღიარებული. ნობელის პრემიაზე ასევე რამდენჯერმე წარდგენილი მიშელ ტურნიეს შეფასებითაც, ყველაზე დიდი თანამედროვე ფრანგი მწერალი, უზადო სტილისტი, რომლის ნაწყვეტები ნიმუშად არის მოყვანილი ენციკლოპედიურ ლექსიკონებში და ამავდროულად გარეგნობითაც გამორჩეული (ახალგაზრდობისას ვიტორიო გასმანთან ერთად ერთად კინოფილმშიც კი არის გადაღებული).

ლე კლეზიოს ნობელის პრემია მიენიჭა — როგორც ახალ მიმართულებათა მწერალს, პოეტურობისა და გრძნობითი ექსტაზისათვის, ადამიანური არსის ძიებისათვის გაბატონებული ცივილიზაციის წიაღში და მის ფარგლებს გარეთ.

მწერლის წერის მანერას „სეისმოგრაფიულს" უწოდებენ. მას ყოველი წვრილმანი იზიდავს, პეიზაჟების ცქერით ვერ ძღება. „მინა და კანი ერთმანეთს მიაგავს. მათზე ერთნაირად ნაოჭებსა და ნახაზებს ვხედავ და როცა ერთმანეთს ეხებიან, ვერ გეტყვით, ჩემი კანი რომელია. მე ღვთაებრივად მას შევერწყმი, სანამ ერთ დღეს ორივენი საამო სითბოში ამოვლპებოდეთ". ყველაფერს რიტმი აქვს. ბუნების წვდომა ნიშნავს საკუთარი რიტმი ბუნების რიტმსააყოლო. გარეგნული კაკოფონიის მიღმა ტკბილი და ძლიერი მუსიკა იგრძნო, რომელიც არ ისმის, მაგრამ შეიძლება გაიგონო. მასთან ბოდლერისეული ფერის, ბგერის, სურნელის შესატყვისობებსაც ვხვდებით და სამყაროს იმპრესიონისტულ ხედვასაც — დროის დინებისას ბუნების ცვალებადობის ასახვის ცდას. მთელი მისი შემოქმედება გაჟღენთილია ეგზისტენციალური კავშირით, ფილოსოფიურ განსჯას კი, მიუხედავად ენციკლოპედიური განათლებისა, იშვიათად მიმართავს. კულტურა მისთვის მხოლოდ საზრდოა, მთავარი კი ადამიანი, ცხოვრებაა. ფილოსოფია მხოლოდ მაშინ იზიდავს, თუ ის ლოცვას მიაგავს. მის ტექსტს არაფერი ამძიმებს, ეს არის ფორმისა და შინაარსის სრული ჰარმონია, დაწმენდილი პროზა — გამჭვირვალე, ჰაეროვანი, შეგრძნებებზე აგებული. ლიტერატურაში უყვარს ის, რაც გრჩება, ჩაგესმის სიტყვებს მიღმა, სიტყვების გვერდით, სიჩუმეც, რადგან სიჩუმეც ისმის. ცდილობს გამოთქვას გამოუთქმელი („უდაბნოს" ლოცვის ეპიზოდი!). სიტყვები მისთვის, ისევე როგორც ყველაფერი, ხმაურს გამოსცემენ, მაშ გამოხატვის რა საშუალებებს უნდა მიმართოს მწერალმა? უნებლიეთ ვერლენის „უსიტყვო რომანსები" გახსენდება.

მთავარი მისთვის გრძნობითი ღირებულებანია, ყველაზე დიდ ცოდვებს ადამიანი სჩადის არა გრძნობათა, არამედ გონების კარნახით. „სიცრუე და მოჩვენებითობა ჩვენი ცხოვრების მამოძრავებელია, ყველაფერში შეგვიძლია ეჭვი შევიტანოთ, გარდა იმისა, რაც ჩვენი ემოციებიდან მოდის". მაგრამ ამ „სიცრუისა და მოჩვენებითობის სამყაროში" არასდროს არ ივიწყებს ადამიანს, არ სწირავს მას. დოსტოევსკის მსგავსად, რომლის შემოქმედებასაც მამა ზოსიმეს მუხლისმოყრა, ალიოშა კარამაზოვის სიტყვა, სონიას სახე ანათებს, ლე კლეზიოსაც აქვს თავისი სინათლე — ცივილიზაციის მიღმა დარჩენილი სამყარო, ნერვალისეული სამყარო კი არა — „ოცნების შეჭრა რეალურ სამყაროში", არამედ რეალური სამყარო, ოღონდ სრულყოფილი, ოცნებისეულის მსგავსი. „რატომ უნდა იყოს პოეზია მეტაფიზიკური... უნდა ეძიო, შეეცადო მოძებნო ის, რაც არის". სამყარო, სადაც არ არსებობს დროისა და სივრცის საზღვრები, სადაც ადამიანი განუყოფელია წარსულისაგან, წინაპრებისაგან, რომელთა მზერა სადაც უნდა წახვიდე, თან გდევს და გიფარავს („უდაბნო").

ლე კლეზიო არასოდეს მიიჩნევს შემოქმედებას მიზნად, შემოქმედება ვერასოდეს დადგება ადამიანზე მაღლა, ისევე, როგორც პრუსტისთვის 7-ნოტიანი კლავიატურა სრულად ვერ გადმოსცემს ადამიანური სულის სიღრმეებს.

როგორც ჩანს, ნობელის კომიტეტიც ლე კლეზიოს ჰუმანიზმით, პოეზიით მოიხიბლა.

„დიდი აზრები გულიდან მოდის, სრულყავი საკუთარი თავი და შექმნი საუკეთესო პოეზიას. მორალი და რიტორიკა ერთმანეთს ერწყმის ბრძენის მისწრაფებებსა და სურვილებში". ფრანსის პონჟის ეს სიტყვები შეიძლება ლე კლეზიოს მიმართაც ითქვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ჩხეიძე

# ქართული დუელიანა

## I

ილია ორბელიანი, თავს შეურაცხყოფილად რომ იგრძნობდა, დუელში გამოიწვევდა ნიკოლოზ ბარათაშვილს — საკუთარ დისწულს.

ესაა პირველი ქართული დუელი, რაც მემუარულმა ლიტერატურამ შემოგვინახა, თავისებური არქეტიპი, რომელმაც — როგორც გენებოთ, ისე ახსენით — ერთგვარად განსაზღვრა შურისგების ამ თავისებური ნაირსახეობის ქართული ნაკადი.

## II

პირველი ქართული დუელიო და... კი მაგრამ, თამაზ ნატროშვილის მცირე ისტორიული ესეი ხომ არ წამოგაგონდათ „მოზაიკის" ციკლიდან — „ქართული დუელი"?

ესეიში ფარსადან გორგიჯანიძისა და ზაქარია სარკავაგის (ქანაქერცი) ცნობებზე დაყრდნობით XVII საუკუნის ერთი ეპიზოდია აღდგენილი, მოხსენიებული დუელად, ორთაბრძოლის მონაწილენი კი დუელიანტებად.

ისე ორთაბრძოლის მონაწილეთაგან ერთი სიაოშ ბარათაშვილია, მართლმადიდებელი ქრისტიანი, მეორე კი ბაინდურ თუმანიშვილი, სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლიდან.

აბა, ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი.

მკვლევარი ამტკიცებს, ეს შერკინება ნამდვილად დუელი იყოო, თუ... დიდი პირობითობით იყენებს ამ ტერმინს, ან იქნებ სულაც ირონიულად?

ორთაბრძოლის აღწერა რაინდულ ასპარეზობას უფრო ჩამოჰგავს, ვიდრე დუელის სახელით ცნობილ მოვლენას, მაგრამ რაკილა მაინცდამაინც ეს სახელი შეურჩია ჩვენი დროის თვალსაჩინო ისტორიკოსმა, თუნდ ღიმილითაც შეერქმია დუელიანტები, მოვალენი ვართ, ზოგად ხაზებში მაინც გამოვიხმოთ ეს ისტორიული ეპიზოდი.

როსტომ მეფე ბრძანებდა, ჩემი შვილობილის მკვლელი მოიძიეთო. რაკილა დადგენა გაძნელდებოდა, მაშინ სამართალში მისცემდნენ ორ კაცს — სიაოშ ბარათაშვილსა და ბაინდურ თუმანიშვილს — და მიზეზს ასე აუხსნიდნენ: თქვენ იდექით ბატონიშვილის გვერდით და ან იცით მკვლელის ვინაობა და ან სულაც თქვენი მოკლულიაო.

მითუმეტეს, სიაოშ ბარათაშვილი ბაინდურ თუმანიშვილს სდებდა ბრალს მკვლელობაში და თუმანიშვილი ამ შეურაცხყოფის ჩამორეცხვასაც ესწრაფოდა.

ასპარეზად მეფის სასახლის პირდაპირ, მტკვარგაღმა, საომარი ადგილი შეურჩიეს, ყოველი მხრიდან რომ მოჩანდა.

შეუძახებდნენ თუ არა, ომისა და შეტევის დროაო, სიაოში ცხენჭენებით მიეჭრებოდა მოწინაამდეგეს, შუბს აძგერებდა, ზედ შეამტვრევდა, ჯაჭვის პერანგს გაუხევდა და შუბის პირს სხეულში ჩაუტოვებდა. ბაინდური არ დაიბნეოდა, თვითონაც ატაკებდა შუბს მოპირდაპირეს და ბარკალს შეუმტვრევდა. სიაოში დაედევნებოდა, ლახტს სცემდა ბაინდურს და გასცილდებოდა. ბაინდურიც მოიმარჯვებდა ლახტს და თავში დაჰკრავდა, მაგრამ ხელი დასველებოდა თავისივე სისხლით, თანაც ცხენი გაიტაცებდა. სიაოში ლახტის ცემით დაედევნებოდა. მაშინ ბაინდური ხმალს იშიშვლებდა, ხელუკულმა მოუქნევდა მდევარს და მუზარადის საცხვირეში მოახვედრებდა. სიაოში იმწამსვე ჩამოვარდებოდა ცხენიდან.

ეს უკვე ნიშნავდა ბაინდურის გამარჯვებას და ამტკიცებდა მის უდანაშაულობას. მაგრამ, როგორც ჩანს, ბრძოლით აღგზნებულს ყველაფერი დაავიწყდა და მოსაკლავად მიეტანა მიწაზე გაშხლართულ მეტოქეს. იასაულებმა, ღვთის წყალობით, არ დაანებეს დამარცხებული სიაოშის მკვლელობა... იგი ციხოვანთ ტყვედ მიაბარეს.

წმინდა წყლის რაინდული ასპარეზობაა ზოგადი იერითაც და თვითეული დეტალითაც, საქვეყნოდ გადაქცეული სანახაობა, და ნიშანდობლივია, როსტომ მეფე მონდომებით რომ ჩაერევა მონაწილეთა შემდგომ ბედში. ბაინდურის განკურნებას ბრძანებს და უზომოდ შეიყვარებს ორთაბრძოლაში გამარჯვებულს, სიაოშს კი აკუწვას მიუსჯის და ძაღლებისათვის მიგდებას.

კიდევ კარგი, სიაოშის ძმა, ქრისტეფორე ბერი, მარიამ დედოფლის მოძღვარი ყოფილა, და ის შევედრებია დედოფალს: ძმას ნუღა მომიკლავთ, მარცხის სიმწარე აკმარეთო. მარიამი კი თავის მეუღლესთან უშუამდგომლებდა დამარცხებულს და ამ სასტიკ სასჯელსაც ააშორებდა.

ეგაა, იმისგან ველარ დაიხსნიდა, რომ სიაოშის უძრავ-მოძრავი ქონების კონფისკაცია არ მომხდარიყო. როსტომ მეფის ბრძანებითა და სიგელით, ეს ყოველივე გამარჯვებულ ბაინდურს დაუმტკიცდებოდა.

სად დუელი და სად ხელისუფალის ასეთი ჩარევა მის დანიშვნასა და მონაწილეთა ბედის გადაწყვეტაში.

მაგრამ... მოპირდაპირენი საკუთარი ღირსებისათვის რომ იბრძვიან და არა ერთმანეთის მკლავის მოსასინჯად?

ამიტომაცაა, თამაზ ნატროშვილს დუელი რომ ახსენდება და თუნდაც მეტაფორულად, თუნდაც ღიმილნარევი შეფასებით XVII საუკუნის თბილისის ცხოვრების ამ ეპიზოდს სწორედ ამგვარად ასათაურებს.

ასეა თუ ისე, ქართული დუელიანას ისტორიის ქრონოლოგია ასე შორს ვერ გადაიწევა და მის პირველ მონაწილედ სიაოშ ბარათაშვილს კი არა, ნიკოლოზ ბარათაშვილს ვგულისხმობთ.

არქეტიპიც ესაა და არა ფარსადან გორგიჯანიძისა თუ ზაქარია სარკავაგის მიერ მოთხრობილი ამბავი.

## III

ისე კი ვინ მოთვლის, რამდენი დუელიანტი შესწირვია საკუთარი ღირსების დაცვას ან სხვისი ღირსების შებღალვას.

ორთაბრძოლის ეს წესი მოდურიც კი გახდებოდა ევროპაში და ყოვლად უმნიშვნელო საბაბითაც ინიშნებოდა დუელი.

კანონი ყველა ქვეყანაში მკაცრად დევნიდა ორთაბრძოლის ამ წესს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლმსაჯულება ებრძოდა პირადი ანგარიშსწორების ამ გზას, მაგრამ ზღვასავით აღელვებულიყო საზოგადოებრივი ცხოვრება და ამ წესს უფრო ემორჩილებოდა, ვიდრე კანონისა თუ მართლმსაჯულების მრისხანებას და ივსებოდა სამარეები დუელში დაღუპულებით.

ეს განწყობილება საქართველოსაც გადმოწვდებოდა.

და ილია ორბელიანიც აჰყვებოდა ამ საზოგადოებრივ მორალს, როდესაც გააბეზრებდა მაღალაშვილის დამცინავი რეპლიკები, ენამახვილობით ცნობილი ყმანვილი კაცისა.

ბარათაშვილი რაღა შუაშია?

რა შუაშია და — მეგობრობდა მაღალაშვილთან, მოსწონდა მისი ენამახვილობა, თვითონაც შეეშველებოდა ხოლმე და მაშინაც არ იხევდა უკან, როდესაც მისი მეგობარი ილიკო ორბელიანსაც მისდგებოდა და გარშემომყოფთ მასზე აცინებდა. ბარათაშვილიც ჩაურთავდა და ჩაურთავდა მახვილ ფრაზებს. ილიკო თავშეკავებას ინარჩუნებდა, უკვირდათ კიდეც, ამდენ ხანს როგორი მოთმინებით იტანს დაცინვასო, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მასაც აევსებოდა მოთმინების ფიალა და ერთ თავყრილობაზე იმ განზრახვით წავიდოდა, თუ კიდევ რაიმე შემომკადრა მაღალაშვილმა, უსათუოდ ჩხუბს ავუტეხავ და ხმალში გამოვიწვევო.

ისე მოხდებოდა, რომ იმ დღეს იქ მაღალაშვილი არ მივიდოდა და ილიკო გაგულისებასა და ჟინს ბარათაშვილზე ამოიყრიდა — რა დისწულობა, რისი დისწულობა, ისე აღრენილიყო, უწყინარი შეხუმრების პასუხად მაშინვე დუელში გამოითხოვდა.

იქ მყოფი ამხანაგები, მათ შორის ლევან მელიქიშვილი, შეეცდებოდნენ ხუმრობაში გაეტარებინათ ეს გამოთხოვა, მაგრამ შერიგებას ვერაფრით რომ ვერ მოახერხებდნენ, მოპირისპირენი სეკუნდანტებს აირჩევდნენ.

ილია ორბელიანი ყაბარდოელ ატაჟუკინს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი — მაღალაშვილს.

დაინიშნებოდა დრო, ადგილი და გაემგზავრებოდნენ დუელიანტებიცა და სეკუნდანტებიც ფეხით.

პირობას დადებდნენ, ვინც ცოცხალი და უვნებელი გადარჩება, დაზიანებული უნდა მიიყვანოს ჭირისუფალთან ან მკვდარი, ან ცოცხალიო.

თითქოს სხვადასხვა ჭირისუფალი ჰყოლოდეთ!..

გზად ლევან მელიქიშვილი გამხნევებას რომ დაუწყებდა ბარათაშვილს, ორბელიანი ყურს მოჰკრავდა და წყენით ეტყოდა:

— მე კი არ გებრალები, ლევან?

— არა, არ მებრალები, იმიტომ, რომ შენ ხარ მიზეზი ამ დუელისა, — ისეთი საყვედურით მიუგებს ის, თითქოს ოინბაზური ჩანაფიქრის მონაწილე — და სულაც შთამაგონებელი — არ იყოს და წინასწარვე არ იცოდეს, თუ რითი გათავდება დუელი.

მივლენ დანიშნულ ადგილას, გაზომავენ მანძილს ნაბიჯებით, დატენიან დამბაჩებს და მოპირდაპირეებსაც დააყენებენ.

კი მაგრამ, სად არის ეს „დანიშნული ადგილი" ანდა როდის მოხდა ეს — კინაღამ საბედისწერო — ეპიზოდი?

იონა მეუნარგია ამის თაობაზე ნიშანდობლივ არაფერს გვამცნობს, მაგრამ სოლომონ ცაიშვილი მისი ორტომეულის — „ქართველი მწერლები" — გამოცემისათვის დართულ ვრცელ ექსკურსში საგანგებოდ დაინტერესდებოდა ამ დეტალების დაზუსტებით და ლევან მელიქიშვილის ნაამბობის პირვანდელი ვარიანტის წაშლილი სტრიქონების მიხედვით დროს აღადგენდა, როგორც: 1841 წლის შემოდგომას. ხოლო „დანიშნულ ადგილს" ასე ივარაუდებდა: რაკილა ეს ადგილი ქვევით, მხოლოდ ფეხით ჩასასვლელი მხარისაკენ ყოფილა, ასეთი მიდამო მაშინდელ თბილისში ორთაჭალის ბაღები, რიყე და მადათოვის კუნძული თუ იყო — ორბელიანთა უბნის უკან, მტკვრის პირას. და ყველაზე საფიქრებელი სწორედ მადათოვის კუნძულია — ორბელიანთა უბნისა (ილია სადაც სახლობს) და ანჩისხატის უბნის (ბარათაშვილი სადაც სახლობს) მცხოვრებთა შეხვედრა უთუოდ ყაბახის მიდამოებში უნდა მომხდარიყო. „ჩასასვლელი" ადგილიც აქედან მადათოვის კუნძულის მტკვრის ნაპირები იყო, საიდანაც ადვილად შეიძლებოდა შინ წაყვანა დამარცხებული დუელიანტისაო.

შალვა ჩხეტია კი იმ გარემოებას მიაქცევდა ყურადღებას და შესაფერის დოკუმენტურ ცნობასაც მოიპოვებდა, რომ დუელს თურმე ხელს უწყობდა ერთი საპიორის ოფიცერი, ვინმე მატინოვი, ვისაც იონა მეუნარგია პოეტის მეგობართა შორის ასახელებს. იმას გაუღვივებია ცეცხლი და ლამის საბედისწეროდაც გადაუქცევია ბიძა-დისწულის შეხუმრება-ქილიკობანი.

ჯერ კი დანიშნულ ადგილას დგანან, მანძილი ნაბიჯებით გადაუზომავთ, დამბაჩები დაუტენიათ და დუელიანტებიც პირისპირ შეჰყურებენ ერთმანეთს.

და ჯერჯერობით ყოველივე ისე ხდება, ასეთ ვითარებას როგორც შეჰფერის.

ილია ორბელიანს, მაღალს, მაღალ ადგილზე დააყენებენ, ნიკოლოზ ბარათაშვილს, დაბალს, დაბალ ადგილზე, და სეკუნდანტის ხმაზე — ერთი, ორი, სამი — მოწინააღმდეგენი გამოუშლიან ჩახმახს.

ისეც გრძელდება — დუელის შესაფერისად.

იგრიალებს ბარათაშვილის დამბაჩა, ორბელიანის ფალიაში კი მხოლოდ წამალი ამოიწვება. იმას ეგონება, მომატყუესო, და ჩაბერავდა სულს დამბაჩას. მაგრამ ნახავდა თუ არა, გატენილიაო, მოითხოვდა სროლის განმეორებას. მეორეჯერაც გავარდებოდა დამბაჩა და... ბარათაშვილი წაიქცეოდა.

მოვკალიო, გაუელვებდა თუ არა ეს ფიქრი ილიას, მაშინვე გადაეწმინდებოდა გონება და სასოწარკვეთილი მივარდებოდა თავის დისწულს, დაწვდებოდა და, შიშით გაოგნებული, მწოლარეს ჯიბის ახლოს მოავლებდა ხელს.

და „მკვდრის" ხმა მოესმის:

— აი, ქიშმიში მაქვს, ქიშმიში! ჯიბიდან არ ამომაცალო!

— უი, შენ დაგწყევლოს... შე შეჩვენებულო, გული რად გამიხეთქე, — სულს მოითქვამს ჭკუაზე გადასული ორბელიანი.

ასე გადაიქცა ტრაგედია კომიკურ სცენად, კიდევ ერთ სახალისო, ოინბაზურ ეპიზოდად მაშინდელ ყმაწვილკაცთა ცხოვრებაში, გახსენება რომ არა და არ მოწყინდებოდათ; ოღონდ ათწლეულთა შემდგომ იონა მეუნარგიას რომ არ ჩაეწერა ლევან მელიქიშვილისა და ნიკო ერისთავისაგან, უკვალოდ წაგვეკარგებოდა ეს მრავალმხრივ დამაფიქრებელი დუელი — ფსიქოლოგიურადაც, სოციალურადაც, ფილოსოფიურადაც კი, საზოგადოებრივი ცნობიერებისა თუ სულაც ეროვნული ხასიათის ღრმა შრეების ძიებისას საგანგებო განსჯასაც რომ მოითხოვს.

ქიშმიში მაქვს, ქიშმიშიო, — ესეც მთელი იმ ამბის, სცენაზე გათამაშებული ფარსის აპოთეოზი, გაპამპულება დუელის წესისა, უფრო იმ მოდური გატაცებისა, ასე სავალალოდ რომ მთავრდებოდა და ამ ულმერთო პროცესს დასასრული არ უჩანდა.

ქიშმიში მაქვსო, — ხითხითებდა ბარათაშვილი და გონება ეწმინდებოდა ორბელიანს, ვინც ისედაც მიხვდებოდა თანამეინახეთა ოინბაზობას, მაგრამ სიცილ-ხარხარით მაინც აუხსნიდნენ: დამბაჩები უტყვიოდ გავტენეთო.

პირველი სროლის შემდეგ საიდუმლო რომ არ გამოაშკარავებულიყო, მაღალაშვილი ნასჩურჩულებდა მეგობარს: დამბაჩა გავარდება თუ არა, უსათუოდ წაიქეციო.

შე შეჩვენებულოო, — სიყვარულით ემუქრებოდა ორბელიანი და ღმერთს მადლობას სწირავდა, ეს რა ბედნიერად გადავურჩით სიკვდილს ორივ ბიძა-დისწულიო.

იუმორით შემოგარსულა ეს ჩაშლილი დუელი, იუმორი მოგვიანებით კიდევ არაერთხელ იჩენს თავს ქართული დუელის ისტორიაში, აი, ჩაშლა და მორიგებით გათავება კი ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა.

## IV

ბერტა ფონ ზუტნერისათვის ძვირფასი შეიქნებოდა ჯერ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი, ვისაც ბად-ჰომბურგში გაიცნობდა 1864 წლის ზაფხულში, და მერე კი ზუგდიდი და საქართველო, ჩვენში სტუმრობას თავისი ცხოვრების სვებედნიერ ხანად რომ იგონებდა ყოველთვის. ამიტომაც აღარ გვიკვირს მისი მემუარული ჩანაწერების ქართველი პერსონაჟები, მათ შორის, ცხადია, სამეგრელოს დედოფლის შვილები, რომლებსაც სიყვარულით იხსენიებს — ნიკოსაც, ანდრიასაც, სალომესაც.

1866 წლის ზაფხულში ისინი კვლავ ხვდებიან ერთმანეთს ჰომბურგში და ავსტრიელ მწერალ ქალს უხარია, რომ დედოფლის ვაჟები მშვენიერი ყმაწვილები დადგნენ.

და, აი:

— ერთხელ ნიკომ დიდი შიში გვაჭამა.

იმჟამად ჭაბუკი ცხრამეტი წლისაა და შეშფოთებით იმიტომ შეუშფოთებია დედა და ახლობლები, რომ ერთი პარიზელი ქალბატონის გამო დუელში გაუწვევიათ.

რას გულისხმობს ეს „ერთი პარიზელი ქალბატონის გამო"?

რა უნდა გამხდარიყო უშუალო მიზეზი?

უსაფუძვლო ეჭვიანობა? თუ საფუძვლიანი?

მემუარისტი აღარ აზუსტებს. მისთვის მთავარი ისაა, რომ:

— საბედნიეროდ, ორთაბრძოლა არ შედგა.

დაბეჯითებით ისიც ველარ გაუხსენებია, მოწინააღმდეგე გაემგზავრა ქალაქიდან თუ მოწმეებმა მოახერხეს შერიგება. საშიში ღრუბლები კი გაფანტულა და ყველას ბედნიერად ამოუსუნთქავს.

და იქვე საგულისხმო ფრაზა:

— ამ შემთხვევამ კიდევ უფრო დამაახლოვა მეგრულ ოჯახთან.

ეს იმიტომ, რომ საერთო შიში განიცადეს. ბერტა ფონ ზუტნერმაც იგრძნო და ეკატერინე ჭავჭავაძემაც, თურმე რამხელა სულიერი ძაფები აკავშირებდათ. მოსალოდნელმა დუელმა გაამჟღავნა, როგორ აღელვებდათ ერთმანეთის ბედი.

ყმაწვილკაცი გადაურჩებოდა დაღუპვასაც და სისხლის დადებასაც.

## V

ილია ჭავჭავაძე მაგარი იყო, როგორც სალი კლდე, და დრეკა ვერ უყვესო, — იაკობ მანსვეტაშვილი ჯერ ილიას პორტრეტს შემოხაზავდა, როგორც მტკიცე ნებისყოფის პიროვნებისა, რათა ის ორი დუელი უფრო დამაჯერებლად წარმოესახა; და თვითონ მიზეზიც თვალნათლივ გადაეშალა მკითხველისათვის, თუ რა უბიძგებდა „კაცია-ადამიანის" შემოქმედს დუელში ეძია პირადი შეურაცხყოფის ჩამორეცხვა.

თითქოს უცნაურია, მემუარისტი ხმლის ელვარებას, ხანჯლების ტრიალს, დამბაჩების გულზე ლულით მიბჯენას რომ ახსენებს, ბოლოსდაბოლოს, ილია მწერალი იყო, რედაქტორი, ბანკირი და არა მეომარი, და ასეთი ასოციაციები რატომ უნდა ჩნდებოდეს მისი სახელის ხსენებისას? მაგრამ იაკობ მანსვეტაშვილს არავისაგან ესწავლებოდა ილიას პიროვნული ბუნება და იმ ასოციაციებს ასდევს, რაც ძალდაუტანებლად უჩნდება გონებაში. და სწორედ ამ გამოთქმების ფონზე უდასტურებს მკითხველს, რომ შეუძლებელი იყო ამ პიროვნების შეშინება და ვერარა ძალა გადაათქმევინებდა იმას, რაც მართლად მიაჩნდა. უკან დახევაც არა სცოდნია და როდესაც უსაყვედურებდნენ ჯიუტობას, სიკერპესა და სიმკაცრეს, ყოველთვის ამ ფრაზას შეაგებებდათ:

— მეომრის უკან დახევა, გამოქცევა ბრძოლის ველითგან — სიმუხთლეა, ღალატია.

თვითონვე წარმოედგინა თავი მეომრად, სალიტერატურო-საზოგადოებრივი ასპარეზი კი ბრძოლის ველად.

და მემუარისტს ბარიერთან ილიას არაერთგზისი დგომის მიზეზად სწორედ ეს სიმაგრე, შეუპოვრობა, სიმკვახე და მოურიდებლობა მიაჩნია.

ბარიერთან დგომაო და:

ნიკო ნიკოლაძეს გამოითხოვდა ორთაბრძოლაში, როდესაც ის რუსულ გაზეთ „ობზორს" გამოსცემდა. და სეკუნდანტად ამ გაზეთის თანამშრომელს, პოეტ სიმბორსკის აირჩევდა. ნიჭიერ და პატიოსან კაცად მოიხსენიებს მემუარისტი, და, ამასთან, თავგამოდებულ მცდელად, რათა ეს საქმე შერიგებით გათავებულიყო.

ამაოდ ჩაუვლიდა გარჯა, ერთიმეორის ნიჭისა და უნარის დიდი დამფასებელი ეს ორი პიროვნება პირისპირ წარდგებოდა იარაღმომარჯვებული და... ვიდრე გასროლის ნიშანს მისცემდნენ, სიმბორსკის გული ამოუჯდებოდა და აქვითინდებოდა. აშკარაა, დასაღუპად არცერთი არ ემეტებოდა — არც ის, ვისაც სეკუნდანტობდა, და არც ის, ვინც ამჯერად იქით მხარეს იდგა, არადა, საქვეყნო ჭაპანს ამდენი ხანია ერთად ეზიდებოდნენ და სწორედ ნიკო ნიკოლაძის თავგამოდების გამო მოხდებოდა, ილია სამუდამოდ რომ არ განუდგებოდა საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას და მომრიგებელ მოსამართლედ არ ჩაიკარგებოდა დუშეთში.

სეკუნდანტის ტირილი იმოქმედებდა დუელიანტებზე? რაიმე სხვა მიზეზიც ამოჩნდებოდა?

დაზუსტებით ვერავინ იტყოდა და აღარც მემუარისტი დაიწყებს ზედმეტ ჩხრეკას, მთავარია, რომ ჩახმახის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოშლამდე აღარ მივიდოდა საქმე და შერიგებით დაასრულებდნენ.

კიდევ კარგი, გასროლამდე ატირდა სიმბორსკი და არა გასროლის შემდეგ!..

### VI

ბარიერთან დგომაო და:

ილია ბანკის კრებაზე წლიურ ანგარიშს კითხულობს და განმარტებებსაც ჩაურთავს. სიტყვა ჩამოვარდება არწრუნისეულ მამულზე, ქალაქის შუაგულში რომ მდებარეობს, სასახლის ქუჩაზე, და ზედ გაშენებულია ქარვასლა, ქართული თეატრი და ბანკის სადგომი. ეს მამული ბანკს დარჩებოდა ექვსასი ათას მანეთად და ილია სიამაყით აღნიშნავდა: ბანკმა ქართველობას დიდი საშვილიშვილო სიმდიდრე შესძინაო.

წამოდგება გენერალი სუმბათაშვილი: რას გვიქადით, რომელ სიმდიდრეზე ლაპარაკობთ. მე კი მგონია, რომ ექვსასი ათასი მანეთი გადაგიყრიათ. რა სიმდიდრეს ჰხედავთ ამ მამულში, შიგ შავი ქვების მეტი რა ყრიაო.

ილია იუკადრისებს და საკმაოდ მკაცრადაც შეეპასუხება:

— თუ ეგრეა, მაშ მუქთად გაგვიცია ქალაქის მამულებზე მილიონები. ამ მამულებში, შენობებში ხომ ქვების მეტი არა ყრია რა? მაშ დავლუპულვართ, ფულები წყალში გადაგვიყრია? იქნებ გენერლის ჭკუა ასე სჭრიდეს, ჩვენ კი სხვანაირად გვიჭრის ჭკუა და გონება.

განაწყენებული გენერალი სიტყვას გააწყვეტინებს:

— შენი სიცოცხლე სულ მაგ ოინბაზობაში გაგიტარებია.

ილია აენთება და აბრიალდება:

— მაგაზე სხვა ადგილას მომცემთ პასუხს.

ამ ფრაზით სამხედრო პირი, ბრძოლებგამოვლილი გენერალი დუელშია გამოთხოვილი. ილია ხელთათმანის გადაგდებას იმ წუთას საკმაოდ მიიჩნევს და ისეთი დინჯი კილოთი განაგრძობს ანგარიშის კითხვასა და განმარტებას, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

სეკუნდანტებს იმავე დღეს გაუგზავნის გენერალს, მაგრამ დროისა და ადგილის დანიშვნამდე აღარ მივა საქმე, სუმბათაშვილი მოიბოდიშებს: გავცხარდი და უნებური სიტყვა წამომცდაო.

ილია, ცხადია, ბოდიშით დაკმაყოფილდება.

### VII

გრიგოლ ყიფშიძე იმასაც გაიხსენებს: ილიას რვა-ცხრა დუელი ჰქონდა, ხან მწერლობის ნიადაგზე გამოწვეული და ხანაც საბანკო მოღვაწეობის გამო გაჩენილიო.

უფრო ნიშანდობლივად აღარ აზუსტებს და აღარც ჩამოთვლის სათითაოდ, მხოლოდ განზოგადებისათვის მოიშველიებს, ილიას ხასიათის რელიეფური წარმოჩენისათვის: დუელში გასული კაცი მუდამ მშვიდობით გადარჩენის იმედით ვერ იქნება და ილიასაც თავი ჰქონდა გაწირული იმ საქმისათვის, რომელიც მართალი ეგონა და საკეთილო ქვეყნისათვისო.

რვა-ცხრაო...

და ყველა ჩაშლილი.

სანიმუშოდ ერთი ეპიზოდია მოხმობილი.

ბანკის კრებაა და საგანგებო სარევიზიო კომისიის ბრალდებებს ისმენენ. კომისიის მოხსენება ილიას უჭირავს და კითხულობს.

— თქვენ ნუ კითხულობთ, სხვამ წაიკითხოს, — მოისმის ხმები დამსწრეთაგან.

— მაშ არ მენდობით? — ჰკითხავს ერთ ოპოზიციონერს, როდესაც იგი დაჟინებით მოითხოვს, სხვამ წაიკითხოს კომისიის მოხსენება — ილიას წინააღმდეგ მიმართულიო.

— კარგი, აი, გადამიცია, სხვამ წაიკითხოს, ხოლო თქვენ მე მომცემთ პასუხს მაგისათვის, — შეურაცხყოფის ჩამორეცხვას ამით შეეცდება ილია.

და მეორე დღეს ოპოზიციონერსა და კომისიის წევრს კიდეც ეწვევიან ილიას სეკუნდანტები.

საქმე... ბოდიშის მოხდით გათავდება.

მემუარისტი ირწმუნება, ოპოზიციონერი საერთოდ დიდი პატივისმცემელი იყო ილიასი და მისი ღვაწლისა და შემდგომ გულისტკივილით ამბობდა:

— მე მოვეკალი — ჯანდაბას კიდევ ჩემი თავი, მაგრამ მე რომ მომეკლა ის დიდებული კაცი, ხომ მოსვენებას ვეღარასოდეს ვიპოვნიდი ამქვეყნადაო.

გრიგოლ ყიფშიძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ გარემოებას, რომ ეს ამბავი მოხდა... 1905 წელს, დიახ, ილიას მოხუცობისას, როდესაც სამოცდაათ წელს ბევრიც აღარა აკლდა რა.

და წინამურამდეც რაღა დარჩენილიყო!..

### VIII

ეს ორთაბრძოლა დუელად მოინათლებოდა.

დიმიტრი ყიფიანიც გაიმეორებდა გავრცელებულ ხმებს, სინანულითაც გადააქნევდა თავს და ვასილ კირვალიძესაც გაუზიარებდა თავის წუხილს:

— ასე, შვილო, იმის ნაცვლად, რომ ქართველმა ვაჟკაცმა სამშობლოსათვის თავი გასწიროს, რომ რამე სარგებლობა მოუტანოს, დღევანდელი ჩვენი ჩიტირეკია ყმაწვილები, ქუჩის ქალების მიზეზის გამო დუელში იწვევენ ერთმანეთს.

„კირვალიძეებიო“ ასე განაზოგადებდა ილია ჭავჭავაძე ვასილ კირვალიძის ერთ უკადრის საქციელს და ამ ადამიანს დასახავდა სიცრუის, უზნეობის ნიმუშად. როდის და რატომ — ამჯერად ნუ გამოვედევნებით, მარტოდენ ის გავიხსენოთ, რომ ეს პიროვნება სოციალ-დემოკრატი გახლდათ და ბრძოლისა და კამათის მათ ხერხებსა და მეთოდებს კარგად გაცნობილი.

მაშ ყალბისმქნელობის, ცილისწამების გარეშე არც მისი პუბლიცისტური სტატიები დარჩებოდა? არც დარჩენილა და, ცხადია, თუ ვინმეზე უნდა მიეტანა იერიში, უპირველესად ილიაზე. და ისიც რომ გამოეპასუხებოდა უგვან თავდასხმას, მწარედაც გაიბურთავებდა სოციალდემოკრატიის კიდევ ერთ ჯარისკაცს.

ის მაინც კმაყოფილი იქნებოდა — ხომ გავალიზიანე, ერთი ქვა მეც ხომ დავკარი და დიდხანს ველარც იბოგინებსო.

ამ მსოფლმხედველობის ადამიანს თითქოს დიმიტრი ყიფიანიც უნდა სძულებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც ილია ჭავჭავაძე არ უყვარს, დიმიტრი ვითომ რატომ უნდა ჩაქროდეს გულში?

მაგრამ სხვაგვარად სჯიდა ვასილ კირვალიძე და დიმიტრი ყიფიანს არამცთუ დიდად აფასებდა, სულაც ეთაყვანებოდა და ბედნიერებად მიაჩნდა მის ახლოს ტრიალი, მისი ლაპარაკის მოსმენა, მისთვის სულ მცირე სამსახურის გაწევაც.

ამიტომაც ყველაფერი სანდოა, რასაც დიმიტრი ყიფიანზე იხსენებს და მეტად მნიშვნელოვანი ცნობებიც შემოუნახავს, მათ შორის ის ზნეობრივ-პოლიტიკური ფორმულაც, სხვაგან ვერსად რომ ვერ წავაწყდებით — ვერც დიმიტრის პუბლიცისტურ ნაწერებში, ვერც ეპისტოლეებში, ვერც მემუარებში, ვერც სხვათა მოგონებებში.

ამჯერადაც სიტყვა-სიტყვით გვამცნობს მისთვის სათაყვანებელი კაცის გულისწყრომას ქართველ დუელიანტებზე.

ეს ჩანაწერიც რომ არ არსებობდეს, ისედაც იოლი მისახვედრია, რომელი სამრეკლოდან გაიაზრებდა დიმიტრი ყიფიანი დუელის საზოგადოებრივ-მორალურ დანიშნულებასა და იდეურ შინაარსს.

რისი უფლებაც დიდ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შვილებს ჰქონდათ, თავისუფლებისმაძიებელი ქვეყნის შვილებისათვის ის გადამეტებული ფუფუნება ჩანდა, რასაც არ უნდა გამოდევნებოდნენ.

სისხლს შენახვა სჭირდებოდა.

ენერგიას დაზოგვა.

თავიც მხოლოდ ქვეყნის გამოსახსნელად შეიძლება გადაგედო.

„ჩიტირეკიაო“ — ამიტომაც ვერ შეარჩევდა დიმიტრი ყიფიანი უფრო თავშეკავებულ სიტყვას. და უარესსაც მოაყოლებდა: ეგეც ასეთი სისულელის მსხვერპლი შეიქნაო.

დათა მიქელაძეს გულისხმობდა, ორთაბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან მის მოღრეცილ სახეს.

იმის გულისთვის მაინც არ დაინდობდა, რომ თუ ვინმე მოჩანდა ქართულ კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში, მათ შორის დათა მიქელაძესაც მოეხვეჭა სახელი და „მეველის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ მის სტატიებს დაეძებდა მკითხველი, რაკიღა ყოველთვის რაღაც ახალსა და საგულისხმოს ელოდა?

მითუფრო ვერ აპატიებდა.

შენი ნიჭი და უნარი შენს დაბეჩავებულ მამულს ყველაზე მეტად სჭირდება და, თუ გული გერჩის, მისთვის დაგჩნეოდა სახეზე ასე მკვეთრად ჭრილობა.

ნეტა თვითონ მეველესაც თუ დუელად მიაჩნდა ის შეტაკება ქუთაისის ბულვარში, გაზეთი „დროება“ სასწრაფოდ რომ გამოეხმაურა: დავით მიქელაძე და ალექსანდრე წულუკიძე ერთმანეთს დატაკებიან და ერთს ხმლითა და მეორეს ხანჯლით დაუწყიათ ერთურთის ჩეხა. ერთი წუთის განმავლობაში მომხდარა ეს საქმე და, ვიდრე ვინმე მიეშველებოდათ და გააშველებდათ, დავით მიქელაძე მძიმედ დაჭრილა და სისხლში მცურავი ძირს დავარდნილა, ალექსანდრე წულუკიძე კი ასე მძიმედ არ ყოფილა დაჭრილი და სხვის დაუხმარებლადაც შეძლებია შინ წასვლა. ამბობენ, მიქელაძეს სამი ჭრილობა აქვს ხანჯლით, ერთი თავში, მეორე მხარზე და მესამე გვერდში, წულუკიძე კი მარტო ორ ალაგას არის დაჭრილი: თავში და მხარზეო.

აუცილებელი იყო შეტაკების მოტივის გამორკვევაც და, რედაქცია როგორც შეიტყობდა, ისევე ამცნობდა მკითხველს:

— მიზეზი მათი ჩხუბისა, როგორც გავიგონეთ, ქალი ყოფილა.

მაინც ფრთხილობენ, ვაითუ სათავე უფრო სხვა იყოსო, და პასუხისმგებლობას იმ ხმებზე ჰკიდებენ, რაც ამ ამბის ირგვლივ დატრიალებულიყო.

ნეტა თვითონ მეველესაც თუ დუელად მიაჩნდაო...

გაზეთის ქრონიკა როგორ იუწყებოდა?

ერთს ხმლითა და მეორეს ხანჯლითო.

ორივეს თუ ერთნაირი იარაღი არ უჭირავს ხელთ, დუელი როგორღა დაერქმევა?

ვიდრე ვინმე მიეშველებოდათ და გააშველებდათო.

არც სეკუნდანტები მდგარან ახლომახლო და არც ექიმი.

და საერთოდაც ბულვარი, რომელიც ქალაქის შუაგულში მდებარეობს, განა დუელის ადგილად გამოდგება?

იქ მხოლოდ აფექტში მყოფი, გრძნობებს აყოლილი ორი კაცი შეიძლება შეაწყდეს ერთმანეთს, თორემ დუელისათვის ყველგან და ყოველთვის მიყრუებული, განაპირა ადგილები შეურჩევიათ.

* * *

„დათა თუთაშხიას“ დასაწყისშივე ჩართულია თითქოსდა ოფიციალური დოკუმენტი: 1885 წლის 11 მარტის დაკითხვის ოქმი. ფოთის სამხედრო ლაზარეთში წევს გადამდგარი პორუჩიკი სერგი ანდრიევსკი, ვინც გამომძიებლის შეკითხვაზე: ვინ მოგაყენათ ჭრილობაო? — პასუხობს: ზუგდიდის მაზრის მცხოვრებმა დათა თუთაშხიამ, ჩვენს შორის სროლა ურთიერთთანხმობით, ნებაყოფლობით მოხდაო.

გამომძიებელი დაზუსტებას ცდილობს:

— თქვენ გნებავთ თქვათ, რომ თქვენს შორის დუელს ჰქონდა ადგილი?

მაგრამ დაჭრილი დაბეჯითებით განუმარტავს:

— არა. ჩვენს შორის მოხდა ურთიერთთანხმობაზე დამყარებული სროლა, წინასწარდადგენილი პირობებისა და სეკუნდანტების გარეშე. მოგეხსენებათ, ეს დუელად ვერ ჩაითვლება.

თანაბარი იარაღით ბრძოლა უსეკუნდანტებოდ თუ დუელად ვერ ჩაითვლება, სხვადასხვა იარაღით — მითუმეტეს!..

ისე დუელი რატომ არ შედგა?

ასე ეჩქარებოდა დათა თუთაშხიას ანგარიშის გასწორება, რომ სეკუნდანტების შერჩევამდე და საბრძოლო ადგილის დანიშვნამდე ველარ მოიცადა?

შეგნებულად თუ ქვეცნობიერად გაუჩნდებოდა განცდა, სეკუნდანტები ჩაშლით თუ ჩაშლიან ორთაბრძოლას, თორემ სხვა არაფერში წამადგებიანო.

ამიტომაც — სახელდახელო შეტაკებას ამჯობინებდა, დუელს რომ წააგავს და დუელი მაინც არ არის.

ქუთაისის ბულვარის ის სისხლიანი წუთი კი მიახლოებითაც არა ჰგავს დუელს.

* * *

„დროება“ რამდენიმე დღეში იმასაც შეატყობინებდა მკითხველს: ქუთაისიდან მოგვივიდა ამბავი, რომ დავით მიქელაძე, ვინც 10 მარტს დაჭრეს ბულვარზე, ამჟამად

თითქმის სრულიად მორჩენილია, მეორე დაჭრილი ალექსანდრე წულუკიძე კი ჯერაც ლოგინში წევს, ყველაზე უფრო მკლავის ჭრილობა აწუხებს, ამბობენ, ხელი გაუფუჭდებაო.

მაინც რა ხდება — ძირს დავარდნილი და ლამის სასიკვდილოდ გადადებული უკვე გამოჯანსაღებულა, შინ საკუთარი ფეხით წამსვლელი კი ვერა და ველარ წამომდგარა და ხელიც ძალიან გამიზეზებია.

ასე კი შეტრიალებულა ყველაფერი...

და რაკილა გული დავიმშვიდეთ, რომ სიკვდილის აჩრდილს ორივე მიუტოვებია და ის შეტაკება სისხლიან ეპიზოდად, არცთუ ხალისიანად გასახსენებელ ამბად შემორჩება მათ ხსოვნას, მაგრამ ორივე ძველებურად გააგრძელებს თავთავის ცხოვრებას, იქნებ აღარ გავყოლოდით ამ ორთაბრძოლაზე ფიქრს.



მხატვარი კარლო ფაჩულია

არა ყოფილა დუელი.

მართალია დიმიტრი ყიფიანი მაინცდამაინც ამ სახელით იხსენიებს და გარკვეულ წრეებში სწორედ დუელად მიიჩნევდნენ, მაგრამ ორთაბრძოლის იმ სახეობის წესკანონები ისეა დარღვეული, უფრო ზუსტი განსაზღვრება შეტაკებაა, დიახ, დუელი კი არა, შეტაკება — შეებნენ იქ, სადაც გადააწყდნენ ერთმანეთს, და შეებნენ იმ იარაღით, რაც იმ წუთას ხელთ ეპყრათ.

ოღონდ ესეცაა — დუელად აღიქმება თუ არა სინამდვილეში, მაშინდელ საქართველოში ასე მოიხსენიეს და ეს გარემოება გვავალებს, ერთბაშად არ ჩამოვეხსნათ ამ ორთაბრძოლის განსჯას და კიდევ და კიდევ დავუკვირდეთ, თუკი სხვა რაიმე ცნობაც მოგვეპოვება.

დავით მიქელაძეს ყველაზე ძალიან ის აღელვებდა, ქალი რატომ ახსენეს ჩვენი უთანხმოების მიზეზადო, და „დროებას" რომ მიაწვდიდა განმარტებით სტატიას, სხვა გაზეთებსაც — „კავკაზი" და „თბილისის მოამბე" — სთხოვდა მათ გადაბეჭდვას.

უფალო რედაქტორო, ნება მომეცით მოგახსენოთ, რომ მიზეზი „10 მარტის უსიამოვნო შემთხვევისა ქუთაისის ბულვარზედ" სრულიად ქალი არა ყოფილა, როგორც თქვენ მოგვითხრობთო.

თურმე გაელიზიანებინა ზოგიერთ მოპირდაპირეს ზურგსუკან ნათქვამი სიტყვებითა და მოქმედებით და, როგორც კი იპოვნა შესაფერისი დრო, გამოელაპარაკა და ცოტა რამ უსიამოვნების შემდეგ დიახაც მოუხდათ ერთიმეორის ჩეხა.

ამ დეტალითაც დასტურდება კიდევ ერთხელ, შემთხვევით რომ გადააწყდნენ ერთმანეთს და წინასწარი შეთანხმებითა და სეკუნდანტებთან ერთად არ შეხვედრიან.

განსაკუთრებით საგულისხმო და დამაფიქრებელი ეს პასაჟია:

— მართალია, ამნაირათ თავის პატივის დაცვა, გასწორება ერთობ მხეცურია: მაგრამ რა უნდა მექნა? დუელს არათუ არა აქვს მოდგმული ძირი ჩვენს საზოგადოებაში, არამედ მცირეოდენი კვირტიც ვერ გამოულია. ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ათიოდე შემთხვევა მაინც იყო გამოწვევისა დუელში, მაგრამ ერთიც არავინ გაპყოლია თავის მოპირდაპირეს; საზოგადოებამ იცოდა ყველა ესენი, მაგრამ მას ზნეობით არავინ დაუსჯიათ ამისათვის. თითონ თქვენს მონა-მორჩილ მოსამსახურეს ორი შემთხვევა ჰქონდა გამოწვევისა და სეკუნდანტად მისვლისა, მაგრამ ორივეჯერ ჩინებული უარი მივიღე.

და შესჩიოდა: იქ, სადაც არ არის სპეციალური სამსჯავრო, „ღირსების სასამართლო", რომელიც არჩევს მხოლოდ გალანძღვის საქმეს, როგორც, მაგალითად, იტალიაშია, სადაც არ არსებობს არც დუელი და არც საზოგადოებრივი დევნა მეჭორეთათვის, მიბრძანეთ ერთი, რა უნდა ჰქნას კაცმაო?..

მოპირდაპირის გამტყუნების სურვილს ხომ არ გამოეწვია ამ ბარათის მიწერა რედაქციისათვის?

აბა, რა საკადრისია. დავით მიქელაძეს მხოლოდ ის სურვილი ამოძრავებდა, რომ რაკილა „10 მარტის შემთხვევა" დაიბეჭდა და მოტივიც დასახელდა, ბარემ მისი ნამდვილი მიზეზიც ყოფილიყო გამოცხადებულიო.

სხვა მკვლევარი იოლად დაენდობოდა დავით მიქელაძის მხურვალე მტკიცებას, ქალი არაფერ შუაშიაო. და დაენდობოდა იმიტომაც, რომ ხელჩასაჭიდს ვერაფერს იპოვნიდა განმარტებითი ბარათის შინაარსის უარსაყოფად. საწინააღმდეგოს არავინ ირწმუნება და, სხვა რა გზაა, ამ ერთადერთ ჩვენებას უნდა ენდო, თუნდ ეჭვიც აგიჩუჩუნდეს გულში, იქნებ განზრახ ლამობს ნამდვილი მიზეზის დაფარვას, ქალის სახელს უფრთხილდება, სურს ჩანასახშივე აღკვეთოს ამ მიმართულებით კვალის გაყოლა ცნობისმოყვარეთა და ჭორიკანათათვისო.

და ის სხვა მკვლევარი მარტოდენ ამ მასალებს მოუყრიდა თავს დავით მიქელაძის პიროვნული ხასიათის წარმოსაჩენად.

მაგრამ ორთაბრძოლის ნამდვილი მიზეზი კიდევ უფრო ღრმად რომ ჩაგვახედებს ამ ხასიათში?

რაც მთავარია, ეჭვმა იმიტომაც არ უნდა მოგასვენოს, მეველე მიზეზად ქალს რომ უარყოფს, მაგრამ... სანაცვლოდ არაფერს ასახელებს.

გაემხილა, რა უშლიდა!..

ექვი ექვად, მაგრამ რა გინდა ილონო?

ელგუჯა თავბერიძე დეტექტივის მიზანსწრაფვით გაჰყვებოდა კვალს, გადაჩხრეკდა მაშინდელ პრესას, მემუარებსა და ეპისტოლურ მემკვიდრეობას და სულაც არ მოელოდა, რომ მაინცდამაინც პირდაპირ ჩვენებას ამოიკითხავდა სადმე. მის ალღოზე უფრო ეკიდა გაიდუმალებული მიზეზის ამოცნობა.

ეძიებდა, ეძიებდა და:

ორთაბრძოლის მიზეზი ქალი უნდა ყოფილიყოო.

ჯერ „დროების" ერთ ამონარიდს დაიმოწმებდა, მეველის დასახასიათებლად შერჩეულს (აი სიმპათიური, ყველასათვის, განსაკუთრებით ქალებისათვის, საყვარელი ყმაწვილი კაცი! კარგი ტანადი, ლამაზი თვალადი, კარგად გაზრდილი, წვერულვაშა, ჟუჟუნა თვალები, ფართო შუბლი, მაგრამ მაღლა ნუღა აიწევით, ქუდი რომ ეხუროს, ისე ნახეთ!"), შემდეგ კი გაიხსენებდა მისი ერთადერთი მხატვრული თხზულების — დრამა „ხაფანგი" — ზოგად შინაარსს და დასძენდა: მეველეს პიესაში ავტობიოგრაფიული მომენტიც უნდა გამოეყენებინოსო.

სიუჟეტური ქარგა საგრძნობლად გადასხვაფერებული და დაშორებული ჩანდა რეალური ამბისაგან, მაგრამ კონფლიქტის კვანძს ქმნიდა თავადისა და აზნაურის შეტაკება გლეხის ქალის გულისათვის.

ავტორს რაინდული ხასიათები გამოეხატა დრამაში და ეს პიროვნული თვისებაც საკუთარი ბუნებიდან უნდა გადაეტანა თხრობაში, და ისიც ნიშანდობლივი გახლდათ, „დროება" თავის თანამშრომელთა პიროვნული ხასიათის წარმოჩენისას მეველეს ასე რომ წარუდგენდა მკითხველს: ხასიათში საშუალო საუკუნის რაინდული თვისებანი და XIX საუკუნის დემოკრატიული სულისკვეთება ერთად აქვს შეზავებულიო.

ნეტა თვითონ მეველესაც თუ დუელად მიაჩნდაო...

იმ განსაკუთრებით საგულისხმოსა და დამაფიქრებელ პასაჟში იმდენჯერ ახსენებს დუელსა და მის გარემოებებს, ერთი შეხედვით მოგეჩვენება კაცს, რომ ალექსანდრე წულუკიძესთან შეჯახება სწორედ ამ აქტად წარმოუდგენია, და გამართლებასაც უძებნი: ეტყობა, საქართველოში რომ არ დამკვიდრებულიყო ეს მოვლენა, მასზე ცოტა ბუნდოვანი შეხედულება ჰქონდათ და ამ განწყობილებას დავით მიქელაძეზეც კი მოუხდენია ზემოქმედება, საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და ლიტერატურულ მოვლენებში ასერიგად გათვითცნობიერებულ პიროვნებაზეო.

მაგრამ ზედაპირული აღქმის მიღმა საკმაოდ ნათლად იკვეთება, რომ განმარტებითი ბარათის შემდგენელი ღრმადაა ჩახედული დუელის ბუნებასა და წესებში და 10 მარტის ორთაბრძოლა მის ქართულ ორეულად სულაც არ ესახება.

თავს იმართლებს რედაქციისა და მკითხველის წინაშე, ქუჩურ შეტაკებაში რომ მოუხდა მონაწილეობა და არა დუელში, რაკილა ამ მოვლენას „არა თუ არა აქვს მოდგმული ძირი ჩვენს საზოგადოებაში, არამედ მცირეოდენი კვირტიც ვერ გამოუღია".

ხუთ წელიწადში ათ შემთხვევას მაინც იხსენებს დუელში გამოწვევის, მაგრამ რად გინდა — ერთიც არ შემდგარა.

არ არის დამაფიქრებელი?

და დავით მიქელაძეს რომ ეგონა, საზოგადოება გაკიცხავდა ორთაბრძოლისათვის თავის ამრიდებელთ, სახელი შეელახებოდათ, მსგავსიც არაფერი მომხდარა და დუელში გამოწვევა ასე გადაიქცა კომიკურ სიახლედ ქართველთა ცხოვრებაში — ტფილისშიც, ქუთაისშიც... აგერ თვითონ ხელთათმანიც უსვრია მოპირდაპირისათვის და სეკუნდანტობაც უკისრია, მაგრამ ორივეჯერ გაუწბილებიათ.

ამჯერადაც ეს იქნება მოსალოდნელი, ალექსანდრე წულუკიძე დუელში რომ გამოვითხოვოო, — უფიქრია; მართებული იყო ეს ფიქრი თუ უმართებულო, ამდენს უკვე აღარ დაგიდევდა. ეტყობა, განსაკუთრებით აღელვებინა წულუკიძისაგან მოყენებულ შეურაცხყოფას, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე მიიჩნია, თავმოყვარეობა ძალიან შემილახაო, და ალალბედზე ვერ შეაგდებდა ორთაბრძოლას... დუელში გამოწვევით. ყველა დუელი ჩაშლილიყო ტფილისსა და ქუთაისში, იქნებ სხვა ქალაქებშიც, და რაღა ამას მოებმოდა თავი. ამიტომ ისევ ბედს მიანდობდა, ისე როგორ იქნება, სადმე არ გადავაწყდეო.

აღარ დაგიდევდა, თვითონ ხანჯლის ამარა რომ იყო და მოპირდაპირეს ხმალიც ეკიდა (საგაზეთო ინფორმაცია პირიქით იტყობინებოდა!), აღარც ქალაქის შუაგულს დაგიდევდა და აღარც გამვლელ-გამომვლელს, მოჰკრავდა თვალს თუ არა, მიეტევებოდა და ლამის კიდეც შეეწირებოდა.

ქალი არაფერ შუაშიაო, — ეფიცებოდა გარშემომყოფთაც, რედაქციასაც და მკითხველსაც სიკვდილს გადარჩენილი.

არ გინდაო, — შეეღიმილებოდა საუკუნის გადასახედიდან ელგუჯა თავბერიძე, — ყველაფერი ცხადია, მიზეზი ამოცნობილია და ნუ გადაფიცავ ქალის ვინაობას ხომ არ გეკითხებითო.

ეს ჩვენი ჩიტირეკია ყმაწვილები მაინცდამაინც სისულელის მსხვერპლნი უნდა შეიქნანო, — გული ვერა და ვერ მოებრუნებინა დიმიტრი ყიფიანს.

... ეს მაინც რა იყო — გახშირდებოდა დუელში გამოწვევა, მაგრამ გამოწვევისთანავე ქრებოდნენ დუელიანტები და ამაოდ დარბოდნენ და დაეძებდნენ სეკუნდანტები ორთაბრძოლის მოწადინეთ... ან რაღა მოწადინეთ, ჩაფერფლილიყო სურვილი ხელთათმანის სროლისთანავე... და საზოგადოება, დავა-კამათისა და ფიცხელი შეხლა-შემოხლების დიდი მოყვარული, ამ შემთხვევაში გაყუჩებას ამჯობინებდა, ოდნავადაც არ წააქეზებდა მოპირისპირეთ, არ დასცინებდა, არ გაინაპირებდა. სისხლის წყურვილი ჯერ არ ტრიალებდა მის წიაღში და ისიც იოლად გადაატარებდა ყოველ ასეთ გამოწვევას.

სეკუნდანტებმა რაღა დააშავეს, დუელიანტებს რომ ველარ პოულობდნენ!..

ცოტას ვაჭარბებ?

დავით მიქელაძის განმარტებითი ბარათიდან მთლად ასეთი გროტესკული სურათიც არ იხატება?

საამისოდ ხომ უბიძგებს მწერლის წარმოსახვას, გროტესკული სტილისტიკის მოყვარულთ ნოყიერ მასალას აწვდის და მოთხრობაც შეიძლება გაიშალოს ამ ქარგაზე, ანდა რომანში ჩაიდგას ერთ-ერთ შენაკადად. და ვისაც გული ერჩის, ხელიდან გასაშვები თემა არ არის.

ხუთ წელიწადში ათი გამოწვევა.

ათივე ჩანასახშივე ჩაშლილი.

და კიდევ ნუ ვაზვიადებ?

ქალი არაფერ შუაშიაო, — დავით მიქელაძეს ეს აწუხებდა და ადარდიანებდა, თავისი მოღრეცილი სახე კი არა, ალექსანდრე ნულუკიძის ხმლისაგან სამუდამოდ დასახიჩრებული.

## IX

დავით ერისთავის ცხოვრებაშიც გამოერეოდა ერთი ასეთი ეპიზოდი.

მამამისი, გიორგი ერისთავი, ვიდრე ჟურნალისა და თეატრისათვის გადადებდა თავს, სამხედრო პირი გახლდათ ჩინით, მთავარმართებლის ამალაშიც ირიცხებოდა და ჯარსაც გაჰყოლია დაღესტანში ყაზი-მოლასთან საომრად, მაგრამ არავითარი ცნობა არ შემონახულა, მოსვლია თუ არა ვინმესთან ისეთი შეხლა-შემოხლა, დუელში გაწვევა აუცილებელი გამხდარიყო. ბუნდოვნადაც რომ არსებობდეს ასეთი ცნობა, მის ბიოგრაფოსს არაფრისდიდებით არ გამორჩებოდა — იონა მეუნარგიას, ვინც ამგვარ ეპიზოდს ხელიდან არ გაუშვებდა, ისევე, როგორც საგანგებოდ ჩართავდა დავით ერისთავის ცხოვრების ქრონიკაში მისი დუელის ამბავსაც. ის კი არა, სულაც სეკუნდანტად დადგომია.

არასოდეს არაფერი საერთო არა ჰქონია დავით ერისთავს იარაღთან თუ სამხედრო უწყებასთან და, ბედის ირონიით, რაც ასცდა პრაპორშჩიკსა და შეიარაღებული აჯანყების მზადებაში გარეულ გიორგი ერისთავს, არც ასცდებოდა მხოლოდ ლიტერატურით, თეატრითა და სალონური ცხოვრებით გატაცებულ მის ვაჟს.

გაზეთ „კავკაზს" რედაქტორობს დავით ერისთავი და თანამშრომლები თავიანთ ნებაზე მიუშვია: ოღონდაც ქვეყნისათვის საჭირბოროტო საგნებზე წერეთ და ოდნავი ხელისშეშლის შიშიც ნუ გექნებათო.

ასეთი ნებართვა და სრული ნდობა არაერთ უსიამოვნებას შეამთხვევდა რედაქტორს და სულაც დუელის სუნთქვას აგრძნობინებდა.

ილია ხონელს რა ენაღვლებოდა, მწვავე წერილს მწვავე წერილს რომ მოაყოლებდა ტფილისის კრედიტის საზოგადოებისა და მისი თავმჯდომარის ნაპოლეონ ამათუნის წინააღმდეგ, პასუხი ჟურნალისტის მაგივრად რედაქტორს უნდა ეგო. და თავადი ამათუნი ცუდად ხსენებას რომ იუკადრისებდა, არა ილია ხონელს, არამედ დავით ერისთავს გამოუგზავნიდა თავის ორ მეგობარს მოთხოვნით:

— ან ბოდიში მოიხადოს რედაქციამ გაზეთშივე ხონელის წერილებისათვის, ან იარაღით გავასწოროთ დანაშაული.

რედაქტორს თუმც იარაღი არასოდეს სჭერია, მაგრამ თანამდებობა ავალდებულებდა ღირსებით შეხვედროდა გამოწვევას და მოგზავნილებთან მოსალაპარაკებლად აირჩევდა სოსიკო შალიკაშვილსა და იონა მეუნარგიას.

მოლაპარაკება სამ დღეს გასტანდა.

ჩვენს რჩევაში მაინც და მაინც სისხლი არავის სწყუროდა, ყველას პირისახეზე გვეტყობოდა სურვილი — მოგვერიგებინა მოწინააღმდეგენიო, — იონა მეუნარგიამ, — მაგრამ ენას მაინც ის უნდა ელაპარაკნა, რაც სეკუნდანტებს შეეფერებოდა, და ფართიფურთი ბევრი დავხარჯეთ ორივე მხრითო.

განსაკუთრებით სოსიკო შალიკაშვილი იფაფხურებდა, ბუნებით მშვიდობისმოყვარე პიროვნება, რომელიც მოლაპარაკებისას ნამდვილ ბრეტერად გამოჩნდებოდა, ვინც სულ სისხლს თხოულობდა.

ბოდიშის მოხდის ფორმაზე რომ ვერ შეთანხმდებოდნენ, საქმე უკვე იარაღზე მიდგებოდა და დუელის იარაღად შეირჩეოდა დამბაჩა.

წინა დღეს დავით ერისთავი გავიდოდა ქალაქგარეთ, ვერისაკენ, რათა ნამდვილად დარწმუნებულიყო, შეეძლო თუ არა მასაც დამბაჩის ხელში დაჭერა და სროლა, და ერთხანს ტრიალ მინდორში ავარჯიშებდა თავის მარჯვენას.

— არა, ვინც სთქვა, ტყვიისა არ მეშინიანო, უტყუვნია, — დაუძახებდა იონას, როდესაც იგი ამ რეპეტიციისას მიზანში ამოიღებდა და სროლას დაუპირებდა.

იმ საღამოს ყველა საჭირო თადარიგს დაიჭერდნენ — დამბაჩებს იყიდიდნენ, ექიმებს მოიწვევდნენ. დავითი წერილს დაწერდა თავისი სახლობის სახელზე და მეორე დილას უკანასკნელად შეიყრებოდნენ სეკუნდანტები და უკანასკნელადაც შეეცდებოდნენ, რომ როგორმე მოერიგებინათ მოწინააღმდეგენი.

ეს შეხვედრა ნაყოფიერი შეიქნებოდა.

ერთი დაუკლებდა პრეტენზიას, მეორე ბოდიშს წაუმატებდა და... დუელი მორიგებით გათავდებოდა, რასაც მიჰყვებოდა შერიგების სადილი „ევროპის" ბაღში, აზგარას მშვენიერი სიტყვებით.

და ჰეპი-ენდი ეს ან რაღაც ამგვარი ფრაზა შეიძლება ყოფილიყო:

„უფრო გემრიელი სადილი მე არ მიჭამია".

უფრო გემრიელიც რა იქნებოდა ან მანამდე, ან შემდეგ — სისხლის ნაცვლად ღვინო, მოთქმის ნაცვლად სიმღერა, ტრაგედიის ნაცვლად ღიმილითა და ხალისით გასახსენებელი ეპიზოდი.

## X

შვიდი-რვა დუელი ჰქონდაო...

თვითონ სულ ასე დუელისაკენ მიურბოდა გული და ხელი ილია ჭავჭავაძეს, მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილი თედო ჟორდანიას რომ გამოიწვევდა დუელში, ექვთიმეს გიგა ყიფშიძის პირით შეუთვლიდა: მინახულეო, — და თხოვნით სთხოვდა: როგორმე მშვიდობით გაათავეთ საქმე, სულ ორი კაცი მუშაობს ჩვენს ისტორიაზე და ახლა თქვენი დუელი როგორ შეიძლებაო?

ექვთიმე ვერ შებედავდა გაეხსენებინა: თავის დროზე თქვენ რატომღა გქონდათ სადუელო საქმე ნიკო ნიკოლაძესთანო, — და მხოლოდ მემუარულ ჩანაწერებში ჩართავდა გაკვრით ამ განაფიქრს.

თედო ჟორდანიასთან თავსგადახდენილ იმ უსიამოვნებას კი „ხანგრძლივ და მწვავე კონფლიქტად" მოიხსენიებს და ზოგად ქარგასაც ალაგებს.

ექვთიმე სამეცნიერო ასპარეზზე გამოჩნდებოდა თუ არა და „სამ ისტორიულ ხრონიკასაც" გამოაქვეყნებდა, ის „ივერიის" ფურცლებზე განცხადებას მოაყოლებდა: „მოქცევაი ქართლისაი" პირველად მე გადმოვწერე და გადმონაწერი ვათხოვე ილია ჭავჭავაძეს, როდესაც იგი „ქვათა ღაღადს" წერდა, და მერე ის რვეული მისგან ექვთიმე თაყაიშვილს წაუღიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სასტიკ შეურაცხყოფად მიილებდა ამ განცხადებას და თედო ჟორდანიას სამედიატორო სამართალში გამოიწვევდა, და ის რომ არ გამოყვებოდა, შემდეგ უკვე დუელშიც, მაგრამ ის ამასაც თავს აარიდებდა.

მაშინ იყო, ამ ამბავს ილიაც რომ შეიტყობდა და ძალიან შეწუხდებოდა: ასეთი რამ ჩვენს გაზეთში არ უნდა დაბეჭდილიყოო.

და ექვთიმეს თავისთან რომ დაიბარებდა, ძალიან გულისხმიერად მოუბოდიშებდა: ხომ იცი, დრო არა მაქვს, მე თვითონ ვერ ვკითხულობ გაზეთს, თორემ როგორ გავუშვებდი, ეს სულ რედაქციის ბრალიაო.

მერე არის, დუელში გამოწვევისათვის რომ უსაყვედურებს, სულ ორი კაცი მუშაობთ საქართველოს ისტორიაზეო.

ეს თავს იმართლებს: მუშაობა ახლა დავიწყე და უკვე ასეთი ლაფი გადამასხეს თავს, როგორ შემიძლია ეს შეურაცხყოფა გადავიტანო, მშვიდობით კი საქმე არ ეწყობაო.

ილია ურჩევს: სამედიატორო სასამართლოში გამოიწვიეო. და ექვთიმეს პასუხი: არც სასამართლოში გამოდის და არც დუელშიო, — პასუხად შესძახებს: ეგ ყოვლად შეუძლებელია, როგორ არ გამოგყვებათ, ეგ ხომ იმის ნიშანი იქნება, რომ ცილისმწამებელიაო. და ექვთიმე დაყაბულდება: სასამართლოს დავჯერდებიო.

ილიას რჩევით მედიატორებსაც დაასახელებდა.

ასე შეწყდებოდა დუელზე ლაპარაკი.

ისე თუ მკითხველს დააინტერესებს მედიატორთა მიერ გარჩეული ეს საქმე და იქ ილია ჭავჭავაძის როლი, ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებებს ჩახედოს ანდა იმ მხატვრულ-დოკუმენტურ ნარკვევს, თუკი ვინმე ითავებს სამედიატორო სასამართლოს ისტორიის სურათის აღდგენას საქართველოში.

## XI

სადუელო თავგადასავალს ვერც მოგვიანებით გადაურჩებოდა ნიკო ნიკოლაძე.

გარემო სწორედ შეუფერებელი გახლდათ ორთაბრძოლის გამოსაწვევად.

ქაშვეთის ეკლესიის გალავანი.

დიახ, ეკლესია, და ეს 1894 წლის 10 დეკემბერს.

თარილმა გაფიქრებინათ, ალექსანდრე ყაზბეგის წლისთავის პანაშვიდს ხომ არ იხდიდნენ იმ დღესო?

სწორად მიმხვდარხართ — პანაშვიდს უხდიდნენ და დიდძალ ხალხსაც მოეყარა თავი.

ხალხმრავლობა ახსოვდა ალექსანდრე ყაზბეგის დაკრძალვის პროცესიას, ამ ეკლესიიდან რომ გამოასვენებდნენ, იქაურობა ჭირისუფლად შეყრილ ქართველობას ვერ იტევდა და დიდებული მწერლის ნეშტის მიბარება სტეფანწმინდის მიწისთვის აქედანვე საპროტესტო მანიფესტაციას დაემგვანებოდა.

წლისთავიც პროტესტანტულ გამოსვლად გადაიქცეოდა — არანაკლები სიმძაფრის.

და ეს იმ კაცს დაიტირებდნენ ასეთი განცდით, ერთი აკვრით რომ მოეპოვებინა პოპულარობაც და სახელიც და ჰეროიკული სული აელორძინებინა და განემტკიცებინა. ყველასათვის ნაეჭარბებინა და ქართველთა ჰომეროსობაც მოეხვეჭა, მაგრამ ათასგვარად განამებული ცხოვრება ხვდებოდა წილად და ტანჯული ქვეყნის შვილი ტანჯვითაც დალევდა სულს, ვაჟა-ფშაველას სტრიქონებისა არ იყოს.

ალექსანდრე ყაზბეგის განამებული სიცოცხლე შემთხვევით არ წამომგონებია.

ოდნავი გადახვევაც კი არ არის თხრობის დინებიდან.

და ეს იმიტომ, რომ მიზეზი შესაძლოა ესეც ყოფილიყო იმ შეხლა-შემოხლისა, ნიკო ნიკოლაძესა და ბებურ ბებურიშვილს შორის რომ ატყდა.

ხელს გაარტყამდა ბებურიშვილი.

ეკლესიის ეზოში!..

პანაშვიდზე!..

ამდენი ხალხის თვალწინ!..

რას გაეხელებინა ასე, რომ მორწმუნე საზოგადოების წევრი არაფერს მორიდებია და... თვით უფლის სახლსაც?!.

და ელგუჯა თავბერიძე საიდუმლოებითმოცული გორგალის წვერის გამოხსნას აქედან შეეცდება: მოჩხუბარიძეს სიცოცხლეში შესაფერისად რომ არ აფასებდნენ და მიტოვებული ჰყავდათ და გარდაცვალების შემდეგ ძალიან მოუმრავლდნენ თაყვანისმცემელნი, ნიკოც არა ყოფილა „ელგუჯას" შემოქმედზე დიდი აზრისა, პირადი საუბრების დროსაც უთქვამს, არც დაწერას მორიდებია და იქნებ ბებურიშვილს ამის გახსენებამ დააკარგვინა წონასწორობა და სილაც ამიტომ სტკიცა ყბაში ასეთ დამსახურებულ პიროვნებას და ის-ისაა ფოთის ქალაქისთავად დანიშნულს: ცოცხალს ვერ იტანდი და მკვდრის პანაშვიდს არ აცდენო.

მეორე ვარაუდსაც გამოთქვამს.

ბებურ ბებურიშვილის სახელი ამჟამადაა მიყრუებული და მხოლოდ ზოგიერთი მკვლევარისათვის ნაცნობი, თორემ თავის დროზე საკმაოდ გახმაურდებოდა მის მიერ თარგმნილი და მისივე წინასიტყვაობით გამოცემული ქართული ხალხური ზღაპრები პეტერბურგში — 1884 წელს, ხუთი წლის შემდეგ კი ტფილისშიც გამოაქვეყნებდა რუსულ ენაზე ქართული ხალხური ზღაპრებისა და თამაშობათა კრებულს.

ელგუჯა თავბერიძე ახლა აქედან უტრიალებს თავშეუკავებელი საქციელის მიზეზს: იქნებ ნიკო ნიკოლაძე, სხვებისაგან განსხვავებით, არა ყოფილა ამ გამოცემებზე მაინცდამაინც მაღალი შეხედულების და სადღაც კიდეც დაეწეროს, თუ არა, თქმით მაინც იტყოდა. ბებურიშვილს, რა გასაკვირია, მალევე მიურბენინებდნენ ენას და ისიც, გულმოსული, სადაც გადააწყდებოდა, იქვე იძიებდა შურსო.

იმასაც ნუ გამოვრიცხავთ, ორივე ვარაუდი სიმართლე იყოსო, — საბოლოოდ მაინც ამ გზას დაადგება მკვლევარი.

პირად წყენას დაემატებოდა მარჯვე საბაბი: როგორ კადრულობ აქ გამოჩენასო, — და ეს აფექტური, გამაოგნებელი მოქმედებაც მოუშორებელ ლაქად დააჩნდებოდა პანაშვიდის რიტუალსაც და საზოგადოებრივ ყოფასაც.

ეკლესიასა და მღვდელმსახურების ჟამს მაინც გაერიდებოდნენ ხოლმე მოშულარნი, სისხლი ყელშიც რომ მოაწვებოდათ.

ავისმომასწავებლად გატკაცუნდებოდა ის სილა, არა ერთი, თუნდ რჩეული, პიროვნების, არამედ საზოგადოებისათვის გაწნული.

რაღაც მორღვეულიყო საბედისწეროდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იმ წუთას ნიკო ნიკოლაძე ამდენს აღარ იფიქრებდა და განზოგადებებს არ გამოეკიდებოდა, საქვეყნოდ შეულახეს ღირსება და შეურაცხყოფის ჩამობანვა სისხლს თუ შეეძლო.

ცემა-ტყეპას არ გამართავდა ეკლესიის გალავანში.

დუელში კი იქვე გამოიწვევდა და სეკუნდანტობას პოეტ სიმბორსკის სთხოვდა.

დუელამდე საქმე მაინც არ მივიდოდა?

გამოცანა გერგებათ.

თუმც იოლადაც არ მოთავებულა და ის დღეები — დუელში გამოწვევიდან დუელის ჩაშლამდე — ცალკე ამბავია, რომელსაც დოკუმენტური წყაროების მოშველიებით ელგუჯა თავბერიძე საგულისხმო სურათად აღადგენდა.

უპირველესად საზოგადოების აღშფოთება მოგვხვდება თვალში იმ სურათის გაცნობისას. ხალხისათვის ნიკო დიდად საპატივსაცემო პიროვნებაა, თავმოსაწონებელი თანამედროვე და მისთვის ხელის შეხება მთელი საზოგადოების შეურაცხყოფაა.

ეს საყოველთაო აღშფოთება მემუარული ცნობის მეოხებით კი არ შემოგვრჩენია, არამედ იმ კერძო წერილით, რომელიც ნიკოს თავმოყვარეობის დაშოშმინებასა და სულიერ გამხნევებას ისახავდა მიზნად.

ძალიანაც არა სურთ იმ უამური ეპიზოდის შეხსენება, მაგრამ სხვანაირად გულისწყრომა როგორ გამოთქვან!.. და ორიოდ სიტყვით რომ აღნიშნავენ იმ სამწუხარო შემთხვევას („წარსულ კვირას, ალექსანდრე ყაზბეგის წლის წირვის დროს, როდესაც თითქმის მთელი საქართველოს ინტელიგენცია, ქალი და კაცი, შეიკრიბა ჩვენი სასიქადულო ბელეტრისტის პატივის საცემად, თქვენ ულირსმა და უპატიოსნო პირმა შეურაცხყოფა მოგაყენათ...“), არ იკმარებენ ბებურ ბებურიშვილისადმი ამ მწარე ეპითეტებს — ულირსიო, უპატიოსნოო — და ლამის სალანძღავ სიტყვას არ დატოვებენ, იმას რომ არ დააბერტყონ თავს.

თვალნათლივ ჩნდება, სადმე სხვაგან რომ მომხდარიყო ნიკო ნიკოლაძის პიროვნული ღირსების ასეთი გაქელვა, აღშფოთებული ხალხი იქვე დაითრევდა შეურაცხმყოფელს და ძმრად ადენდა იმ უკადრისობას. ისევ ნიკო თუ გამოართმევდათ ხელიდან, თორემ სხვა არავინ იქნებოდა იმისი მშველელი.

მაგრამ ეკლესიასა და მის შემოგარენს მოერიდნენ.

იმ ადგილის სიწმინდემ გაახევათ.

ალექსანდრე ყაზბეგის ხსოვნისადმი პატივის მიგებამ შეუკრათ ხელი.

იქნებ ბებურიშვილი სწორედ ამის იმედად იყო, ეკლესიაში და პანაშვიდის აღსრულების ჟამს ხელს ვერავინ მომკიდებსო?

გაკვირვებით რომ გვიკვირდა და ვერ აგვეხსნა, განა რა მიზეზი იყო ამისთანა, ადგილის სიწმინდესა და დიდებული სახელის ხსოვნას როგორ არ მოერიდაო, ნამდვილი მოტივი სწორედ აქაა საძიებელი — ღვთისმოშიში და მიცვალებულის ხსოვნის დამფასებელ საზოგადოებაში დანაშაული შემრჩებაო.

იმ წუთას კი შერჩებოდა და გულის ჭიასაც მოიკლავდა, მაგრამ მერე რას აპირებდა?..

ნიკოს ასეთი შეურაცხყოფა ყველას შეურაცხყოფას გულისხმობდა და ფოთის ქალაქისთავს აღარც დააცდიდნენ სამაგიეროს გადახდას.

თანაც, ყველამ იცის და გრძნობს, რომ ბებურიშვილს ემოციების აყოლით არ მოსვლია ის უკადრისობა, შეგნებულად, წინასწარგათვლილად მოიქცა ასე, და ამიტომაცაა, სალანძლავი ეპითეტები რომ არ ენანებათ მის მიმართ.

ნიკოსაც რა მხურვალედ ექომაგებიან:

— შეძრწუნებულნი ამ ამბით ვისწრაფვით, გამოვთქვათ თქვენდამი ჩვენი ღრმა და გულწრფელი პატივისცემა და თან საქვეყნოდ აღშფოთებულის გულით გამოვუცხადოთ ზიზღი და გულისწყრომა იმ ქვემძრომს არსებას, რომელმაც არ მიიღო მხედველობაში არც სიწმინდე ადგილისა, არც სახსენებელი საყვარლის წამებულის პოეტისა და არც თქვენი ერთგული და დაუღალავი შრომა სამშობლოს სასარგებლოდ და ისე უპატიოსნოდ, ბილწურად შეგახოთ თავის მურტალი ხელი, ხელი მძულვარებას და სიბილწეს მიჩვეული. ჩვენ გვჯერა და გვწამს, და იმედიც გვაქვს, დაგვეთანხმებით, რომ უპატიოსნო ხელით გამოსროლილი ტალახი თქვენამდის ვერ მოაღწევს და ვერ შელახავს თქვენს სპეტაკ შუბლს. ცოფიანს და გონებადაბნეულს არსებას არ ძალუძს არამცთუ თქვენ, არამედ თქვენზე ნაკლებ მოღვაწესაც მიაყენოს რაიმე შეურაცხყოფა.

სულითა და გულით ენუკვოდნენ, არაფრად მიეჩნია კვირის ამბავი და კვლავინდებურად განეგრძო ნაყოფიერი და სასარგებლო შრომა და მოღვაწეობა თავისი „საყვარელი პატარა სამშობლოს სასახელოდ“.

ეს ბარათი იქნებ ისედაც გაეგზავნათ, გული გაეთბოთ, მტკივნეულ გულზე მალამო წაეცხოთ, მაგრამ ამჯერად წერილზე ხელმომწერნი განსაკუთრებით მოსალოდნელ დუელს შეუშფოთებია.

როგორ თუ სისხლით ჩამობანა შეურაცხყოფის!..

როგორ თუ სეკუნდანტების მიგზავნაო!..

როგორ შეიძლება ნიკო ნიკოლაძის რანგის პიროვნება დუელმა შეიწიროს, საზოგადოებას თავი სადღა გამოეყოფა ქვეყანაზე, რომ მისი უკეთესი შვილი ვერ დაიცვა — ეკლესიაში ხომ აცემინა უკეთურ ადამიანს, ახლა ტყვიითაც გაანგმირინა.

მთელი ჩვენი არსებით ვეწინააღმდეგებით თქვენს განზრახვასო, — მიუკიბ-მოუკიბავად მოახსენებდნენ სათქმელს და მის შეგონებას ლამობდნენ: თქვენი ასეთი განზრახვა შეიძლება დიდად პატივსაცემიც იყოს სხვა დროსა და სხვა გარემოებაში, ამ შემთხვევაში კი მოკლებულია ყოველგვარ საბუთს. თქვენ ვერ შეურაცხგყოფთ ის ხელი, რომელსაც უპატიოსნების მეტი არა ჩაუდენია რა, თანაც თქვენც და თქვენი კალამიც ეკუთვნით სამშობლოს, რომელსაც დიდად ესაჭიროება თქვენისთანა მხნე და დაუღალავი მოღვაწენი და მცირე რამისთვის ჩვენი ასეთი მოჭირნახულის დაკლება ერთი ათად და ასად დაგვიკოდავს გულს. ამიტომაც წრფელად გთხოვთ და გემუდარებით, უარი განაცხადოთ თქვენს განზრახვაზე და დამშვიდებით შეუდგეთ თქვენს ჩვეულებრივ ნაყოფიერ შრომას სამშობლოს საკეთილდღეოდო.

სხვა დროსა და სხვა გარემოებაში შეიძლება პატივსაცემიც იყოსო...

დუელი არც გამხდარა და ვერც გახდება ჩვეულებრივი მოვლენა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, მაგრამ რაკილა ევროპასა და რუსეთშიც დამკვიდრებულა და თავისი მორალური გამართლებაც მოუპოვებია, საზოგადოების ეს წევრნიც აღიარებენ მის აუცილებლობას, როგორც ერთადერთ და ყველაზე სანდო გზას შეურაცხყოფის ჩამოსარეცხად.

პატივსაცემადაც ამიტომ მიუჩნევიათ.

მაგრამ ის „სხვა დრო და სხვა გარემოება“ აქაურობისათვის სრულიად უცხო რომ შექმნილა? და უცხო შექმნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა იმ უბრალო მიზეზით, რომ მოღვაწე მართლა აღარ ეკუთვნის საკუთარ თავს. მცირერიცხოვან ქვეყნებს არა ჰყავთ დასაკარგი პიროვნებანი, ის კი არა, უამრავ ტვირთს ჰკიდებენ მათ მხრებს და ყველა საქმის ერთგულებას მოითხოვენ. თუნდ თვითონ ნიკო — პუბლიცისტიც ის უნდა იყოს, ლიტერატურის კრიტიკოსიც, რედაქტორიც, აგერ ქალაქისთავობაც გასწიოს... ასე რომ, ერთი ტყვია ერთდროულად რამდენიმე მოღვაწეს გამოაკლებთ, ნიკო ნიკოლაძის არსებაში გამთლიანებულს!..

როგორი შესაგუებელია...

ილია ჭავჭავაძესთან დუელის წინ ერთი ადამიანი ატირდა, ამ ორთაგან არცერთი არ არის გასამეტებელი, ძალიან დაზარალდება ქვეყანაო... ახლა უკვე მთელი საზოგადოება შეშფოთებულა და მოვალედ რაცხს თავს, ჩაერიოს და თვითვე გადაწყვიტოს — თვითდინებაზე ვერ მიუშვებს მოღვაწეთა გაწირვას.

ტფილისი ისევე მომართულა, როგორც ქუთაისი, და ნიშანდობლივია, რომ ასეთივე შინაარსის ბარათი ქუთაისიდანაც მოუვიდოდა. სულ არ არის აუცილებელი წინასწარი შეთანხმება — ყველას ერთი გულისთქმა ამოძრავებს, ერთნაირად შეწუხებულა და დუელის არიდებასაც ერთნაირად ლამობს.

დავით წულუკიძის ხელმოწერა შემთხვევით რომ გამორჩებოდა ქუთათურთა წერილზე, ის მაშინვე დაადევნებდა თავის გულისწყრომასაც: სხვებზე ნაკლებ არც მე ვარ აღშფოთებული თავხედური და ურცხვი საქციელით ბებურიშვილისა, რომლისთვისაც, როგორც ჩანს, წმინდა ამქვეყნად არაფერი არსებობს. სამწუხაროა, რომ მას პასუხი მოთხოვეთ, რისთვისაც თქვენს ძვირფას სიცოცხლეს საფრთხეში აგდებთ. მიეცით ნება თქვენს თაყვანისმცემლებს, გაასწორონ მასთან ანგარიშიო.

ამას ყველა ატყობს, რომ იმ ეპიზოდს რაღაც პასუხი უნდა მოჰყვეს, ისე ვერ ჩაივლის, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. და დავით წულუკიძე ყველაზე გონივრულ გზას აგნებს — დაე დუელი შედგეს, ოღონდ ნიკოს ნაცვლად სხვამ მიიღოს მონაწილეობა, მისი პიროვნებისა და ღვაწლის დამფასებელმა და გამოცდილმა მსროლელმა, ვინც ძვირად დაუსვამს ბებურიშვილს იმ უკადრის საქციელს.

ასეც მოხდებოდა, ნიკოს ნებართვით სხვანი აიღებდნენ საკუთარ თავზე შეურაცხმყოფელის გამოწვევას ორთაბრძოლაში, ოღონდ მანამდე გიორგი თუმანოვის პირადი წერილის ის პასაჟიც გავიხსენოთ, ნიკოს რომ ამცნობდა: ყაზბეგის პანაშვიდზე მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით გაზეთ „ნოვოე ობოზრენიესათვის" დავწერე შენიშვნა, რომელშიც ის აზრი იყო გატარებული, რომ ეს არ ყოფილა კერძო შემთხვევა და მთელი საზოგადოება უნდა აღელდეს საზოგადო მოღვაწეთა მიმართ ასეთი ანგარიშსწორების გამო. ეს იმ პარტიათა საქმეა, რომელთაც ლიტერატურის მოღვაწეებთან პოლემიკის სხვა საშუალებანი არ გააჩნიათ და ასე შემდეგ, მაგრამ ეს შენიშვნა ცენზურამ ამოიღო და ისიც არ ვიცი, რა ბედი ეწევა მომავალშიო.

ელგუჯა თავბერიძისათვის ეს ბარათი იმ მხრივ აღმოჩნდებოდა საგულისხმო, რომ დაადასტურებდა მის წინასწარ მიხვედრას: შეჯახება ლიტერატურულ უთანხმოებას მოჰყვა და არა სხვა რამესო, — მაგრამ ნურც ის გამოგვრჩება, ცენზურას ამ მცირე სტატიის გამოქვეყნება რომ აუკრძალავს.

ვითომ ნიკო ნიკოლაძის სახელს გაუფრთხილდნენ?

გიორგი თუმანოვზე მეტად ცენზურას, ცხადია, არ აღელვებს ნიკოს სახელი და გავლენა.

მაშ მიზეზი რა უნდა იყოს?

არ არის აუცილებელი საზოგადოება უფრო მეტად აამღელვარო და, ისედაც მოწადინე ამ შეხლა-შემოხლაში ჩარევისა, კიდევ უფრო შეაგულიანო და ვითარება კიდევ უფრო გაამძაფრო. ცენზურის ნებართვა დადასტურება იქნებოდა საზოგადოების ამგვარი ქმედების გამართლების, პირად შეურაცხყოფად რომ აღიქვა მისი უკეთესი შვილის საჯარო შეურაცხყოფა, და ხელისუფლება შეშფოთდებოდა, ვაითუ გარკვეულ ორიენტირადაც დადგინდეს ამიერიდან საზოგადოების ენერგიული ჩარევა მოვლენათა მსვლელობაშიო.

ამასობაში დავით მიქელაძე და ალექსანდრე ერისთავი ნიკო ნიკოლაძის დავალებითა და მისივე სახელით მიადგებოდნენ ბებურ ბებურიშვილს და პასუხსაც მოსთხოვდნენ.

12 დეკემბერია.

ნახდებოდა ეკლესიის ეზოში ჩხუბის ამტეხი.

ორ დღეს ითხოვდა მოფიქრებისათვის.

ესეც იმიტომ, ვითომდა კი არ დავმფრთხალვარ, გულდასმით მინდა ავწონ-დავწონო ყველაფერი და შესაფერისადაც მოვიქცეო.

ჩაეღიმებოდა დავით მიქელაძეს.

ეს მკრთალად გადავლილი ღიმილი არ შემოგვრჩენია არც ეპისტოლეებიდან და არც მემუარული ჩანაწერიდან, მაგრამ არ უნდა იყოს ძნელი განსაჭვრეტი და ნიკოსთან გაგზავნილი ბარათის სტრიქონებს შორისაც გაიელვებს.

ბარათით მოლაპარაკების შედეგს ამცნობდნენ:

ორი დღე გვთხოვა, მისი გასვლის შემდეგ კი ქედი მოიდრიკა და უარი თქვა ყოველივეზეო.

— გამომდინარე აქედან ჩვენს მისიას ამოწურულად ვთვლით.

მკვლევარისათვის ამ პიროვნებათა გამოჩენა თავისთავად გულისხმობს მათ რაინდულ ხასიათს: ნიკო შემთხვევით ადამიანებს არ ენდობოდა და ასეთი საპასუხისმგებლო დავალებით არ გაგზავნიდაო. თითქოს მართლაც შუასაუკუნეთა ეპოქიდან ყოფილიყვნენ გადმოსულნი, არავის და არაფერს რომ არ შეუდრკებოდნენ და ისე აღასრულებდნენ ყოველგვარ საქმეს, როგორც სამართლიანობა მოითხოვდა.

ჩვენი თხრობისათვის კი მთავარი ისაა, ეს დუელიც რომ ჩაიშალა.

გახმაურებით სხვა ამგვარ ეპიზოდებზე მეტად ის გახმაურდა, მაგრამ არიდებით ისე აირიდეს, დუელიანტები ერთმანეთის პირისპირაც არ დამდგარან.

... ისე ესეც რა ალექსანდრე ყაზბეგის ბედი იყო, მისი სახელი კიდევ ერთხელ რომ გამოიხლართა აყალმაყალში... სკანდალის მოყვარული არასოდეს ყოფილა, თუმც გახვევით ეხვეოდა ამისთანა ამბებში და აგერ, მის ხსოვნასაც ითრევდა სასტიკი ბედი, სიცოცხლეში რომ ვერ იჯერა გული მოჩხუბარიძის გვემით და სიკვდილის შემდეგაც უმზადებდა ყოვლად უგვან თავდასხმებს.

პანაშვიდისას მომხდარი ის მეტად უამური ეპიზოდი თავისებურ პრელუდიად მოჩანს ახალი ტალღისა ამ დიდებული სახელის წინააღმდეგ.

**დასასრული შემდეგ ნომერში**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკა ბუჯიაშვილი

# მწერლები და ხელისუფალნი

*

## მერი ტიტვინიძის საჯარო ლექცია

ისინი არ იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ ერთნაირ გარემოსა და ვითარებაში კი ცხოვრობდნენ. გრიგოლ რობაქიძე თავის რომანში „ფალესტრა“ შემთხვევით როდი ახსენებს ორივეს ერთად — მიგელ დე უნამუნოსა და ლუიჯი პირანდელოს. უნამუნოს თუ მოვუსმენთ, „ყოველი მწერალი ავტობიოგრაფიაა. ის ცდილობს გახსნას თავისი თავი, უფრო მეტიც — გახსნას და ასახოს ის, ვინც მას უნდოდა ყოფილიყო. ჩვენი გადარჩენა იმაზე კი არ არის დამოკიდებული, თუ რანი ვართ, არამედ იმაზე, რანი გვინდოდა ვყოფილიყავით“.

რა უნდოდა უნამუნოს?

ან პირანდელოს რა უნდოდა?

რა ჰქონდათ მათ საერთო პირადი უცნობობის მიღმა — ამ ყველაფრის შესახებ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში შეკრებილებს ქალბატონი მერი ტიტვინიძე ესაუბრებოდა.

როსტომ ჩხეიძის თქმით, ქალბატონ მერის დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ უნამუნო ქართველი მკითხველისათვის მეტად ახლობელ ავტორად იქცა.

— ხშირად ვიმოწმებთ ამ მწერლის მოსაზრებებს ისე, თითქოს ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაზე ვმსჯელობდეთ. შესაძლოა იმიტომ, რომ საუკუნის წინანდელი ესპანეთის ყოფა ძალიან ჰგავს ჩვენს დღევანდელობას; ან იქნებ იმიტომ, რომ ქალბატონი მერი ისე არჩევს და ალაგებს აქცენტებს, ჩვენთვის ასე ახლობელს ხდის ამ მწერლის შემოქმედებას. სხვათა შორის, არაერთი ავტორი მან პირველმა შემოიყვანა ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში და ეს ღვაწლიც გამორჩეულია მის ბიოგრაფიაში. ამჯერად კი ქალბატონი მერის მრავალფეროვანი ძიებებიდან გამოვარჩიეთ ერთი თემა: პირანდელოს და უნამუნოს ურთიერთმიმართება, „თეატრი თეატრში“.

— გრიგოლ რობაქიძე რომანში „ფალესტრა“ წერს: „... მოთხრობილი ამბავი მეტად საყურადღებოა და თითქოს ეს ვრცელი ქრონიკა მაგრად შეკრული დინამიურად გაშლილი ნოველა ყოფილიყოს სტეფან ცვაიგისა, ან მიგელ დე უნამუნოსი ან ლუიჯი პირანდელოსი...“ — თქვა ქალბატონმა მერიმ, — ქართველი მწერალი არაერთხელ ასახელებს უნამუნოსა და პირანდელოს ერთად, 1928 წელს მწერალთა სასახლეში მას ვრცელი სიტყვა წარმოუთქვამს მიგელ დე უნამუნოს ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. თავად უნამუნოს საგანგებო ესეიც დააწერინა მათი შემოქმედების გარშემო გამართულმა დისკუსიებმა, ამ ესეიში — „პირანდელო და მე“ — იგი წერს: „ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერებისა თუ ფილოსოფიის ისტორიაში არცთუ იშვიათია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფენომენი — ორ ადამიანს, რომელიც არ იცნობდა არც ერთმანეთს, არც ერთმანეთის შემოქმედებას და არც რაიმე ურთიერთობა ჰქონიათ, ერთი გზით უვლია ცხოვრებისა და შემოქმედების გზაზე, ერთნაირი კონცეფციები ჩამოუყალიბებია და ერთნაირი დასკვნებიც გამოუტანია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთი რამ ერთნაირ გარემოსა და ვითარებაში ხდება, ან ისტორიის სიღრმეშია საძებნელი და ელოდება, როდისმე ვინმე თუ მიაგნებს და დღის სინათლეზე გამოიტანს“.

იტალიაში, ბენიტო მუსოლინის რეჟიმის პერიოდში, დუჩეს მოწოდებით: „ერთნი უნდა დააშინო, მეორენი მოისყიდო“ ლამის „ანკესით იჭერდნენ“ მოაზროვნე ადამიანებს. მართალია პირანდელოს არასდროს გამოუჩენია პოლიტიკური აქტიურობა, მაგრამ ერთხანს ილუზიამ შეიპყრო, თითქოს მუსოლინის შეეძლო რეალობის გარდაქმნა და მხარი დაუჭირა მას. არც დუჩემ მოაკლო წყალობა, მაგრამ მწერალი მალე მიხვდა, რომ მოტყუვდა და, როგორც თავად დიქტატორმა თქვა: „ისე წავიდა, რომ ცხვირწინ მიუჯახუნა კარები“.

უნამუნო, პირიქით, ცნობილი იყო, როგორც დიდი ეროვნული და საზოგადოებრივი მოღვაწე; სასტიკად იბრძოდა დიქტატურის წინააღმდეგ, მაგრამ ერთხანს თითქოს გაჩუმდა, ყური მიუგდო, თვალი გააყოლა ფაშისტური იდეოლოგიის მესვეურებს და ხმა აღიმაღლა, მისი ხმა კი „მეოთხედი საუკუნე ისმოდა ესპანეთში“. პროტესტის ნიშნად განცალკევდა, საკუთარ სახლში ჩაიკეტა და სიკვდილამდე არც გამოსულა.

იტალიელი მწერლისა და ესპანელი ფილოსოფოსის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შემოქმედებაში ერთნაირად აირეკლა ეპოქის კრიზისი, შექმნილმა ვითარებამ დიდად განსაზღვრა ის პრობლემები, რაც XX საუკუნეში პირველად დაისვა ამ ორი მწერლის შემოქმედებაში; ეს იყო ადამიანის, პიროვნების პრობლემა, მისი თვითიდენტიფიკაციის, თვითდამკვიდრების, თვითრეალიზაციის, თავისუფლების, არჩევანის, გაუცხოების, ცხოვრების აბსურდულობის, კომუნიკაციის შეუძლებლობის პრობლემა, რაც სრულად აისახა ცხოვრებისა და ხელოვნების, რეალობისა და ილუზიის, სახისა და ნიღბის მხატვრული ფორმით გამოხატვაში; ორივესთვის ცხოვრება არის დიდი თეატრის სცენა, სადაც ყოველი ჩვენგანი თამაშობს იმ როლს, რაც ცხოვრებამ დააკისრა, ხოლო მთელ სპექტაკლს წარმართავს „უზენაესი რეჟისორი“.

იტალიელი და ესპანელი მწერლის გვერდიგვერდ ხსენების და მათი შემოქმედებით დაინტერესების ერთი საბაბი გახდა პირანდელოს პიესის — „ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟის“ — დადგმა რომში, ვალეს თეატრში 1921 წელს და ამავე დროს უნამუნოს რომანის „ბურუსის“ იტალიური თარგმანის გამოქვეყნება.

ჯერ სპექტაკლის გარშემო ატყდა დიდი ხმაური, რადგან პირანდელომ ერთიანად დაარღვია დრამატურგიის ტრადიციული ფორმა; პიესაში ერთმანეთს შეუროწყა ტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიკული და კომიკური და ერთიანად წარმოადგინა როგორც სევდიანი ბუფონადა; მისი ნოვატორობა სრულად გამოვლინდა თავისებურ თეატრალურ ტრილოგიაში — „ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი", „ჰენრიხ IV" და „დღეს ჩვენ წარმოვადგენთ", რომლებშიც განხორციელდა მწერლის უმთავრესი პრობლემები — ილუზია და რეალობა, ადამიანური დრამის ხელოვნების სფეროში გარდასახვა, ხორციელი ადამიანის თეატრალურ პერსონაჟად გარდაქმნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფორმის სიახლე — პროფესიონალი დრამატურგისა და რეჟისორის მიერ შექმნილი სცენისა და „არაპროფესიონალი პერსონაჟების" იმპროვიზაციის ერთდროულად წარმოდგენა, რასაც ავტორი თვითონვე უწოდებს „თეატრს თეატრში", „სცენას სცენაზე", რაც ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, ხოლო კიდევ უფრო მეტ ემოციას იწვევს, როდესაც მოქმედება სცენიდან გადადის მაყურებელთა დარბაზში, ზოგჯერ ფოიეშიც, მსახიობის უშუალო კონტაქტი მაყურებელთან, როდესაც იგი თავს გრძნობს სპექტაკლის მონაწილედ და ცხადად განიცდის ცხოვრებას სინამდვილეში და ცხოვრებას გარდასახულს სცენაზე, ანუ რეალობისა და ხელოვნების შეჯახებას.



*მერი ტიტვინიძე*

* * *

ქალბატონი მერის თქმით, სპექტაკლის გარშემო ატეხილი ხმაური მხოლოდ პიესის ფორმით „შეურაცხყოფილი" მაყურებლის აღშფოთებით არ დამთავრებულა; ამას მოჰყვა კრიტიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეების საკმაოდ მწვავე გამოხმაურებაც. მათ აშკარად დაინახეს ამ პიესისა და უნამუნოს რომანის გასაოცარი მსგავსება; თავდაპირველად გავლენაზე დაიწყეს კამათი, რის საფუძველსაც ხედავდნენ ამ ნაწარმოებების გამოქვეყნების თარიღებში — უნამუნოს რომანი „ბურუსი" გამოქვეყნდა 1914 წელს, პირანდელოს პიესა — 1921 წელს. მაგრამ ეს ცხარე კამათი ერთბაშად ჩააჩუმა თავად უნამუნომ, როდესაც გამოაქვეყნა ესეი „პირანდელო და მე", სადაც წერდა: „... თუ ახლა ასეთი ყურადღება გამოვიჩინე მისი შემოქმედების მიმართ, იმის წყალობითაა, რომ იტალიაში მისი სახელის გვერდით ასახელებენ ჩემსას. შეიძლება ეს ჩემთვის დიდი პატივიც იყოს, მაგრამ მოულოდნელი კი არის. და ახლა, როცა ასე თუ ისე გავეცანი იტალიელი მწერლის შემოქმედებას — თუნდაც მცირე ნაწილს — მასში ჩემი თავი ისე დავინახე, როგორც სარკეში, თან ისეთი, როგორსაც მხოლოდ მე ვიცნობდი და სულ ამას ვიმეორებდი: — აკი მეც ამას ვამბობდი-მეთქი! და თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ისევე, როგორც მე არ ვიცნობდი პირანდელოს შემოქმედებას, არც ის იცნობდა ჩემსას და თუ მე ვარ დარწმუნებული ჩემს თვითმყოფობაში, ასევე ვაღიარებ მის თვითმყოფობასაც. მწერალი ვერასოდეს მიაღწევს აღიარებას მიბაძვით..."

* * *

**მანანა გაბაშვილმა** აღნიშნა, რომ პირანდელოს ფენომენი საინტერესოა ბევრი თვალსაზრისით, პირადად მისთვის კი საგულისხმო და საყურადღებოა ისტორიისა და პოლიტიკის მხრივ — როგორც ხელოვანის ურთიერთობა იმ სისტემასთან, რომელშიც იგი ცხოვრობდა.

— „პირანდელოს მოუწია თანამშრომლობა მუსოლინისთან, ვისი დევიზიც ასეთი იყო: „ერთნი უნდა მოისყიდო, მეორენი კი დააშინო"... ამ სისტემის მსხვერპლი ხდება თავად პირანდელოც, რომელსაც ანდრე მორუა მასწავლებელს უწოდებდა. პირანდელოს ცხოვრება მაგალითია იმისა, როგორ შეიძლება შეცდეს მასწავლებელი, რომელმაც, წესით, მოძღვრის მისია უნდა იტვირთოს. ის კი ამ სისტემასთან დაპირისპირების სანაცვლოდ მასთან თანამშრომლობას იწყებს... მას თვითონ ეშლება და ეს შეცდომა მისი პიროვნული ტრაგედიის მიზეზი ხდება — ფაქტობრივად ის მარტო რჩება ამ უზარმაზარ სამყაროში, საკუთარ ქვეყანაშიც კი მიტოვებულია ყველასგან.

როცა მუსოლინიმ გაზეთები გააუქმა, პირანდელომ მხარი დაუჭირა მხოლოდ იმიტომ, რომ აღტაცებული იყო ამ პიროვნებით და სჯეროდა, რომ ის ახალ იტალიას ქმნიდა. ამ მცდარ რწმენას, რომელიც მცდარი გზის სათავედ იქცა მწერლისათვის, ტრაგედიამდე მიჰყავს ხელოვანი.

ასეთ დიქტატორულ სისტემაში პირანდელოს თავისი მრწამსისა და მუსოლინისადმი მხარდაჭერის გამო, გარკვეული პრივილეგიებიც ჰქონდა — ცნობილია, რომ მას თეატრიც შეუქმნეს, სადაც მან გარკვეული თავისუფლებაც მიიღო როგორც შემოქმედმა, მაგრამ როგორც პიროვნება კონფლიქტში აღმოჩნდა აი, ამ შემოქმედებით თავისუფლებასთან და შედეგი ასეთი გაორებისა იყო დაპირისპირება იმ ხელისუფლებასთან, რომლისთვისაც ბევრი რამ დათმო (თუნდაც საკუთარი ღირსება) და ისეთი კომპრომისები დაუშვა, რაც მწერალს არ ეპატიება.

ფაქტობრივად, პირანდელო აღმოჩნდა ორ წყალს — ნამდვილ ხელოვნებასა და მოქალაქეობრივ პოზიციას — შორის და ეს სავალალოდ დასრულდა მისთვის.

საბოლოოდ კი, როცა თქვა: მე იტალიელი გახლავართო, იგი იმ საწყისს დაუბრუნდა, საიდანაც იღებს სათავეს თითოეული ჩვენგანის არსებობა და ცხოვრება. ხელისუფლებასთან შექმნილი დაპირისპირების გამო იგი იძულებული გახდა საზღვარგარეთ შეეფარებინა თავი. ის თავისუფლებას ეძებდა როგორც შემოქმედი, რეალურად კი ყველანაირი თავისუფლება დაკარგა და როცა ეს ყველაფერი გაიაზრა, გადაწყვიტა მარტო ყოფილიყო სიკვდილთანაც კი და დაწერა ანდერძი, რომელშიც ითხოვდა ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე დაეკრძალათ. მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლაც, არავინ მიაცილებდა მის ცხედარს ერთი ფრანგი ჟურნალისტის გარდა. ეს უკანასკნელი გზაც ამ წუთისოფელში და პირანდელოს ის ანდერძიც ფინალია ამ შემოქმედის ცხოვრების ტრაგიზმისა, ხელოვანისა და ხელისუფლების ურთიერთობის საინტერესო მაგალითად რომ რჩება ჩემთვის. ილუზორული თავისუფლება, რომლის შედეგადაც იქცევი ტყვედ, პიროვნული ნგრევის მიზეზი ხდება და საბოლოოდ რჩები მარტო — არც ხალხს სჭირდები, რადგან ასეთი ხელისუფლების მსახური ხარ, არც ხელისუფლებას, იმიტომ რომ ბოლომდე არ უერთგულე და აღარც საკუთარ თავს, რადგან შენი ცხოვრებით ის არ იყავი, ვინც უნდა ყოფილიყავი, პირანდელოს მიერ განვლილი გზა ნათელი მაგალითია იმისა, რომ ხელოვანის ურთიერთობა დიქტატორულ სისტემასთან ძირითადად მთავრდება კონფლიქტით ხელისუფლებასთან, საზოგადოებასთან და საკუთარ თავთან", — თქვა ქალბატონმა მანანამ.

**ნათელა არველაძის** თქმით კი, შესაძლოა ლუიჯი პირანდელოს დიდი როლი არ შეუსრულებია თანამედროვე ქართულ სათეატრო ცხოვრებაში, მაგრამ თავად მისი გამოჩენა რეპერტუარში ნიშნავს, რომ ეროვნული სცენა დაფიქრებულია იმ პრობლემებზე, რაც აგრერიგად მნიშვნელოვანია, თუნდაც მოდერნული ეპოქის გააზრებისათვის.

— ამასთანავე, ინტელექტუალური თეატრისათვის პირანდელოს ფენომენს თავისთავადი, ძალზე საგულისხმო როლი შეუსრულებია... და მეტად სიმპტომურია, რომ დღევანდელი დღე და საინტერესო მოხსენება მიეძღვნა არა მარტო დრამატურგ პირანდელოს, არამედ მის ესეის, რომელშიც XX საუკუნის სათეატრო ესთეტიკის თაობაზე გამოთქმულია მნიშვნელოვანი მოსაზრებები. მხედველობაში მაქვს მისი პოზიცია ესთეტიკური კატეგორიების შესახებ. ტრაგიკულისა და კომიკურის თანაარსებობის, როგორც კონტრასტის, როგორც ცხოვრების ინტერპრეტაციის საგულისხმო მომენტი.

შემთხვევითი ხომ არ არის, რომ XX საუკუნის II ნახევრის თეატრმა, ქართულმა თეატრმა ასეთი მზადყოფნა გამოხატა ტრაგიფარსის მიმართ. აქ, უწინარესად, რობერტ სტურუას შემოქმედება მაქვს მხედველობაშიო, — აღნიშნა ქალბატონმა ნათელამ.

ჩანახატი

მამუკა დოლიძე

# როკენროლი თბილისში

პატარა ბიჭი ვიყავი, როცა როკენროლი პირველად შემოვიდა თბილისში. როგორი მონდომებით ვაწებებდი კაპიკს კაპიკზე! შესვენებაზე ვზოგავდი საუზმის ფულს, რომ ექვსი გაკვეთილის შემდეგ გავვარდნილიყავი სასტუმრო „საქართველოში". იქ, დიდი დარბაზის უკან, პატარა ოთახში უზარმაზარი მაგნიტოფონი მელოდა; წრიპინით და სტვენით გადახვეული ფირი უცებ ნელდებოდა, უცებ გატკბილდებოდა საყვარელ მელოდიაში. მოდიოდა ჟრუანტელის მომგვრელი რიტმი და ის გარდასული დრო იმ შორეულ რიტმში იწყებდა ფეთქვას. ჩემი ცხოვრებაც როკენროლს მისდევდა, ეჯახებოდა ციხესავით ალმართულ ზღუდეს; მაგრამ წარსულიდან ამოზრდილ იმ უსაშველო ციხეში უკვე ჩნდებოდა ბზარი. ყველაზე იოლად ჯაზი შემოდიოდა ამ ნაპრალიდან — უსაზღვროდ ილვრებოდა და ავსებდა იმდროინდელ ცხოვრებას. მუსიკა თითქოს ფერს უცვლიდა ქალაქს. უცხო მელოდიით შეფერადებული თბილისი როკენროლის რიტმში იწყებდა ტრიალს, იძენდა გრაფიკულ სიმკვეთრეს; მეც დავათრევდი რენტგენის ფირზე ჩაწერილ სიმღერას დაბადების დღეებზე; ყველგან სადაც კი შეიძლებოდა მისი დატრიალება და მუსიკად ქცევა.

ახლა, როცა ბედმა საჩუქარივით მარგუნა უცხო ქვეყანა, ისევ ჩამესმის რენტგენოფირზე ჩაწერილი ის შორეული სიმღერა. ვერ ექნებოდა ნიუ-იორკის მზეს სიხარულის მომგვრელი შუქი, ეს მზე ჩემი ბავშვობის თბილისსაც რომ არ ანათებდეს იმავდროულად! ამიტომ არ მშორდება განცდა, რომ ისევ პატარა ბიჭი ვარ, ახლაც მთელი სიცოცხლე ხელუხლებლადაა გადაშლილი ჩემ თვალწინ და მოგონებაში შეჩერებული დრო გულისფანცქალით მელოდება — როდის გავივლი ჩემს გზას და როგორ გავატარებ ჩემს ცხოვრებას; სადაც როკენროლის რიტმი გულისძგერასავით ჩამესმის, სადაც ძველ მელოდიას ახალი ფერი და სურნელება შემოაქვს მუსიკასავით მიმდინარე დროში, სადაც სულ სხვა სილამაზით იმოსება ძველი თბილისის მშვენება — რუსთაველის პროსპექტი — შეხვედრების და განშორებების სცენა და სივრცე, რომლის ჰაერი იყო კამკამა, სურნელოვანი, მუდამ გაზაფხულის მოლოდინით, გაზაფხულთან შეხვედრის და გაზაფხულის ნოსტალგიით სავსე.

ასეთი იყო XX საუკუნის, მეორე ნახევრის, პირველ ნახევრის თბილისი, რომელსაც შემოესწრო ჩემი ბიჭობა, რომელიც იმდენად იყო ჩანთქმული საკუთარ სილამაზეში, რომ თითქოს არ იმჩნევდა უცხოეთთან შეხვედრის შორეულ მოლოდინს, მაგრამ ეს მოლოდინი მაინც ჩნდებოდა; უცებ მართლდებოდა იმ დიდი სიხარულით, ყოველივე უცხოს და საკვირველს რომ მოჰქონდა თან ჩვენი დიადი ქვეყნის უკვე გაბზარულ ციხეში და ჩუმ-ჩუმად, კონტრაბანდით შემოპარული რენტგენის ფირები, ფირფიტასავით ატრიალებდნენ დროსა და სივრცეს, სულ სხვა სახით აჩენდნენ ათასგზის წარმოსახულ ქვეყანას და თავისი გულშიჩამწვდომი მელოდიით და რიტმით მიდიოდნენ ჩვენი წარსულის იქითაც, სიცოცხლის სათავისაკენ, მარადისობის ბალში, რომლის არსებობა ყოველი ჩვენგანის ცხოვრებას უსწრებდა წინ და სადაც პირველად იქნა შეცნობილი აკრძალული ნაყოფის გემო.

ნინო ვახანია

# რადგან სიყვარულს არა აქვს ბოლო

*

## ცირა ბარბაქაძის ახალი პოეტური კრებული

ამ პატარა კრებულის თემა გამხელილი და იმავდროულად გაუმხელელი სიყვარულია. სიყვარული, რომელიც სუნთქავს, ფეთქავს, არსებობს სიტყვით, სიტყვაში, სიტყვისთვის. „სიტყვებით დავწერ, მაგრამ სიტყვებით ვერ აღვწერო“, – გვიმხელს ავტორი და უნებურად მაგონდება: „მაშა დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად“.

აღწერს, პოეტურად გადმოსცემს, უფრო ხატავს, სხვადასხვა განზომილებაში გვაცნობს, გვესაუბრება უსათუთესსა და უნაზეს გრძნობაზე (რეალური თუ წარმოსახული პიროვნებისადმი).

ამისთვის და ამის გამო საკუთარი სულის ხვეულებს ჩხრეკს და მკითხველისთვის საჩინო ხდება პოეტის დამოკიდებულება სამყაროსთან, წუთისოფელთან, ღმერთთან და კაცთან თვითონ კი, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი, ვერ კმაყოფილდება შექმნილით, მუდამ ეჩვენება, რომ რაღაც ვერ თქვა, სრულად ვერ ამოწურა, სათქმელი კიდევ დარჩა, გრძნობა გაცილებით უფრო დიდია, ბევრად მეტია და არ ემთხვევა გამოთქმულს, გაცხადებულს. კვლავ ბარათაშვილი მახსენებს თავს: „ნუთუ ამ სულის ნადილსაც ვრქვა სიყვარული სხვათაებრ?“

კრებულში შესული სამივე ციკლი ლექსებიდან („წერილები“, „გამომიცანი“ და „ლექს-ესენციები“) ერთმანეთისგან განსხვავდება ფორმით, ზომით, ფერითა და სურნელით, ხოლო ერთია (საერთოა) პოეტის ხმა და საჩვენო ა(მ)ბები – სიტყვით, სიტყვაში და სიტყვისთვის გამოთქმული თუ ვერ გამოთქმული სიყვარული.

ავტორი თამამად, თავისუფლად ექცევა დროს. მისთვის შესაძლებელია დროისგან განძარცვა, დროში შეღწევა, ზედროული არსებობა დროის ბორკილებისგან გათავისუფლებული წერილს იმ ქვასთან ტოვებს, რომელთანაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომ ხვდებოდა სატრფოს, იმიტომ, რომ „უდროობასაც თავისი დრო აქვს“ და თანამოაზრეთა და თანამგრძნობთ სასოებით ეკითხება: „იქნებ თქვენ მითხრათ, რომელი დროა გუშინდელსა და ხვალინდელს შორის?“




ამ მრავალგანზომილებიან, მრავალწახნაგა, უთვალავფერიან სამყაროს კი ის, ერთი, უცვალებელი, შემოქმედი, ე.ი. სიტყვა და სიყვარული განაგებს. და თუმცა წუთისოფელი „უნდო და პირქუშია, ფერგალეული“, მაგრამ, ცხადია, ყველაფერი ღვთიურ წესრიგს, უზენაესის ნებას ემორჩილება. ამიტომაც ვერავინ შეცვლის ბედისწერას: „ჰო, ბედისწერა ჩემზე და შენზე უფრო დიდი და უფრო მეტია, არ მაპატიებს დაუკითხავად ჩემი ფიქრიდან შენში ხეტიალს“...

ეს არ არის შეშინებული ადამიანის სიტყვები, ეს მოფიქრალი გონების, მგზნებარე გულის, ანთებული სულის სიტყვებია. საერთოდაც „თავხედობა“ პოეტების თვისებაა (აკი ითხოვდნენ მათ გაძევებას საზოგადოებიდან უძველესი დროიდან დღემდე სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში).

**შენი ნათითურები წამოვკრიფე**
**გადაშლილი წიგნებიდან,**
**შენი ნაბიჯები ავალაგე იატაკიდან...**
**შენი მზერა ჩამოვხსენი კედლებს და სარკმელს,**
**საიდანაც ვერაფერს ვხედავ**

ამის მთქმელს ყველაფერი შეუძლია – მოკლას ან აცოცხლოს, დავიწყებისთვის გაწიროს ან უკვდავება მიანიჭოს, ვარსკვლავიანი ცა მოუვლინოს ან ყველაფერი წაართვას ადამიანს.

ჩვენ კი მისი სწორედ ასეთი თავხედობა მოგვწონს:

**თეთრზე თეთრი ვთქვი და შავზე – შავი,**
**გავბედე და შუა ზამთარში ავყვავილდი.**
**ავრიე კალენდარი, ცხოვრება, ამინდი.**
**ყველა ვარსკვლავი დავისაკუთრე**
**და დედამიწას ვუთხარი:**
**რა პატარა ხარ ჩემს სიყვარულთან.**

რაღა გავაგრძელო, მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვისაც წიგნში მოთხრობილი ამბები სულის დამაამებელ აბებად მოევლინა, ავტორი კი ცხოვრობს სიტყვებში, ცხოვრებას აქცევს ტექსტად და ძალიან განიცდის, თუ სიტყვები გაექცევიან წიგნის ფურცლებიდან.

რადგან სიყვარულს არა აქვს ბოლო, არც ცირას ა(მ)ბები დასრულდება არასოდეს. ჩვენ კვლავაც ველით მის ახალ ლექსებს, ახალ კრებულებს, რომლებსაც, ალბათ, რეფრენივით გაჰყვება ერთი პატარა ლექსი:

**მერამდენედ დაეწყო**
**თეთრ ფურცელზე ანბანი,**
**დავიწყე და ვერაფრით**
**დავასრულე ამბავი**
**ერთი სიყვარულისა...**
**ერთის სიყვარულისა...**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა კუცია

# „გამოსცა ნაყოფად ნიგოზი...“

*

## მაკა გოგუაძის „პეკანები“

„ვაჭარი პროზა“ გალაკტიონის უმკაცრესი სინტაგმაა.

მაგრამ პროზამ იქნებ იდუმალების ცისფერი შუქი დაიფინოს, როცა პეკანებზე წერენ.

ოქტომბრის ლბილ მზისგულზე, შუქში ჩაყურჩებული, თაფლივით უნდა იგემოვნებდე უცნაური, ტრაგიკულ-მშვენიერი მოთხრობის სტრიქონებს, თაფლივით, სამსალად რომ გაჰრევია უთქმელი ტკივილი.

„პეკანები“ მოთხრობა-ოქსიმორონია, თაფლსამსალის იდუმალი ნაზავი — თაფლისა (რაკი მშვენიერია თავად ნოველაც და მისი იდუმალი პერსონაჟებიც, და პერსონაჟთაგან მთავარი — დაუსახელებელი საქართველო — „რაც უფრო მშვენიერი ხარ, მით უფრო მიკვდება გული“) და სამსალისა (რაკი არსებობს „მიზეზი სოფლისა აგრე გასამსალებისა“).



მაკა გოგუაძე

ეს ის მაღალი თხრობაა, როცა სამშობლოზე წერენ და სამშობლოს არსად ახსენებენ, ტკივილზე წერენ და... ტკივილზე სიტყვას არ ძრავენ.

ჰიუმი და პაუნდი მოიხიბლებოდნენ, ქედს მოიხრიდნენ...

ნუთისოფლის ბაზარში „სათავისო, ძალიან სათავისო თამაშს“ ინყებს გმირი — პეკანებს იკითხავს და ეს არაა „თამაში რიოში მარგალიტებით“. საერთოდ, არაა თამაში. უფრო — „ნყევლაკრულვიანი საკითხავია“, მარადიული ქართული (და არამხოლოდ) საკითხავი...

„ბერძნული ანუ შენებურად ქართული, სინამდვილეში კი სპარსული ჯიშისაა, რასაც ვეძებ. გემო იგივე აქვს, შეიძლება, ცოტა უფრო მოტკბო, ოღონდ ცრემლის ფორმისაა, გლუვი, ყავისფერი ზედაპირი აქვს, ლებნებიც და რქებიც — მოგრძო. ლათინურად Caria Ilinoiesis ჰქვია“ — დიალოგი ბაზარში, ოღონდ — არა საბაზრო, ბაზრის გნიას-ლაფს არაფრით მისადაგებულ-შეფერებული.

[„ჩემი ქართული ისე განსხვავდება მისი ქართულისაგან, როგორც ორი სხვადასხვა ენა, და ლათინურად ვეუბნები: „De profundis clamavi“, თითქოს ეკლესიაში ვლოცულობდე“ — სხვაგან, სხვა კონტექსტში, ოღონდ იმავე ტკივილით იტყვის ლია სტურუა].

„სულთა ვჰყიდდი გულისათვის, კოშკი ამად გამებაზრა“, — საუკუნეთა სიმრუმიდან ინინასწარმეტყველებს რუსთველი კოშკის გაბაზრების დამადამბლავებელ, სასონარმკვეთ ავბედობას.

გალაკტიონი, „რუსთველი რომ ბავშვი ახსოვდა“, კოშკის გაბაზრების ტრაგიკულ-ლოგიკური გაგრძელების — კოშკის ნგრევის მემატიანეა:

**ინგრევა კოშკი, საუკუნით აშენებული,**
**წინაპართაგან მოტანილი ძვირფას ბროლებით,**
**ცვივა სარკმლები, ბედისწერით დაშინებული,**
**დაშინებული ბედისწერის გამოქროლებით...**
**დგას დაქანცული, გაძარცული, უიარაღო,**
**ყველასთვის უცხო და ყველასთვის გაუგებარი.**

ბროლები მსხვრეულა. „ფეხქვეშ ბაზრის ლაფის“ ჟამი დგას.

მაგრამ ხომ „არსებობენ ადამიანები, ჭუჭყიან ხელს ნარლვნის დროსაც რომ ვერ გაუნვდი?!“ (ნიკო ლორთქიფანიძე).

„პეკანების“ პერსონაჟიც არსებობს — მირაჟული, ბესიკის სევდის ბაღიდან გამოხეტებული თითქოს, „სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი“, და ძალიან თანამედროვეც — სასონარკვეთით თანამედროვე (თუ თანამედროვეობით სასონარკვეთილი — ანუ ღირსეული) — ერთდროულად.

არა „ლალი და უკადრი“ — „ვეფხისტყაოსნის“ გმირებივით. ვეღარ.

„პეკანები ცრემლის ფორმისაა“, ცრემლის — სულიწმიდის მადლის.

ბაზრის ლაფში აცრემლებული, „გაძარცული, უიარაღო“ პერსონაჟი უცნაურად მიემსგავსება მნუხარე სახის რაინდს — რკინის საუკუნეში შემოხეტებულს, გზააბნეულს.

[„ასაკის ბრალია? განატიფების? გაჭირვების?“ (ლია სტურუა)].

აპრილის ქარია გარეთ, „ნაბლის ტოტების გიჟური ყირა.“

სულშიც ქარია — ოღონდ დაოკებული, ალაგმული, დაურვებული ურვა-ვარამი.

ასეთი სასონარკვეთისას თუ აღმოხდა პირველ ბაგრატოვანს, „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არსო“ კოშკის დღეს გასხვისებულ ტალანში — ტაო-კლარჯეთში, ან ვრონსკის სადღაც ძალიან, ძალიან შორს: «Я не человек, я – развалина».

იმსხვრევა კოშკი და იმსხვრევიან ადამიანები, რადგან კოშკი სიმყუდროვეს იმარხავს, განმნმენდ სიჩუმეს.

ბროლებში უნდა აირეკლო, „თავი გაითავისნინო“, უფალი იპოვო და უფალთან განმარტოვდე.

„ტაძარნი ხართ ღმრთისანი და სული ნმიდაი დამკვიდრებულ არს თქუენ შორის“ — „აბოს ნამებაში“ გაიხმიანებს საღმრთო სიბრძნე, საღმრთო ნიგნიდან გადმოღვრილი.

ღმრთის ტაძრებიდან დარჩება მხოლოდ „ლოდი ნასაყდრალი“...

ბაზრის ლაფში პეკანებს მოიკითხავს უკეთესი, ვინც ვერ გაბანკირდა.

მეხსიერების კოშკის „ძვირფას ბროლებს“ ყოფითობის — ბანკომატის შუშის კაბინა — „დღის ინფერნალური კოლექციის“ ერთი ნამსხვრევი — ჩაენაცვლება, „თოვლთა დაფნაში ულონოდ დახრილ მკრთალ ხელებს“ — ბანკის მოლარე ქალის „საშინლად გაბანჯგვლული“ ხელები...

„ინფერნალური კოლექციის“ (სამწუხაროდ, უმდიდრესის!) პარალელურად, პარადიზული სახსოვარიც არსებობს — რომ გადარჩე:

ცოლის ოთხმოცდაშვიდი წლის ბებიას საწყალი ორმოცდაათლარიანი (რეზო ინანიშვილის „საწყალი მანეთიანის“ ანალოგიით) — უარის გამომრიცხავი, ტკბილი საყვედურით, გულით ნაჩუქარი: „არ მაწყენინო, ცას კი არ გამოვეკერები...“

ბაზრის მოვაჭრე, ალბათ, ათიოდე წლით მაინც უმცროსი ქალის თანამლმობელი: „შვილო...“

მეგაპოლისში („რა მეგაპოლისი თბილისია!“) მოხეტიალე, თმააკორტნილი, გამჭვირვალეფეხსაცმლიანი, ნატიფი, „ძაფისმაჯიანი“ გოგო, ხვალ რომ ახალგაზრდა, ამერიკულ-ემფატიკური „რ“-თი მომეტყველე ბანკირზე უნდა გათხოვდეს (აქ პარადიზული კვლავ ინფერნალურში გადაილევრება)...

„სექენდ ჰენდში“ ნაყიდ, გამჭვირვალე ფეხსაცმელს „ფეხშიშველას ეფექტი აქვს, მამ...“ [და გულისმომწყვლელი ფიქრი: „ჩემი შვილია“...].

აქ ყველაფერი „სექენდ ჰენდია“ — სხვისგან ნაცვეთი, სამონწყალოდ მოგდებული მერე.

„ფეხშიშველას ეფექტი“ და „შორეული“ რემინისცენცია:

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გაიარე — რაა მამული?!“

მამული ახლა ბაზრის ლაფია — „ბაზრის ლაფს გრძნობდა ფეხქვეშ...“

მიზეზი ორიოდ სტრიქონის შემდეგაა ახსნილი (უფრო — კონსტატირებული, რადგან ცვრიანი ბალახის გალაფებას, გაალაფებას გონი ვერ ახსნის, მით უფრო — გული): „კიდევ ერთხელ გამოავლინეს და მოცელეს... ქართველურ ენერგიას ვგულისხმობ...“

ქართველური ენერგია სადღაც თვლემს — მოცელილი, გადაცელილი.

აქ, „ბაზრის ლაფში“, „მებარგულთა ჩია საძმოში აყუდებულა ბრგე ახალგაზრდა“, შვილის ნიშნობისათვის ხორაგის საყიდლად მისულს რომ გაძარცვავს და გაძარცული თავად ეცდება მის გამართლებას: „ნუთუ შინიდანვე ამ განზრახვით იყო გამოსული, თუ მე ვაცდუნე — ჩემი სიბრიყვით?! იქნებ, დედის ორმოცის გადახდა უნდა, ან წაგებული სუფრის, ან ცოლი მოჰყავს? ოღონდ ნუ გაყიდდა...“

[ფსევდო-დიონისე არეოპაგელი იტყოდა უკეთ, პეტრე იბერის ქართული გენი: „ბოროტ-ყოფაი არა ძალისაი არს, არამედ უძლურებისაი“ (საღმრთოთა სახელთათვის)]

ეს „ყველასთვის უცხო და ყველასთვის გაუგებარი“ ფიქრიც „ქართველური ენერგიის გამოვლენაა“ — „მოუცელავის“, „ვინ იცის, რა უჭირდას“ ტრაგიკული პერიფრაზი.

„მებრალებიან მე ჩემი მტრები — არ ვიცი მტრობა“ — უცნაური ცოდნა ჩალექილა ქართულ ცნობიერსა თუ ქვეცნობიერში, ვისთვის — ბედოვლათობის ანარეკლი, ვისთვის — ღვთიური...

რაღაც დალპა ქართულ სამეფოში.

ადრეც ლპებოდა — „ოცი-ოცდახუთი წლის წინათ“, უფრო დიდი, დიდი ხნის წინათაც.

ლპობის ნირვანულ მდუმარებას ვირტუალურად თუ დაუსხლტებოდი („მაშინ ვინ იცოდა ვირტუალური ამბები!“) — „დაუსწრებლად თუ მოიხილავდი აღთქმულ ადგილებს“ — „კამბოჯა! კამპუჩია! რაებს ჰყვებოდა [გმირი] — ცხელ ქვებსა თუ დამწვარი ხვლიკების გვამებზე, ტაძართან მდგარ, მედიტაციაში მყოფ ლამაზ ქალზე...“

ასე თუ გადარჩებოდი ლპობის ნირვანულ მდუმარებაში...

„ოცი-ოცდახუთი წლის შემდეგ“ „დრონი იცვალნენ“...

„არასერიოზული მამაკაცების ქვეყანაში ბანკირები ჰაერივით გვჭირდება, მეორეს მხრივ, როგორც კი სერიოზული ქართველი გამოჩნდებოდა, ის მაშინვე ბანკს აფუძნებდა“ — ეს „ვირტუალური ამბები“ როდია, სახვალიოდ შვილის ნიშნობაზე ბანკირი სასიძოსათვის სათქმელი სადღეგრძელო-დითირამბის ფრაგმენტია (აქაც — თაფლ-სამსალის ოქსიმორონი!), ტრაგიკულ-გროტესკული ფრაგმენტი (გრემ გრინის „კაპიტანსა და მტერში“ პანამა ხასიათდება ასე — ტრაგიკულ-გროტესკულად: „სილატაკის და ბანკების ქვეყანა“).

„სულის სუბიექტისთვის“ ძნელია ბაზრის ლაფში ტოპვა, სარკეში სახვალიო სადღეგრძელოს რეპეტიცია (ადრე საქართველოში სარკეებში სიარულს კენარი ქალები სწავლობდნენ — პოეზიის ფრაგმენტი. ახლა „ვაჭარი პროზის“ ჟამი დგას, მაგრამ აკი «не во времени дело, а в нас самых» (დოსტოევსკი).

ახლა აპრილია და აპრილის წრიალა ქარში, ნაბლის ტოტების გიჟურ ყირაში რომ გადარჩე, თებერვლის წერილი უნდა გეიმედებოდეს, მეათასეჯერ გადაკითხული, დამბლამდე მომნუსხველი.

წერილი ძალიან, ძალიან შორიდან — ძალიან, ძალიან ახლობლისაგან, რომელიც, ყველაზე შენი, შენი არ არის („შენი“ შვილის ნიშნობისათვის მოტანილ ხორაგს დაგიწუნებს და ჭურჭელიც დაიმსხვრევა! აქაც კომპსონების სახლივით ბნელა!).

მაგრამ „სიშორის სიახლოვეში მარადის მძაფრი“ გაიკიაფებს „ნანატრი ედემები, სიკვდილის სწორი“...

სადღაც არის „პატარა, ულამაზესი“, კრიალა, უბაზრისლაფო ფრაიბურგი, სადაც ყველა ჩუმად ლაპარაკობს, არც „ბარბაროსობის, არც გლობალიზმის პედანტები“ — ჩვეულებრივი ადამიანები მკვიდრობენ. სიჩუმეა, სიმყუდროვე, ფრანგული საფუნთუშის დამბანგველი სურნელი და წიგნიერთათვის აქამდის დაუგემოვნებელი, მაგრამ ასე ნაცნობი „მადლენი“ — „თურმე (უზუსტეს სიტყვას იპოვის მაკა გოგუაძე!) პაწაწუნა, ოვალური, უკრემო ბისკვიტი“ — პრუსტისეული სახსოვარი — ყველასთვის, ოღონდ — არა ფრაიბურგში...

[სხვა პოეტის, სხვაგან განცდილი, იგივე ტკივილი: „უხერხული ჩანხარ ხავერდოვან გარემოში. თავს ეუბნები: იციან კი აქაურებმა, ვინ არის რემბო? გაუვლია მათ

ნერვებზე მოჭრილი ფეხით? განა რამდენ ადამიანს შეუძლია, დების ფრჩხილებქვეშ ტილების ტკაცუნი მუსიკად აქციოს და უმკაცრესი ესთეტებიც დაარწმუნოს: პოეტი ვარსკვლავიან ცას ემორჩილება და არა ლათინურის წვეტიან კოშკებს" (ლია სტურუა)].

ბაზრის ლაფსა და ბანკის შუშის კაბინას თავდაღწეული, შორეული წერილის ჩუმ პოეზიას უნდა ჩაუმყუდროვდე, იქნებ „მეშჩანურ-ბიურგერული" (უთარგმნელი!) სიმყუდროვეც მოინატრო წამით (მხოლოდ წამით).

იმ წერილიდან სხვა შუქი იღვრება, სხვანაირი — კრიალა ფრაიბურგში გერმანელი დიასახლისის ერთი ვაჟი ქართველი სტუმრის ნაჩუქარი გობელენის ჯვრიანი ქუდით დადის, მეორე — ფსალმუნჩაკერებული ტყავის სამაჯურით — „პატარა კონფესიურ-კულტურული ექსპანსია" (კვლავ — უნატიფესი დეტალი!).

ფრაიბურგში გაბაზრებული, ოღონდ არა მობეზრებული ქვეყნის ნაღვლიანი ანარეკლი — ჯვრის და ფსალმუნის ყუჩი მადლი, წერილში გადმოღვრილი, სიტყვად უბრუნდება ადგილის დედას.

კიდევ — „ქართული ხმები" — „უჩვეულოდ ხმამაღალი ლაპარაკი" — ჩუმად მოლაპარაკე ფრაიბურგში... ტრაგიკულ-გროტესკული ანარეკლი სტრიქონისა: „იმ ხმებში ვგრძნობდი მე რაღაცას ნაცნობს, მშობლიურს" — ეს ხმები ილიასთან ქარიშხლის ხმებია, ყვარლის მთებს შეხეთქებული გრიგალის ზათქი, აქ კი — ფესვებდაჭრილი ადამიანის გაუცნობიერებელი შინაგანი მღელვარება, ნერვული ტონი, სხვის ენაზე მომეტყველე საკუთარ ტკივილს რომ ვერ მორევია... ტკივილი ხმამაღლობად იღვრება... „უცხოობაში რაა სიამე?!"

და „პეკანების" მთავარი ფრაზა, სტრიქონი-ხერხემალი, ყველაზე საშინელი, ყველაზე მართალი და მძიმე ცოდნის დამმარხველი: „კულტურული ადამიანი ყოველთვის ყველაფრისათვის არის მზად იმიტომ, რომ ყველაფრის მიღება მისი შედგომის წინაპირობაა. ჰო, ძალიან ძნელია, იყო ნამდვილად კულტურული. კულტურული ადამიანი მკვდარი ადამიანია."

ეს მთავარი ცოდნაა — ქართულიც, ფრაიბურგულიც. მამაკაცის მიერ საქართველოში მრავალგზის კონსტატირებულს ქალი ფრაიბურგიდან წერილად წარმოგზავნის — ყველგან ერთია, ერთნაირია ცოდნა, დღეს კრიალა ფრაიბურგშიც, დღეს ბაზრისლაფიან საქართველოშიც — «В большом и радостном Париже вся та же тайная тоска»... — უბრალოდ იტყოდა მარინა ცვეტაევა.

„შენად მიჩნეულ ფიქრებს ფეხი აუდგამთ ევფრატის პირად", — უბრალოდ იტყოდა ოთარ ჭილაძეც.

ძველთუძველესი ფაქტი და ტკივილი: „კულტურული ადამიანი მკვდარი ადამიანია."

მაგრამ მკვდარ, კულტურულ ადამიანს აცოცხლებს სახსოვარი: არსებობს პრუსტი, ჩაიში ჩამბალი „მადლენი", გობელენის ჯვრიანი ქუდი, ფსალმუნჩაკერებული სამაჯური და მთავარი, ყველაფერზე მთავარი — პეკანები (ნესტანის რიდის ანათალივით უცხო — უცხოობიდან, უცხოეთიდან წარმოგზავნილი — როგორც სასო, სახსოვარი, გადამრჩენელი) — უცნაური კაკალი, სპარსული, თუ ბერძნული, თუ ქართული — მაინცდამაინც კაკალი — ბიბლიური სტრიქონების ანასხლეტი, უცნაურ შუქს რომ ჩაღვრის ბაზრის გნიას-ლაფში (და ბანკის მკვდარ სიკრიალეში):

როდესაც იაკობ-ისრაელმა თავისი ძენი ეგვიპტეს წარგზავნა ხორციელი პურის „სყიდვად" (და აქ სულიერი პურის იდუმალი მონატრებაც მოიაზრება), იოსებისთვის წარგზავნილ ძღვნად ბრძანა: „რეტინე და თაფლი, საკუმეველი და შტახსი, ბელეკონი და ნ ი გ ო ზ ი" (შესაქმისაი 43, 11).

საუფლო კარვის შვიდსანთლედის ქმნისას უფალმა დამოძღვრა ღვთისმსახურნი: „ჰქმნე სასანთლე ოქროისაგან წმიდისა... სამნი ტაკუკნი დაწესებულნი ნ ი გ უ ზ ი ს მსგავსნი: ერთი ლელწმის სახე, ერთსა — ბირთვის სახე და შროშანსა" (გამოსლვათა 25, 31-33).

რიცხვთა წიგნში (17, 5-8) განედლებული ნიგოზი საუფლო ნების, კაცთაგან რჩეულის დადგინების პარადიგმაა: „და იყოს: კაცი, რომელი გამოვირჩიო მე, კუერთხი იგი მისი განედლდეს... და შევიდეს მოსე და აჰრონ კარვად საწამებელისა და, აჰა ესერა, კუერთხი იგი აჰრონისი განედლებული იყო სახლსა ზედა ლევისსა: და მოელო ფურცელი და გამოელო ყუავილი და გამოსცა ნ ი გ ო ზ ი".

უცნაურია (იქნებ, ძალიან საცნაურიც!) საბასეული განმარტება ნიგვზისა (რატომღაც მასაც ნიგვზის კვერთხი აგონდება, აარონის ღვთიური კვერთხი): „ნიგვზის კვერთხი უძილობის მომატყვევებელიაო (გამომწვევი) არს".

ვერც „პეკანების" გმირი იძინებს — ვერც ხელებმომუშტული (ჩვილივით), ვერც გულხელდაკრეფილი (მიცვალებულივით).

[იქნებ ესეც საიმედოა: „სულ ძილი, ძილის" შემდეგ?!].

„ბოტანიკურ ლექსიკონში" პეკანთა ერთ-ერთ სახელად მითითებულია Olivaeformis Nut — ზეთისხილისებრი ნიგოზი (ალექსანდრე მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი).

ზეთისხილის რტოს წარღვნის დასრულების ნიშნად ნოეს მოართმევს მტრედი პაწია ნისკარტით.

პეკანებიც — ზეთისხილისებრი ნიგოზიც წარღვნის დასრულების, ბაზრის ლაფის (წარღვნის გროტესკული ნაშთის) აშრობის, ბაზრის გაკოშკების პარადიგმა თუა უნატიფეს მოთხრობაში...

„არსებობენ ადამიანები, ჭუჭყიან ხელს წარღვნის დროსაც რომ ვერ გაუწვდი..." მადლობა უფალს...

**P.S.**

ახლა შემოდგომაა, ოქტომბრის „მალენიავი", რუხი ცა და ფოთლების ოქროსფერი ანამცვრევები — ოქროსფრისა და რუხის იდუმალი ჰარმონია, ოქსიმორონი.

„პარნასის" მაღაზიებში თბილა, სითბოა — სილბოში გადაღვრილი, ჩუმი მუსიკა. თავი ფრაიბურგში გეგონება.

კრიალაყდიან წიგნთა შორის ამაოდ ვეძებ რომანს „ერზაცი ისევ ხუმრობს."

გამყიდველი გოგონა, თავაზიანი და, იმავდროულად, გულგრილი მზერით კომპიუტერში უცნაურსათაურიან წიგნს დამიძებნის (სათაურს გამამეორებინებს), მერე თავაზიანად, გულგრილად მეუბნება: „ნულზეა."

„დღის ინფერნალური კოლექცია" უცნაური ფრაზით ივსება.

პარადიზულ კოლექციაში მაკა გოგუაძის „პეკანებია", ჯერ — მხოლოდ „პეკანები"...

ეროვნული ბიბლიოთეკა



პოეტი, ენათმეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის დოქტორანტი, ლიტერატურული ჟურნალის "ლ'ილ" რედაქტორი, ლიტერატურული ელექტრონული ბიბლიოთეკის lib.ge-ს თანაავტორი, არაერთი ლიტერატურული პროქტის ავტორი, ლიტერატურული კონკურსის " ნერო" გამარჯვებული (2008 წ), წელს გამოვიდა მისი პირველი პოეტური კრებული "შოკოლადი".

**დიანა ანფიმიადი**

## მამას

(კონსპექტური მითოლოგია)

*კრონოსმა ზევსი გადაყლაპა,*
*ჩვენ ქვა გვყავს ღმერთად.*
**ბერძენი ავტორი**

შიგნით შევუშვი გორგალი და
მე გარეთ დავრჩი.
არც მინოტავრი -
იქ ჩემივე მელის სიმხდალე.
შემომეჭამა დაქანცულ მწყემსს
ერიდას ვაშლი,
ის ერთი თვალიც
მხოლოდ თვითონ გამოვითხარე.
ვერც მუხლებიდან
წელს ზემომდე
გზას ველარ გავცდი
ჩემსავე შუბლთან – იქ
ერთგული ცოლი მელოდა.
აქ კი
მეფობის მომლოდინე
მემკვიდრე – ვაჟი
და ერთი ღამით ყველას ცოლი
მყავს -
პენელოპე.
- ნუღარ უძებნი ღამის ლექსებს
ღერძს და საყრდენებს,
ყველა საწოლი აკვანია,
რითაც დაგვფლავენ –
ამბობს პითია - დედაჩემი,
წვნიანს ქურაზე
რკინის თავსახურს მჭიდროდ აფარებს.

შვიდივე კარი გავაქციე
ქალაქ თებედან,
და მერვე კარი -
დედაჩემი დავტოვე ღია . . . . .

ქვების გაჩენის დროს
ქვების გაჩენის და ხელახლა ჩაყლაპვის დროს
ქვების ჩაყლაპვის და ხელახლა გაჩენის დროს
მე არ ვიყავი იქ
მაპატიე.

## რეპეტიცია

გადასასვლელზე წავიქეცი,
მიმოვიფანტე,
ხელები უცხო მანდილოსანს გაჰყვნენ მარაოდ
ფეხებს ვარდისფერ პუანტებად ირგებს ინფანტა,
ფილტვები – მეფის სასახლის წინ მდგარი კარავი –
— ვითხოვთ სიმშვიდეს
ვითხოვთ თეთრ პურს
ვითხოვთ ლიმონათს!
თავი მერიის სახურავზე
საათს აჩვენებს
ისრები ზევით – მე ვილიმი,
პირიქით – ვტირი,
(როდესაც მიჭირს, სიტყვებს შორის ხიდია ტირე)
ზღვა არის ზეპირი
მჭირდება ნაპირი
მიწიდან მინამდე მგზავრობას ვანდომებ
ზუსტად ერთ სიცოცხლეს
და ცოტა იმედებს
სამყარო ვერ ბედავს,
უკეთ, ვერ იმეტებს,
დაკარგოს სიტყვებით ნაგები ხუხულა -
– კაცის ფანტაზია
რაც ისე ნაზია
ახლოს ვერ იკარებს
დამტვრეულ იკაროსს.......

ზეცისკენ მიმართულ ისრებზე მივცოცავ,
და ვჭრი საფეხურებს –
ზუსტად თორმეტია
დრო ბევრი მჭირდება
ვიდრე მე მჭირდება
დრო უფრო მეტია!
თორმეტს ერთი წუთით გადასცდა
თენდება
მინაზე ვფხიზლდები
დამარცხდი, იკაროს,
დამდნარი ფრთებია საათის ისრები....

ჩემს ნივთებს, ან უკეთ,
სხეულის ნაწილებს
ვაგროვებ,
რა?
როგორ მომძებნი?
რიგში ვარ –
-რომელშიც არავინ არაფერს არ გაძლევს –
ელექტრობოძების.

## პარადოქსი

გუშინ ერთმანეთს მივუშვირეთ
წყლის ცივი ჭავლი
და ერთმანეთის ერთმანეთში ჩაქრობა ვცადეთ.

მოხუცი ბებოს გაზქურაზე
აღარ დუღს ყავა
მგზავრს გაუთავდა
მშრალი სპირტის მთელი მარაგი
მერე ვულკანმაც ჩაიბრუნა სხეულში ლავა
არ შეიყვარა რომაული თეთრი ქალაქი.

გუშინ ერთმანეთს მივუშვირეთ
წყლის ცივი ჭავლი
და ერთმანეთის ერთმანეთში ჩაქრობა ვცადეთ.

## სახამებელი

ზოგჯერ
უბრალო პურის ფქვილი კანის ფორებში.
წაგრძელებული ფანქრით თვალი,
წითელი ბაგე,
ან ხერხემალი,
როგორც სარი – თუკი მოეშვი -
შენი სხეული ჩითილივით რომ მიამაგრეს,
ხან ტარაკნების მუნჯი სტეპი აბაზანაში,
ზოგჯერ მწებავი სიტკბო ლელვის,
ან თეთრი ყურძნის,
ზოგჯერ უსაზღვრო ოკეანის მთელი მარილი
გემებს მთელს რბილობს -
– მეზღვაურებს - რომ გამოსწუწნის.

ხანდახან წყენის დიდი ლუკმა
ცივ წყალს აყოლებ,
შენივე თავი - ავარდნილი თავში - საცობი,
ზოგჯერ უბრალოდ ამოსუნთქვა
როდესაც გინდა
სიტყვის გარეცხვა
და ფრაზებად თოკზე გავრცობა.

— გახევდი, რადგან გაგახამე –
ბაგესთან მოგაქვს
მტვერივით ფქვილი –
ერთი კოვზი –
ფქვილივით მტვერი,
ბაგე ბუდეა,
და შენ იცი, თუ ვერ მოასწრებ,
სიტყვები კბილებს,
როგორც ნაჭუჭს გამოამტვრევენ.

და ამიტომაც ხმის სიმებზე
მარჯვენა ხემით...
შემდეგ ჯერამდე გამახამე
და გამახევე.

## ომი

I
ჩემი ჭა დაშრა
წვეთები ხეებს ნაყოფებად ჩამოეკიდნენ,
არ მაქვს სამშობლო.
II
კარის მეზობლის კარზე – დაფაზე
მაგალითი გამოვიყვანე –
კუბური ფესვი მცენარიდან
და ფეხები რბენის ხარისხში,
არ მაქვს სამშობლო.
III
მე მკვდარი ზღვა ვარ
აქ მარილიც ისე მკვდარია
ენის წვერიც ველარ აცოცხლებს
და ველარც ორი შესართავი
სირდარია
ამუდარია –
მკერდი, რომელიც უნდა გეწოვა.

არ მაქვს სამშობლო.
IV
ნუ მეუბნები, რომ გიყვარვარ,
არ მსურს და ყურებს
თითებით ვიცობ,
ხმით გაჩენილს ვიხშობ იარებს
არ მაქვს სამშობლო
და სიყვარულს არა აქვს აზრი
და ალბათ ზღვაში ვიმშობიარებ.
V
ჩემი ჭა დაშრა
წვეთები ხეებს ნაყოფებად ჩამოეკიდნენ,
არ მაქვს სამშობლო.

## რეზინობანა
**( მსოფლიოს ყველა მესაზღვრეს)**

იმ მხარეს მამა დავაყენე
ამ მხარეს დედა
ფეხებით უნდა დაიჭირონ ჩემი სამყარო,
ვხტები, ვშორდები დედამიწის მიზიდულობას
ტილები
თავს ვერ იმაგრებენ თმაში
— გავყარე.

ერთი ორი სამი
ერთი ორი სამი
მამის ნაცვლად შემეძლო
აქ დამედგა სკამი,
მერე შევჯიბრებოდი
ამ თამაშში მამაჩემს,
მაგრამ მამა მომკვდარა
ჩემთან ვერ ითამაშებს.....

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ორი
ერთი ორი
საზღვრის მავთულხლართები,
კისერს ზემოთ ვერ ვხტები,
ვვარდები . . .

დე,
ნუ დაგეზარება მუხლის სპირტით მობანა
ორი ქვეყნის საზღვარი -
ჩემი რეზინობანა.

## მეტაფორა

კურკა, რომელსაც მიწაში ვფლავ
მეტაფორაა,
შენი თვალების ზეთისხილის
ნაყოფს მოვიწევ.

## ჩაის ცერემონიალი

ჩემი გულიდან შენს გულში – სისხლი
შენი გულიდან ჩემს გულში – სისხლი
გული ფაიფურის მყიფე ჭურჭელი.
სისხლი – მდუღარე.....

## სავარჯიშო
**(უზმნო წინადადებებს გაუსვით ხაზი)**

შუშის ნამსხვრევები წყლის ჭურჭელში.
ჭურვის ნამსხვრევები ხორბლის ყანაში.
მეტროს ჯიბეები ამოვიტრიალე.
ჟეტონი წითელია და გაცვეთილი.
მეტროთი დავდივარ ომის სანახავად.
ადამიანებმა ენები მხრებზე გადაიკიდეს –
დროშებგადმოგდებულები წყურვილით იხოცებიან.
ფეხებმა დაატყვევეს ფეხსაცმელები.
ფეხსაცმელები გაექცნენ მკვდარ პატრონებს.
სახრჩობელებზე კონწიალობენ მკვდრები.
მეეზოვე მკვდრების ფეხებქვეშიდან მიზეზებს გამოხვეტავს.
დილის 6 საათია.
შიშველი გავდივარ აივანზე სისხამის შხაპის მისაღებად....
ტყვია ლამაზია და პრიალა,
ტყვია ჩემი სხეულის მისაღებში დივანზე წამოკოტრიალდა.
ტყვია ტელევიზორს უყურებს.
ტყვიამ გამოფეთქა ჩემი სხეულის ფანჯრები.
ხავერდის წითელი ფარდები ფრიალებენ.
შუშის ნამსხვრევები წყლის ჭურჭელში.
დავლიე.
ბგერა გამეჭრა.
ჭურვის ნამსხვრევები ხორბლის ყანაში -

კივილი – დაჭრილი ხმა.

## ენა

ურჩი ბავშვივით გადაფორთხდი
ჩემი ბაგიდან
ვერ შეგაჩერებ ბავშვურ ქუსლზე
კბილის ნავლებით
— თაფლი
შაქარი
აი, ჩემი შუამავლები.
საფენებივით
ყოველდღიურ ლოზუნგებს გიცვლი,
გუშინ ხომ ისევ ჩაისველე
დღისით, ხმამაღლა,
როცა დროშა ხარ
ხმის სიმაღლის ტარზე გამაგრებ.

დაუღეჭავი ლუკმა
როგორც სასაში ნალმი.
გაშრი, ან გახმი!

## მარტივი შეკითხვა

ყორღანი
აკლდამა
სარკოფაგი
სასახლე
კუბო....
ნეტავ როგორ ჭამს სიკვდილი გვამებს,
ხის კუბოებს წინა კბილით ხსნის
როგორც დიმიტრი
კარტოფილის ჩიპსების კოლოფს?!

## იგივეობა

როცა არავინ ლაპარაკობს გრძნობის შესახებ
როცა არავინ ლაპარაკობს გრძნობის შესახებ,
როცა არავინ ლაპარაკობს გრძნობის შესახებ.....
მე შენ გთავაზობ ფერთა ახალ იგივეობას.

ავაწყვე ბრინჯის ნამცეცებით
ბრინჯის ყანები,
ერთი ყლუპი რძით –
ღრუბლიანი ცა და ნისლები,
ავაწყვე პურის ნამცეცებით,
და მენანები –
როცა გაწყობ და თვისებებად როცა იშლები,
ზეთის წვეთებით – ზეთისხილის მყუდრო ბაღები,
ან ტარაკნების მოზაიკით – ყავის ნამცხვარი,
ეს დილა შენგან გასაქცევი,
როგორც ის ხვრელი,
მანის ფაფაში კოვზის ტარით როცა გავთხარე.
ვდგავართ,
ვუყურებთ ჩვენ ორს შორის ტოლობის ნიშანს,
თვალებს – ჟანგიან ორთვალებად
ხშირად ვაგორებთ,
ხან ეს ტოლობა არის ძველი რკინის საწოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა



და უზუსტობა შეგვერჭობა ღამით ზამბარად.
დღეს თვალებს ვითხრით
და სანაცვლოდ ვრგავთ ყვითელ ტიტებს,
მზერის შხამიან სოკოებსაც
მთლიანად მოვთხრით,
მე შენ გთავაზობ რიცხვთა ახალ იგივეობას,
როცა არავინ ლაპარაკობს გრძნობის შესახებ,
რომ ორჯერ ორი
არ არის ოთხი.....

(არადა, შენი მძიმე ხელი
ჩემს მსუბუქ მხარზე –
წინადადება მარტივი და
რთული ქვეწყობა).

## წესები ფეხით მოსიარულეთათვის

**1) არ მოისმინო**
საკუთარი ნაბიჯის რიტმი,
შეიძლება აგიყოლიოს.
**2) ბუდას მეწამულ შესამოსელს**
არ მოუხდება
შენი თეთრი ბოტასის კვალი.
**3) თუკი კვერცხებს დებს**
შენი ქოხი ქათმის ფეხებზე
– არ გაიკვირვო.
**4) არ დაელოდო**
მწვანის ანთებას,
დე, მანქანები შემოგატყდნენ,
როგორც ფრჩხილები.
**5) მარჯვნივ იარე**
რადგან მარცხნივ
მკვდრები მოდიან
**6) არ გაბოროტდე,**
როცა ქუჩა წინ გადაგასწრებს.
**7) არც ბაყაყების კოცნა არ ღირს –**
ყველა ბაყაყი მარადმწვანეა.
**8) ვინც გვერდით მოგდევს,**
ნურასოდეს აუწყობ
ნაბიჯს.
**9) რომ გადადიხარ,**
დაივარცხნე თმა,
შეილებე ტუჩები,
გაისწორე მუხლთან წინდები,
ამ დროს
არცერთი მანქანა არ დაგეჯახება.
**10) დაიმახსოვრე,**
შუქნიშნები არ არსებობენ.
**11) სხვებმა იარონ,**
შენ გაჩერდი,
იარონ სხვებმა.

პირველი შთაბეჭდილება

# ძიება გრამატოლოგიური თამაშის ფონზე

ვიცნობ დიანას ადრინდელ ლექსებს, ახალ წიგნში რომ დაიბეჭდა. მისი წიგნი "შოკოლადი" თვალითაც არ მინახავს, მაგრამ ლექსები კარგად მახსოვს, რადგან ლიტერატურულ საიტებზე ხშირად აქვეყნებდა და მეც დროდადრო ვუწერდი კომენტარებს.

ადრინდელი სტილისტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რასაც ახალ ლექსებში გვთავაზობს ავტორი. მაშინ დიანას ლექსები მეტაფორული, თვალისმომჭრელი ფეიერვერკებით გამოირჩეოდა და უკვე ჰქონდა თავისი ენა და სტილისტიკა, რაც მეტად მნიშვნელოვანია.

იშვიათად, მაგრამ დროდადრო გაკრთებოდა უფუნქციო მეტაფორული თამაშით გატაცება, რაც სრულიად ბუნებრივია ახალგაზრდა ავტორისათვის.

მისი ახალი ლექსების კითხვისას მივხვდი, რომ განსხვავებული სტილისტიკის პოეტს შევხვდი, რომელიც დაშორდა ადრინდელ ესთეტიკას და სხვა გზას დაადგა.

დიანას ახალ ლექსებში საგრძნობია ლაკონურობა, ტროპის სიზუსტე, ფარული ირონია, სიტყვით თამაში, მოკლედ რომ ვთქვა, გრამატოლოგიური თამაში, რომელსაც მოჰყვება დამაფიქრებელი, დაკრისტალებული სტრიქონები, თამაშის ფონზე რომ გამორჩეულად ზემოქმედებს.

დიანას ახალ ლექსებში საგრძნობია ლაკონურობა,

მითოლოგიური თემატიკა დიანას მშობლიური სამყაროა. ეს იგრძნობა კიდეც პირველივე ლექსში / "მამას"/. მითის არქაულობის მიუხედავად, ლექსი თანამედროვეა, თანაც იგი ინახავს ტრადიციულ სამყაროს სრულიად ახალ კონტექსტში. ციტირებას არ შევუდგები, რადგან მთლიანად ლექსი ექსპრესიული და საინტერესოა.

რამდენიმე სტრიქონს ამოვიწერ ლექსიდან "იგივეობა", რომელიც, ჩემი აზრით, უაღრესად პოპულარულ თემას ეხება და სრულიად თავისებურად:

**ვდგავართ,**
**ვუყურებთ ჩვენ ორს შორის ტოლობის ნიშანს,**
**თვალებს – ჟანგიან ორთვალებად**
**ხშირად ვაგორებთ,**
**ხან ეს ტოლობა არის ძველი რკინის საწოლი**
**და უზუსტობა შეგვერჭობა ღამით ზამბარად.**

სიყვარულის თემატიკა ამგვარადაც შეიძლება აისახოს, ისე, რომ ავტორმა არ გაიმეოროს სტერეოტიპების ნაირსახეობა, ეს კი უკვე ბევრს ნიშნავს.

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, სიახლის განცდას თითქმის ყველა ლექსში აღმოაჩენს მკითხველი.

დიანა ანფიმიადის ლექსებში არის ახალი ტროპი და ნაცადი პროსოდიულობა, რაც თვალშისაცემია.

არ ვიცი, ვის როგორ აინტერესებს ტროპული სიახლეები, მე კი სიახლეს მაშინ ვაფასებ, როცა არაა თვითმიზნური, და ხელოვნურ სიახლეს კი არ ეწირება პოეზია, არამედ სიახლე სხვა გზით აღწევს მიზანს, სხვაგვარად ქმნის პოეზიას.

**გივი ალხაზიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (სდასუ) სტუდენტებმა პოეზიის საღამო-კონკურსი გამართეს. ლექსებს, რომლებსაც ისინი კითხულობდნენ, პროფესორებისგან შემდგარი ჟიური აფასებდა. უკამათო გადაწყვეტილებით, პირველი ადგილი ჟურნალისტიკის სპეციალობის მეოთხეკურსელს თათია ჯგუშიას ერგო.

„ჩვენი მწერლობის" მკითხველები თათიას პუბლიცისტური წერილებით იცნობენ, უფრო ზუსტად, რეპორტაჟებით, მისი მშობლიური ქალაქის კულტურულ ცხოვრებაზე რომ მოგვითხრობენ. ის ზუგდიდის ცნობილი ლიტერატურული კლუბის „ნოეს" წევრია და დროდადრო სწორედ იქ გამართულ საინტერესო შეხვედრებზე გვიამბობს ხოლმე. დღეს მინდა გესაუბროთ თათიაზე როგორც მართლაც იმედისმომცემ პოეტზე, მისი გამარჯვებული ლექსიც შემოგთავაზოთ და მომავალში უფრო დიდი წარმატებები ვუსურვო.

იოსებ ჭუმბურიძე

# ნიჭიდან ცამდე

თუ ჯერ თათიას გაიცნობ და შემდეგ მის ლექსებს (ანდა — სულაც პირიქით), გაკვირვება დაგეუფლება: ეს შეცივებული ბელურასავით მობუზული პატარა გოგო, სად პოულობს საამისო ძალას, უფალს რომ ელაპარაკოს.

როცა გაკვირვება გაივლის, იფიქრებ, რომ ამგვარ სითამამეს პოეტური ნიჭი განაპირობებს, ნამდვილი ნიჭიერება კი კრძალვასაც ბუნებრივად წარმოშობს და ზომიერების სანატრელ გრძნობასაც. ზენა, ნიჭს თუ გაძლევს, სხვა ყველაფერსაც თავის ადგილს თვითონვე მიუჩენს („ქალაქი მალაგებს სახლივით").

ალბათ, ძალიან საინტერესოა, ადამიანიდან ღმერთამდე უფრო დიდი მანძილია, თუ პირიქით. აშკარაა, რომ თათია ამ კითხვაზე დაფიქრებულა. არ ვიცი, პასუხიც უპოვნია თუ არა, ის კი ზუსტად იცის, რომ ღმერთიდან ჩვენამდე (თათიამდე) მზე არი, ხოლო ჩვენიდან (თათიადან) ღმერთამდე — ცებია.

ცის ეს უხერხული მრავლობითი, მინდა მჯეროდეს, მხოლოდ რითმისთვის არ გამოუგონებია. იქნებ სწორედ ამით გვითხრა ის, რომ ჩვენიდან ღმერთამდე უფრო შორია, ვიდრე პირიქით, თუმცა მზე, რომელიც „შუაშია", არა მხოლოდ გვათბობს და გვინათებს, თვალის მოჭრა და დაწვაც შეუძლია. ღმერთისთვის კი ასეთი ბარიერი და საფრთხე არ არსებობს.

ზემოხსენებული მრავლობითი, ალბათ, იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ყველა ნამდვილ პოეტს თავისი ცა აქვს. შენს ცას გაუმარჯოსო, — უთქვამს პავლე ინგოროყვას ანა კალანდაძისათვის.

დღეს ყველა წიგნიერმა ქართველმა იცის, როგორია ანას ცა — ღრმა და ფაქიზი, „ძალიან ლურჯი, დაუსაბამო"...

ცა შემთხვევით არ დომინირებს თათიას ლექსში.

მაგრამ ცას მოპოვება უნდა. ეს რომ შეძლო, მეორე ანას (ახმატოვას) მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილო: ლექსი მხოლოდ აუცილებელი სიტყვებით უნდა შეთხზა.

თათიას ლექსებში კი ჯერ საკმაოდ არის არააუცილებელი სიტყვები. უხერხული მრავლობითის გარდა, აქ უხერხული რითმაც შეგხვდება (სახურავს — მახურავს; კადრებად — კადრება), თუმცა იქვე ნახავ პოეტურად უნაკლო სტრიქონებს (ტაეპებს):

**მახრები მიხრავენ დარაბებს.**
**ბარაბა. რითმაა უბრალოდ...**

**......**
**და რას არ ამბობენ უბნები;**
**და რას არ მაბრალებს ხმაური...**

ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ, ერთადერთის სურვილი გიპყრობს — სრულყოფილების.

სრულყოფილება კი თანდათან მოდის, ეკლიან გზაზე ტანჯვა-წამებით სიარულს მოაქვს.

„მაგრამ შენთან მინდა ვიარო", — ეუბნება თათია უფალს.

და მე მჯერა, რომ მაღალი ღმერთი უარს არ ეტყვის, ხანდახან ხელშიც კი აიყვანს.

აბა, ასეთ ნიჭს რატომ მისცემდა?..

თათია ჯგუშია

* * *

ქალაქი მალაგებს სახლივით,
მზე ველარ ახურებს სახურავს,
საყურეს დავყურებ დაღლილი,
ვიცი, რომ შენი ცა მახურავს.
მახრები მიხრავენ დარაბებს.
ბარაბა. რითმაა უბრალოდ.
— გმადლობ, რომ მიყვარხარ,
— არაფერს.
გიჟი ვარ, და მაინც, უფალო,
ვიცი, რომ ჩემამდე მზე არი,
ვიცი, რომ შენამდე ცებია,
მაგრამ შენთან მინდა, ვიარო,
რადგან აქ თორმეტზე წვებიან.
და რას არ ამბობენ უბნები,
და რას არ მაბრალებს ხმაური...
მე მთელი ცხოვრება ვუნდები,
რასაც შენ წამებში აურევ,
ან იქნებ ალაგებ, ჰო, უფრო
ალაგებ ამ ლაქებს კადრებად,
მე შენთან იმიტომ ვსაუბრობ,
დუმილის არ მინდა კადრება.
ქალაქი მალაგებს სახლივით
ქალაქი მალაგებს უბრალოდ...
ვარ სიცარიელით დახრილი
და შენით ამავსე, უფალო.

**P.S.** მინდა, თათიამ ხშირად წაიკითხოს ბარათაშვილი (ვისაც ქალბატონმა ლია სტურუამ ცაზე მოხატული პოეტი უწოდა): „მამა დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად"...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ივანე ამირხანაშვილი

# სიმართლის ვალი

ამქვეყნად ყველას აქვს თავისი ვალი, ოღონდ გადახდას ყველა ვერ ახერხებს. ესეც ბედზეა, გამართლებაზეა, მოვლენათა განსაკუთრებულ დამთხვევაზეა.

გადახდის უნარი ნიჭია განგებისგან მოძღვნილი.

ნიჭი – ძველქართულად – საჩუქარს ნიშნავს.

ბედის საჩუქარია, როცა აკეთებ იმას, რაც გევალება, რაც გინდა, რაც უშენოდ არ იქნება.




რევაზ კვერენჩხილაძეს ბედმა უბოძა ვალდებულება, გამოემზეურებინა რეპრესირებულთა ტრაგიკული ამბები. დიახ, ბედმა უბოძა და ამიტომაც იყო ეს წყალობა ძალიან მძიმე და ძნელად მისაღები. მან საკუთარ თავზე, საკუთარი ოჯახის მაგალითზე გამოსცადა ის, რაც შემდეგ ფართოდ და სახალხოდ უნდა განეზოგადებინა. მამა 37-ში დაუხვრიტეს, დედა გადაუსახლეს და რვა წლის განმავლობაში უნამეს იმიერპოლარეთისა და ყაზახეთის საპატიმროებში.

ივალა და გადაიხადა. ეძება, ჩხრიკა, ინვალა, იბრძოლა, იშრომა და დაწერა წიგნი „ნამების გზა", რომელიც ორ წიგნად გამოვიდა 1999 და 2005 წლებში, ამას მოაყოლა „რეპრესირებული ოჯახის ისტორია" /2006(ბოლოს კი – „საბუთები ღაღადებენ. . ." /თბილისი, 2007; რედაქტორი გიორგი ციციშვილი, რეცენზენტი გელა საითიძე).

ოთხასგვერდიანი წიგნი დოკუმენტებით, წყაროებითა და კომენტარებით, 1918 წლიდან 1980-იან წლებამდე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან საბჭოთა იმპერიის დასასრულამდე.

შთაბეჭდილება შეიძლება ორი სიტყვითაც გამოიხატოს – არაფერი შეცვლილა!

რაც იყო უწინ, არის ახლაც: უპრინციპობა, ღალატი, მარცხი. საქართველოს ისტორიის ბოლო ასწლეულების უცვლელი ფორმულა.

რევაზ კვერენჩხილაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წყაროებს, რომლებსაც, როგორც ჩანს, საფუძვლიანად იცნობს, ეფექტურად იყენებს და თხრობას ისე წარმართავს, რომ საბუთებს არც დოკუმენტურ სანდოობას უკარგავს და არც პუბლიცისტურ ჟღერადობას აკლებს. ასე ვითარდება მკითხველის თვალწინ ცნობილი ისტორიული მოვლენები უცნობი ან ნაკლებად ცნობილი დოკუმენტების ფონზე:

დამოუკიდებლობის მოპოვებისა და დაკარგვის პერიპეტიები;

საქართველოს განითლება; რევოლუციური კომიტეტისა და კომპარტიის ცეკას დადგენილებანი და განკარგულებანი; პარტიის ხელმძღვანელთა აღიარებანი;

შინსახკომი და მისი მუშაობის მეთოდების მამხილებელ დაკითხვათა ოქმები თუ სხვა საიდუმლო მასალები; შინსახკომელთა აღიარებანი;

შინსახკომის ფარული თუ გაშიფრული აგენტების, დამსმენთა და პროვოკატორთა შეტყობინებანი;

რეპრესირებულთა მონათხრობი, განცხადებანი შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა და პარტიის ცეკას სახელზე;

საპატიმროდან მოწერილი ბარათები, ნაპატიმრალთა ლექსები;

საქართველოს მწერალთა კავშირის გასაიდუმლოებული სტენოგრამები.

მოვლენების, სახეებისა და სიტყვების ძალიან სწრაფი, ელვისებური ურთიერთმონაცვლეობით, რომელიც რაღაცით კინემატოგრაფიულ „ეკშენს" მოგვაგონებს, იხატება ქართული პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული წრეების მიერ შექმნილი ამორალისტური სურათი, მეოცე საუკუნის ქართული მარაზმი, უზნეობის პანოპტიკუმი.

სამძიმო სურათის ფონზე მკრთალად, მაგრამ მაინც მოჩანს დადებითი მოტივების შემცველი ეპიზოდები. როგორც ჩანს, კაენის სულის აღზევებას მთლიანად არ დაუბნელებია სული და გონება ქართველი კაცისა. მაშინაც იყვნენ, ან თუ გნებავთ, მაშინ იყვნენ, თუ იყვნენ, ფხიზელი მამულიშვილები, ჯერ კიდევ ცოცხლობდა საზოგადოება, ჯერ კიდევ ახსოვდათ „მამულისა ჩვეულებისაებრ სლვაი", არ გამქრალიყო წინაპართა კულტის თაყვანისცემა, კვლავაც არსებობდა კულტურა ღირსებისა და პატივის დაცვისა, მტრისა და მოკეთის გარჩევისა, სამშობლოსათვის თავდადებისა.

„მონობა?! რა საფიქრებელია! სიკვდილი სჯობიან!" – ერეკლე ტატიშვილის ეს სიტყვები აქვს გამოტანილი ავტორს წიგნის გარეკანზე, რა თქმა უნდა, არა შემთხვევით, არამედ სავსებით შეგნებულად, გააზრებულად, კანონზომიერად, რათა მიგვანიშნოს თავისი შრომის მოტივზე: უკეთურთა აღზევების ჟამს მთავარია არა ის, თუ რას სჩადის ბოროტი ძალა, არამედ ის, თუ რას აკეთებს ამ დროს სიკეთის ძალა.

სიკეთისა და სიმართლის დაცვა ამქვეყნიურ საქმეთა შორის ყველაზე ძნელია, მითუმეტეს მაშინ, როცა ბოროტებას სიკეთედ ასაღებენ, სიყალბეს კი – სიმართლედ.

ქების ღირსია რევაზ კვერენჩხილაძის გამბედაობა. მან ისეთი რამეებიც გამოამზეურა, რომელთა გამო შესაძლოა ბევრი უსიამოვნება შეხვდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, სხვაგვარად არ შეეძლო, რადგან სიმართლემ ამჯერად მისგან მოითხოვა ერთგული სამსახური, მას დააკისრა ვალის გადახდა, არ მიიჩნია ამ საქმის შემძლედ და მანაც პირნათლად აღასრულა ვალდებულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიდრიხ დიურენმატი

# მართლმსაჯულება

*ეს რომანი რეალურ ფაქტებს არ შეიცავს. სახელები, მოქმედი პირები, ადგილები და კოლიზიები ავტორის ფანტაზიითა შექმნილი. ნებისმიერი მსგავსება სინამდვილეში არსებულ ადამიანებსა თუ ამბებთან სრულიად შემთხვევითია.*

## I

კალამი ხელში ალბათ წესრიგის სიყვარულმა ამაღებინა. ამ ანგარიშს პედანტობის გამო ვწერ, მინდა კიდევ ერთხელ ვაიძულო ჩემი თავი, თვალი გადავავლო მოვლენათა თანმიმდევრობას, რომლებმაც უდანაშაულო კაცი დალუპვამდე მიიყვანა. მკვლელი კი გაამართლეს. კიდევ ერთხელ მინდა გავიაზრო ყველა ის ნაბიჯი, რომლისკენაც მიბიძგეს, ზომები, რომლებიც მივიღე, შესაძლებლობები, რომლებიც ვერ გამოვიყენე. მინდა განმეორებით და კეთილსინდისიერად ავწონ-დავწონო ის შანსები, რომლებიც, ჩემი ვარაუდით, ჯერ კიდევ დარჩენია მართლმსაჯულებას. მაგრამ უპირველეს ყოვლისა წერა იმიტომ დავიწყე, რომ დრო მაქვს, ბევრი დრო, სულ მცირე ორი თვე. ახლახან დავბრუნდი აეროპორტიდან, პირდაპირ იქიდან მოვდივარ (ბარები, რომლებშიც გზად შევიარე, არ ითვლება, ჩემს მდგომარეობასაც ნუ მიაქცევთ ყურადღებას. საშინლად დავთვერი, მაგრამ დილისთვის გამოვფხიზლდები).

როდესაც ჩემი "ფოლკსვაგენიდან" გადმოვხტი და რევოლვერი ამოვიღე, გიგანტური მანქანა სწორედ იმ წამს მოწყდა მიწას, კურსი ავსტრალიაზე აიღო და დოქტორი Honoris causa ისააკ კოლერი გრუხუნითა და ღრიალით ღამის ცისაკენ გააქანა. ეს ტრიუკი მოხუცის ერთ-ერთი შედევრი იყო: მან გაფრენის წინ დამირეკა, ალბათ მიხვდა, რასაც ვაპირებდი, ისიც მშვენივრედ იცოდა, რომ ფული არ გამაჩნია და ვერ დავედევნები.

ასე რომ, ლოდინის მეტი არაფერი დამრჩენია. ოდესმე ხომ დაბრუნდება, შეიძლება ივნისში, ან იქნებ ივლისში, მანამდე კი ხშირად დავთვრები, ხანაც – დროდადრო, ჩემი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე. და, რა თქმა უნდა, ვწერ. ეს ხომ ერთადერთი გართობაა, რომელიც საბოლოოდ ხელმოცარულ ადვოკატს დარჩენია. მაგრამ კანტონის საბჭოს მრჩეველმა ერთი რამ ვერ გაითვალისწინა: დრო ვერ წაშლის მის დანაშაულს, ჩემი ლოდინი მას ვერ შეამსუბუქებს, ჩემი ლოთობა ვერ წალეკავს, ჩემი ჩანაწერები ვერ გაამართლებს. როდესაც სიმართლეს ვწერ, ღრმად ვიბეჭდავ მას მეხსიერებაში, ჩემს თავს იმისთვის ვამზადებ, რომ ივნისსსა თუ ივლისში, მოკლედ, როდესაც დაბრუნდება (ის კი აუცილებლად დაბრუნდება), მთვრალი ვიქნები თუ არა, სულ ერთია, — განზრახ, ფხიზელი გონებით აღვასრულო ის, რასაც ამ წუთში აფექტისას ვაპირებდი. ეს ანგარიში მკვლელობის მხოლოდ დასაბუთება არაა, ეს მკვლელობის მზადებაა. სამართლიანი მკვლელობის.



ისევ გამოვფხიზლდი, ჩემს კაბინეტში ვზივარ: სამართლიანობის აღდგენა ახლა მხოლოდ დანაშაულის საშუალებით შეიძლება. ისიც უდავოა, რომ მერე თავი უნდა მოვიკლა. ასეთი გზით მართლმსაჯულებას კი არ გავურბივარ, არა, ამით პასუხი მინდა ვაგო ჩემს საქციელზე, თუ იურიდიული არა, წმინდა ადამიანური თვალსაზრისით. სიმართლე ვიცი და ვერ ვამტკიცებ. მოწმეები არა მყავს. თუ საკუთარი სურვილით წავალ ამ ქვეყნიდან, ეგებ მოწმეთა გარეშეც დამიჯერონ. იმ მეცნიერივით კი არ ვკვდები, რომელმაც საკუთარ თავზე ჩაატარა ცდა და თავი მეცნიერებას შესწირა, არ, მე იმიტომ ვდგამ ამ ნაბიჯს, რომ საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მივიყვანე.

დანაშაულის ჩადენის ადგილი (ეს მნიშვნელოვანია!): რესტორანი "თეატრალური", როკოკოს სტილის ფასადი — ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან შენობათაგანი, რომელიც წარსულიდან შემორჩა ჩვენს უიმედოდ გათანამედროვებულ, უსახურად განაშენიანებულ ქალაქს. რესტორანი სამსართულიანია, რაც შეიძლება ყველამ არ იცოდეს, უმეტესობისთვის მხოლოდ პირველი ორია ცნობილი. პირველ სართულზე უსასრულოდ გრძელ დილას — ჩვენში ადრე დგებიან— ნამძინარევ სტუდენტებს ნახავთ ხოლმე, თუმცა აქ საქმიანი ხალხიც დადის, ეს უკანასკნელნი აქ ხშირად სადილამდე სხედან, ზოგჯერ უფრო გვიანობამდეც. ალუბლის ნაყენიანი ყავის შემდეგ სინყნარე ისადგურებს, მიმტანები აღარ ჩანან, და მხოლოდ ოთხი საათისთვის მოდიან დაღლილი მასწავლებლები და მოხელეები. მაგრამ ძირითადი ტალღა ვახშმისთვის აგორდება და შემდეგ, კიდევ ერთხელ, თერთმეტი ნახევრისთვის: პოლიტიკოსებთან, მენეჯერებსა და ფინანსისტებთან ერთად სხვა თავისუფალ და ზეთავისუფალ პროფესიათა წარმომადგენლები მოდიან. მათთან ერთად ხშირად ნახავთ ოდნავ შემცბარ უცხოელებსაც, რადგან ჩვენს ქალაქს საერთაშორისო ცენტრად მოაქვს თავი. ამიტომ მეორე სართული გულისამრევი ფუფუნებითაა მოწყობილი. გულისამრევი, სხვა სიტყვას ვერ იხმარ: ორ დაბალჭერიან, წითელშპალერიან დარბაზში ტროპიკული სიცხეა, მაგრამ სტუმრები ამას უდრტვინველად ითმენენ, ქალებს საღამოს კაბები აცვიათ, ზოგიერთ მამაკაცს — სმოკინგი. პაერი ოფლის, სუნამოსა და ადგილობრივი კულინარული შედევრების სუნითაა გაჟღენთილი — ხბოს ხორცის მედალიონები რიოსტით და სხვა ამგვარი. აქ მოდიან (არსებითად იგივე საზოგადოება, რაც ქვედა სართულზე, ოღონდ უფრო საზეიმოდ გამოწყობილი) პრემიერებისა და მსხვილი კონტრაქტების დადების შემდეგ, იმისთვის კი არა, რომ საქმეებზე ისაუბრონ, არამედ უკვე მოგვარებული ალნიშნონ. მესამე სართულზე "თეატრალურის"

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტილი ისევ იცვლება. გაოცებული სტუმარი გარყვნილების მსუბუქ არომატს გრძნობს. აქ უცერემონიობა სუფევს. დარბაზები — ვრცელი, ნათელი, მაღალჭერიანი — იაფფასიან კაფეს მოგაგონებთ: უბრალო ხის სკამები, სუფრები უჯრედებიანი ნახატით, მაგიდებზე ლუდის კათხის სადგამები აწყვია, კიბესთან ნახევრად ცარიელი კაბარეა მეორეხარისხოვანი ილუზიონისტითა და მესამეხარისხოვანი სტრიპტიზით. სტუმრები ბანქოს და ბილიარდს თამაშობენ. ამ დარბაზში მწვანილითა და ბოსტნეულით მოვაჭრენი, სამშენებლო კომპანიების მოიჯარადრეები, მსხვილი გარაჟების და უნივერსალური მაღაზიების მფლობელები იკრიბებიან, საათობით სხედან და თამაშობენ, ფსონები ფანტასტიკურია, მოთამაშეთა გარშემო კი მუქთამჭამელები და სხვა საეჭვო პიროვნებანი დაძვრებიან, მეძავებიც აქ არიან, იცდიან, სამ-სამნი, ოთხ-ოთხნი სხედან, ყოველთვის ერთსა და იმავე მაგიდასთან, ფანჯარასთან, მათ, როგორც ასორტიმენტის ნაწილს, ისე ალიქვამენ, თანაც მისაწვდომ ფასად. შედარებით მისაწვდომ. ძალიან მდიდარი ხალხი სინამდვილეში ყოველ გროშს ითვლის.

როდესაც პირველად შევხვდი კანტონის საბჭოს მრჩეველს, ახალი ჩაბარებული მქონდა სახელმწიფო გამოცდა. დისერტაცია დავწერე, დოქტორის ხარისხი და საადვოკატო პრაქტიკის ნებართვაც მივიღე, მაგრამ ისევე ვაგრძელებდი მუშაობას, როგორც სტუდენტობისას, ანუ შტუსი-ლოიპინთან ხელზე მოსამსახურე ბიჭი ვიყავი. ჩემმა შეფმა იმ დროისთვის უკვე ჩვენი ქვეყნის გარეთაც მოიხვეჭა სახელი, როგორც იცით, რომ ძმები ეტის, როზა პიკის, დოიბელბლაისის და ამსლერის მკვლელთა პროცესების მოგება მოახერხა, ასევე თავისი ცნობილი გამონათქვამით, სადაც "ტრიოგის" სარემონტო სახელოსნოები ამერიკის შეერთებულ შტატებს შეადარა (თანაც "ტრიოგელების" სასარგებლოდ). მე შტუსი-ლოიპინისთვის "თეატრალურში" ერთ-ერთ იმ საეჭვო საქმეთაგანზე გაკეთებული დასკვნა უნდა მიმეტანა, რომელთაც იგი აშკარად ანიჭებდა უპირატესობას. ვარსკვლავთ-ადვოკატი მესამე სართულზე აღმოვაჩინე, სადაც ეს-ესაა დაასრულა ბილიარდის პარტია კანტონის საბჭოს მრჩეველთან. მეორე მაგიდაზე დრ. ბენო და პროფესორი ვინტერი თამაშობდნენ. მხოლოდ ახლა, როდესაც ამ ამბავს ვიხსენებ, ჩემთვის ცხადი ხდება, რომ იმ დღეს იმ დარბაზში მომავალი დრამის უკლებლივ ყველა პერსონაჟი შეკრებილიყო, როგორც პროლოგში. გარეთ ძალლს არ გააგდებდი, ნოემბერი თუ დეკემბერი იდგა, ზუსტი თარილის დადგენა რთული არ იქნება, საშინლად გავითოშე, რადგან, ჩვეულებისამებრ, უპალტოოდ ვიყავი, ჩემი "ფოლკსვაგენი" კი "თეატრალურიდან" მოშორებით გავაჩერე.

— თქვენთვის გროგი მოატანინეთ, ახალგაზრდავ, — მომმართა კანტონის საბჭოს მრჩეველმა. იგი ყურადღებით დამაკვირდა და ოფიციანტს უხმო. უნებლიეთ დავემორჩილე, მით უმეტეს, რომ მაინც შტუსი-ლოიპინის განკარგულებას უნდა დავლოდებოდი, რომელიც ჩემი მოტანილი დასკვნით ხელში გვერდითა მაგიდაზე გადაჯდა და ახლა ყურადღებით ფურცლავდა.

დარბაზის წინა ნაწილში მემწვანილეები ისხდნენ, მათი სილუეტები შავად იკვეთებოდა ფანჯრის ფონზე. ქუჩიდან ყრუდ ისმოდა ტრამვაის ხმა. კანტონის საბჭოს მრჩეველი დაჟინებით მაკვირდებოდა. ამას არც მალავდა და არც სირცხვილის ნიშანწყალი ეტყობოდა. სამოცდაათამდე იქნებოდა. ერთადერთი იყო დარბაზში, ვისაც პიჯაკი არ გაეხდია, მაგრამ ოდნავაც არ გაოფლიანებულა. საკუთარი თავი წარვუდგინე, რადგანაც მივხვდი, რომ მაღალი თანამდებობის პირთან მქონდა საქმე, მაგრამ მის სახელს ვერ ვიხსენებდი.

— პოლკოვნიკი შპეტის ნათესავი ხომ არა ხართ? — მკითხა მან, მაგრამ თავისი სახელი არ უთქვამს. ყურადღება არ მიუქცევია, თუ იფიქრა, რომ ისედაც ვიცნობ, არ ვიცი (პოლკოვნიკი შპეტი, აგრარიების დეპუტატი, ამჟამად ფედერალური მრჩეველი. ატომური შეიარაღების მხარდამჭერი).

— არა მგონია, — ვუპასუხე (რათა ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიოთ ეს საკითხი: დავიბადე 1930 წელს. დედა, ანა შპეტი, არ მახსოვს, მამა საერთოდ უცნობია. ობოლთა თავშესაფარში გავიზარდე, რომელსაც ყოველთვის სიმოვნებით ვიხსენებ ხოლმე, განსაკუთრებით უკიდეგანო ტყეს, რომელიც გარს ერტყა. დირექცია და პედაგოგები ბრწყინვალე გვყავდა, ჩვენი ბავშვობა მართლაც ბედნიერი იყო, ამისთვის მშობლების ყოლა სულაც არაა აუცილებელი. ჩემი უბედურება დოქტორ ჰ. ც. კოლერთან შეხვედრით დაიწყო, მანამდე თუ რაიმე უსიამოვნება მქონია, ყოველ შემთხვევაში, გამოუსწორებელი არაფერი).

— შტუსი-ლოიპინის კომპანიონობას აპირებთ? — მკითხა მან.

გაოცებულმა შევხედე.

— არც მიფიქრია.

— ძალიან გაფასებთ.

— ესე იგი, აქამდე მიმალავდა.

— შტუსი-ლოიპინი ყველას ყველაფერს უმალავს,— მკვახედ შენიშნა მოხუცმა.

— ძალიანაც ცუდი, — მივუგე უდარდელად, — მე მაინც დამოუკიდებლობაზე ვოცნებობ.

— გაგიჭირდებათ.

— შეიძლება.

მოხუცს გაეცინა:

— ცხოვრება კიდევ გასწავლით ჭკუას. ჩვენს ქვეყანაში მხარდაჭერის გარეშე კარიერის გაკეთება ძნელია. ბილიარდს თამაშობთ? — მკითხა უცებ ყოველგვარი გადასვლის გარეშე.

უარყოფითად ვუპასუხე.

— ეგ კი ნამდვილად შეცდომაა, — მითხრა და ისევ ჩაფიქრებული მომაშტერდა ღრმა, ნაცრისფერი თვალებით, გაკვირვებული მიყურებდა, მაგრამ ამჯერად, როგორც მომეჩვენა, დაცინვის და იუმორის გარეშე, მკაცრად. მეორე მაგიდასთან მიმიყვანა, სადაც დოქტორი ბენო და პროფესორი ვინტერი თამაშობდნენ. ამ ორს ადრეც ვიცნობდი: პროფესორს — უნივერსიტეტიდან, რექტორი იყო, როდესაც მე ვაბარებდი, დოქტორ ბენოს — ღამის ცხოვრებიდან, რომელიც ჩვენს ქალაქში ჰყვაოდა, იმ დროს, მართალია, მხოლოდ შუაღამემდე, მაგრამ, სამაგიეროდ, ინტენსიურად. ბენო გაურკვეველი პროფესიის კაცი იყო. ოდესღაც ფარიკაობაში ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, რისთვისაც ჰაინც-ოლიმპიელი შეარქვეს, გოლფს კი დღემდე ბრწყინვალედ თამაშობდა; ერთ დროს სურათების გალერეის მფლობელიც იყო, რომელიც მალე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკოტრდა, ახლა კი ძირითადად სხვის კაპიტალებს მართავდა.

მივესალმე, მათაც თავი დამიქნიეს.

— ვინტერი ბილიარდის თამაშს ვერასდროს ისნავლის, — თქვა დოქტორ H.C. კოლერმა.

გამეცინა:

— თავად, ალბათ, დიდოსტატი ხართ.

—რა თქმა უნდა, — მიპასუხა მშვიდად, — ბილიარდი ჩემი გატაცებაა. მომეცით ეგ კია, პროფესორო, აქედან დარტყმა მაინც არ გამოგივათ.

პროფესორმა ადოლფ ვინტერმა კია გადასცა. ვინტერი სამოცი წლის ჩაფსკვნილი, დაბალი მამაკაცი იყო, პრიალა მელოტი თავი ჰქონდა, ოქროსსჩარჩოიანი სათვალე ეკეთა და შავ წვერს ატარებდა, რომელსაც დროდადრო ღირსეული იერით ხელს გადაუსვამდა ხოლმე. ყოველთვის გემოვნებით, ოდნავ კონსერვატულად ეცვა, მოკლედ, ერთ-ერთი იმ მოლაყბე ჰუმანიტართაგანი იყო, რომლებითაც სავსეა ჩვენი უნივერსიტეტი, პენ-კლუბის და უსტერის ფონდის წევრი, ორტომეული აგურის ავტორი სახელწოდებით "კარლ შპიტელერი და ჰესიოდე, ანუ შვეიცარია და ელადა. შედარება". გამომცემლობა "არტემისი', 1940 წელი (მე, როგორც იურისტს, ფილოსოფიის ფაკულტეტი ყოველთვის ნერვებს მიშლიდა).

კანტონის საბჭოს მრჩეველმა კიას წვერი ცარცით საგულდაგულოდ დაამუშავა. მშვიდად, აუღელვებლად მოძრაობდა, და რაც უნდა მკვახედ და მკაცრად ელაპარაკა, ქედმაღლობას ვერ დააბრალებდით, უბრალოდ მასში ყველაფერი თავშეკავებული და გააზრებული იყო, ყოველი მისი ქმედება შეურყეველ ძალაუფლებაზე მეტყველებდა. თავი ოდნავ დახარა, ბილიარდის მაგიდას თვალი მოავლო და სწრაფად და ძლიერად დაარტყა.

თვალი გავადევნე ბურთების მოძრაობას, მათ შეჯახებას და უკუქცევას.

— la bande* — აი, როგორ უნდა გაუსწორდე ბენოს, — თქვა კანტონის მრჩეველმა და კია პროფესორს დაუბრუნა. — აითვისეთ, ახალგაზრდავ?

— მაგის არაფერი გამეგება, — ვუპასუხე და ჩემი გროგი მოვსვი, რომელიც კელნერს ამასობაში მაგიდაზე დაუდგამს.

— არაფერია, ოდესმე გაიგებთ,— დოქტორი კოლერი ახარხარდა, კედლიდან გაზეთების შეკვრა ჩამოხსნა და წავიდა.

მკვლელობა... ის, რაც სამი წლის შემდეგ მოხდა, ყველასათვისაა ცნობილი. ორი სიტყვით გეტყვით (ამისთვის აუცილებელი არაა, ფხიზელი ვიყო). დოქტორმა ჰ. ც კოლერმა მანდატზე უარი თქვა, თუმცა მისმა პარტიამ სახელმწიფო მრჩევლის პოსტზე წარადგინა მისი კანდიდატურა (სახელმწიფო, და არა ფედერალური, როგორც ეს ზოგიერთ უცხოურ გაზეთში ეწერა), მერე საერთოდ ჩამოშორდა პოლიტიკას (თავის საადვოკატო პრაქტიკა დიდი ხნის წინათ მიატოვა) და აგურის ტრესტს ჩაუდგა სათავეში, რომელმაც საერთაშორისო მნიშვნელობა მოიპოვა, იმავდროულად სხვადასხვა ორგანიზაციების პრეზიდენტის მოვალეობებსაც ასრულებდა, იუნესკოს ერთ-ერთ ქვეკომიტეტშიც მუშაობდა, და ჩვენს ქალაქში ზოგჯერ თვეობით ვერ ვხედავდი; 1955 წლის მარტის იმ უჩვეულოდ თბილ დღეს ინგლისელი მინისტრი ბ. ჰყავდა სტუმრად. მინისტრის ვიზიტი კერძო ხასიათს ატარებდა — იგი ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ კლინიკაში კუჭის წყლულს მკურნალობდა; იმ დღეს მინისტრი კანტონის მრჩევლის გვერდით იჯდა ამ უკანასკნელის კუთვნილ "როლს-როისში" და ყოველგვარი ინტერესის გარეშე ეცნობოდა ჩვენი ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. მანამდე მთელი თვე მტკიცე უარს აცხადებდა ამაზე, მაგრამ ბოლოს მაინც დანებდა და ახლა, აეროპორტში მიმავალი, მანქანის ფანჯრიდან მთქნარებით ათვალიერებდა ტექნიკურ უნივერსიტეტს, ტაძარს, რომანული სტილის ნიმუშებს (კანტონის საბჭოს მრჩეველი დროდადრო შესაბამის რეპლიკებს ანვდიდა), მდინარე ჩამავალი მზის სხივებში ლივლივებდა, სანაპირო ხალხით იყო სავსე. მინისტრი, რომელსაც კლინიკაში ამ ხნის განმავლობაში ნაჭამი კარტოფილის პიურეს და მიუსლის გემო ჯერ კიდევ შერჩენოდა პირში, მაგრამ უკვე ვისკიზე ოცნებობდა, მრჩეველს ცალი ყურით უსმენდა, ქუჩის ხმაური კი თითქოს შორიდან ჩაესმოდა. ამ გუგუნში ჩაეძინა კიდეც: საშინელი დაღლილობა დაეუფლა, შეიძლება ისიც იგრძნო, რომ კუჭის წყლული სახუმარო საქმე არაა.

— Just a moment, - თქვა დოქტორმა H. C. კოლერმა, მძღოლს "თეატრალურთან" გაჩერება და ერთი წუთი მოცდა სთხოვა, მექანიკურად მიუთითა მინისტრს ქოლგით "მეთვრამეტე საუკუნის ფასადზე", მაგრამ ამას ბ.-ს არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია — მას ტკბილად ეძინა. კანტონის საბჭოს მრჩეველი რესტორანში შევიდა, მთავარი დარბაზის მბრუნავი კარი გაიარა, სადაც მოწიწებით შეეგება მეტრდოტელი. დაახლოებით შვიდი საათი იქნებოდა, დარბაზი სავსე იყო, სტუმრების ხმები და დანა-ჩანგლის წკარუნი ერთმანეთში ირეოდა. კოლერმა ირგვლივ მიმოიხედა, მერე დარბაზის ცენტრისკენ გაემართა, სადაც პატარა მაგიდასთან პროფესორი ვინტერი იჯდა და ხორცს "ა ლა როსინი" და შამბერტენს შეექცეოდა, ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და პენ-კლუბის წევრს დაახალა, თანაც, ვიდრე გაისროდა, გულთბილად მიესალმა (საერთოდ, ყველაფერი მშვიდად და წესიერად წარიმართა), მერე კი აუღელვებლად ჩაუარა გვერდით ადგილზე გაქვავებულ, თვალებდაჭყეტილ მეტრდოტელს და შეშინებულ მიმტან ქალებს, და მარტის თბილ საღამოში შეაბიჯა. მშვიდად ჩაჯდა "როილს-როისში' (მინისტრს არაფერი არ გაუგია, მათ შორის არც მანქანის გაჩერება, ისევ თვლემდა და სიზმარში ვისკის თუ პოლიტიკურ დებატებს ხედავდა — სიტყვამ მოიტანა და მისი კარიერა მალე შეეწირა სუეცის კრიზისს, ან იქნებ ცუდი წინათგრძნობა აწუხებდა თავის წყლულთან დაკავშირებით, მართლაც ამ რამდენიმე კვირის წინათ გაზეთებში მისი ნეკროლოგი გამოქვეყნდა, თანაც უმეტესობაში სახელი არასწორად ეწერა).

— აეროპორტში, ფრანც, — ბრძანა დოქტორ H. C. ისააკ კოლერმა.

მისი დაპატიმრების ინტერმეცო: ძნელია ამაზე ღვარძლის გარეშე ისაუბრო. მოკლულის გვერდით მაგიდასთან კანტონის პოლიციის უფროსი იჯდა თავის ძველ მეგობართან, მოქანდაკე მოკთან ერთად. მოკს ყურს აკლდა,

* დარტყმა ბილიარდში, როდესაც ბურთი ბორტიდან უკუიქცევა, სხვა ბურთს ეჯახება და ამ უკანასკნელს ლუზაში აგდებს.

თანაც რაღაცაზე ფიქრობდა და არაფერი არ გაუგია. ორივე პოტაუფეუ-ს მიირთმევდა, მოკი — სიამოვნებით, პოლიციის უფროსი კი, რომელიც "თეატრალურის" დიდი თაყვანისმცემელი არ გახლდათ და აქ იშვიათად დადიოდა, უკმაყოფილებას არ მალავდა: კერძი არ მოსწონდა— ბულიონი, მისი აზრით, საკმარისად ცხელი არ იყო, ხორცი — საკმარისად რბილი, კენკრა კი ზედმეტად ტკბილი მოეჩვენა. როდესაც სროლის ხმა გაისმა, პოლიციის უფროსს, ზოგიერთი თვითმხილველის თქმით, თავიც კი არ აუწევია, რადგან ზუსტად იმ წუთას ძვლიდან ტვინს წუწნიდა, შემდეგ სწრაფად წამოდგა, სკამიც კი გადუყირავდა, მაგრამ, როგორც წესრიგის დამცველმა, იმ წამსვე წამოაყენა და მხოლოდ ამის შემდეგ მიბრუნდადა ვინტერისკენ. ვინტერი უკვე თავის ხორცში "a la rosini" იყო ჩამხობილი, ხელში კი შამპერტენის ჭიქა ეჭირა.

— კოლერი არ იყო აქ? — კითხა პოლიციის უფროსმა მეტრდოტელს, რომელიც ჯერ გონს ვერ მოსულიყო.

— დიახ. ასეა. — წაილუღლუღა მეტრდოტელმა.

პოლიციის შეფი მოკლულ გერმანისტს დააშტერდა, შემდეგ მზერა თეფშზე გადაიტანა, რომელზეც რიოსტი და ლობიო იდო, სალათს, პომიდორს და ბოლოკსაც გადახედა.

— ველარაფრით ველარ ვუშველით, — წარმოთქვა ბოლოს.

—დიახ. ასეა.

ადგილზე გაშეშებული კლიენტები ერთბაშად ფეხზე წამოცვივდნენ. დახლიდან დარბაზში მზარეულები იყურებოდნენ. მხოლოდ მოკი აგრძელებდა ჭამას, ვითომც აქ არაფერიაო. ვილაც გამხდარი კაცი მაგიდასთან მოვიდა.

— მე ექიმი ვარ.

— ხელი არაფერს არ ახლოთ, — მშვიდად მიუგო პოლიციის შეფმა, — ჯერ ფოტოები უნდა გადავიღოთ.

ექიმი პროფესორისკენ დაიხარა.

— მართლაც, — განაცხადა მან, — მოკლულია.

— ეგრეა, — თქვა პოლიციის უფროსმა, — ახლა თქვენს მაგიდასთან დაბრუნდით.

შემდეგ შამბერტენის ბოთლი აიღო ხელში.

— ეს ნივთმტკიცება უნდა ამოვიღოთ, — თქვა და ბოთლი მეტრდოტელს გაუწოდა.

— დიახ. ასეა, — წაილუღლუღა მეტრდოტელმა.

ამის შემდეგ შეფი დასარეკად წავიდა.

უკან მობრუნებულს გვამთან პროკურორი იემერლინი დახვდა. პროკურორს გამოსასვლელი შავი კოსტუმი ეცვა. იგი სიმფონიურ კონცერტზე აპირებდა წასვლას და სროლის მომენტში ფრანგული რესტორნის პირველ სართულზე დესერტს ამთავრებდა (ომლეტი ფლამბრი). იემერლინი ქალაქში არ უყვარდათ, მის პენსიაზე გასვლას ყველა გულისფანცქალით ელოდა — მეძავები და მათი კონკურენტები მოწინააღმდეგე ბანაკიდან, ქურდები და ყაჩაღები, ბიზნესმენები, რომლებსაც მართლმსაჯულებასთან გართულებები ჰქონდათ, და მთელი იურიდიული აპარატი, პოლიციით დაწყებული ადვოკატებით დამთავრებული. საკუთარ კოლეგებსაც კი არ უყვარდათ. პროკურორის ავტორიტეტი დიდი ხანია შერყეული იყო, ნაფიცი მსაჯულები და მოსამართლეები ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ ყველაზე მეტი უსიამოვნება პოლიციის შეფისგან ხვდებოდა. ამბობდნენ, ამ უკანასკნელის აზრით, ჩვენი საზოგადოების ყველაზე ღირსეული ნაწილი სწორედ ეგრეთწოდებული კრიმინალები არიანო. ყველაფრის მიუხედავად, იემერლინი საუკეთესო იურისტი იყო, ხშირად წარმატებებსაც აღწევდა, მისი რეპლიკებისა და კითხვების ყველას ეშინოდა, მისი უკომპრომისობა პატივისცემას იმსახურებდა, თუმცა ამავე დროს სიძულვილს იწვევდა. იგი ძველებური ყაიდის პროკურორი იყო, რომლისთვისაც ყოველი შემთხვევა, როდესაც მსჯავრდებულს ამართლებდნენ, პირად შეურაცხყოფას უტოლდებოდა. ერთნაირი სიმკაცრით ექცეოდა ღარიბსაც და მდიდარსაც. იემერლინი უცოლო იყო, ამქვეყნიური ცდუნებები მისთვის არ არსებობდა, ქალს თავის სიცოცხლეში არ გაჰკარებია. ეს გახლდათ მისი პროფესიული ნაკლი. დამნაშავე მისთვის რაღაც გაუგებარი, თითქმის დემონური არსება იყო, იგი მასში ისეთ რისხვას იწვევდა, რომელიც ძველი აღთქმის გმირებს უფრო შეშვენის, მოკლედ, იემერლინი გარდასული დროის გადმონაშთი იყო, თითქმის დავიწყებული, მაგრამ ურყევი მორალის წარმომადგენელი, ნამდვილი გამყინვარების ხანის მაგალითი "ჩვენი მართლმსაჯულების ჭაობში, რომელიც მზადაა ყველაფერი გაამართლოს", როგორც თვითონ ამბობდა ღვარძლიანად. ახლაც ძალიან აღგზნებული ჩანდა, მით უმეტეს, რომ პირადად იცნობდა მკვლელსაც და მსხვერპლსაც.

— ბატონო უფროსო! — იყვირა გაბრაზებულმა, თან ხელში ხელსახოცი ეჭირა. —ამბობენ, მკვლელობა დოქტორ ისააკ კოლერმა ჩაიდინაო.

— მართალი უთქვამთ, — წაიბურტყუნა პოლიციის უფროსმა.

— შეუძლებელია!

— კოლერი ეტყობა სრულ ჭკუაზე არაა, — უპასუხა პოლიციის უფროსმა, მოკლულის გვერდით სკამზე დაეშვა და თავისი უცვლელი "ბაიანოსი" გააბოლა. იემერლინმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, სკამი მოიჩოჩა და შეფს მიუჯდა, ასე რომ, თეფშში ჩამხობილი მსხვერპლი ზუსტად სამართალდამცავებს შორის მოექცა. ისხდნენ და ელოდნენ. რესტორანში სამარისებური სიჩუმე სუფევდა. არავინ აღარ ჭამდა. ყველა უცნაურ სამეულს მისჩერებოდა. სიჩუმე მხოლოდ სტუდენტთა ჯგუფმა დაარღვია — მათ სიმღერ-სიმღერით დაიწყეს დარბაზში ბორიალი და ადგილების ძებნა, რადგანაც თავიდან ვერ მიხვდნენ, რაში იყო საქმე, მაგრამ სწრაფად დაწყნარდნენ. როგორც იქნა, მოვიდა ლეიტენანტი ჰერენი მკვლელობათა გამოძიების კომიტეტიდან თანამშრომლებთან ერთად. პოლიციელი სურათებს იღებდა, სასამართლო მედიცინის ექსპერტი გვერდით იდგა, ოლქის პროკურორმა კი ბოდიში მოუხადა იემერლინს მოსვლისთვის. ჰაერში ჩუმი ბრძანებები და რეპლიკები ისმოდა. შემდეგ მოკლული ასწიეს, — სახეზე სოუსი, ლობიო და ბატის ღვიძლის პაშტეტი ეცხო — და სასწრაფო დახმარების მანქანაში წაიღეს. ოქროს სათვალე ელამ შემწვარ კარტოფილში მოგვიანებით იპოვა, როდესაც მაგიდას ალაგებდა. ოლქის პროკურორი მოწმეების დაკითხვას შეუდგა.

საუბარი 1-ის შესაძლო ვარიანტი: როდესაც ოფიციანტები გონს მოეგნენ, კლიენტები ნელ-ნელა თავ-თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ და პირველი ჟურნალისტებიც გამოჩნდნენ, პროკურორი და პოლიციის უფროსი სამზარეულოს გვერდით მდებარე საკუჭნაოში განმარტოვდნენ. პროკურორს წყნარად, მოწმეების გარეშე უნდოდა მოლაპარაკება. ღია პროცესი უნდა ჩატარებული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყო. ხანმოკლე საუბარმა ფქვილის ტომრების, კონსერვის ქილებისა და ზეთის ბოთლების გარემოცვაში წარუმატებლად ჩაიარა. მოხსენების თანახმად, რომელიც პოლიციის უფროსმა მოგვიანებით წარუდგინა პარლამენტს, პროკურორმა პოლიციის მთელი ძალების ამოქმედება მოითხოვა.

— ეგ რაღა საჭიროა? — იკითხა პოლიციის უფროსმა. — კოლერისნაირები არ გარბიან. წყნარად შეგვიძლია დავაკავოთ საკუთარ სახლში.

იემერლინი გაცხარდა:

— იმედია, ისევე მოექცევით, როგორც ნებისმიერ სხვა დამნაშავეს?

პოლიციის შეფი დუმდა.

— ეს კაცი ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და გავლენიანი მოქალაქეა, — განაგრძობდა იემერლინი, — ჩვენი წმინდა მოვალეობაა (ეს მისი საყვარელი გამოთქმა იყო), ზედმიწევნით კანონიერად ვიმოქმედოთ. უმცირესი ეჭვიც კი არ უნდა გაჩნდეს, რომ ხელს ვაფარებთ.

— ჩვენი წმინდა მოვალეობაა, — მშვიდად მიუგო პოლიციის უფროსმა, — პოლიციას ზედმეტი ხარჯები ავაცილოთ თავიდან.

— ესე იგი, მზადყოფნა 1-ს არ გამოაცხადებთ?

— არც მიფიქრია.

პროკურორი პურის საჭრელ მანქანას დააშტერდა.

— თქვენ კოლერის მეგობარი ხართ, — თქვა ბოლოს უემოციოდ, ცივად, თითქოს სამსახურებრივ მოვალეობას იხდიდა, — ხომ არ გეჩვენებათ, რომ ბოლომდე ობიექტური ვერ იქნებით?

სიჩუმე ჩამოვარდა.

— კოლერის საქმეს ლეიტენენტი ჰერენი გაუძღვება, — თქვა პოლიციის უფროსმა.

ასე დაიწყო ეს სკანდალი.

ჰერენი ენერგიული ადამიანი გახლდათ, თანაც პატივმოყვარე, ამიტომ სასწრაფოდ დაიწყო მოქმედება. რამდენიმე წუთში არა მარტო მთელი პოლიცია დააყენა ფეხზე, არამედ მოსახლეობაც შეაშფოთა, რადგანაც რადიოთი რვის ნახევრიანი ახალი ამბების დაწყებამდე კანტონის პოლიციის საგანგებო განცხადება გაუშვებინა. საშინელი ამბავი ატყდა. კოლერის ვილა ცარიელი დაუხვდათ (კოლერი ქვრივი იყო, მისი ქალიშვილი, "სვისეირის" ბორტგამცილებელი, რეისში იმყოფებოდა, მზარეული ქალი კი კინოში). ეჭვი გაჩნდა, რომ კოლერი მიმალვას ცდილობდა. საპატრულო მანქანები ქალაქში ეძებდნენ, მესაზღვრეებიც გააფრთხილეს, ინტერპოლსაც შეატყობინეს. წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით ყველაფერი ბრწყინვალედ იყო შესრულებული, მაგრამ ერთი რამ გამორჩათ, ის, რაც პოლიციის შეფმა თავიდანვე თქვა: ეძებდნენ ადამიანს, რომელიც არც ცდილობდა დამალვას. ცხრა საათისთვის აეროპორტიდან ცნობა მოვიდა, რომ კოლერმა ინგლისელი მინისტრი გააცილა, შემდეგ მშვიდად ჩაჯდა თავის "როლს-როისში" და ქალაქისკენ გაემართა. ყველაზე მეტად ამ საქმის გამო ფედერალური პროკურორი დაზარალდა. სახელმწიფო მექანიზმის იდეალური მუშაობით გულდამშვიდებული ის-ის იყო მოცარტის ოპერის "გატაცება სერალიდან" უვერტიურის მოსასმენად მოემზადა, სიამოვნების მოლოდინში აკურატულ ქაღარა წვერზე ხელიც გადაისვა და სავარძლის საზურგეს მიეყრდნო, მონდშაინმა კი დირიჟორის ჯოხი აიქნია, როდესაც სავარძლებს შორის გასასვლელში ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი უმდიდრესი და ყველაზე გულუბრყვილო ქვრივი ქალი გამოჩნდა, რომელიც ძებნილთან ერთად მიემართებოდა პირველი რიგისკენ, იმ ძებნილთან ერთად, რომელსაც პოლიცია ამდენი ტექნიკური და საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით ეძებდა! დოქტორ H. C.-ს, როგორც ყოველთვის, მშვიდი და ღირსებით აღსავსე იერი ედო, ისე გულუბრყვილოდ იყურებოდა, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს. მან იემერლინის გვერდით დაიკავა ადგილი და გაოცებულ პროკურორს ხელიც კი ჩამოართვა! დარბაზში ჩურჩული და — სამწუხაროდ — ხითხითი ისმოდა, უვერტიურა აშკარად ვერ გამოვიდა, რადგან ორკესტრანტებიც მშვენივრად ხედავდნენ ყველაფერს, ერთი ჰობოისტი ფეხზეც კი წამოდგა, მონდშაინს ხელმეორედ მოუწია დაწყება, პროკურორი კი ისე იყო განცვიფრებული, რომ მარტო უვერტიურის მსვლელობისას კი არა, ბრამსის მეორე საფორტეპიანო კონცერტის დროსაც გაშეშებული იჯდა, გონს მხოლოდ პიანისტის პარტიის დაწყებასთან ერთად მოეგო, მაგრამ ბრამსის კონცერტის შეწყვეტა ვერ გაბედა, კულტურას ძალიან დიდ პატივს სცემდა, ამიტომ ტანჯული სახით ელოდა ანტრაქტს. სამაგიეროდ, ანტრაქტის დროს ამოქმედდა, ენერგიულად გაარღვია ბრბო, რომელიც კანტონის საბჭოს მრჩეველს ირგვლივ შემოხვეოდა, ტელეფონის ჯიხურისკენ გაიქცა, მაგრამ იძულებული გახდა დაბრუნებულიყო და მეგარდერობე ქალისთვის ხურდა ეთხოვა, პოლიციის სამმართველოში ჰერენს დაუკავშირდა და საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. ამასობაში კოლერი მამა აბრამის ბატკანს განასახიერებდა, ბარში შევიდა და ქვრივს შამპანურით გაუმასპინძლდა. ამ არამზადას მართლაც ბედი ჰქონდა — პოლიცია რომ მოვიდა, კონცერტის მეორე განყოფილება რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, ჰოდა, იემერლინს და ჰერენს დარბაზის კართან მოუწიათ ყურყუტი, საიდანაც უსაშველოდ გაჭიანურებული ბრუკნერის მეშვიდე ისმოდა. პროკურორი ისე გიჟივით აწყდებოდა კედლებს, რომ კაპელდინერებმა რამდენჯერმე შენიშვნა მისცეს. და საერთოდაც, როგორც ველურს, ისე ექცეოდნენ. პროკურორი წყევლა-კრულვას უთვლიდა რომანტიზმს და ბრუკნერს, კარს იქით კი ადაჟიო ისმოდა, და როდესაც ფინალის შემდეგ აპლოდისმენტებმა იგრიალა (რომლებიც აგრეთვე არა და არ გათავდა) და პუბლიკა გარეთ გამოეფინა, დოქტორი H. C. არსად ჩანდა. გაქრა. პოლიციის უფროსმა უკანა ცარიდან გაიყვანა, საკუთარ მანქანაში ჩასვა და პოლიციის სამმართველოში წაიყვანა.

საუბარი 2-ს შესაძლო ვარიანტი: შეფმა დოქტორი H. C. თავის კაბინეტში შეიყვანა. გზაში არც ერთს ხმა არ ამოუღია, ახლა კი პოლიციის უფროსი წინ მიუძღოდა ცარიელ, სუსტად განათებულ დერეფანში. კაბინეტში მან უხმოდ მიუთითა კოლერს ტყავის სავარძელზე, კარი ჯაჭვით ჩაკეტა და პიჯაკი დაიხადა.

— დაბრძანდი, მოენყვე.

— გმადლობთ, უკვე მოვეწყვე, — მიუგო კოლერმა.

პოლიციის უფროსმა მაგიდაზე ორი ჭიქა დადგა და კარადიდან წითელი ღვინის ბოთლი გამოიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინტერის შამბერტენია, — აუხსნა კოლერს და ღვინო ჭიქებში ჩამოასხა. დაჯდა, ერთ ხანს გაშტერებული იყურებოდა წინ, მერე შუბლიდან და კისრიდან ოფლი მოიწმინდა.

— ძვირფასო ისააკ, — თქვა ბოლოს, — ამიხსენი, თუ ღმერთი გწამს, რატომ მოკალი ის ბებერი ვირი.

— იმის თქმა გინდა...— როგორღაც ყოყმანით წამოიწყო კანტონის საბჭოს მრჩეველმა.

— თუ აცნობიერებ საერთოდ, რა ჩაიდინე? — გააწყვეტინა პოლიციის უფროსმა.

მრჩეველმა სიამოვნებით მოსვა ღვინო, მაგრამ კითხვაზე პასუხის გაცემას არ ჩქარობდა, ჯერ გაოცებულმა და ოდნავი დაცინვით გადახედა თანამოსაუბრეს.

— რა თქმა უნდა, — თქვა ბოლოს, — რა თქმა უნდა, ვაცნობიერებ.

— რატომ ესროლე?

— აჰ, აი, თურმე რას მეკითხები, — კანტონის საბჭოს მრჩეველი ჩაფიქრდა, მერე გაეცინა, — აი, თურმე რას მეკითხები, კარგია, კარგი.

— რა არის კარგი?

— ყველაფერი.

პოლიციის უფრისმა აღარ იცოდა, რა ეფიქრა. მკვლელი კი აშკარად გამხიარულდა, რამდენჯერმე ჩუმად ჩაიხითხითა კიდეც.

— კარგი, გეყო. რატომ მოკალი პროფესორი? — ისევ და ისევ დაჟინებით ეკითხებოდა პოლიციის უფროსი და ოფლს იწმენდდა.

— ისე, უმიზეზოდ, — აღიარა კანტონის საბჭოს მრჩეველმა.

პოლიციის უფროსი გაოცებული მიაშტერდა კოლერს, ერთ წუთს ისიც იფიქრა, მომეჩვენაო, მერე ჭიქა დაცალა, ისევ დაისხა და ნახევარი ღვინო მაგიდაზე დააქცია.

— უმიზეზოდ?

— უმიზეზოდ.

— სისულელეა, რალაც მიზეზი ხომ უნდა გქონოდა, — აყვირდა პოლიციის უფროსი.

— ძალიან გთხოვ, შენი მოვალეობა შეასრულე, — უთხრა კოლერმა და ღვინო მოსვა.

— ჩემი მოვალეობაა დაგაპატიმრო.

— ჰოდა, იმოქმედე.

შეფი სულ დაიბნა. მას ყველაფერში სიცხადე უყვარდა. მკვლელობა მისთვის უბედური შემთხვევა გახლდათ, რომელსაც მორალის თვალსაზრისით განაჩენს ვერ გამოუტანდი. მაგრამ, როგორც წესრიგის მოყვარულ ადამიანს, მიზეზი სჭირდებოდა. უმიზეზო მკვლელობა, მისი აზრით, არა მორალის, არამედ ლოგიკის კანონებს ეწინააღმდეგებოდა. ასე არ ხდება.

— მაშინ საგიჟეთში უნდა გაგიშვა გამოკვლევაზე, აბა, უმიზეზოდ არავინ არავის არ კლავს.

— მე სავსებით ჯანმრთელი ვარ, — მშვიდად მიუგო კოლერმა.

— შტუსი-ლოიპინს ხომ არ დავურეკოთ? — შესთავაზა პოლიციის უფროსმა.

— რად მინდა?

— ღმერთო ჩემო, იმიტომ, რომ ადვოკატი გჭირდება! თანაც საუკეთესო. ჩვენში კი საუკეთესო შტუსი-ლოიპინია.

— არა უშავს, მე ოფიციალურად დანიშნულიც მეყოფა.

შეფმა ფარ-ხმალი დაყარა. საყელო გაიხსნა და ღრმად ამოიოხრა.

— ეტყობა, მართლა ავად ხარ. — დაიხრიალა ბოლოს. — მოიტა რევოლვერი.

— რა რევოლვერი?

— რომლითაც პროფესორი მოკალი.

— არა მაქვს, — თქვა დოქტორმა H. C.-მ და ფეხზე წამოდგა.

— ისააკ! – შეეხვეწა პოლიციის უფროსი. — ნუ გაგვაჩხრეკინებ მაინც თავს.

კიდევ უნდოდა ღვინო დაესხა, მაგრამ ბოთლი ცარიელი აღმოჩნდა.

— რამდენი დაულევია იმ ოხერ ვინტერს, — ჩაიბურტყუნა პოლიციის უფროსმა.

— უბრძანე, წამიყვანონ, - თქვა მკვლელმა.

— კარგი, როგორც გინდა, — უპასუხა პოლიციის უფროსმა, — მაგრამ იცოდე, ჩვენც ველარ დაგეხმარებით.

ადგა, კარს ჯაჭვი მოხსნა და დარეკა.

— ეს კაცი კამერაში წაიყვანეთ. დაპატიმრებულია.

დაგვიანებული ეჭვი: როდესაც ამ საუბრებს წარმოვიდგენ — ან მათ შესაძლო ვარიანტებს, რადგან პირადად არ დავსწრებივარ — სულაც არ მინდა, რომანი გამომივიდეს. მინდა მაქსიმალურად ზუსტად აღვადგინო მოვლენათა თანმიმდევრობა, თუმცა ეს ყველაზე რთული ამოცანა როდია. მართლმსაჯულება ძირითადად კულისებს მიღმა მოქმედებს, მაგრამ იქაც ხშირად იშლება საზღვრები კომპეტენციის სფეროებს შორის, რომლებიც თითქოს საკმაოდ მკვეთრადაა გამიჯნული, როლები იცვლება, გადათამაშდება ხოლმე, მიმდინარეობს მოლაპარაკებები ისეთ ადამიანებს შორის, საზოგადოების თვალში მოსისხლე მტრებად რომ ითვლებიან, და საერთოდ, სულ სხვა ტონი და განწყობა სუფევს. ყველაფერი როდი აღიბეჭდება საქმეში. ინფორმაცია შეიძლება საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს, მაგრამ შეიძლება საიდუმლოდაც დარჩეს. მაგალითად, შტუსი-ლოიპინი ჩემთან ყოველთვის გულახდილი იყო, საკუთარი ინიციატივით მიყვებოდა ყველაფერს, დოკუმენტაციას მაცნობდა, ზოგჯერ ამისთვის ინსტრუქციების დარღვევასაც არ ერიდებოდა, და, საერთოდ, კარგად იყო ჩემს მიმართ განწყობილი. მეტიც, ჩემი შეფი მაშინაც კარგად მექცეოდა, როდესაც უკვე მოწინააღმდეგე ბანაკში ვიყავი. ახლა კი ყველაფერი შეიცვალა. ასე რომ, არაფერს ვიგონებ, მხოლოდ რეკონსტრუქციას ვახდენ. მე, ყოველ შემთხვევაში, თავისუფლად შემიძლია გამოვთვალო, რა ხდებოდა.

არა, მე სხვა სირთულეებს ვხედავ. კარგად მესმის, რომ ჩემს მიერ ჩაფიქრებული მკვლელობა და თვითმკვლელობა სიმართლის დასამტკიცებლად შეიძლება საკმარისი არ იყოს, ამიტომ დროდადრო იმედი მიჩნდება, რომ დამამტკიცებელ საბუთებს მოვიპოვებ, მაგალითად, გავარკვევ, სად გაქრა კოლერის რევოლვერი. მკვლელობის იარაღს პოლიციამ ვერა და ვერ მიაგნო. თითქოს დიდი მნიშვნელობის მქონე ფაქტი არაა. პროცესის მსვლელობაზე ამას დიდი გავლენა არ მოუხდენია. მკვლელი ცნობილი იყო, მოწმეებიც ბევრნი იყვნენ — "თეატრალურის" მთელი პერსონალი და კლიენტები. და თუკი პოლიციის უფროსი

თავიდან ბევრს ცდილობდა, რევოლვერი ეპოვა, მხოლოდ წესრიგის სიყვარულის გამო. მაგრამ ამაოდ. გზა, რომელიც კოლერმა "თეატრალურიდან" საკონცერტო დარბაზამდე გაიარა, ასჯერ გაზომეს და წამების სიზუსტით გამოთვალეს. გასროლის შემდეგ კოლერი, როგორც ცნობილია, თავის "როლს-როისში" ჩაჯდა, სადაც მინისტრი თვლემდა და ვისკიზე ოცნებობდა. აეროპორტში ორივე ერთდროულად გადავიდა მანქანიდან, მძღოლს (რომელმაც არაფერი იცოდა მომხდარის შესახებ) არავითარი რევოლვერი არ დაუნახავს, არაფერი იცოდა "სვისეირის" დირექტორმაც, რომელიც საპატიო სტუმრებს მიეგება. ცოტა ხანი მოსაცდელ დარბაზში ისაუბრეს, სხვათა შორის, ძალიან აქებდნენ აეროპორტის შენობას, უფრო სწორად — მის ინტერიერს, შემდეგ კოლერი და მინისტრი თვითმფრინავისკენ გაემართნენ, თანაც კოლერი მინისტრს ოდნავ ხელს აშველებდა. ამას გამომშვიდობების ცერემონია მოჰყვა, შემდეგ კოლერი დირექტორთან ერთად დაბრუნდა დარბაზში, ერთხელაც გახედა ასაფრენ ბილიკზე გასულ მანქანას, კიოსკში "ნოიე ციურიხერ ცაიტუნგი" იყიდა, დარბაზი გადაკვეთა, მხოლოდ ამჯერად ინტერიერისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია, და მანქანაში ჩაჯდა. აეროპორტიდან ცოლიკერშტრასეზე გაემართა, ორჯერ დაასიგნალებინა გულუბრყვილო ქვრივის ფანჯრებთან, ქვრივიც სწრაფად ჩამოვიდა (უკვე აგვიანდებოდათ) და ცოლიკერშტრასედან პირდაპირ კონცერტზე წავიდნენ. რევოლვერი არც ქვრივს შეუნიშნავს. იარაღი უკვალოდ გაქრა. პოლიციამ "როლს-როისი" და კოლერის ვილა საგულდაგულოდ გაჩხრიკა, არც მზარეული ქალის ოთახი დაივიწყეს, არც მძღოლის ბინა ფრაიეშტრასეზე. უშედეგოდ. კოლერს წარბიც არ შეუხრია, გამომძიებელი ჰორნუსერი კი დაკითხვის შემდეგ ძალაგამოცლილი დაეცა. ამასობაში ფედერალურმა პროკურორმა საჩივარი დაწერა, რომ პოლიცია და გამომძიებლები ზედმეტ პედანტიზმს ავლენენ, და საერთოდ, იპოვეს თუ არა რევოლვერი, ამას დიდი მნიშვნელობა არ გააჩნია, რევოლვერის ძებნაში კი გადასახადების გადამხდელთა ფული ფუჭად იხარჯება, მოკლედ, ამ საქმეს თავი უნდა გაანებონ; გამქრალი იარაღის საკითხი მოგვიანებით კიდევ ერთხელ წამოიჭრა შტუსი-ლოიპინის წყალობით. ბოლო დღეებში კი ისევ გამიჩნდა მისი იმედი, მაგრამ ეს უკვე სხვა ისტორიაა. სამართლისმაძიებელი რაინდის როლში ძალიან საცოდავად გამოვიყურები, მხოლოდ წერა შემიძლია. მაგრამ როგორც კი რაიმე სხვა შანსი ჩნდება, წამსვე ვტოვებ ჩემს პორტატულ "ჰერმეს-ბები"-ს და მანქანისკენ (ისევ "ფოლკსვაგენისკენ") გავრბივარ, ვჯდები და მივქრი, როგორც, მაგალითად, გუშინ, როდესაც "სვისეირის" კადრების განყოფილების უფროსის მოადგილე მყავდა სანახავი. ერთი იდეა დამებადა, აშკარად გენიალური. გიჟივით მივქროდი და რაღაც სასწაულით მივაღწიე აეროპორტს. მაგრამ კადრების განყოფილების უფროსის მოადგილემ ჩემთან ლაპარაკი არ ისურვა. უკან უკვე ნორმალური ტემპით წამოვედი, ერთ-ერთ გზაჯვარედინზე ვილაც პოლიციელმა ისიც კი მითხრა, უკნიდან ხომ არ მოგაწვეო. ისევ არ გამიმართლა. ლინჰარდს, კერძო დეტექტივს, ველარ მივმართავდი, ძალიან ძვირს იღებდა, თანაც, არა მგონია, ჩემი დავალებით დაინტერესებულიყო. რომელი სულელი მოჭრის ტოტს, რომელზეც ზის? ასე რომ, მეტი აღარაფერი დამრჩენოდა, პირდაპირ ელენს უნდა დავლაპარაკებოდი. დავურეკე. "შინ არ გახლავთ, ქალაქშია". მაშინ ალალბედზე წავედი ქუჩებში სახეტიალოდ. რამდენიმე კაფესა და წიგნის მაღაზიაში შევიხედე და მალე ვიპოვე, მაგრამ, სამწუხაროდ, შტუსი-ლოიპინთან ერთად იჯდა კაფე "სელექტის" წინ და კაპუჩინოს სვამდა. ბოლო წუთს შევნიშნე, როდესაც უკვე ლამის თავზე წავადექი, ბრაზი მახრჩობდა, რომ შტუსი-ლოიპინთან ერთად იყო, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ალბათ უკვე დიდი ხანია ერთად სძინავთ, მკვლელის გოგოსა და მისი მამიკოს მხსნელს, ჩემს ყოფილ შეყვარებულსა და ჩემს ყოფილ შეფს.

— უკაცრავად, ფროილაინ კოლერ, — ვუთხარი მე, — თქვენთან საქმე მაქვს. მოწმეების გარეშე. სულ რამდენიმე წუთს წაგართმევთ.

შტუსი-ლოიპინმა ელენს სიგარეტი გაუწოდა და თვითონაც მოუკიდა.

— გაყვები, ელენ?

სიამოვნებით მოვკლავდი ამ პრიმა-ადვოკატს.

— არა, — თქვა ელენმა ისე, რომ ჩემთვის არც შემოუხედავს, — მაგრამ თუ საქმე აქვს, თქვას.

— კარგი, — ვუპასუხე, დავჯექი და ყავა შევუკვეთე.

— რა გნებავთ, იურისპრუდენციის გენიოსო? — მკითხა შტუსი-ლოიპინმა დაცინვით.

— ფროილაინ კოლერ, — დავიწყე, თან ძლივს ვმალავდი აღელვებას. — ერთ კითხვაზე მიპასუხეთ.

— გისმენთ, — თქვა ელენმა და გააბოლა.

— მიდი, — თქვა შტუსი-ლოიპინმაც.

— როდესაც მამათქვენი მინისტრს აცილებდა, თქვენ ჯერ კიდევ ბორტგამცილებლად მუშაობდით?

— დიახ.

— იმ რეისზეც მუშაობდით?

ელენმა სიგარეტი ჩააქრო.

— შესაძლებელია.

— გმადლობთ, ფროილაინ კოლერ, — ვუთხარი, ფეხზე ავდექი და წავედი, ყავა მაგიდაზე ხელუხლებელი დავტოვე. ახლა უკვე ვიცოდი, სად გაქრა რევოლვერი. მოხუცმა იარაღი მინისტრს ჩაუდო ჯიბეში, ელენმა კი ფრენის დროს ამოუღო. ბორტგამცილებლისთვის ეს დიდ სირთულეს არ შეადგენს. დიდხანს დავსეირნობდი სანაპიროზე, სულელურ ტბას, აფრიან ნავებს და გედებს ვუყურებდი. თუ ჩემი ვარაუდი სიმართლეს შეესაბამება — და, როგორც ჩანს, მართლაც ასეა, — ელენმა ყველაფერი იცოდა. ესე იგი, ისიც მკვლელობის თანამონაწილეა. ესე იგი, ისიც იცოდა, რომ მართალი ვარ, ესე იგი, მიღალატა, ესე იგი, მამამისმა გაიმარჯვა. ელენთან ბრძოლას კი არავითარი აზრი არ გააჩნდა, რადგან გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. ვერ ვაიძულებდი, მამა გაეცა. რისთვის უნდა გაეკეთებინა ეს? იდეალების გამო? რა იდეალების? ჭეშმარიტების გამო? იგი სიმართლეს მალავდა. სიყვარულის გამო? მან მიღალატა. სამართლიანობის გამო? აქ ხომ შეეძლო ეკითხა: ვის მიმართ სამართლიანობის? ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის მოღვაწის მიმართ? მკვდრები დუმან. ვილაც უპრინციპო მექალთანეს გამო? ის უკვე დიდი ხანია კრემატორიუმში დაწვეს. ეგებ ჩემი გულისთვის? არა, ლაპარაკადაც არ ღირს. სამართლიანობა ვინმეს პირადი საქმე კი არაა. კიდევ ესეც შეეძლო ეკითხა: სამართლიანობა — რისთვის? საზოგადოების სა-

ამებლად? ერთი სკანდალით მეტი თუ ნაკლები, რა დიდი მნიშვნელობა აქვს, ხვალინდელი დღე ახალ ჭორებს დააყენებს დღის წესრიგში. დასკვნა ერთია: მამა ელენისთვის სამართლიანობის იდეალებზე ძვირფასია. იურისტისთვის ეს დასკვნა ტრაგიკულია. ეგებ ღმერთი შემოვიყვანოთ თამაშში? ეს ძალიან კეთილისმსურველი, ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი, ცოტა საეჭვო საარსებო წყაროს მქონე ბატონია. და კიდევ: მას უჩვენოდაც ბევრი საქმე აქვს (სიტერის თანახმად, სამყაროს დიამეტრი, სულ მცირე, სანტიმეტრებში ერთიანი და ოცდარვა ნულია, თანაც ეს უკვე მოძველებული მონაცემებია). მაგრამ უნდა გავუძლო, მხნეობა უნდა მოვიკრიბო, ფილოსოფიას თავი დავანებო და ბრძოლა განვაგრძო საზოგადოებასთან, კოლერთან, შტუსილოიპინსა და ელენთან. ფიქრისკენ მიდრეკილება ნიჰილისტური თვისებაა, თანაც აღიარებულ ფასეულობებს ეჭვქვეშ აყენებს, ამიტომ ისევ მივმართე ცხოვრებისეულ რეალობას. სახეზეა ტბა, გედები, აფრებიანი ნავები, ამჯერად მარცხენა მხარეს. ძველ ქალაქში დავბრუნდი, პენსიონერებს და შეყვარებული წყვილებს გვერდით ჩავუარე. ჩამავალი მზე თითქოს რაღაც კოსმიურ შუქს მფენდა, მთელი საღამო "კლევნერს" ვსვამდი (რომელსაც საერთოდ ვერ ვიტან) და ღამის პირველ საათზე ერთი საეჭვო რეპუტაციის, მაგრამ მშვენიერი აღნაგობის ქალბატონთან ერთად მის სახლს მივუახლოვდი. სადარბაზოსთან შტუბერი მელოდებოდა პროსტიტუციასთან ბრძოლის დეპარტამენტიდან, ჩვენი მისამართები ჩაიწერა და ზრდილობიანად დაგვიკრა თავი. თუმცა მის ქცევაში აშკარად იგრძნობოდა ირონია, რომელსაც ნაკვერჩხალივით უნდა დაეწვა გალოთებული ადვოკატის გული. მოკლედ, იალლიში მოგვივიდა (სამაგიეროდ, ქალბატონი აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, ასე მითხრა, ჩემთვის ეს დიდი პატივია, ფული, თუ გინდა, სხვა დროს მომეციო, მე კი მივუგე, არა მგონია, სხვა დრომდე გავმდიდრდე-მეთქი. როდესაც ვუთხარი, ადვოკატი ვარ-მეთქი, თავისი საქმეების წარმოება შემომთავაზა).


მხატვარი ნინო დვალი

ქვეყანა და ხალხი: ზოგიერთი ცნობა უნდა მოგაწოდოთ. მკვლელობას ახლო და შედარებით შორეული გარემოცვაც განაპირობებს, აგრეთვე წლის საშუალო ტემპერატურა, მინისძვრების წლიური მაჩვენებელი და ადამიანური კლიმატი. აქ ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. დაწესებულება, რომელიც საკუთარ თავს ხან სახელმწიფოს და ხან ჩვენს სამშობლოს უწოდებს, დაახლოებით, უხეში გამოთვლებით, ოცი თაობის წინ დაარსდა. მოქმედების ადგილი: მოქმედება ჯერ ყველაფერი ცარცში, გრანიტში და მოლასაში მიმდინარეობდა, მოგვიანებით მესამეული ქანებიც შეუერთდა. კლიმატი: არა უშავს. ეპოქა: ჯერ ისე რა, ჰაბსბურგების ძალაუფლება ცდილობდა ფეხის მოკიდებას, ჯუნგლების კანონი სუფევდა, ყველა მუშტებს იქნევდა, მონასტრებს და ციხესიმაგრეებს ილებდნენ, ძარცვავდნენ, ხოცავდნენ, ტყვეები არ მიჰყავდათ, ბრძოლის წინ ლოცულობდნენ, ბრძოლის შემდეგ ლოთობდნენ, ომი მომგებიანი საქმე იყო, მაგრამ მერე, სამწუხაროდ, დენთი გამოიგონეს, იმპერიული პოლიტიკა წინააღმდეგობას წააწყდა, ალებარდის თუ თოფის მოყვარულები დააშოშმინეს, ხელჩართული ბრძოლის ადეპტები შორი მანძილიდან დახოცეს, მხოლოდ რვა თაობამ განვლო და დაიწყო სახელგანთქმული უკან დახევა, ამას კიდევ ველურობის შვიდი თაობა მოჰყვა, როდესაც ხალხი ერთმანეთს ხოცავდა, გლეხებს ჩაგრავდა (თავისუფლება აქ პირდაპირი მნიშვნელობით არ ესმოდათ), რელიგიურ ომებს აწარმოებდა, თანაც ლანდსკნეხტების ინსტიტუტი ყვაოდა, თავის სისხლს იმას ჰყიდდნენ, ვინც მეტს გადაიხდიდა, მთავრებს საკუთარი მოქალაქეებისგან იცავდნენ, მთელ ევროპას კი — თავისუფლებისგან. როგორც იქნა ქვეყანა საფრანგეთის რევოლუციის გრიალმა შეძრა, პარიზში საძულველი გვარდია ამოჟლიტეს, რომელიც მტკიცედ იდგა უფლის ნებით აღზევებული ძირგამომპალი სისტემის სადარაჯოზე, ამ დროს კი ერთი გვარდიელი ოფიცერი (ჩვენში დარჩეს და, არისტოკრატული ოჯახიდან) მანსარდაში იჯდა, თავს უსაფრთხოდ გრძნობდა და "შემოდგომის სიმღერას" თხზავდა. ცოტა მოგვიანებით ნაპოლეონმა საბოლოოდ გაანადგურა მონების და ბატონების ჯოგი, მაგრამ დამარცხებამ ჩვენს ქვეყანას მხოლოდ სიკეთე მოუტანა. დემოკრატიის პირველმა ყლორტებმა ამოხეთქა და ახალი იდეებიც გაჩნდა: ღარიბი, ჩამოძონძილი და გულანთებული პესტოლაცი ქვეყანაში დადიოდა. შვეიცარია მკვეთრად შემობრუნდა მაღალი იდეალების საბურველში გახვეული ბიზნესისა და ხელობებისკენ. დაიწყო ინდუსტრიული ზრდა, გაიყვანეს რკინიგზა. მართალია, სასარგებლო წიაღისეული თითქმის არ გაგვაჩნდა, ქვანახშირი და მადანი შემოგვქონდა, მაგრამ სიბეჯითე არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაკლდა, ყველგან შრომა და მომხვეჭელობა გამეფებულიყო, თუმცა, სამწუხაროდ, ბრწყინვალების გარეშე. მომჭირნეობა უმაღლეს სათნოებად იყო აღიარებული, ბანკები სოკოებივით იზრდებოდა, ვალის ქონა სამარცხვინოდ ითვლებოდა, და თუ წინათ ექსპორტზე ლანდსკნეხტები მიდიოდა, ახლა ბანკროტებს ვუშვებდით: ვისაც არ გაუმართლა, შეეძლო ბედი ოკეანის გაღმა ეცადა. ყველაფერს მოგება უნდა მოეტანა — ქვების გროვას, ღორღს, მყინვარებს, კლდეებს, რადგან მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ ბუნება აღმოაჩინა, ნებისმიერ უსაქმურს შეეძლო მთებში, განმარტოებით ღვთაებრივი გრძნობების აღმაფრენა განეცადა. ტურიზმის ინდუსტრია ჩაისახა: ჩვენს იდეალებს ყოველთვის ჰქონდა პრაქტიკული საფუძველი. ძირითადად კი ისე ცხოვრობდნენ, რომ მტერს უჯობდა, საერთოდ არ შემოეყო აქ ცხვირი, ამორალური, მაგრამ ჯანსაღი ცხოვრებისეული პრინციპია, რომელიც ჩვენს დიდებაზე თუ არა, ყოველ შემთხვევაში პოლიტიკურ კეთილგონიერებაზე მეტყველებს. ასე გავიარეთ მშვიდობით ორი მსოფლიო ომი, ლავირებას ვახდენდით მტაცებლებს შორის, და ყოველთვის უდანაკარგოდ ვძვრებოდით უსიამოვნებებიდან. სცენაზე ჩვენი თაობა გამოჩნდა.

ჩვენი დრო (ქრისტეს შობიდან 1957 წელი): მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უზრუნველად ცხოვრობს, ეკლესია, სასწავლო დაწესებულებები და კლინიკები ყოველთვის მზადაა გემსახურროთ ხელმისაწვდომ ფასად, კრემაცია კი უფასოა. ცხოვრება ჩვეული რიტმით მიდის, მაგრამ წარსული შენობის ფუნდამენტს არყევს. ვისაც ბევრი აქვს, დასაკარგიც ბევრი აქვს. ცხენიდან გულწასული მაშინ ვარდები, როდესაც საფრთხემ უკვე ჩაიარა, როგორც ის მხედარი, ბოდენის ტბის ყინულზე რომ გადადიოდა. ადამიანს უჭირს იმ აზრს შეეგუოს, რომ გმირი არასდროს ყოფილა, უბრალოდ, საღად აზროვნებს, მას წინაპართა სახელოვანი ამბები ახსენდება, ჰეროიკული მითები თავგზას უბნევს, და აი, უკვე თავი წინააღმდეგობის მებრძოლი ჰგონია, შემდეგ საქმეში გენშტაბის წარმომადგენლები ერთვებიან, ჯადოსნური შელოცვებით ნიბელუნგების სამყაროს აცოცხლებენ, ატომურ იარაღზე ოცნებობენ, აგრესიის შემთხვევაში გმირული ბრძოლების გეგმებს აწყობენ, მათი აზრით, არმიის დაღუპვა ნაციის გარდაუვალ დაღუპვასაც ნიშნავს, თუმცა დიდი ხნის წინათ დამონებული ხალხები რალაცნაირად ახერხებენ ცხოვრებას — არ ვიცი, სიმამაცის თუ ეშმაკობის წყალობით. მაგრამ სავარაუდო აღსასრულმა შეიძლება სხვა, მოულოდნელი სახეც მიიღოს. მიწას, რომლის დაცვას ერი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე აპირებს, უცხოელები ყიდულობენ. ჩვენები, საუკეთესო შემთხვევაში, ზოგად ხელმძღვანელობას ახორციელებენ, თუმცა ყველაფერს ვერ განაგებენ. ჩვენი მოქალაქეები ზედა ფენას ქმნიან, მათ ქვეშ კი ცეცხლის ფასად ნაქირავებ სახლებში საწყალი და მშრომელი იტალიელები, ესპანელები, პორტუგალიელები, ბერძნები, თურქები შეყუჟულან — ხშირად წერა-კითხვის უცოდინარნი, მათ ადამიანებად არ თვლიან, ილოტებს უწოდებენ, მოკლედ, დაბალი რანგის ადამიანები, რომლებიც პროლეტარიატის რიგებს ავსებენ და, სახლების მფლობელთა აზრით, ერთხელაც თავის უფლებების დასაცავად გამოვლენ. მათ მხარეს დიდი უპირატესობაა — ეს უპირატესობა გაჭირვებაში გამოიმუშავეს, და მალე მიხვდებიან, რომ ფირმა, რომელიც საკუთარ თავს სახელმწიფოს უწოდებს და რომლის აქციების თითქმის ნახევარი უკვე უცხოელებს აქვთ ნაყიდი, მთლიანად მათზეა დამოკიდებული. სინამდვილეში ჩვენი პატარა სახელმწიფო, როგორც ამას ოდნავ დაგვიანებით მივხვდით, ისტორიის არენიდან წავიდა მაშინ, როდესაც დიდ ბიზნესს დაუკავშირდა.

საზოგადოების რეაქცია: ამ ფონზე დრ. H. C. კოლერის მიერ ჩადენილი მკვლელობა მკვეთრად გამოიკვეთა. შედეგი წინასწარ შეგვიძლია განვჭვრიტოთ: რადგან ჩვენ პოლიტიკის დეპოლიტიზაცია მოვახდინეთ, — აი, აქ კი ზედმიწევნით თანამედროვენი ვართ, აქ კი მომავლისკენ ვართ მიმართულნი, აქ გამოჩნდა ჩვენი ნოვატორული სული, მსოფლიო ან დაიღუპება, ან "გაშვეიცარიელდება" — ასე რომ, რადგან პოლიტიკისგან აღარაფერს ველით, არც სასწაულებს, არც ახალ ცხოვრებას, მხოლოდ, საუკეთესო შემთხვევაში — გზების საფარის გაუმჯობესებას, რადგანაც ქვეყანა წესიერად იქცევა ბიოლოგიური თვალსაზრისით, ანუ მაინცდამაინც არ იკლავს თავს ბავშვების ჩენით (ჩვენი მცირერიცხოვნება ჩვენი დიდი უპირატესობაა, ის, რომ გასტარბაიტერთა ხარჯზე ჩვენი რასა ნელ-ნელა უმჯობესდება — ჩვენი უდიდესი უპირატესობაა), ამიტომ ნებისმიერი რამ, რაც ჩვენი ყოველდღიურობის მდორე დინებას დაარღვევს, ჩვენს აღფრთოვანებას იწვევს, ნებისმიერ მრავალფეროვნებას მივესალმებით, მართლაც, ხომ არ შეიძლება გილდიების ყოველწლიურმა მსვლელობამ კარნავალი შეცვალოს. ამიტომ დოქტორ H. C. კოლერის ქმედებამ ჩვენ ცხოვრებას ეშხი შემატა, ხალხს საშუალება მიეცა, ზურგსუკან იმაზე ეცინა, რაზეც ოფიციალურად აღშფოთებას გამოხატავდა. იმ საღამოსვე, როდესაც მკვლელობა მოხდა, ქალაქში ჭორები გავრცელდა, სხვადასხვა თანამდებობის პირებს, მათ შორის, ქალაქის მერსაც, სხვადასხვა გამონათქვამები მიეწერებოდა, ამბობდნენ, კოლერმა სამუდამოდ დაიმსახურა ჰონორის ცაუსას წოდება, რადგან ვინტერს ხელი შეუშალა პირველ აგვისტოს მორიგი მოხსენება წაეკითხაო. პოლიციის უსუსურობამაც ძალიან გაამხიარულა მოქალაქეები, ყველას უხაროდა მისი მარცხი: ხალხის და პოლიციის დამოკიდებულება ჩვენში საერთოს საკმაოდ დაძაბულია, ჩვენი ქალაქის რეპუტაცია ხომ დიდი ხანია ფიქციად იქცა. ის ხომ მოულოდნელად მეგაპოლისი გახდა, თანაც ცდილობს, პატრიარქალობა შეინარჩუნოს — სათნოება, ბიურგერული სიბეჯითე, წესრიგის სიყვარული. ამ თვისებებს იგი წარსულშიც მიაწერდა საკუთარ თავს და ახლაც მიაწერს, ცდილობს, საყოველთაო უსახურებაში საკუთარი სახე და ტრადიციები შეინარჩუნოს. მაგრამ დრო უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენი ქალაქი და მთელი მისი მონდომება. დრო რასაც უნდა, იმას სჩადის. აი, რატომ აღარა ვართ ისეთები, როგორც ადრე, მაგრამ არც ისეთები ვართ, როგორებიც გვინდა რომ ვიყოთ. ვებრძვით აწმყოს, არ ვემორჩილებით გარემოებებს, არ გვინდა იმის კეთება, რისი კეთებაც საბოლოოდ მაინც გვიწევს, მართალია, სანახევროდ და ძალისძალით ვაკეთებთ. ამ საცოდაობის მკაფიო გამოხატულება პოლიციური სტრუქტურების უფლებათა ზრდაა, რადგან ვინც რეალობასთან კარგად ვერაა, იმან შეზღუდ-

ვები უნდა დაანესოს. ჩვენი საზოგადოება არსებითად პოლიციურ სახელმწიფოდ გადაიქცა, რომელიც ყველგან ცხვირს ყოფს — ტრანსპორტშიც და ზნეობაშიც (თანაც, როგორც ერთი, ისე მეორე ქაოტურად ფუნქციონირებს). პოლიციელი მცველი კი აღარაა, ის უკვე დევნის სიმბოლო ხდება. მოვრჩი. საშინლად დავთვერი. თანაც, ის ქალბატონი აპარტამენტებიდან ისევ გამომეცხადა (ჩემს ოფისში, რომელიც შპიგელგასეს ერთ-ერთ მანსარდაში მდებარეობს). იურიდიული კონსულტაცია სჭირდება. რაღაც სირთულეები შეექმნა. ალბათ ვურჩევ, ძაღლი შეიძინოს. მაშინ სრული უფლება ექნება ძაღლიც და საკუთარი თავიც ღამეში ორჯერ გაიყვანოს გარეთ (ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის რეკომენდაცია, რომელიც იემერლინმა კბილების ღრჭიალით დაამტკიცა).

პროკურორ იემერლინს კანტონის საბჭოს მრჩეველი სძულდა. მისი უდარდელობა ნერვებს უშლიდა. ვერასდროს აპატიებდა იმ ხელის ჩამორთმევას საკონცერტო დარბაზში. ისე სძულდა კოლერი, რომ პიროვნების გაორებაც კი დაემართა. მის სიძულვილსა და თანდაყოლილ სამართლიანობის გრძნობას შორის წინააღმდეგობა უკვე აუტანელი გახდა. ხან თვითაცილების შესაძლებლობაზე ფიქრობდა, ამბობდა, მიუკერძოებელი ვერ ვიქნებიო, ხან უმოქმედოდ იჯდა და ელოდა, რომ კოლერი თავად მისცემდა აცილებას. ბოლოს სულ აებნა თავგზა და თავისი გასაჭირი კანტონალურ მოსამართლეს იეგერლენერს შესჩივლა. იეგერლენერმა გამომძიებელთან მოსინჯა ნიადაგი, ამ უკანასკნელმა — პოლიციის უფროსთან, პოლიციის უფროსმა კი ამოიოხრა და კოლერი ოლქის საპყრობილედან თავის კაბინეტში მოაყვანინა, რათა თავისუფლად ესაუბრათ. კოლერი ჩინებულ გუნებაზე იყო, ვისკი "თეთრი ცხენი" ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებდა. პოლიციის უფროსმა ისევ შტუსი-ლოიპინზე ჩამოუგდო სიტყვა, ასე ამბობდა, სახელმწიფო დამცველი არაფრად არ ვარგაო. კოლერმა მიუგო, ამას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნიაო. მაშინ პოლიციის უფროსმა იემერლინის გასაჭირის შესახებ უამბო. კანტონის საბჭოს მრჩეველმა განაცხადა, უარესი პროკურორი ვერც კი წარმომიდგენიაო. როდესაც ეს სიტყვები იემერლინს გადასცეს, პროკურორს ყვირილი აღმოხდა, ახლა კი ვაჩვენებ მაგას სეირს და სამუდამოდ ციხეში ჩავაყუდებო, რის შემდეგაც მოსამართლემ თავადაც გადაწყვიტა, სჯობს იემერლინი ამ საქმეს მოვაშორროთო, მაგრამ მერე გადაიფიქრა — ინფარქტი არ დაემართოსო, პროკურორს ამ ბოლო დროს ისედაც შერყეული ჰქონდა ჯანმრთელობა.

პროცესი: კანტონის სასამართლო ხუთი მოსამართლის შემადგენლობით ჩვენი იუსტიციისთვის უჩვეულოდ სწრაფად შეიკრიბა, შეიძლება ითქვას, ბგერის სისწრაფით — წელიწადიც არ გასულა მკვლელობიდან, ანუ შემდეგი წლის მარტში. დანაშაულს უამრავი მოწმე ჰყავდა, მკვლელი აშკარა იყო. მხოლოდ მოტივი დარჩა გაურკვეველი. გამოვიდა, რომ კოლერს მოტივი საერთოდ არ ჰქონია. კანტონის საბჭოს მრჩეველს სიტყვაც ვერ დააცდენინეს ამის თაობაზე. სასამართლო ჩიხში მოექცა. მკვლელსა და მოკლულს შორის დამოკიდებულება ყოველთვის ზედმიწევნით კორექტული იყო. საქმიანი ურთიერთობა არ ჰქონდათ, ეჭვიანობა გამორიცხული იყო, ამ მხრივ ვარაუდიც კი არავის გასჩენია. ორი ვერსია წამოიჭრა: დოქტორი H. C.ისააკ კოლერი ან სულით ავადმყოფია, ან — ამორალური მონსტრი, რომელიც მკვლელობაში სიამოვნებას ჰპოვებს. პირველ ვერსიას ადვოკატი ლიუტი ემხრობოდა, მეორეს — პროკურორი იემერლინი. პირველს თავად კოლერის პიროვნება გამორიცხავდა — იგი გიჟს სულაც არ ჰგავდა, მეორეს — მთელი მისი განვლილი ცხოვრება, რადგანაც ჩვენში მიაჩნიათ, რომ პოლიტიკური მოღვაწე და ბიზნესმენი აუცილებლად მაღალზნეობრივი ადამიანიც უნდა იყოს. ამასთან, საზოგადოებას ყოველთვის მოსწონდა კოლერის სოციალური (არა სოციალისტური!) ამბიციები. იემერლინის თავმოყვარეობა ჯერ არც ერთხელ არ ყოფილა ასე შელახული. სიძულვილი, დაცინვა, კრიტიკა, რომელსაც მისთვის არ იშურებდნენ, მოხუც იურისტში მებრძოლ სულს კიდევ უფრო აღვივებდა. მისმა თეზისმა იმის შესახებ, რომ საქმე გვაქვს რაღაც ურჩხულთან, სახელად კოლერი, მოულოდნელად გაიმარჯვა. იგი ხუთივე მოსამართლემ ყველასათვის ჭკუის სასწავლებლად გაიზიარა, თავად იეგერლენერმაც კი ყურად იღო მათი აზრი. ისევ და ისევ სცადეს, ზნეობის ფასადი მაინც გადაერჩინათ. ხალხს, ნათქვამი იყო ვერდიქტში, უფლება აქვს არა მარტო მოითხოვოს, რომ ფინანსურად და სოციალურად პრივილეგირებული წრეები უმწიკვლო ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ, არამედ აკონტროლოს კიდეც ისინი. კანტონის საბჭოს მრჩეველს 20 წელი პატიმრობა მიუსაჯეს გამასწორებელ ციხეში, ანუ სამუდამო პატიმრობა არ გადაუწყვიტეს, მაგრამ მაინც სამუდამო გამოვიდა.

კოლერის ქცევა: ყველამ აღნიშნა, როგორ ღირსეულად ეჭირა თავი. სასამართლო დარბაზში ყველას ანცვიფრებდა თავისი მხნეობით. მშვენივრად გამოიყურებოდა. ტყუილად კი არ იხდიდა წინასწარ პატიმრობას ფსიქიატრიულ კლინიკაში ბოდენის ტბის პირას, იქ, რა თქმა უნდა, პოლიციის ზედამხედველობის იყო, თუმცა არცთუ მკაცრი რეჟიმი ჰქონდა, თანაც, თავისი მეგობრის, პროფესორ ჰაბერზაკის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. კლინიკის ფარგლებში ბევრი რამ ჰქონდა ნებადართული, მაგალითად, გოლფს სოფლის პოლიციელთან თამაშობდა. სასამართლოში კოლერმა გადაჭრით თქვა უარი ყველანაირ პრივილეგიაზე და მოითხოვა, რომ ზუსტად ისევე მოქცეოდნენ, როგორც "ხალხის წიაღიდან გამოსულს". პროცესის დასაწყისიც უჩვეულო გამოდგა — კოლერს გრიპი დაემართა, სიცხე ჰქონდა, თითქმის 39, მაგრამ მაინც მოითხოვა, რომ მოსმენა არ გადაედოთ და საავადმყოფოს სავარძელზეც კი უარი თქვა. ხუთივე მოსამართლეს კი განუცხადა (ოქმის ამონაწერი): "აქ იმისთვის ვარ, რომ თქვენ სინდისის და კანონის მიხედვით განმსაჯოთ. თქვენ იცით, რაშიც ვარ ბრალდებული. ძალიან კარგი. ახლა კი განაჩენი უნდა გამომიტანოთ, მე კი უნდა დაგემორჩილოთ. როგორიც უნდა იყოს ვერდიქტი, მას როგორც სამართლიანს, ისე მივიღებ." პროცესის დასრულებისთანავე კოლერმა ყველას მადლობა გადაუხადა, განსაკუთრებით აქცენტს აკეთებდა იმაზე, რომ ძალიან ადამიანურად ექცეოდნენ, იემერლინიც არ დაივიწყა. ხალხს გული არ აჩუყებია, უფრო დაცინვით მოეკიდნენ მის სიტყვებს, ყველას შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ისააკ კოლერის სახით მართლმსაჯულებამ უნიკალური ეგზემპლარი შეიძინა, და როდესაც მსჯავრდებული გაიყვანეს, თითქოს ყველა ეჭვი

გაფანტული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი რამ გაუგებარი დარჩა.

ახლა ჩემ თავზე გიამბობთ. ასეთია წინარე ისტორია, მან შეიძლება დიდი შთაბეჭდილება არ მოახდინოს თქვენზე, ეს წარსული საქმეა, რომელიც მხოლოდ მასთან დაკავშირებული ადამიანებისთვის იყო საინტერესო, ჭორები და მეტ-ნაკლებად უკბილო ხუმრობები, რომლებშიც ზოგიერთი სენტენცია იყო გამოთქმული დასავლური დემოკრატიის კრიზისის შესახებ, სისხლის სამართლის საქმე, რომელიც დეტალურად და კეთილსინდისიერად იყო განხილული ჩვენი ქალაქის საყოველთაოდ ცნობილი გაზეთის ჟურნალისტთა და მთავარი რედაქტორის (აგრეთვე კოლერის მეგობრის) მიერ, თანაც ჩვენი ქვეყნისთვის ჩვეული ღირსებით, რამდენიმე დღის სალაპარაკო თემა, რომელსაც ალბათ არც გადაულახავს ჩვენი ქალაქის საზღვრები, პროვინციული მასშტაბის სკანდალი, რომელსაც მალევე დაივიწყებდნენ, მასში ერთი დაფარული გეგმა რომ არ ყოფილიყო ჩადებული. და თუ ამ გეგმაში მთავარი როლი ჩემთვის განესაზღვრათ, ეს ჩემი პირადი ტრაგედიაა, მართლაც, გული თავიდანვე ავს მითქვამდა. აქ ცოტა რამ უნდა გიამბოთ მდგომარეობაზე, რომელიც კოლერის პროცესის დასასრულისთვის შემექმნა. მაშინაც არ მიდიოდა საქმეები კარგად. ვცდილობდი, ფეხზე დავმდგარიყავი; შპიგელგასეზე, "იუტლის წმინდანების" სექტის სალოცავი დარბაზის თავზე ოთახი დავიქირავე, რომელსაც დამრეცი კედელი და სამი ფანჯარა ჰქონდა. ოთახში "პფისტერის" სანერი მაგიდის გარშემო სამი სავარძელი იდგა. კედლებს "ბეობაჰტერიდან" ამოჭრილი სურათები ამშვენებდა, შპალერის ხარისხზე, სჯობს, არაფერი ვთქვა. ტელეფონიც მქონდა, მაგრამ ჯერ არ ჩაერთოთ, მოკლედ ჩემი ოფისი სახლის პატრონის წყალობით წარმოიქმნილი საკუჭნაო იყო, რომელმაც ორი მანსარდის გამყოფი კედელი მოანგრევინა და ერთ-ერთი კარი ამოაქოლინა. მესამე მანსარდაში სიმონ ბერგერი ცხოვრობდა — მოქადაგე და ზემოხსენებული სექტის დამაარსებელი, გარეგნულად წმ. ნიკოლოზ ფლუეელს ჰგავდა – ჩვენ ერთი საერთო ტუალეტი გვქონდა დერეფნის ბოლოს. სამაგიეროდ, ჩემს ოფისს კარგი ადგილმდებარეობა ჰქონდა, რომანტიკულ უბანში იყო განლაგებული, გვერდით სახლში ოდესღაც ლენინი და ბლუხერი ცხოვრობდნენ, ფანჯრიდან ძველი ქალაქის პანორამა მოჩანდა, რომლის მილები და ანტენები მნახველს ალაფრთოვანებდა, მშობლიური ბუდის შეგრძნებას და კაქტუსთა მოშენების სურვილს ულვივებდა. მაგრამ ადვოკატისთვის არაფრად არ ვარგოდა, თანაც მხოლოდ ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემების გამო არა — ჩემთან მოღწევა საკმაოდ რთული იყო: ლიფტი არ არის, ძველი, მორყეული კიბე ფეხის ყოველ გადადგმაზე ჭრაჭუნობს, დერეფნები ქაოტურადაა გადახლართული ერთმანეთში (აქვე დავძენ, რომ ოფისს ადრე ჰქონდა არახელსაყრელი მდებარეობა, მაშინ, როდესაც რაღაც ამბიციები მქონდა, დამოუკიდებლობა მწყუროდა, ნესიერი ბიურგერი მინდოდა ვყოფილიყავი, ახლა კი მეძავების გალოთებული ადვოკატისთვის ეს ოთახი მისწრებაა, თუმცა მას შემდეგ, რაც აქ დივანიც დავდგი, ძალიან ვიწროდ ვარ. ამიერიდან აქვე მძინავს — ხან მარტო, ხან, ღმერთმა იცის ვისთან ერთად, საჭმელსაც აქ ვიკეთებ, ღამ-ღამობით კი "იუტლის წმინდანების" ფსალმუნებს ვისმენ, ყოველ შემთხვევაში, ლაკი, — იმ ქალის მფარველი, კარგი აღნაგობა და გაურკვეველი პროფესია რომ აქვს, — რომელიც ცნობისმოყვარეობის თუ საქმიანი მოსაზრებების გამო მოვიდა, გამეცნო და ნიადაგი მოსინჯა, კმაყოფილი დარჩა და ისიც კი მითხრა, აქ ადამიანი სულიერად ისვენებსო). მოკლედ, ბევრი კლიენტი არც ადრე მყოლია, თითქმის უმუშევარი ვარ, რამდენიმე წვრილმანი ქურდობის, აღმასრულებელი ქალალდის და პატიმართა სპორტული საზოგადოების საქმე მიმყავდა (იუსტიციის დეპარტამენტის დავალებით). სამუშაო არ გამაჩნდა, დროს ძირითადად სანაპიროზე, მწვანედ შეღებილ სკამებზე ვატარებდი, ან კაფე "სელექტში" დავდიოდი ჭადრაკის სათამაშოდ (ვინმე ლესართან ერთად, ორივენი ჯიუტად ესპანურ დებიუტს გავითამაშებდით ხოლმე, ასე რომ ყოველთვის ერთნაირი პარტია გამოგვდიოდა და ერთნაირად პატით თავდებოდა). ქალთა ფერაინის* სასადილოში უინტერესო, მაგრამ სასარგებლო საჭმელს ვჭამდი, და, გასაგებია, რატომაც არ მითქვამს უარი კოლერის თხოვნაზე, მასთან ციხეში მივსულიყავი. ხელი ჩავიქნიე ყველაფერზე — რა თქმა უნდა, თავიდანვე დამებადა ეჭვი, რაში უნდა სჭირდებოდეს მოხუცს უცნობი, ხელმოცარული ადვოკატი, თანაც მისი უპირატესობის მეშინოდა, მაგრამ არაფერს არ მივაქციე ყურადღება და წავედი. ზნეობის თანახმად, რომელიც ჩვენი შრომითი მორალის პროდუქტია. აბა რა, შრომის გარეშე ვერაფერს ვერ მიაღწევ, ვარდი უეკლოდ და ასე შემდეგ. ხელი გაანძრიე და გეშველება. მოკლედ, რ.-ში გავემგზავრე (მაშინ ჯერ კიდევ "ფოლკსვაგენი" მყავდა).

ჩვენი პენიტენციალური დაწესებულება: მანქანით დაახლოებით ოცი წუთის გზაა. გაშლილი ველი, მთისწინეთის სოფელი, ბევრი ბეტონი, რამდენიმე ფაბრიკა, ჰორიზონტზე — ტყე. გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ეს ციხე ქალაქის ყველა მცხოვრებისთვის ნაცნობია. მისი ოთხასი პატიმარი ქალაქის მოსახლეობის 0,1 პროცენტს თუ შეადგენს. სამაგიეროდ, ამ დაწესებულებას კარგად იცნობენ საკვირაო გასეირნების მოყვარულნი, თუმცა ზოგს იგი ლუდის სახარში ჰგონია, ზოგს — საგიჟეთი. ვინც მისი ჭიშკარი გაიარა და მთავარ შენობას მიუახლოვდა, იფიქრებს, არქიტექტორი ეკლესიას წითელი აგურის კაპელას თუ აშენებდა და არ გამოუვიდაო. რელიგიურობის ამ განცდას სულაც არ არღვევს შეირაღებული დაცვა: ყველას მომღიმარი, მორწმუნე ფიზიონომიები აქვს, ხსნის არმია გეგონებათ. ყველგან სიწყნარეა, გარემო დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვებზე, უნებლიეთ მთქნარება გიტყდებათ, თუმცა ოდნავი სევდა გიპყრობთ. აქ იუსტიცია სამყაროს მთვლემარე სახით წარმოუდგება, რაც სულაც არაა გასაკვირი, თუ ამ ქალბატონის ახვეულ თვალებს გავიხსენებთ. აქ სულის გადარჩენაზე ზრუნვის სხვა ნიშნებსაც ნახავთ: წინ წვეროსანი მღვდელი შემოგეგებებათ, მერე ციხის მოძღვარი, მერე სათვალიანი ფსიქოლოგი ქალი. ყველგან იგრძნობა სურვილი, რაღაც გამოასწორონ, გადაარჩინონ, ადამიანთა სულები სწორი გზით წარმართონ, მხოლოდ მოსაწყენი, უსაშველოდ გრძელი დერეფნის ბო-

* გაერთიანება (გერმ.)

ლოს გამოსჭვივის სხვა, საშიში სამყარო, თუმცა ცხაურიანი შუშის კარებს იქით დეტალების გარჩევა შეუძლებელია. დირექტორის კაბინეტის წინ მჯდომი ორი სამოქალაქოტანსაცმლიანი კაციც უნდობლობას, უსიამოვნო გრძნობას იწვევს. ისინი სხედან და ერთგულად, მკაცრად ელიან რაღაცას. მაგრამ ვინც შუშის კარის ზღურბლს გადააბიჯა და "იმ" სამყაროში მოხვდა — სულერთია, ვინაა, რაიმე კომისიის ოდნავ დაბნეული წევრი თუ პატიმარი, რომლებითაც აქაურობას ჩვენი მართლმსაჯულება ამარაგებს, — თავისდა გასაოცრად, მკაცრი, მაგრამ თითქოს მამობრივი, მზრუნველობით განპირობებული წესრიგის სამეფოში აღმოჩნდება. მოკლედ რომ ვთქვათ, ხუთსართულიან გალერეებში, რომლებსაც ერთი წერტილიდან შეგიძლია ადევნო თვალი, სამყაროში, რომელიც სულაც არ ტოვებს პირქუშის შთაბეჭდილებას, არამედ თავიდან ბოლომდე სინათლითაა განმსჭვალული, ცხაურების და გალიების საუფლოში, რომელსაც საკუთარი სახე მაინც არ დაუკარგავს, საკმაოდ სასიამოვნო გარემოში, სადაც ჭერი ლაჟვარდისფრადაა შეღებილი და უამრავი ოთახის მცენარე ხარობს, პატიმრების კმაყოფილ სახეებს დაინახავთ. მათ ყავისფერი სპეცტანსაცმელი აცვიათ, ჯანმრთელობის მდგომარეობა ისეთი აქვთ, უკეთესს ვერც ინატრებ, მშვიდი რეჟიმი, ჯანსაღი საკვები და საღამოს შუქის ადრე გამორთვის ბრძანება პირდაპირ სასწაულებს ახდენს. ბიბლიოთეკაში უამრავი წიგნია მოგზაურობებზე, უხვად აქვთ რელიგიური შინაარსის ლიტერატურაც ორივე სარწმუნოების პატიმრებისთვის. და თუ უახლესი ლიტერატურის მცირე უკმარობა იგრძნობა, სამაგიეროდ, კლასიკა თითქმის სრულადაა წარმოდგენილი. კვირაში ერთხელ კინოს აჩვენებენ, დღეს, მაგალითად, "ჩვენ ვუნდერკინდები ვართ" გადიოდა. საკვირაო ქადაგებაზე დასწრების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ასეთივე მაჩვენებელს ციხის ცხაურს იქით, ცხოვრება მშვიდად მიედინება, პატიმრებს ართობენ და ათასი რამით აინტერესებენ, ნიშნებს უწერენ. სანიმუშო ქცევისთვის აუცილებლად აჯილდოებენ, მდგომარეობას უმსუბუქებენ, რა თქმა უნდა, ეს მათ ეხება, ვისაც ათი ან ნაკლები წელი აქვს მისჯილი, მათ გამოსწორებაზე ძალისხმევის დახარჯვას აზრი აქვს. სამაგიეროდ, ვისაც სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი, პატარ-პატარა პრივილეგიების სანაცვლოდ გამოსწორებას არავინ სთხოვს — ასეთები დაწესებულების სიამაყედ ითვლებიან, როგორც დროსელი ან ცერტლიპი, რომლებიც ციხეში მოხვედრამდე შიშის ზარს სცემდნენ მოსახლეობას. დაცვა მათ პატივისცემით ექცევა, ისინი ადგილობრივი მნიშვნელობის ვარსკვლავები არიან და შესაფერისადაც იქცევიან. ვერ ვიტყვით, რომ ჩვეულებრივ დამნაშავეებს ამ ვარსკვლავების არ შურთ, და ისინიც პირობას დებენ, რომ სხვა დროს უკეთ გაირჯებიან. მოკლედ, მედალს, რომელიც ამ ციხემ, როგორც სანიმუშომ, მოიპოვა, მეორე მხარეც აქვს, მაგრამ მთლიანობაში პატიმართა უმეტესობას სურვილი უჩნდება, გამოსწორდეს; თანამდებობაჩამორთმეულ მოხელეებს ახალი ჰორიზონტები ესახებათ, მკვლელები ანტროპოსოფიისაკენ იხრებიან, მოძალადეებს და პედოფილებს სულიერი მისწრაფებები უჩნდებათ, აქ პლაკატებს ბეჭდავენ, კალათებს წნავენ, წიგნებს ყდაში სვამენ, ბროშურებს ბეჭდავენ, მთავრობის მრჩევლებიც კი იკერავენ კოსტუმებს აქაურ სამკერვალოში, შენობაში ახალგამომცხვარი პურის სუნი ტრიალებს, აქაური საცხობი ხომ განთქმულია, ბევრი პრივილეგია შეიძლება მოიპოვო სიბეჯითით, მაგალითად, ნებას დაგრთავენ, კამერაში თუთიყუში, მტრედი ან რადიომიმღები გქონდეს, განათლების მიღების მსურველთათვის საღამოს სკოლა ფუნქციონირებს, და ძალიან მალე გებადება ბუნდოვანი აზრი, რომელიც სულ უფრო და უფრო მყარი ხდება — ამ სამყაროში სრული წესრიგი და ჰარმონიაა, რასაც ვერ ვიტყვით *იმ*, დიდ სამყაროზე.

საუბარი ციხის უფროსთან: ჩემდა გასაკვირად, დირექტორმა ცელერმა თავის კაბინეტში შემიპატიჟა. კაბინეტი შთამბეჭდავი ზომის ოთახი აღმოჩნდა საკონფერენციო მაგიდით, ტელეფონებით და უამრავი საქაღალდით. კედლებზე ტაბულები, გრაფიკები, დაფები, განცხადებები ეკიდა, თითქმის ყველა კალიგრაფიული ხელით იყო დაწერილი, პატიმრებს შორის, სამწუხაროდ, მასწავლებლებიც ბევრნი არიან. ფანჯარაზე გისოსები არ ეკრა, იქიდან ციხის კედელი და გაზონი მოჩანდა, თანაც ხედი უფრო სკოლის ეზოს მოგაგონებდათ, მხოლოდ უჩვეულო სიჩუმე სუფევდა. აქ არც ავტომობილების ხმა, არც სხვა ხმაური არ აღწევდა, როგორც მოხუცთა თავშესაფარში.

დირექტორი ცივად მომესალმა. დავსხედით.

— ბატონო შპეტ, — დაიწყო მან. — პატიმარმა ისააკ კოლერმა თქვენი ნახვა ისურვა. მეც ნება დავრთე. კოლერთან დაცვის წარმომადგენლის თანდასწრებით ისაუბრებთ.

შტუსი-ლოიპინისგან გამიგონია, ის თავის კლიენტებს დამსწრეების გარეშე ხვდებაო.

—შტუსი-ლოიპინი ჩვენი ნდობით სარგებლობს, — უპასუხა დირექტორმა ჩემს შეკითხვას, — თქვენზე არაფრის თქმა არ მინდა, უბრალოდ ჯერ არ გიცნობთ.

— მესმის.

— აი, კიდევ რა, ბატონო შპეტ, — განაგრძო დირექტორმა უკვე მეგობრული ტონით. — ვიდრე კოლერთან შეგიყვანთ, მინდა გითხრათ, რა აზრის ვართ მასზე. შეიძლება ეს თქვენთვის სასარგებლო გამოდგეს. ცუდად არ გამიგოთ, ჩემს კომპეტენციაში არ შედის იმის გარკვევა, რატომ აღმოჩნდა პატიმარი აქ. ეგ მე არ მეხება. მე სასჯელის აღსრულება მევალება, მეტი არაფერი. არ ვაპირებ კოლერის დანაშაულზე გელაპარაკოთ. მაგრამ, გულახდილად გეტყვით, ამ კაცის არ მესმის.

— რას გულისხმობთ?

მცირე ყოყმანის შემდეგ დირექტორმა თქვა:

— სავსებით ბედნიერი ჩანს.

— მომილოცავს!

— არ ვიცი, არ ვიცი.— მიპასუხა დირექტორმა.

— ბოლოსდაბოლოს, თქვენი დაწესებულება მართლაც სანიმუშოა.

— ვცდილობთ, — ამოიოხრა დირექტორმა, — მაგრამ მაინც დამეთანხმეთ, თუ მულტიმილიონერი ციხეში ბედნიერია, აქ რაღაც ისე არაა.

ლობეზე სქელი შაშვი შემოჯდა, იგი გალიებში განცხრომით მყოფი ჩიტების ჟღურტულმა მოიზიდა, რომელთა ხმა ცხაურიანი ფანჯრებიდან კარგად ისმოდა. ალბათ შაშვსაც გულის სიღრმეში ეიმედებოდა, მეც სამუდამოდ აქ დამტოვებენო. ცხელი დღე იყო, თითქოს ზაფხული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნდა, შორეული ტყის თავზე ცა მოიღრუბლა, სოფლის სამრეკლოზე საათმა ცხრაჯერ დაჰკრა.

სიგარეტს მოვუკიდე. დირექტორმა საფერფლე მომიჩოჩა.

— ბატონო შპეტ, — განაგრძო მან — წარმოიდგინეთ პატიმარი, რომელმაც ზღურბლზე ფეხი გადმოდგა თუ არა, იმ წამსვე გამოგვიცხადა, რომ ძალიან მოსწონს ეს დაწესებულება, პერსონალი არაჩვეულებრივია, თავად სავსებით კმაყოფილია და უკეთესს არც კი ისურვებდა. გაუგებარია. ეს ყველაფერი ჩემში ზიზღს იწვევს.

— რატომ? — გავიკვირვე მე. — განა მართლა არ გყავთ ჩინებული პერსონალი?

— რა თქმა უნდა, — თქვა დირექტორმა, — მაგრამ ეს ჩემი გადასაწყვეტია, და არა პატიმრის. ბოლოსდაბოლოს, ვის უხარია ჯოჯოხეთში შესვლა?

— მართალი ბრძანდებით, — კვერი დავუკარი მე.

— მახსოვს, მაშინ მოთმინებიდან გამოვედი და ბრძანება გავეცი, კოლერისთვის უმკაცრესად მოეთხოვათ ყველა წესის დაცვა მიუხედავად იმისა, რომ, იუსტიციის დეპარტამენტის რეკომენდაციით, ლმობიერად უნდა მოვქცეოდი. თუმცა დედამიწის ზურგზე არც ერთი ციხის შიდაგანაწესში არ წერია, რომ პატიმარს ბედნიერების განცდა ეკრძალება. მაგრამ მაინც პირწმინდად ემოციური თვალსაზრისით დავიბენი. გამიგეთ, ბატონო შპეტ. კოლერი მკაცრი რეჟიმის საკანში მოვათავსეთ, იქ განათებაც კი არაა, — ჩვენში დარჩეს და ეს აკრძალულია — რამდენიმე დღეში კი ყველა მცველს შეაყვარა თავი. მეტიც, ყველა პატივს სცემს.

— მერე?

— მერე შევეგუე, —ჩაიბურტყუნა დირექტორმა.

— ახლა თქვენც პატივს სცემთ?

დერექტორმა ნაღვლანად შემომხედა.

— როგორ გითხრათ, ბატონო შპეტ, როდესაც კოლერს ვუსმენ, დალახვროს ეშმაკმა, მასში რაღაც ძალა იგრძნობა, ძალაუნებურად კაცობრიობის რწმენა გიბრუნდება, კოლერი ჩვენს პასტორსაც კი აოცებს, ეს თითქოს რაღაც გადამდები სენია. მაგრამ, მადლობა ღმერთს, მე რეალისტი ვარ და არ მჯერა, რომ ამქვეყნად სავსებით ბედნიერი ხალხი არსებობს, მით უმეტეს — საპყრობილეებში, თუმცა ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, კარგი პირობები შევუქმნათ. მხეცები ხომ არა ვართ, ბოლოსდაბოლოს. მაგრამ დამნაშავე დამნაშავეა. ამიტომ კიდევ ერთხელ გიმეორებთ: ეს კაცი ძალიან საშიშია. თქვენ ჯერ პირველ ნაბიჯებს დგამთ ჩვენს სარბიელზე, ამიტომ სიფრთხილე გმართებთ, სჯობს, სულაც მოერიდოთ კოლერს. რასაკვირველია, ეს მხოლოდ კეთილი რჩევაა: თქვენ თავად ადვოკატი ბრძანდებით, ეს საქმე თქვენი გადასაწყვეტია. ეს კოლერი ან წმინდანია, ან — სატანა. უბრალოდ მე ჩემს მოვალეობად მივიჩნიე, გამეფრთხილებინეთ.

— დიდი მადლობა, ბატონო დირექტორო.

— კარგი, ახლა ვეტყვი, კოლერთან შეგიყვანონ. — ამოიოხრა დირექტორმა.

დავალება: სავსებით ბედნიერ კაცს გვერდით ოთახში ვესაუბრე. იგივე ინტერიერი, იგივე ხედი ფანჯრიდან. ფეხზე წამოვდექი, როდესაც დოქტორი კოლერი შემოიყვანეს. მოხუცს ყავისფერი სპეცტანსაცმელი ეცვა, მცველს — შავი და ფოსტალიონს მოგაგონებდათ.

— დაბრძანდით, შპეტ, — მითხრა დოქტორმა ისააკ კოლერმა. საერთოდ, ისე ეჭირა თავი, როგორც აქაურობის ბატონ-პატრონს. თავისუფალი და ძალდაუტანებელი მანერები ჰქონდა. ოდნავ დავიბენი, მადლობა გადავუხადე და დავჯექი. კოლერს სიგარეტი შევთავაზე, მაგრამ უარი მითხრა.

— სიგარეტს თავი დავანებე, — ამიხსნა მან. — სასიამოვნო და სასარგებლო ერთდროულად.

— ეს ციხე სასიამოვნოა, ბატონო კოლერ?

მან გაკვირვებულმა შემომხედა.

— თქვენ ასე არ ფიქრობთ?

— მე ხომ პატიმარი არა ვარ.

კოლერს სახე გაუბრწყინდა.

— ჩემი აზრით, აქ ძალიან კარგია. სიმშვიდე! სიწყნარე! ადრე, სიმართლე რომ ვთქვათ, რეჟიმს არ ვიცავდი, ხომ გესმით, იმ ტრესტის გამო.

— წარმომიდგენია.

— აქ ტელეფონი არ არის — განაგრძო კოლერმა, — ჯანმრთელობის მდგომარეობა გამიუმჯობესდა. აი, ნახეთ, — რამდენიმე ბუქნი გააკეთა, — ერთი თვის წინათ ასე არ შემეძლო. — მითხრა ამაყი სახით, — აქ სპორტული კლუბიც კი გვაქვს.

— ვიცი, — მივუგე მე.

ფანჯრის იქით ისევ დასეირნობდა იმედით აღსავსე შაშვი, ან შეიძლება, უკვე სხვა იყო. სავსებით ბედნიერი ადამიანი კმაყოფილი სახით მიყურებდა.

—ჩვენ ადრეც შევხვედრივართ ერთმანეთს.

— ვიცი.

—"თეატრალურში". ამ რესტორანს ჩემ ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს. მახსოვს, ბილიარდს ვთამაშობდი, თქვენ კი მიყურებდით.

— ბილიარდის არაფერი არ მესმის.

— ჯერ კიდევ არ გისწავლიათ?

—არა, ბატონო კოლერ.

პატიმარმა გაიცინა და დაცვას მიუბრუნდა:

— მოზერ, თუ შეიძლება, ჩემს ახალგაზრდა მეგობარს ცეცხლი მიაწოდეთ.

— რა თქმა უნდა, ბატონო კანტონის საბჭოს მრჩეველო, ახლავე, ბატონო კანტონის საბჭოს მრჩეველო.

ბიჭი წამოხტა, გაიქცა  და სანთებელით ხელში დაბრუნდა. სახე ახალი შაურიანივით უბრწყინავდა.

სიგარეტს მოვუკიდე. მათი ნათელი სახეები და გულთბილი ქცევა უკვე ნერვებს მიშლიდა. სიამოვნებით გამოვაღებდი ფანჯარას, მაგრამ ციხეში ეს ალბათ მიღებული არაა.

— იცით, შპეტ, — დაიწყო კოლერმა — მე ერთი უბრალო პატიმარი ვარ, მოზერი ჩემი მცველია. ძალიან კარგი კაცია. ფუტკრების მოშენების ხელოვნებას მაზიარებს. ბრუნერი —კარგი იქნება, თუ მასაც გაიცნობთ — ესპერანტოს მასწავლის. ახლა მხოლოდ ამ ენაზე ველაპარაკებით ერთმანეთს. ხომ ხედავთ: სულიერი სიმხნევე, შინაური გარემო, სიმშვიდე, გულითადი დამოკიდებულება. აქ სრულიად ბედნიერი ვარ. ადრე კი როგორ ვცხოვრობდი? ღმერთო ჩემო, გახსენებაც კი მზარავს! ახლა პლატონს ორიგინალში ვკითხულობ,  კალათებს ვწნავ, მართლა, შპეტ, კალათა არ გჭირდებათ?

— არა, გმადლობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ბატონი კანტონის საბჭოს მრჩევლის კალათები ნამდვილი შედევრებია, — ამაყად წარმოთქვა მოზერმა, — მე ვასწავლე. ახლა კი დიდი ხანია ყველა ოსტატი უკან ჩამოიტოვა. ღმერთმანი, არ ვაჭარბებ.

ისევ გამოვთქვი სინანული:

— სამწუხაროდ, მართლა არ მჭირდება.

— სიამოვნებით მოგართმევდით ერთს სამახსოვროდ.

— რას იზამ.

— ძალინ მეწყინა.

უკვე ვკარგავდი მოთმინებას.

— შეიძლება გკითხოთ, რისთვის დამიბარეთ?

— რა თქმა უნდა. შეგიძლიათ. თავიდან ამომიფრინდა, რომ თქვენ *იქიდან* მოხვედით, და დასაკარგავი დრო არ გაქვთ. გეჩქარებათ, საქმეები გელოდებათ. კარგი, საქმეს მივხედოთ: მაშინ "თეატრალურში", თქვით, დამოუკიდებლად მინდა მუშაობაო.

— ვმუშაობ კიდეც.

— ვიცი, მითხრეს. მერე, როგორ მიდის საქმეები?

— ბატონო კოლერ, — ვუპასუხე მე, — აქ მაგაზე სალაპარაკოდ მომიწვიეთ?

— ესე იგი, ცუდად, — დამიქნია თავი, — ასეც ვიცოდი. ოფისი მანსარდაში გაქვთ, შპიგელგასეზე, არა? ეგ კიდევ უარესი.

მოთმინების ფიალა ამევსო. ფეხზე წამოვდექი.

— ან მეტყვით, რა გნებავთ, ან ახლავე მივდივარ, — ვუთხარი საკმაოდ უხეშად.

სავსებით ბედნიერი ადამიანიც ადგა, პირდაპირ ჩემს თვალწინ გაიზარდა, ძალა, დამაჯერებლობა მოემატა, წინაალმდეგობას აზრი არ ჰქონდა, გირებივით მძიმე ხელები მხრებზე დამაწყო და სავარძელში ჩამსვა.

— ნუ წახვალთ —მითხრა თითქმის მუქარით.

სხვა რა დამრჩენოდა, დავემორჩილე.

— კარგი, — ვუთხარი და გავჩუმდი.

კოლერიც დაჯდა.

— ფული ძალიან გჭირდებათ, —თქვა დაბეჯითებით.

— ახლა მაგაზე საუბარს არ ვაპირებ, — ვუპასუხე მე.

— თქვენთვის დავალება მაქვს.

— გისმენთ.

— მინდა თავიდან გამოიძიოთ ჩემი საქმე.

დავიბენი.

— აპელაციის შეტანას აპირებთ, ბატონო კოლერ?

მან თავი გააქნია.

— არა, მაშინ ხომ გამოდის, რომ განაჩენს არ ვეთანხმები. ვერდიქტი კი სავსებით სამართლიანი იყო. ჩემი ცხოვრება დასრულებულია და ოქმის სახით საქმეშია ჩადებული. ვიცი, აქაურ დირექტორს ფარისევლად მივაჩნივარ, და, ასე მგონია, თქვენც, შპეტ. მესმის. მე არც წმინდანი ვარ და არც სატანა, უბრალოდ ადამიანი ვარ, რომელიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ცხოვრებისთვის ციხის საკანიც საკმარისია, სიკვდილისთვის კი ერთი საწოლისა და კუბოს მეტი არაფერი გჭირდება. ადამიანის დანიშნულება ფიქრია, და არა მოქმედება. მოქმედება ნებისმიერ ბულას შეუძლია.

— ზედმიწევნით პატივსაცემი პრინციპებია — ვთქვი მე, —ესე იგი, თქვენს მაგივრად უნდა ვიმოქმედო. თქვენი საქმე უნდა გამოვიძიო. მაგრამ ბულას ერთი შეკითხვა აქვს — რა ჩაიფიქრეთ?

— არც არაფერი, — მომიჭრა კოლერმა.— უბრალოდ ვფიქრობ. სამყაროზე, ადამიანებზე, შეიძლება, ღმერთზეც. მაგრამ ამისთვის მასალა მჭირდება, თორემ ფიქრები სიცარიელეს უტრიალებს გარშემო. თქვენ კი მხოლოდ მცირედი დახმარება უნდა აღმომიჩინოთ. იგულისხმეთ, რომ ეს მილიონერის ჰობია. სხვათა შორის, მარტო თქვენ არ გაძლევთ დავალებებს. მოხუც კნულპეს იცნობთ?

— პროფესორს?

— დიახ.

— ჩემი მასწავლებელი იყო.

— აი, ხომ ხედავთ. ახლა კნულპე პენსიაზეა, და მთლად რომ არ დამყაყდეს, რაღაც-რაღაცები დავავალე. ახლა გამოკვლევაზე მუშაობს: ერთი მკვლელობის შედეგები. ანუ იკვლევს, რა გავლენა მოახდინა სამყაროზე მისი ერთი კოლეგის ცოტა არ იყოს ძალადობრივმა სიკვდილმა. ძალიან საინტერესოა, პროფესორი პირდაპირ აღფრთოვანებულია. ამოცანა ისაა, რომ ზუსტად განვსაზღვროთ ერთი ქმედების შედეგები გარემოზე დაკვირვების გზით. თქვენი დავალება კი ცოტა სხვა სახის იქნება — კნულპეს საწინაალმდეგო.

— ეგ როგორ?

— ჩემი საქმე თავიდან უნდა განიხილოთ, ოღონდ იქიდან გამომდინარე, რომ მკვლელი მე არა ვარ.

— ვერ გავიგე.

— ფიქტიური ვარაუდიდან გამომდინარე, ეს არის და ეს.

— მაგრამ მკვლელი ხომ თქვენ ხართ! ყველა სხვა მოსაზრება უაზრობაა!

— პირიქით, მხოლოდ ასე იძენენ ისინი აზრს. — მიპასუხა კოლერმა. — თქვენ სინამდვილის შესწავლას არავინ გთხოვთ, ამას ჩვენი კნულპე გააკეთებს, თქვენ ერთ-ერთი შესაძლებლობა უნდა განიხილოთ, რომელსაც რეალობა თავის თავში შეიცავს. ძვირფასო შპეტ, სინამდვილე ისედაც ცნობილია, მის გამო ვზივარ აქ და კალათებს ვაკეთებ, მაგრამ შესაძლო ვარიანტების შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით. ეს ბუნებრივიცაა. შესაძლებლობა თითქმის უსაზღვროა, რეალობა კი — სასრული. რეალობა შესაძლებლის ერთი ვარიანტია, სხვა ვარიანტებიც სავსებით მოსალოდნელია. ასე რომ, ჩვენ სინამდვილე სხვაგვარად უნდა გავიაზროთ, რათა შესაძლებლის სფეროში შევაღწიოთ.

გამეცინა:

— უცნაურად მსჯელობთ, ბატონო კოლერ.

— ჰო, აქაურობა ფილოსოფიურად განგაწყობს. — მიპასუხა კოლერმა.— იცით, ბატონო შპეტ, ხანდახან გისოსებიდან ვარსკვლავებს ვუყურებ და ვფიქრობ: ჩემს თავს ვეკითხები, რა იქნებოდა, მკვლელი სხვა ვინმე რომ იყოს? ანდა ვინ? აი, ამ კითხვაზე უნდა გამცეთ პასუხი. 30 000 ჰონორარი, 15 000 ავანსად.

ხმა არ ამომიღია.

— თანახმა ხართ?— მკითხა კოლერმა.

— ეშმაკთან გარიგებას ჰგავს, — ვუპასუხე.

— მე ხომ სულს არ გთხოვთ.

— არა მგონია.

— რას კარგავთ?

— რა ვიცი. უაზრობაა ეს ყველაფერი.

კოლერმა თავი გაიქნია და გაიცინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საკმარისია, რომ მე ვხედავ აზრს. დანარჩენი თქვენ არ გეხებათ. თქვენ მხოლოდ წინადადება უნდა მიიღოთ, რომელიც არანაირად არ არღვევს კანონს და რომელიც ჩემი გამოკვლევებისთვის მჭირდება. ყველა ხარჯს, რა თქმა უნდა, ჩემს თავზე ვიღებ. რომელიმე კერძო დეტექტივს დაუკავშირდით, უმჯობესია, ლინჰარდს, დაიქირავეთ, ნებისმიერ თანხაზე დათანხმდით, და საერთოდ, ისე იმოქმედეთ, როგორც საჭიროდ მიიჩნევთ.

კიდევ ერთხელ დავფიქრდი. ეს წინადადება არ მომწონდა, რაღაც ხაფანგს ვგრძნობდი, მაგრამ რას, ვერ ვხვდებოდი.

— მაინცდამაინც მე რატომ მომმართეთ?

— იმიტომ, რომ ბილიარდის არაფერი გაგეგებათ, — მიპასუხა მშვიდად.

გადაწყვეტილება მივიღე.

— ბატონო კოლერ, თქვენი დავალება ზედმეტად იდუმალი და უცნაური მეჩვენება.

— პასუხი ჩემს ქალიშვილს შეატყობინეთ, — მითხრა კოლერმა და სავარძლიდან წამოდგა.

— არა, ფიქრისთვის დრო არ მჭირდება, უარს ვამბობ, — ვუპასუხე და მეც ავდექი.

კოლერმა მშვიდად შემომხედა, გაცისკროვნებული, ღაჟღაჟა, ბედნიერი სახე ჰქონდა.

— ჩემს წინადადებას მიიღებთ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, — თქვა მან. — მე უკეთ გიცნობთ, ვიდრე თქვენ იცნობთ საკუთარ თავს. შანსი შანსია, თქვენ კი ის გჭირდებათ. აი, სულ ესაა, რისი თქმაც მინდოდა. აბა, მოზერ, ჩვენს კალათებს დავუბრუნდეთ.

ხელიხელგაყრილები წავიდნენ, ეშმაკმა დამლახვროს. ძალიან გამიხარდა, რომ ამ სრული ბედნიერების საუფლოს თავი დავაღწიე. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, ამ საქმიდან თავი შორს დამეჭირა და კოლერი აღარასდროს აღარ მენახა.

მაგრამ მაინც დავთანხმდი. თუმცა მეორე დილით ჯერ კიდევ ვფიქრობდი, უარს ვიტყვი-მეთქი. ვგრძნობდი, რომ ჩემი, როგორც ადვოკატის, რეპუტაციას საფრთხე ემუქრებოდა. მერე რა, რომ რეპუტაცია, როგორც ასეთი, ჯერ საერთოდ არ გამაჩნდა. მაგრამ კოლერის წინადადება უაზრობა გახლდათ, ეს იყო რაღაც კლოუნადა, რომელიც ჩემი პროფესიული ღირსების დაბლა იდგა, დიდი ფულის უცებ შოვნის შანსი, რომელსაც ჩემი სიამაყე ვერ ეგუებოდა. იმ დროს ჯერ კიდევ მინდოდა, უმწიკვლო რეპუტაცია მქონოდა, ნამდვილ პროცესებზე ვოცნებობდი, მინდოდა, ხალხისთვის სიკეთე მომეტანა. კანტონის საბჭოს მრჩეველს წერილი მივწერე, რომელშიც კიდევ ერთხელ დავუდასტურე ჩემი გადაწყვეტილება. მორჩა. წერილი ჯიბეში ჩავიდე და ფრაიეშტრესეზე გავედი, ზუსტად ცხრა საათზე, როგორც ყოველდღე გავდიოდი, და "სელექტისკენ" გავემართე. ოდნავ მოგვიანებით ჩემს ოფისში ვაპირებდი მისვლას (შპიგელგასეზე), მერე კი —სანაპიროზე გასეირნებას. კარებში ჩემს დიასახლისს მივესალმე, მზის სხივებმა თვალი მომჭრა, როდესაც ქუჩის გაღმა მაღაზიის კედელზე მიჭედებულ საფოსტო ყუთს გავხედე. სულ რამდენიმე ნაბიჯი მაშორებდა ამ ყუთს, მაგრამ ცხოვრება ზოგჯერ უხეირო რომანს ჰგავს — ამ დამთრგუნველ, მოღრუბლულ დღეს, შესაძლოა, იმის გამოც, რომ ფენი უბერავდა, ანუ ჩვენი ქალაქისთვის ჩვეულებრივ დილას, ცხრასა და ათ საათს შორის, ზედიზედ შემომხვდნენ ა) ბებერი კნულპე, ბ) არქიტექტორი ფრიდლი, გ) კერძო დეტექტივი ლინჰარდი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გერმანულიდან თარგმნა
**ნინო სილაგაძემ**



# ლაურეატები მცხეთა-მთიანეთიდან

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მხარდაჭერით გამოიცა კრებული „ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის ზეპირსიტყვიერების ლაურეატები, მცხეთა-მთიანეთი-2005-2006".

ამ საინტერესო კრებულის პრეზენტაცია არტ-კაფე ქარავანში 28 ოქტომბერს გაიმართა.

კრებულის შემდგენლები არიან საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმძღვანელი ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული. პრეზენტაცია ეთერ თათარაიძემ გახსნა, ხოლო ამირან არაბულმა რამდენიმე ლექსი წაიკითხა აღნიშნული წიგნიდან. გაგა ჭინჭარაული, გივი ქავთარაძე, ბაბუა ალუდაური, ნოდარ ოდიშელიძე, ღვთისო ლიქოკელი ეს იმ ლაურეატთა არასრული ჩამონათვალია, რომელთა ლექსებიც ამ გამოცემაში გაერთიანდა.

კრებულის თანაავტორები იხსენებდნენ ამბებს, თუ როგორ იწერებოდა ესა თუ ის ლექსი, რამაც დამსწრე საზოგადოებას ხალისიანი განწყობა შეუქმნა. თუმცა ნოდარ ოდიშელიძის მოგონებამ დარბაზი სევდიანად განაწყო, რადგან მისი მონათხრობი გაგა ჭინჭარაულის, გოდერძი ჩოხელის და ვახუშტი კოტეტიშვილის სახელებს უკავშირდებოდა.

კრებულის თანაავტორთაგან რამდენიმე ვერ დაესწრო საღამოს, თუმცა მათი ლექსები დარბაზს გააცნეს და მოწონებითაც შეეგებნენ. მალხაზ გოგოჭურის მაგივრად ღონისძიებას მისი შვილები ესწრებოდნენ, ამიტომ ეთერ თათარაიძემ მათ შეასახელა, საღამო სიმღერით კიდევ უფრო დაემშვენებინათ.

დარბაზმა მადლიერებით გამოხატა კარგი წიგნის სიხარული და აღინიშნა ისიც, რომ ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული საშვილიშვილო საქმეს თავობენ და წარმატებითაც უძღვებიან.

**თეკლე ჯანელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოუცნობი გამოცანა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ფრანკლინ დელანო რუზველტის უახლოესი მეგობარი და პოლიტიკური მრჩეველი ჰარი ჰოპკინსი ასე იხსენებს თავის პირველ ვიზიტს კრემლში, რომელიც 1941 წლის 30 ივლისს შედგა:

„სტალინი რამდენიმე სწრაფად წარმოთქმული სიტყვით მომესალმა. ერთი ზედმეტი სიტყვა ან ჟესტი არ გაუმეტებია. გულითადად და მაგრად ჩამომართვა ხელი. პირისახეზე გულთბილი ღიმილი დასთამაშებდა. იფიქრებდი, რომ გონიერსა და საუცხოოდ გაწონასწორებულ მანქანას ესაუბრებოდი. მისი ნათქვამი მისივე არმიების სროლას წააგავდა — თავდაჯერებით და პირდაპირ მიზანში. მისი შეკითხვები იყო მკაფიო, ძუნწი და ჯიქურ დასმული, პასუხები — ზუსტი და არაორაზროვანი. ისე ლაპარაკობდა, თითქოსდა სათქმელი მრავალი წლის წინათ ჰქონდა მოფიქრებული. თუკი სტალინი ყოველთვის ისეთია, როგორიც იყო ჩემთან შეხვედრისას, ცხადია, სიტყვებს არასოდეს ხარჯავს ფუჭად. თავის ლაკონიურ პასუხს სხარტი და თავშეკავებული ღიმილით არბილებს. ღიმილი შეიძლება ცივიც იყოს, მაგრამ მეგობრული ელფერი დაჰკრავს. იგი არ გელაციცებათ; იფიქრებ, რომ მას დაეჭვება არა სჩვევია. გინერგავთ რწმენას, რომ რუსეთი გერმანიას არ შეეპუება და გულისხმობს, რომ ამაში ეჭვი არც თქვენ გეპარებათ. დროდადრო იცინის ხოლმე, მაგრამ ეს ნამიერი გაცინებაა, შესაძლოა — ოდნავ სარდონული. ფუჭი ლაყბობა ნამდვილად არ ეპიტნავება. მწვავე და გამჭრიახი იუმორის გრძნობით არის დაჯილდოებული".



*ჰარი ჰოპკინსი*

რა მიზნით იყო ჩასული მოსკოვში პრეზიდენტ რუზველტის მეგობარი და ემისარი?

იმჟამად ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების ლიდერებს ყველაზე მეტად ის აწუხებდათ, გაუმკლავდებოდა თუ არა გარკვეული ხნით საბჭოთა კავშირი ნაცისტური გერმანიის ჯარებს. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი ფიქრობდა, რომ საბჭოეთის დღეები დათვლილი იყო.

ინგლისელ ჟურნალისტს ალექსანდრ ვერტს, რომელიც იმავე წლის 2 ივლისს გაფრინდა მოსკოვში, კოლეგები ირონიულად ეუბნებოდნენ: იმედია, ჰიტლერს ჩაასწრებო.

საქმის ვითარებაში გასარკვევად მოსკოვს ჩასულმა ჰოპკინსმა სტალინს განუცხადა: პრეზიდენტი კაცობრიობის უპირველეს მტრად მიიჩნევს ჰიტლერს და ამიტომაც სწადია, გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა კავშირს ყოველმხრივ დაეხმაროსო.

სტალინი ეუბნება ჰოპკინსს: რუსეთს ძალუძს, მარტოდმარტომ დაიცვას თავი, მაგრამ გერმანიის სამხედრო მანქანის განადგურება ჩვენ და ინგლისელებს ძალზე გაგვიჭირდება, თუკი ამერიკელები არ ჩაერევიან ომშიო.

ჰოპკინსი იხსენებდა: „არსად შემხვედრიან ისე, როგორც რუსეთში. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ამერიკის პრეზიდენტობაზე ვიყრიდი კენჭს, ოღონდ ბავშვები არ დამიკოცნია".

ამერიკელი სტუმარი მისთვის პერსონალურად განკუთვნილ თავშესაფარში საჭმელ-სასმელით უხვად მოამარაგეს. შამპანურის, ხიზილალის, შოკოლადისა და სიგარეტის ოდენობით ფრიად გაოცებული დარჩა.

ჰოპკინსმა სტალინს უდიდესი სამსახური გაუწია იმით, რომ შეძლო დაერწმუნებინა პრეზიდენტი რუზველტი, საბჭოთა კავშირის დახმარება ხელსაყრელი არისო.

1943 წლის ნოემბერში, „დიდი სამეულის" კონფერენციაზე თეირანში, სტალინი სხდომათა დარბაზში რომ შევიდა, ჰოპკინსს მყისვე მოჰკრა თვალი. ოთახი გადაჭრა და ამერიკელ პოლიტიკოსს გულთბილად ჩამოართვა ხელი. ავერელ ჰარიმანის სიტყვით, სტალინს ამგვარი რამ არა სჩვეოდა. იგი ელოდა ხოლმე, რომ თავად მას ეახლებოდნენ. ჰარიმანი გვარწმუნებს, ასეთი პატივი სტალინისგან მარტოოდენ რუზველტსა და ჩერჩილს რგებიათო.

... სერგო ბერია თავის წიგნში „მამაჩემი — ლავრენტი ბერია" გვაუწყებს, რომ ჰარი ჰოპკინსი იყო, არც მეტი და არც ნაკლები, საბჭოთა დაზვერვის აგენტი!

საბჭოეთიდან გაქცეული „კაგებეს" ყოფილი პოლკოვნიკი ოლეგ გორდიევსკი, ინგლისელი მკვლევრის კრისტოფერ ენდრიუს თანაავტორობით შექმნილ ნაშრომში, მოგვითხრობს, რომ მოსკოვში ყოფნისას დაესწრო მეორე მსოფლიო ომის წლებში შეერთებულ შტატებში საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტად გამწესებული იცხაკ ახმეროვის ლექციას, რომელიც მიეძღვნა ომისდროინდელ ამერიკაში ყველაზე თვალსაჩინო საბჭოთა აგენტის — ზემოხსენებული ჰარი ჰოპკინსის საქმიანობას.

გორდიევსკი — ენდრიუს მტკიცებით, ჰოპკინსის გავლენა რუზველტზე მართალია საბჭოთა ინტერესებს ემსახურებოდა, მაგრამ გადაბირებული (რუსულად „ვერბოვკა" რომ ჰქვია) აგენტი არასოდეს ყოფილაო. ჰოპკინსი რეალისტურად მოაზროვნე პოლიტიკოსად და უნებურ აგენტად უნდა მივიჩნიოთო (დღეს „გავლენის აგენტებს" რომ ეძახიან).

საწინააღმდეგო შეიძლება დაამტკიცონ მხოლოდ და მხოლოდ ლუბიანკაზე. მაგრამ იქ არა სჩვევიათ იმ აგენტების გაშიფრვა, რომლებიც არ გამჟღავნებულან, არ ჩავარდნილან.

ასე რომ, ჰარი ჰოპკინსის გამოცანა გამოცანად რჩება. მისი გასაღები თავად ჰოპკინსმა წაიღო სამარეში.

## ბაღდადის ნაცვლად — გარნისი

სუსტ მეზობელთა რბევითა და იოლად მოხვეჭილ გამარჯვებათა წყალობით გალაღებულ საქართველოს 1225 წელს მოულოდნელი განსაცდელი დაატყდა თავს. განსაცდელს სახელად ერქვა ჯალალედინი. მონღოლთა ურდოების მიერ თავისი სამშობლოდან დევნილი ხვარაზმშაჰი დაძაბუნებული მაჰმადიანური სამყაროს ქომაგობას და მედროშეობას ლამობდა. და მთავარ დაბრკოლებად ამ გზაზე საქართველო გადაეღობა.

იმდროინდელი საქართველოს ძალმოსილებას ჯეროვნად აფასებდნენ და ზოგჯერაც აზვიადებდნენ. მონღოლთა სამსახურში მყოფი სპარსელი ისტორიკოსი ჯუვეინი გვარწმუნებს, რომ ქართველებმა განიზრახეს ხელთ ეგდოთ აზერბაიჯანის ათაბეგის სამფლობელო, განედევნათ იქიდან ახლად გაბატონებული ჯალალედინი, მთლიანად დაეპყროთ თავრიზის მხარე და მერე ბაღდადიც დაელაშქრათ, რათა კათალიკოსი დაესვათ ხალიფას ტახტზე, მეჩეთები გადაეკეთებინათ ეკლესიებად და „ისლამის ჭეშმარიტება“ შეეცვალათ „ქრისტიანობის სიცრუით“.



*ბაღდადი — აბასიან ხალიფათა სასახლე*

ჯუვეინი გვამცნობს: „ამ პატივმოყვარე სურვილისა და ამპარტავანი უგუნურების გამო, თავისი ხალხის სიმამაცისა და ბასრი შუბებისა და მახვილების იმედით ჯარი შეკრიბეს, ოცდაათ ათასზე მეტი კაცი გაამზადეს და დაიძრნენ“.

შიშს დიდი თვალები აქვსო — ბრძნული ქართული ანდაზის სიმართლეს ჩინებულად ამტკიცებს ჯუვეინის ზემოხსენებული ცნობა. საქართველოს სამეფო კარზე ვის დაესიზმრებოდა აღება ბაღდადისა და არაბთა სახალიფოს გადაქცევა საქართველოს ყმადნაფიც პროვინციად?! რომელი ჭკუათამყოფელი დააპირებდა მაჰმადიანურ აღმოსავლეთში სოკოებივით მოფენილი მეჩეთების გადაკეთებას ქრისტიანულ ეკლესიებად?!

ჯუვეინის თხზულებაში დამოწმებული ინფორმაცია თავისებურად ასახავს მაჰმადიანთა შიშნარევ მოწიწებას აღზევებული საქართველოს წინაშე და მოსალოდნელი ხიფათის გაათკეცებას.

ამგვარი მითქმა-მოთქმა, შესაძლოა, გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ 1219 წელს რომის პაპის მოწოდების პასუხად ლაშა-გიორგი აპირებდა მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის შეწევნას. ერთ ევროპულ წყაროში ვკითხულობთ, რომ საქართველოს მეფეს განზრახული ჰქონდა ქალაქ დამასკოს აღება, რითაც მეორე ფრონტს გაუხსნიდა ჯვაროსნებთან ეგვიპტეში შერკინებულ მაჰმადიანებს და შეამსუბუქებდა ევროპელ მოძმეთა მდგომარეობას. მაგრამ ჩვენი სამშობლოს საზღვრებთან ნიაღვარივით მოვარდნილმა მონღოლებმა ჩაფუშეს წადილი ჯვაროსნობისა და ოცნებანი მაჰმადიანური სამყაროს სახელგანთქმულ ქალაქთა დალაშქვრაზე, დამასკო იქნებოდა თუ ბაღდადი.

ხვარაზმშაჰ ჯალალედინის მდივან-ბიოგრაფი მუჰამედ ნესევი მოგვითხრობს, რომ ხვარაზმელთაგან აზერბაიჯანის დაპყრობამ და საქართველოსთან დასაზღვრებამ შეშფოთება და განგაში გამოიწვია ქართველებში. მათ შეკრიბეს სამოციათასკაციანი ჯარი (ნესევი ორჯერ მეტს ამბობს, ვიდრე ჯუვეინი) და განლაგდნენ დვინის ოლქის ფარგლებში მდებარე გარნისის ციხე-სიმაგრესთან, რათა თვალნათლივ ეჩვენებინათ ჯალალედინისათვის თავიანთი ძალა და სიმრავლე. მაგრამ იმავდროულად იმედოვნებდნენ, რომ ხვარაზმშაჰი მოინადინებდა მშვიდობიან გარიგებას და ამგვარად გადაურჩებოდნენ „არწივის კლანჭებსა“ და „აბობოქრებული ზღვის უფსკრულში ჩაძირვას“.

როდესაც ჯალალედინმა შეიტყო ქართველების თავშეყრის ამბავი, სასწრაფოდ დაიძრა გარნისისკენ იმ მცირერიცხოვანი ლაშქრით, რომელიც თან ახლდა. მალე მიაღწია მდინარე არეზის ნაპირს, სადაც შეხვდა თავისი ავანგარდის ამირებს. მათ აცნობეს სულტანს, მტერი ახლოსაა და დიდძალი მხედრობა შეუყრიაო. ჯალალედინი წუთითაც არ შემკრთალა და პასუხიც არ გაუცია სიფრთხილით თავატკივებულ მაცნეთათვის. ცხენს დეზი ჰკრა და მდინარეში შეაგდორო. ლაშქარიც, რასაკვირველია, ფეხდაფეხ გაჰყვა.

ათასერთი ღამის ზღაპრებში მოელვარე ბაღდადის ნაცვლად გელაქუნის ტბის მიდამოებში მივარდნილი გარნისი ერგო საომრად სახელოვან ქართულ მხედრობას.

## ქრონიკა

ნოდარ დუმბაძე 80 წლის გახდებოდა. მისი საიუბილეო წლის აღსანიშნავად 30 ოქტომბერს ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა კიდევ ერთხელ მოუყარა თავი მწერლის შემოქმედების თაყვანისმცემლებს.

მუზეუმის დირექტორის ქ-ნ იზა ორჯონიკიძის, დირექტორის მოადგილის თეა თვალავაძის, საექსპოზიციო განყოფილების კურატორის ნატო სეიდიშვილის და განყოფილების თანამშრომლების მარინა ირემაშვილის, ნათია გაგნიძის, ლიკა დრეიძის და ფოტო-ხელოვან მირიან კილაძის უშუალო მონაწილეობით მოეწყო საინტერესო გამოფენა რომელშიც გამოყენებული იყო მუზეუმის ფონდებში დაცული და მწერლის ოჯახიდან მოწოდებული ფოტო-მასალა, ხელნაწერები და მემორიალი ნივთები, რომლებიც ასახავენ ნოდარ დუმბაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას გამოფენა გახსნა ქ-ნ იზა ორჯონიკიძემ. მწერალი გაიხსენეს: ჯანსულ ჩარკვიანმა, ზურაბ ჭუმბურიძემ, კობა იმედაშვილმა, ანდრო ბუაჩიძემ.

გამოფენის გახსნის შემდეგ გაიმართა ლიტერატურული საღამო. სიტყვით გამოვიდნენ რეჟისორები გიგა ლორთქიფანიძე და გიორგი ქავთარაძე. მსახიობმა თინათინ ელბაქიძემ წაიკითხა ნოდარ დუმბაძის ლიტერატორი წერილები და ესეები.

# ითარგმნა უშუალოდ იაპონურიდან

ასი კლასიკური იაპონური ლექსი.

ეს თვითმყოფადი, ულამაზესი და დიდებული სამყარო აქამდე შუალედური ენის მეშვეობით აირეკლა ქართველი მკითხველის ცნობიერებაში.

ამჯერად უშუალოდ ორიგინალის ენიდან შევიმეცნებთ იაპონური ლექსის ბრწყინვალებას.

და ეს მოხდა მკვლევარისა და მთარგმნელის **ირმა რატიანის** წყალობით.

იგი თორმეტი წელია მიზანმიმართულად უკვირდებოდა და სწავლობდა იაპონურ ლექსს, მის თავისებურებას, სიტყვათა მრავალშრიანობას, ფარულ რიტმიკასა და მუსიკალობას და საჭაშნიკოდ პირველი ცდები დაბეჭდა **„იაპონური დღიურის“**, ამ ჩინებული მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების, ფურცლებზე.

ხანგრძლივი და ბეჯითი გარჯა წარმატებით გასრულდა.

„იაპონური ტანკა პოეზიის სრულიად უნიკალური სახეობაა. მის მრავალ თავისებურებათა შორის ყველაზე აღსანიშნავი, ალბათ, ის არის, რომ ყოველი ტექსტი რამდენიმეგვარ წაკითხვას გვთავაზობს; ოღონდ ეს წაკითხვები ცალ-ცალკე, პარალელურად კი არ არსებობს, არამედ ერთდროულია, ერთმანეთშია ჩაწნული, რაც ძალზე ძნელი გადმოსატანია და მთარგმნელისაგან განსაკუთრებით ფაქიზ მიდგომას მოითხოვს“ — აღნიშნავს **დავით წერედიანი** და **ირმა რატიანის** გარჯის ნაყოფს ასე აფასებს: ჩვენთვის შორეული, ყოვლად უცნაური პოეზიის ხმა და სურნელი გაცილებით ახლოდან შეგვაგრძნობინაო.




„სინატიფე და დახვეწილობა, ლირიკულობა და ფაქიზი მედიტაციური წიაღსვლები“ — ეს **ჯემალ აჯიაშვილის** შთაბეჭდილებაა, ამ წიგნით მოგვრილი.

**იასუჰირო კოჯიმა** კი ამ კრებულს მიიჩნევს შესანიშნავ მოსაწვევად ძველი დროის იაპონიაში, ხოლო **ირმა რატიანს** ახალი სიცოცხლის მიმნიჭებლად უძველესი იაპონური პოეზიისათვის.

კრებულის რედაქტორის — **როსტომ ჩხეიძის** — აზრით, იაპონურ ლექსთა ქართული ორეული იმ ხელოვნებითაა აღბეჭდილი, ჩვენს მთარგმნელობით კულტურას რომ შეჰფერის.

გამომცემელია **ქეთევან კილურაძე** და ჯგუფი **„სიესტა“**.

ბილინგვური აგებულების წიგნში, რომელსაც დაერთვის მთარგმნელის შესავალი სტატია და კომენტარები, უხვადაა გამოყენებული მე-18 საუკუნის იაპონური გრაფიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ესკიზი კინოფილმისთვის
ჯარისკაცის მამა

ნიკა ყაზბეგი